

მარინე კვაჭაძე, ნათია ჩერქეზიძე

**ადამიანის უფლებათა
საერთაშორისო
სამართალი**

წინამდებარე სახელმძღვანელოს, “ადამიანის ძირითად უფლებათა საერთაშორისო სამართალი”, ქართულ ენაზე გამოცემა პირველი მოკრძალებული ცდაა, რომელიც საფუძველს უყრის მომავალი თაობის დემოკრატიულ პრინციპებზე აღზრდას და სტუდენტი-ახალგაზრდობის ცნობიერების ამაღლებას, ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში.

სახელმძღვანელოში განხილულია ადამიანის უფლებათა იდეის წარმოშობის, განვითარებისა და სახელმწიფოების სამართლებრივად ჩამოყალიბების ხანგრძლივი პროცესი. მოცემულია დღემდე მიღებული და მოქმედი ძირითადი საერთაშორისო აქტები და ნორმატიული დოკუმენტები, განმარტებულია მათი პრაქტიკაში გამოყენების პროცედურები და მექანიზმები.

მასალის უკეთ ათვისების მიზნით სახელმძღვანელოს ყოველ თავს დართული აქვს ტექსტში მოხსენიებული ტერმინთა განსაზღვრებები. ასევე, ზოგიერთ თემას თან ერთვის სავარჯიშოები, ცხრილები. სახელმძღვანელოში გამოყენებულია ქართულ და უცხოურ ენებზე გამოცემული ლიტერატურა და მეთოდური მითითებები, რომლებიც სტუდენტ-ახალგაზრდობას დაეხმარება საგნის “ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის” შესწავლის დროს.

სახელმძღვანელო განკუთვნილია სტუდენტი-ახალგაზრდობისა და ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროთი დაინტერესებულ მკითხველთა ფართო წრისათვის.

**სახელმძღვანელოს შედგენასა და გამომცემსაზე
მუშაობდნენ:**

მარინე კვაჭაძე	ავტორი, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი. (I, II, III, IV, V, VI თავები, ცხრილები, სავარჯიშოები, მეთოდური მითითებები);
ნათია ჩერქეზიშვილი	თანაავტორი (I, II თავი);
ქეთევან კიტოვანი	გამომცემლობის რედაქტორი; ადამიანის ძირითად უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის სფეროში სტუდენტი-ახალგაზრდობის სამოქალაქო განათლების პროგრამის კოორდინატორი;
ირინე ცაგარელი	ტექნიკური რედაქტორი;
ნათია მეტრეველი	კომპიუტერული უზრუნველყოფა;
დიმიტრი ავეტისოვი	ყდის დიზაინერი.

ს ა რ ჩ ე ვ ი

წინასიტყვაობა	11
თავი I. ადამიანის უფლებათა ბანკითარების ისტორია. ადამიანის უფლებათა არსი.....	13
§1. ადამიანის უფლებათა ბანკითარების ისტორია.....	13
§2. ადამიანის უფლებათა სამართლის არსი	20
§3. პირველი ხელშეკრულებები ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში	24
ა) ერთა ლიგა	25
ბ) საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი	31
§4. ადამიანის უფლებათა კლასიფიკაცია. ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის წყაროები	31
ტერმინთა განმარტება.....	36
ცოდნის შემოწმება	38
სასწავლო-მეთოდოლოგია.....	39
გამოყენებული ლიტერატურა.....	39
თავი II. ადამიანის უფლებათა დაცვის უნივერსალური სისტემა	41
§1. ადამიანის უფლებები და ბაერთიანებული ერების ორბანიზაცია	41
ა) გაეროს წესდება	43
ბ) გზა ადამიანის უფლებების საყოველთაო დეკლარაციისაკენ	45

§2. საერთაშორისო კავშირი ადამიანის უფლებათა შესახებ	50
ა) სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების საერთაშორისო პაქტის ფაკულტატური ოქმი	64
ბ) სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების საერთაშორისო პაქტის მეორე ფაკულტატური ოქმი სიკედილით დასჯის გაუქმების შესახებ	71
ტერმინთა განმარტება	72
ცოდნის შემოწმება	75
სასწავლო-მეთოდოლოგია	78
§3. საერთაშორისო კავშირი ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ	78
ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა კომიტეტი (CESCR)	82
§ 4. ბაეროს ეკონომიკური და სოციალური საბჭო (ECOSOC)	86
ადამიანის უფლებათა კომისია	86
§ 5. ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო აქტები ბაეროს შარბლებში.....	94
§ 6. ბაეროს სხვა ხელშეკრულებითი ორბანოები.....	99
§7. ბაეროს ადამიანის უფლებების დაცვის უმაღლესი კომისარი.....	106
ტერმინთა განმარტება.....	108

ცოდნის შემოწმება	109
სასწავლო-მეთოდოლოგია	109
დანართი	111
განაცხადის ფორმა	113
გამოყენებული ლიტერატურა	119

თავი III. ადამიანის უფლებათა დაცვის რეგიონალური სისტემა 123

I. §1. ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული სისტემა 123

§2. ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპული კონვენცია 128

§3. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო 175

- ა) ვის შეუძლია მიმართოს ევროპულ სასამართლოს..... 179
- ბ) ევროსასამართლოში საქმის მიღების კრიტერიუმები..... 182
- გ) შიდასამართლებრივი მექანიზმები..... 183
- დ) ექსტეიანი ვადა 183
- ე) განაცხადის აშკარა უსაფუძვლობა და დაუსაბუთებლობა 185
- ვ) სასამართლოსათვის მიმართვის უფლების ბოროტად გამოყენება 185
- ზ) არსებითად იგივე საკითხის შემცველი განაცხადები 186
- თ) განაცხადის ანონიმურობა 186
- ი) სახელმწიფოთა შორისო დავები 187

§4. ადამიანის უფლებების სუპეროვი ევროპის საბჭოს ორგანოები 190

- ა) ევროპული ქარტია რეგიონალური ენებისა და უმცირესობათა ენების შესახებ 191
- ბ) ჩარჩო-კონვენცია ეროვნულ უმცირესობათა დაცვის შესახებ 192

საქმე №1	193
საქმე №2	197

დანართი – განაცხადის ფორმა	207
ტერმინთა განმარტება	215
ცოდნის შემოწმება	216
სასწავლო-მეთოდთა	216
გამოყენებული ლიტერატურა	217
ფ5. ევროკის სოციალური ქარტია	219
ტერმინთა განმარტება	225
ცოდნის შემოწმება	225
სასწავლო-მეთოდთა	226
გამოყენებული ლიტერატურა	226
ფ6. აღმნიანის უფლებები ევროკავშირის	
სამართალში	226
ტერმინთა განმარტება	236
ცოდნის შემოწმება	238
სასწავლო-მეთოდთა	238
გამოყენებული ლიტერატურა	239
ფ7. აღმნიანის უფლებათა დაცვა	
ევროკავშირში უშიშროებისა და	
თანამშრომლობის ორგანიზაციის	
(ეუთო) ფარგლებში	239
სასწავლო-მეთოდთა	244
გამოყენებული ლიტერატურა	244
II. ფ8. აღმნიანის უფლებათა დაცვის	
ამერიკული სისტემა	245
ფ9. აღმნიანის და ხალხთა უფლებების	
დაცვის ამერიკული სისტემა	256
ცოდნის შემოწმება	258
სასწავლო-მეთოდთა	259
გამოყენებული ლიტერატურა	259

თავი IV. ადამიანის უფლებათა დაცვა შვიარაღებულ კონფლიქტებში	261
---	-----

<i>§1. ადამიანის უფლებათა დაცვა და ქვეყნის სამართალი</i>	<i>261</i>
<i>§2. ადამიანის უფლებათა დაცვა და საერთაშორისო სამხედრო ტრიბუნალები</i>	<i>274</i>

ტერმინთა განმარტება	280
ცოდნის შემოწმება	281
სასწავლო-მეთოდია	281
გამოყენებული ლიტერატურა	281

თავი V. ადამიანის უფლებათა დაცვა და არასამთავრობო ორგანიზაციები	283
---	-----

<i>§1. ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნული დაწესებულებები</i>	<i>283</i>
<i>§2. არასამთავრობო ორგანიზაციები</i>	<i>290</i>

ტერმინთა განმარტება	300
ცოდნის შემოწმება	301
სასწავლო-მეთოდია	301
გამოყენებული ლიტერატურა	301

თავი VI. ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალი და საქართველო	303
--	-----

<i>§1. ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის ნორმათა აღბილი საქართველოს კანონმდებლობაში</i>	<i>303</i>
---	------------

ფ2. ადამიანის უფლებათა დაცვის შიდასახელმწიფოებრივი მექანიზმები	306
ფ3. საქართველოს მიერ საქრთაშორისო ვალდებულებათა შესრულების შესახებ მოხსენებათა მოგზაუბების პროცედურა	314
გამოყენებული ლიტერატურა	315
ტერმინთა პირობითი შემოკლება	316
ცხრილები, დანართები	318
ადამიანის უფლებათა საქრთაშორისო სამართალი (სასწავლო პროგრამა)	341

წინასიტყვაობა

ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვა XX საუკუნის უმნიშვნელოვანესი მონაპოვარია და დღემდე პრიორიტეტად რჩება მთელი მსოფლიოსათვის.

იდეა ადამიანის უფლებათა დაცვის შესახებ, ჯერ კიდევ ანტიკურ ეპოქაში ჩაისახა და თანასწორუფლებიანობის იდეას ემსახურება. ადამიანის უფლებათა ძირითადი საფუძველი – ადამიანის სიცოცხლის, პატივისა და ღირსების ცნება, კაცობრიობის კეთილი ისტორიული თანამგზავრია და არსებობის მრავალ ასწლეულს ითვლის. ბუნებითი სამართლის სკოლის წარმომადგენელთა მტკიცებით, ეს უფლება ღმერთის ბოძებულია და ადამიანის ბუნებიდან მომდინარეობს.

ადამიანის უფლებათა დაცვა, როგორც პოლიტიკურ-სამართლებრივი მოვლენა, ახალი და უახლესი ისტორიის ნაყოფს წარმოადგენს. იგი ეხება არა მარტო ინდივიდის უფლებათა დაცვას, არამედ აყალიბებს ადამიანის ძირითად უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის საერთაშორისო სტანდარტებს.

თანამედროვე პირობებში ქვეყნის განვითარების დონის ერთ-ერთი ძირითადი მაჩვენებელი სწორედ ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვაში გამოიხატება. დღეისათვის, თითქმის არ არსებობს მაღალგანვითარებული დემოკრატიული სახელმწიფო, რომელიც თავისი კონსტიტუციის საფუძველზე ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა ძირითად პრინციპებს არ აღიარებდეს.

საქართველოს ხელისუფლებამ დამოუკიდებლობის მოპოვებისთანავე მიზნად დაისახა ქვეყნის სამართლებრივ სახელმწიფოდ ჩამოყალიბება და 1995 წლის 24 აგვისტოს საქართველოს კონსტიტუციის მე-2 თავი ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვას მიუძღვნა.

ამდენად, ადამიანის უფლებები წარმოადგენს ზოგადსაკაცობრიო ფასეულობას, ხოლო მის ფორმირებაში მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვის კულტურულ-ისტორიულ ეპოქებსა და ცივილიზაციას.

ავტორებისაგან

თავი I. ადამიანის უფლებათა განვითარების ისტორია. ადამიანის უფლებათა არსი

§1. ადამიანის უფლებათა განვითარების ისტორია

ადამიანის უფლებები წარმოადგენს კაცობრიობის ისტორიულ და სოციალურ-კულტურულ განვითარებასთან დაკავშირებულ ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს საკითხს, რომელიც ასწლეულებს ითვლის და მუდამ პოლიტიკური, სამართლებრივი, ეთნიკური, რელიგიური თუ ფილოსოფიური მსჯელობის ყურადღების ცენტრში დგას. სხვადასხვა ეპოქაში ადამიანის უფლებათა საკითხი სოციალური ძალების, კულტურისა და ტრადიციების ურთიერთდამოკიდებულების მიუხედავად, იღებდა რელიგიურ, ეთნიკურ ან ფილოსოფიურ მნიშვნელობას, თუმცა იგი მუდამ პოლიტიკურ-სამართლებრივ დატვირთვას ატარებდა.

საერთაშორისო-სამართლებრივ აქტებში ასახული ადამიანის უფლებები წარმოადგენს ხანგრძლივი ისტორიული პროცესის შედეგად მიღებულ სტანდარტებს, რომელმაც თანამედროვე დემოკრატიულ საზოგადოებაში სავალდებულო ხასიათი და სამართლის ნორმების ძალა შეიძინა. საზოგადოებრივი პროგრესისა და დემოკრატიული ინსტიტუტების განვითარების შედეგად სულ უფრო და უფრო გამოიკვეთა მისწრაფება შეიზღუდოს სახელმწიფოს ხელისუფლება და უზრუნველყოფილ იქნას თითოეული ინდივიდის დაცვა სახელმწიფო ორგანოების ზემოქმედებისაგან.

ადამიანის უფლებათა დაცვა თანამედროვე საერთაშორისო სამართლის ერთ-ერთ ფუნდამენტურ პრინციპს წარმოადგენს, რაც იმას გულისხმობს, რომ ყველა სახელმწიფო ვალდებულია დაიცვას ადამიანის უფლებები და ძირითადი თავისუფლებები. ადამიანის უფლებათა დაცვა არ წარმოადგენს მხოლოდ შიდასახელმწიფოებრივ საკითხს, ის საერთაშორისო თანამეგობრობის ზრუნვის საგანია. მისი საერთაშორისო დონეზე აყვანის მნიშვნელობაზე მიუთითებს ის ფაქტიც, რომ შექმნილია ადამიანის უფლებათა დაცვის უნივერსალური და რეგიონალური მექანიზმები. ერთ-ერთ რეგიონალურ სისტემას ევროპის საბჭო წარმოადგენს.

ადამიანის უფლებები - ადამიანისთვის ყველაზე დიდი მნიშვნელობის მქონე ფუნდამენტური და განუყოფელი უფლებები, მსოფლიო საზოგადოების განსაკუთრებული ყურადღების ქვეშაა. ადამიანის უფლებათა პრობლემა გასცდა ეროვნულ ფარგლებს, უნივერსალური ხასიათი მიიღო და დაცულია, როგორც უნივერსალური ასევე რეგიონალური მექანიზმებით.

ადამიანის უფლებათა თანამედროვე კატალოგი, რომელიც საერთაშორისო-სამართლებრივ დოკუმენტებშია დაფიქსირებული არის ეტალონებისა და სტანდარტების ჩამოყალიბების ხანგრძლივი პერიოდი, რომლის შედეგადაც შეიქმნა თანამედროვე საზოგადოებისათვის მისაღები ადამიანის უფლებათა დაცვის პრინციპები და დოქტრინები.

სხვადასხვა ისტორიულ ეპოქაში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა არსი და მოცულობა ყოველთვის არ იყო ერთნაირი.

ადამიანის უფლებები, მისი გენეზისი, სოციალური ფესვები, დანიშნულება - კაცობრიობის ისტორიული, სოციალურ-პოლიტიკური განვითარების ერთ-ერთი მუდმივი პრობლემაა, რომელმაც განვლო ათასწლეულები და ყოველთვის სამართლებრივი, ეთნიკური, რელიგიური, პოლიტიკური, თუ ფილოსოფიური აზროვნების ყურადღების ცენტრში იყო. ადამიანის უფლებები თანამედროვე პირობებში მრავალმხრივი მოვლენაა.

იდეა ადამიანის უფლებათა შესახებ ჯერ კიდევ ანტიკურ ეპოქაში ჩაისახა და თანასწორუფლებიანობის იდეას ეფუძნებოდა. მან განვითარების საკმაოდ ხანგრძლივი პერიოდი განვლო. ადამიანის უფლებები, დაფუძნებული ფორმალურ თანასწორობაზე ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის პროდუქტია, რომლის დროსაც შემუშავებულ იქნა ადამიანის უფლებათა კატალოგი. სწორედ ფორმალურად აღიარებული თანასწორობის პრინციპი დაედო საფუძვლად მის უნივერსალობას. შემდგომში ადამიანის უფლებების განვითარებამ უდიდესი ზეგავლენა მოახდინა საზოგადოების განვითარებაზე, ასევე სახელმწიფოზე. ადამიანის უფლებათა დაცვა გადაიქცა სახელმწიფოს თვითნებობის შემზღვეველად და ხელი შეუწყო სახელმწიფოსა და ინდივიდს შორის დემოკრატიული ურთიერთობის ჩამოყალიბებას, ინდივიდი გაათავისუფლა სახელმწიფო ხელისუფლების მეურვეობისაგან.

ყოველივე ამას წინ უძღოდა ხანგრძლივი და რთული პროცესი, რომელიც გამოიხატებოდა სახელმწიფოსთან ინდივიდის ურთიერთობების საშუალებათა ძიებაში. ეს პროცესი ხშირად არ შემოიფარგლებოდა მხოლოდ სამართლებრივი სივრცით. ამიტომ ადამიანის უფლებების შესახებ მხჯელობისას ყოველთვის უნდა გვახსოვდეს, რომ ეს იდეა თავდაპირველად ატარებდა ზნეობრივ - ეთიკურ, სულიერ, კულტურულ და რელიგიურ ხასიათს.

კაცობრიობის განვითარების ყოველი ახალი საფეხური საფუძველს უყრიდა უფლებების თვისობრივად ახალი კრიტერიუმების გაჩენას, აფართოებდა მისი მოქმედების სფეროში შემავალ ადამიანთა წრეს. ეს სტიქიურად არ ხდებოდა ამ მოვლენას წინ უძღოდა ადამიანის ბრძოლა თავისი უფლებებისა და თავისუფლებების დაცვისათვის. კაცობრიობის განვითარების ყოველი საფეხური წარმოადგენდა წინ გადადგმულ ნაბიჯს თავისუფლების მოპოვებისა და განვითარების გზაზე. ისტორია ცხადყოფს, რომ კაცობრიობის ყოველ თაობას სჭირდება ბრძოლა მოპოვებული თავისუფლების შესანარჩუნებლად და ახალი უფლებებისა და თავისუფლებების მოსაპოვებლად. ნებისმიერი თაობა პასუხობს ისტორიის გამოწვევას ისეთი ღირებულებების დასაცავად, როგორცაა ადამიანის უფლებები და თავისუფლებები.

საზოგადოების კულტურული განვითარება წარმოუდგენელია, თუ მას არ შეაქვს რაიმე პრინციპული ცვლილება პიროვნების ჩამოყალიბებაში, თუ ადამიანი საზოგადოების განვითარების ყოველ საფეხურზე არ იღებს თავისუფლების თუნდაც მინიმუმს, რომელთა მოცულობა იზრდება ერთი საზოგადოებრივ-ისტორიული ფორმაციიდან მეორეზე გადასვლისას. კულტურული პროგრესის ეს მნიშვნელოვანი მომენტი აისახა მორალში, სამართალში, რელიგიასა და ფილოსოფიაში. ანტიკურ მონაზე თავისუფლი ყმა-გლეხი გახლდათ, ყმა-გლეხზე თავისუფალი კი - დაქირავებული მუშა.

ადამიანის უფლებათა საფუძვლის „ფორმალური თანასწორუფლებიანობის“ ჩანასახი პირველყოფილ საზოგადოებაში გეხედება, რომელიც თავის გამოხატულებას პოულობდა „მონონორმების“ სახით. „მონონორმები“ ქცევის წესებია, რომელთა კლასიფიცირება, დიფერენცირება შეუძლებელია ისე, როგორც ეს ხდება რელიგიური, ზნეობრივი,

ჩვეულებითი ნორმების კლასიფიკაციის დროს. თავისი ხასიათით ეს არის ქვევის წესები, რომლებიც გამოხატავენ მდგრად ჩვევებს. „მონონორმები“ აყალიბებდნენ წარმოდგენებს ბოროტებასა და სიკეთეზე, გვარისა და ტომისათვის მისაღებ და მიუღებელ წესებზე. ამ ნორმათა მიზანი იყო გვაროვნული წეს-წყობილების შენარჩუნება, მაგრამ მათში მკაფიოდ არ იყო ჩამოყალიბებული მორალისა და ეთიკის ნორმები. იმდროინდელი საზოგადოება სოციალურად მართვადი იყო და მონონორმებით რეგულირდებოდა. მონონორმებისათვის დამახასიათებელია ის, რომ ისინი გვარის ერთ წევრს არ აძლევდნენ უპირატესობას მეორე წევრის სასარგებლოდ ანუ ადგილი ჰქონდა „პირველყოფილ თანასწორობას,“ მაგრამ ამ თანასწორობის არსი იმაში მდგომარეობდა, რომ ინდივიდის ინტერესები მოლიანად შთაინთქმებოდა საზოგადოების ინტერესებით. ხდებოდა ინდივიდის ყოფის მკაცრი რეგლამენტაცია, რომელიც არ ტოვებდა თავისუფლი მოქმედებისა და თავისუფლად განვითარების, თავისუფალი არჩევანის შესაძლებლობას. მიუხედავად ამისა, თვით მონონორმების გაჩენა კაცობრიობის განვითარებაში წინ გადადგმული ნაბიჯია. მოგვიანებით, პირველყოფილი გვაროვნული წყობილების რღვევამ სამართლის ნორმები წარმოშვა.

თვით სიტყვა „თავისუფლებას“ პირველად, ჯერ კიდევ ჩე. წთ. აღ-მდე ეხვდებით. ისტორიულმა წყაროებმა შემოგვიანახა ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ ძველ შუმერებში მეფე ჰამურაპმა „თავისუფლება“ გამოიყენა თავისი ქვეშევრდომების წასახალისებლად, რომლებიც პირნათლად ასრულებდნენ დაკისრებულ მოვალეობებს იმათ დასასჯელადაც, ვინც არა კეთილსინდისიერად ასრულებდა თავის მოვალეობას (ბეგარის ამკრეფები და მონასტრის მსახურები), ასევე „ქერიყთა და ობოლთა დასაცავად ხელისუფლების მქონე პირთა უსამართლოდ მოქცევის აღკვეთის გზით“.

აღამიანის უფლებათა იდეას საფუძველი ჩაეყარა V-VI სს. ჩე.წ. აღ-მდე. ათენსა და მოგვიანებით რომში, ჯერ კიდევ VI ს. ჩე.წ.აღ-მდე, არქონმა სოლონმა შეიმუშავა კონსტიტუცია, რომელიც დემოკრატიის ზოგიერთ ელემენტს შეიცავდა და ადგენდა სახელმწიფო ჩინოვნიკების პასუხისგებაში მიცემის უფლებას. ამავე პერიოდში წარმოიშვა და განვითარდა ბუნებით სამართლის იდეები.

იდეა ადამიანის უფლებათა შესახებ V-IV სს. ჩვ. წთ. აღ-მდე ჩამოყალიბდა ძვ. საბერძნეთში (ათენი), ხოლო შემდგომი განვითარება ამ იდეამ ძვ. რომში პოეა, რასაც ხელი შეუწყო მოქალაქეობის პრინციპის შემოღებამ.

ძველ მონათმფლობელურ საზოგადოებაში ადამიანის უფლებათა გადანაწილება არათანასწორად ხდებოდა და მონისთვის ყოველგვარი უფლებების ჩამორთმევა საყოველთაოდ იყო აღიარებული.

სახელმწიფო პოლისებმა, რომელსაც ხშირად მონათმფლობელურ დემოკრატიის ფორმად მიიჩნევენ, გარკვეულწილად ხელი შეუწყო ადამიანის უფლებათა იდეის განვითარებას. აღმოცენდა გარკვეული თავისუფლების ოაზისები, რძმელშიც შესაძლებელი გახდა იმ პირთა თანაბარი პოლიტიკური უფლებების არსებობა, რომლებიც მოქალაქეობის სტატუსით სარგებლობდნენ.

საზოგადოებრიობის განვითარების ყოველი ახალი საფეხური ცვლიდა ადამიანთა უფლებების ხასიათს და მას ახალ ნიშან-თვისებებს მატებდა. ადამიანის უფლებები სუბიექტთა უფრო ფართო წრეზე ვრცელდებოდა და ეს ყოველივე ხდებოდა არა სტიქიურად, არამედ ბრძოლის ფონზე.

V-VI სს. ჩვ.წთ. აღ-მდე, ძველ ათენსა და რომში მოქალაქეობის ინსტიტუტის გაჩენა უკვე წინ გადადგმული ნაბიჯი იყო. სხვადასხვა კლასებსა და ფენებს შორის ადამიანის უფლებათა გადანაწილება, ხოლო მონებისათვის საერთოდ ყოველგვარი უფლების ჩამორთმევა იმ პერიოდის დამახასიათებელი ნიშანია.

თუმცა სამართლის ნორმებისა და ადამიანის უფლებათა ფორმირების პროცესი ერთმანეთს არ ემთხვევა. სამართლებრივი ნორმების წარმოშობის პირველ ეტაპზე თავისუფლების ზღვარის დონე მინიმალური იყო.

სამოქალაქო თავისუფლებათა განვითარების იდეა შემოღებულ იქნა ძველ რომში, სადაც ხელისუფლების დანაწილების პრინციპი და ბუნებითი სამართლის იდეა ჩაისახა.

ფეოდალიზმის დროს უფლებების მოცულობა გაიზარდა. მიუხედავად, წოდებრივი იერარქიისა და ყმათა დაკაბალებისა მემამულეთა მხრიდან, ამ პერიოდში ეხვედებით მონარქის ძალაუფლების შეზღუდვის მცდელობას. შუა საუკუნეების პერიოდში თავისუფლებას მტრად შეზღუდული იყო, მაგრამ ყმა უფრო მეტად დაეწესაწესა იყო ვიდრე მონა. ფეოდალიზმის

წილში უკვე მომწიფდა ისეთი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებები, რომლებმაც მოგვიანებით თავისი განვითარება ჰპოვა სხვადასხვა აქტებში. ასე მაგალითად, ინგლისში მოხდა მონარქის უფლებების შეზღუდვა. მონარქისათვის საზოგადოების გვაროვნული წრიდან კონტროლის დაწესების მცდელობა დაგვირგვინდა 1215 წელს, თავისუფლების დიდი ქარტიის (MAGNA CARTA LIBERTATUM) მიღებით. ქარტიაში მოცემული მუხლები შეიცავდა მეფისა და სამეფო ჩინოვნიკთა თვითნებობისაგან დაცვის უფლებასა და მექანიზმებს; ასევე მოთხოვნას - არ დაინიშნონ მოსამართლის, შერიფისა და კონსტებლის თანამდებობაზე ადამიანები, რომლებმაც არ იციან კანონები ან არ სურთ მათი შესრულება. ქარტიის დამსახურებად უნდა ჩაითვალოს ის დებულება, რომლითაც დაუშვებლად იქნა გამოცხადებული თავისუფალი ადამიანის მიმართ სასჯელის გამოყენება სასამართლო განაჩენის გარეშე.

1628 წელს ინგლისში მიღებულ იქნა პეტიცია უფლებათა შესახებ, რომლითაც განისაზღვრა მონარქის ვალდებულებები - დაეცვა ქვემდგომი სამეფო აღმინისტრაციის თვითნებობისაგან. ამ აქტის მიხედვით, მონარქისათვის პეტიციით მიმართვის შემთხვევაში, ადამიანის დაპატიმრება, მონარქის მიერ პეტიციის განხილვამდე და გარკვეული გადაწყვეტილების გამოტანამდე, არაკანონიერად ჩაითვლებოდა.

მოგვიანებით, 1679 წელს მიღებულ იქნა HABEAS CORPUS ACT, რომლითაც პირველად იქნა გამოყენებული პიროვნების ხელშეუხებლობის გარანტიები, უდანაშაულობის პრეზუმფცია და ადამიანის სხვა უფლებების დაცვისათვის საჭირო მნიშვნელოვანი დებულებები.

1689 წელს მიღებული უფლებათა ბილი (BILL OF RIGHTS) კიდევ ერთი წინგადადგმული ნაბიჯი იყო ადამიანის უფლებათა იდეის ხორცშესხმაში. კერძოდ, დაუშვებლად ჩაითვალა კანონის მოქმედების შეჩერება სამეფო ტახტის სასარგებლოდ. პარლამენტის გადაწყვეტილების გარეშე გადასახადების დაწესება და მშვიდობიან პერიოდში არმიის ყოლა. ბილით აღიარებულ იქნა სიტყვის თავისუფლება, პარლამენტში არჩევის უფლება და მეფის წინაშე პეტიციის წარდგენის უფლება.

1701 წელს ინგლისში მიღებულ იქნა ხელისუფლების მოწყობის აქტი, რომელმაც დაადგინა პარლამენტის უზენაესობა საკანონმდებლო სისტემაში. ამასთანავე მოსამართლეთა

უკვლევლობის პრინციპი. აკრძალა სამეფო მინისტრების პარლამენტის წევრობა.

ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა განვითარების იდეამ ამერიკის კონტინენტზეც შეაღწია, რასაც ხელი შეუწევს განმანათლებლებმა, ძველბერძენმა ფილოსოფოსებმა, „ბუნებითი სამართლის“ სკოლის მოძღვრებამ, ასევე ინგლისში მიღებულმა აქტებმა.

„ბუნებითი სამართლის“ იდეები აშშ-ში განვითარდა თომას პეინისა და თომას ჯეფერსონის მიერ ანტიკოლონიური რევოლუციის პერიოდში. მათი იდეები მიმართული იყო არა მარტო დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობისაკენ, არამედ ადამიანის ხელშეუვალი უფლებების დაცვისაკენ. ამის ნათელი მაგალითია, 1776 წელს გამოცხადებული დამოუკიდებლობის აქტი: „ყველა ადამიანი ბუნებით თანაბრად თავისუფალი და დამოუკიდებელია და დაბადებისთანავე ფლობს კონკრეტულ უფლებებს“.

1787 წელს მიღებული აშშ-ის კონსტიტუცია არ შეიცავს ადამიანის უფლებათა ჩამონათვალს, თუმცა აშშ-ის კონსტიტუციის პრეამბულა კარგი მაგალითია იმისა, თუ როგორ მკვიდრდებოდა ადამიანის უფლებები და როგორ იზრდებოდა ადამიანის უფლებათა იდეის გავლენა სახელმწიფოზე: „ჩვენ, შეერთებული შტატების ხალხი, რათა შევქმნათ უფრო სრულყოფილი კავშირი, დაეამკვიდროთ მართლმსაჯულება, უზრუნველყოთ შინაგანი სიმშვიდე, ერთიანი თავდაცვა, ხელი შევეუწყოთ საყოველთაო კეთილდღეობას და ჩვენ, ჩვენი შთამომავლებისათვის განვამტკიცოთ თავისუფლების მაღლი ამერიკის შეერთებული შტატებისათვის, საზეიმოდ ვაცხადებთ ამ კონსტიტუციას“. 1789 წელს მიღებულ იქნა კონსტიტუციის დამატებები. 10 დამატება, რომელსაც უფლებათა ბილი (**Bill of Rights**) ეწოდა და რატიფიცირებულ იქნა აშშ-ის პარლამენტის მიერ.

„ბუნებითი სამართლის“ სკოლის იდეები ადამიანის განუყოფელი უფლებების შესახებ განვითარდა საფრანგეთის რევოლუციის დროს. ეს იდეები ემყარებოდა ჰუგო გროციუსის, მონტესკიეს, ლოკის, რუსოს და სხვა განმანათლებელთა იდეებს. 1789 წელს მიღებულ იქნა საფრანგეთის ადამიანისა და მოქალაქის უფლებათა დეკლარაცია (**DECLARATION DES DROITS DE L'HOMME ET DE CITOYEN**). მასში აღინიშნა, რომ „ადამიანები იბადებიან თავისუფალნი, თანაბარი უფლებებით და

ასეთებად რჩებიან. საზოგადოებრივი განსხვავებები მათ შორის შეიძლება დადგინდეს მიხლოდ კანონით“. დეკლარაციით აღიარებული იქნა კანონისათვის უკუქცევითი ძალის მინიჭების დაუშვებლობა; უდანაშაულობის პრესუმიცია; დაუშვებლად იქნა მიჩნეული ადამიანის დაკავება ან დაპატიმრება ბრალის წაყენების გარეშე; აზრის გამოთქმის გამო, თუ ამ აზრის გამოთქმით არ ირღვევა კანონით განსაზღვრული საჯარო წესრიგი“; უზრუნველყოფილ იქნა საკუთრების უფლების აღიარება.

ადამიანის უფლებათა ჩამოყალიბებაზე მნიშვნელოვანი ზეგავლენა მოახდინა ბუნებით-სამართლებრივმა დოქტრინამ, რომელმაც აღიარა ადამიანის უფლებათა პრიორიტეტი და განსაზღვრა ახალი პარამეტრები ინდივიდსა და ხელისუფლებას შორის.

ზემო აღნიშნული აქტების გაცნობისას ვრწმუნდებით, რომ ინდივიდი, რომელიც ადრე მთლიანად შთაინთქმებოდა სახელმწიფოს მიერ და მთლიანად დამოკიდებული იყო მასზე, თანდათან ავტონომიურობას იძენს. ამდენად, პიროვნული თავისუფლების უფლება გარანტირებული ხდება სამართლით სახელმწიფოსგან დამოუკიდებლად.

§2. ადამიანის უფლებათა სამართლის არსი

ადამიანის ფუნდამენტური (ძირითადი) უფლებების კონცეფცია საკმაოდ დინამიურია. იგი მუდმივად იცვლება და ფართოვდება, რაც დასავლეთის სახელმწიფოების კონსტიტუციური განვითარების ისტორიამაც გვიჩვენა. მისი არსი იმაში მდგომარეობს, რომ ყოველ ადამიანს გააჩნია განუყოფელი და სამართლებრივად დაცული უფლებები, რომელიც მას სახელმწიფოსა და მთავრობის ზეწოლისაგან იცავს. ამ ფუნდამენტური თავისუფლებების ნუსხას ეკუთვნის, მაგალითად, რელიგიისა და სიტყვის თავისუფლებები.

ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის განხილვისას მნიშვნელოვანია გაირკვეს ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის განმარტება.

წინა თავიდან გამომდინარე დავინახეთ, რომ ადამიანის უფლებათა ჩამოყალიბებასა და განვითარებას ხანგრძლივი ისტორია გააჩნია, რომელსაც თან სდევს დოქტრინებისა და

ტრადიციების ბრძოლა. მიუხედავად ამისა, ადამიანის უფლებათა იდეის რეალიზაცია შესაძლებელია დემოკრატიის, თავისუფლების, სამართლიანობისა და თანასწორობის პრინციპების საფუძველზე. (ასეთი პრინციპების საფუძველზე მოხდა ადამიანის უფლებათა ფუნდამენტური უფლებების კონსტიტუციებში ჩართვა.)

ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა ჩამოყალიბებაში უდიდესი როლი შეასრულა იდეოლოგიურმა და დოქტრინალურმა სწავლებამ. ადამიანის ბუნებით თანდაყოლილი უფლება არსებობს სახელმწიფოს თვითნებობისა, თუ შეხედულებებისგან დამოუკიდებლად; ამ უკანასკნელის მიზანია უფლებათა უზრუნველყოფა, რომელიც პიროვნებას ბუნებით ან უხენაესი ძალით აქვს ნაბოძები. თუ ადრე სამყაროს ცენტრში ღმერთის ზეციური ძალა იდგა, ბურჟუაზიული რევოლუციის იდეების განვითარებამ სამყაროს ცენტრში ინდივიდი დააყენა.

ბუნებით-სამართლებრივი კონცეფცია აქცენტს აკეთებდა პიროვნების ინდივიდუალობაზე. ამ დოქტრინის ღირებულებები ეფუძნებოდა მორალურ პრინციპებს, თავისუფლების, თანასწორობის, სამართლიანობისა და ადამიანის ღირსების კატეგორიებს.

შიდაიურისდიქციის ფარგლებს სახელმწიფოები თვითონ ადგენდნენ საერთაშორისო-სამართლებრივი ნორმებით და ამით შიდასახელმწიფოებრივ ურთიერთობებს არეგულირებდნენ. ტრადიციული საერთაშორისო სამართალი განიხილავდა რა სახელმწიფოსა და ამ სახელმწიფოს მოქალაქეთა შორის ურთიერთობებს, მხოლოდ ერთ გამონაკლისს უშვებდა. დასაშვები იყო ძალის „კუმანური“ მიზნით გამოყენება, რაც ზოგჯერ ერთი მხარის მიერ სხვა სახელმწიფო ტერიტორიაზე მყოფ საკუთარ მოქალაქეთა სიცოცხლისა და საკუთრების დაცვის მიზნით ომის გაჩაღებასაც გულისხმობდა.

„კუმანიტარული“ ინტერვენციის უფლება ეფუძნებოდა იმ წინაპირობას, რომ ყოველ სახელმწიფოს გააჩნდა საერთაშორისო ვალდებულება, რომლითაც იგი უზრუნველყოფდა უფლებებისა და თავისუფლებების დაცვას, სადაც არ უნდა ყოფილიყო. სახელმწიფოს უფლებამ — „ჩაერიოს სხვა სახელმწიფოთა“ შიდა საქმეებში და ამგვარად დაიცვას ისეთი უფლებები, როგორცაა ადამიანის სიცოცხლის, საკუთრების, პირადი სხელშეუხებლობის უფლება — თავისი გამოსატულება კპოვა საერთაშორისო სამართლის მეცნიერ-თეორეტიკოსთა ნაშრომებში.

ასე მაგალითად, პოლანდიელი მეცნიერი ჰუგო გროციუსი, თავის ნაშრომში „ომისა და მშვიდობის უფლების შესახებ“ (1624წ), ამართლებდა ე.წ. სამართლიან ომებს სხვა სახელმწიფოს მოქალაქეთა დაცვის მიზნით, თუ მათ მიმართ აშკარა უკანონობას ჰქონდა ადგილი“.

ბუნებითი სამართლის სკოლის გაჩენამ (ჯონ ლოკი, ჰუგო გროციუსი, სპინოზა, ჟან-ჟაკ რუსო, მონტესკიე, ვოლტერი და სხვები) საფუძველი ჩაუყარა ადამიანის უფლებათა თეორიის ჩამოყალიბებას. ბუნებითი სამართლის სკოლის წარმომადგენელთა მტკიცებით, ეს უფლებები ღმერთის მიერ არის ნაბოძები. მიუხედავად იმისა, თუ რომელ ეპოქაში ცხოვრობს ადამიანი, ეს უფლებები არ იცვლება, ხოლო სახელმწიფო ვალდებულია დაიცვას ისინი. ამდენად, ადამიანის უფლებათა დაცვა პოზიტიური სამართლის ანუ სახელმწიფოს მიერ დადგენილ ნორმათა ერთობლიობის მიმართ პირველ წყაროდ ცხადდება, ხოლო სახელმწიფოს მიერ მათი დარღვევა უზურპაციად ითვლება.

მიუხედავად ბუნებითი სამართლის სკოლის უზარმაზარი გავლენისა ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა იდეის ჩამოყალიბებასა და განვითარებაზე ის მალე გაკრიტიკებულ იქნა და მისი ადგილი დაიკავა სხვადასხვა თეორიებმა. მიუხედავად ამისა, შეუძლებელია ამ თეორიის მნიშვნელობის უგულვებელყოფა ადამიანის უფლებათა ჩამოყალიბების საქმეში. მითუმეტეს, რომ ჩამოყალიბდა ეგრეთ წოდებული ცვალებადი შინაარსის ბუნებითი სამართლის კონცეფცია, რომლის მიხედვით ადამიანის უფლებები არ შეიძლებოდა ერთი და იმავე არსისა და მოცულობის ყოფილიყო მონათმფლობელობის, ფეოდალიზმისა და კაპიტალიზმის ხანაში. ეს კატეგორიები იცვლება და ახალ შინაარსს იძენს კაცობრიობის განვითარებასთან ერთად ეკონომიკური და პოლიტიკური ინსტიტუტების ჩასახვასა და სრულყოფასთან მჭიდრო კავშირში; ადამიანის უფლებები რჩება სახელმწიფოებრივი და სამართლებრივი ინსტიტუტების პირველ წყაროდ, მაგრამ მათი მოცულობა მერყეობს ეპოქისა, თუ კონკრეტული საზოგადოების განვითარების დონეთა მიხედვით.

პოზიტივიზმის სკოლა უარყოფდა ბუნებითი სკოლის დოქტრინას და ადამიანის უფლებათა ნუსხას უკავშირებდა სახელმწიფოს ნებას, ხოლო წყაროდ მიიჩნევდა სახელმწიფოს მიერ მიღებულ სამართლებრივ აქტებს.

თანამედროვე ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალი თავისი ისტორიული "წინაპრებისაგან" ძალიან განსხვავდება. დღეს (კალკულ პირებს გააჩნიათ უფლებები, რომელიც გარანტირებულია საერთაშორისო თანამეგობრობით და ეს უფლებები მათ გააჩნიათ, როგორც ჩვეულებრივ ადამიანებს და არა, როგორც მოქალაქეებს.

აქვე საზი უნდა გაესვას, რომ ადამიანის უფლებათა დოქტრინა ევროპის პირმშოა. დღეისათვის მისი სრულყოფა და ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის განვითარება სწორედ ევროპულ ტრადიციებზეა აღმოცენებული. მოგვიანებით ადამიანის უფლებათა შესახებ საერთაშორისო აქტები უნივერსალური დონიდან რეგიონალურ დონეზეც განვითარდა (აფრიკული, ამერიკული, ევროპული), მაგრამ მათ ევროპულ მოაზროვნეთა დოქტრინები უდევთ საფუძვლად, თან ყოველი რეგიონის სპეციფიკის გათვალისწინებით (მაგალითად, ადამიანისა და ხალხის უფლებათა აფრიკული ქარტია). 1981 წელს, ისლამური საბჭოს (Islamic Council) მიერ მუსულმანურმა ქვეყნებმაც მიიღეს ადამიანის უფლებათა საყოველთაო ისლამური დეკლარაცია, რომლითაც აღიარეს ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები, სოციალურ-ეკონომიკური უფლებები. თუმცა მასში ჩამოთვლილი უფლებები ისლამისათვის დამახასიათებელ ელფერს ატარებს. მიუხედავად ამისა, ეს გარკვეულწილად წინგადადგმული ნაბიჯია. ასევე საერთაშორისო სტანდარტებზე დაყრდნობით მუშავდება და შესაძლოა დამოუკიდებლად ჩამოყალიბდეს ადამიანის უფლებათა აზიური სისტემაც.

ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის ლექსიკონში ადამიანის უფლებათა სამართლის შემდგენიერ განმარტებას ვხვდებით: *ადამიანის უფლებათა სამართალი საერთაშორისო სამართლის დარგია, რომელიც მიზნად ისახავს ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებებათა დაცვას სახელმწიფოთა თანამეგობრობის ყოველი წევრის მიერ.*

საერთაშორისო სამართალი წარმოადგენს ნორმათა ერთობლიობას, რომელიც არეგულირებს ურთიერთობებს მხოლოდ სახელმწიფოთა შორის. ეს კი ნიშნავს, რომ საერთაშორისო სამართლის სუბიექტებს მხოლოდ სახელმწიფოები წარმოადგენენ და მხოლოდ მათ გააჩნიათ იურიდიული უფლება-უნარიანობა. ამგვარი, ტრადიციული გაგება გაფართოებულ იქნა პირველი მსოფლიო ომის შემდეგ, როდესაც

საერთაშორისო სამართალი გაეროცვლდა სხვადასხვა საერთაშორისო სახელმწიფოთაშორის ორგანიზაციებზე, რომლებიც ამ პერიოდში მრავლად შეიქმნა, თუმცა მათი უფლებები მეტად შეკვეცილი იყო. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ საერთაშორისო ორგანიზაციების როლი საკმაოდ გაიზარდა. გარდა ამისა, იმდენად რამდენადაც სახელმწიფოებს საერთაშორისო სამართლებრივი ვალდებულებები გააჩნდათ გარკვეულ პირთა მიმართ ოდითგანვე განიხილებოდა, როგორც ვალდებულება იმ სახელმწიფოს წინაშე ვისი მოქალაქეებიც ეს პირები იყვნენ. ადამიანი, როგორც პიროვნება საერთაშორისო სამართალში საერთაშორისო სამართლის სუბიექტად არ განიხილება. ამდენად, მას საერთაშორისო სამართალ-სუბიექტობა არ გააჩნია. ადამიანს განიხილავენ, როგორც ობიექტს და არა საერთაშორისო სამართლის სუბიექტს.

იმდენად, რამდენადაც პიროვნება არ ითვლებოდა საერთაშორისო სამართლის სუბიექტად სახელმწიფოები თელიდნდნენ, რომ საკუთარი მოქალაქეთა უფლებების დაცვა მათი შიდა სახელმწიფოებრივი საქმეა და სხვა სახელმწიფოებს არ ეხება, მაგრამ საკითხისადმი ამგვარი მიდგომა თანდათანობით იცვლებოდა. ეს განსაკუთრებით ნათელი გახდა პირველი მსოფლიო ომის წინა პერიოდში და განსაკუთრებით მას შემდეგ.

§3. პირველი ხელშეკრულებები ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში

XX საუკუნის დასაწყისში ადამიანის უფლებები რეგულირდებოდა მხოლოდ შიდასახელმწიფოებრივი სამართლის ნორმებით. საერთაშორისო ურთიერთობების მონაწილე სახელმწიფოები გამომდინარეობდნენ იქიდან, რომ ეს საკითხები ეხებოდა მხოლოდ სახელმწიფოს შიდაკომპეტენციას. გაბატონებული იყო შეხედულება, რომლის მიხედვითაც სახელმწიფოსა და მოქალაქეს შორის ურთიერთობები ითვლებოდა ყოველი სახელმწიფოს შიდასაქმედ. ძველი საერთაშორისო სამართალი ამ სფეროში არ ერეოდა.

საერთაშორისო სამართლის ტრადიციულ სფეროში სხვადასხვა დროს ჩნდებოდა სხვადასხვა დოქტრინები და ინსტიტუტები, რომლებსაც უნდა დაეცვათ ადამიანის უფლებები.

იქნებოდა ეს მონები, ეროვნული უმცირესობები, უცხოელები, შეიარაღებულ მხარეთა მემორები თუ სხვა. საერთაშორისო სამართლის ამ პრაქტიკული და თეორიული ასპექტების გამოყენებამ კონკრეტულად და ინსტიტუციონალური საფუძველი ჩაუყარა ადამიანის უფლებებს. უფრო მეტიც, ბევრი მათგანი დღესაც არსებობს და ქმედითია.

1919 წელს მიღებული ვაიმარის კონსტიტუცია ადამიანის უფლებათა ჩამონათვალს შეიცავდა, რომელშიც აღიარებული იყო "ადამიანის ძირითადი უფლებები და ძირითადი ვალდებულებები". მართალია, "ნაციისტების" ძალაუფლების დროს ეს უფლებები არ მოქმედებდნენ, მაგრამ 1949 წელს, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კონსტიტუციაში ამ უფლებების საფუძველზე მოხდა ძირითად უფლებათა კატალოგის ჩამოყალიბება.

1945 წლამდე, საერთაშორისო საქმიანობა ძირითადად მიმართული იყო გარკვეული მართლსაწინააღმდეგო ქმედებების აღკვეთისაკენ ან ეროვნულ უმცირესობათა ჯგუფებისა და უცხოელების დაცვისაკენ. საზოგადოდ, სახელმწიფოსა და მის მოქალაქეებს შორის ურთიერთობა შიდასახელმწიფოებრივ საქმედ იყო მიჩნეული. მეორე მსოფლიო ომმა შეცვალა უწინდელი წარმოდგენები და შემოიტანა „ოთხი თავისუფლების“ იდეა. აშშ-ის პრეზიდენტ რუზველტს ამერიკის საგარეო პოლიტიკის მთავარ მიზნად ეს ოთხი უფლება მიაჩნდა, რაც მან 1941 წელს, ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესისადმი მიმართვაში აღნიშნა. მოგვიანებით, მისი წინადადება ატლანტიკის პირველ ქარტიაში შეიტანეს. ნაციონალ-სოციალისტების მიმართველობისას, ადამიანის უფლებები გამუდმებით ირღევოდა. მხოლოდ 1945 წელს, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებაზე ხელმოწერის შემდეგ შესაძლებელი გახდა ადამიანის უფლებების შედარებით სრულყოფილად დაცვა.

საერთაშორისო სამართლის პრინციპების თანახმად, სახელმწიფოს შეუძლია საკუთარი ინიციატივით შეზღუდოს თავისი სუვერენიტეტი. ხელშეკრულებაზე ხელის მოწერის შემდეგ ყველა საკითხს არეგულირდებს საერთაშორისო სამართალი. აქედან გამომდინარე, სახელმწიფო იმ საკითხს, რომლის ხელშეკრულებაზეც ხელი მოაწერა, უქვემდებარებს სხვა სახელმწიფოებსა და საერთაშორისო ორგანიზაციებს. ამიტომ, ხელშეკრულებების ხელმოწერით სახელმწიფო კისრულობს გარკვეულ ვალდებულებებს. მას აღარ შეუძლია თავის მართლება საკუთარ მოქალაქეებთან და იმის მტკიცება, რომ ადამიანის

უფლებათა დაცვა მხოლოდ მისი შიდა სახელმწიფოებრივი საქმეა. ეს პრინციპი მეტად მნიშვნელოვანი აღმოჩნდა და სწორედ მან მისცა ბიძგი ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის განვითარებას. მიუხედავად იმისა, რომ ეს პროცესი ჯერ კიდევ მე-19 საუკუნის ბოლოს დაიწყო ის დღესაც, აქტუალურია.

მონათვაჭრობაზე პირველმა ხელშეკრულებებმა საფუძველი ჩაუყარა ადამიანის უფლებათა ინტერნაციონალიზაციას. ასევე, მნიშვნელოვანია ხელშეკრულებების გაფორმება ეროვნულ უმცირესობათა დაცვის საკითხებზე - 1856 წლის 30 მარტს ოტომანის იმპერიაში (თურქეთში), 1878 წლის 13 ივლისის ბერლინისა და პარიზის ხელშეკრულებები. ამ ხელშეკრულებებზე დაყრდნობით, ევროპის თანხმობაში შემავალი სახელმწიფოები ახორციელებდნენ დიპლომატიურ, ხოლო ზოგჯერ სამხედრო ჩარევასაც, რითაც იცავდნენ ქრისტიანთა ინტერესებს ოტომანის იმპერიაში. 1878 წელს ხელმოწერილი ბერლინის ხელშეკრულება იმითაც არის მნიშვნელოვანი, რომ ის განსაკუთრებულ სამართლებრივ სტატუსს ანიჭებდა ზოგიერთ რელიგიურ ჯგუფებს. ასეთი ხელშეკრულებები გარკვეულწილად მორეაქციული იქნა გამოყენებული "ერთა ლიგის" ფარგლებში უმცირესობათა უფლებების დაცვის სისტემის შექმნისას.

ა) ერთა ლიგა. მართალია, ერთა ლიგის წესდებაში არაფერია ნათქვამი ადამიანის უფლებათა შესახებ, თუმცა მან საფუძველი ჩაუყარა ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის განვითარებას (მუხლი-22-ე და მუხლი 123-ე) უმცირესობათა დაცვის და სამანდატო სისტემის შემოღებით. წესდების 22-ე მუხლის თანახმად, შექმნილი იყო ლიგის სამანდატო სისტემა. ეს მდგომარეობა ეხებოდა მხოლოდ იმ სახელმწიფოთა კოლონიებს, რომლებიც დამარცხდნენ პირველ მსოფლიო ომში, ხოლო კოლონიები გადაიქცა ერთა ლიგის სამანდატო ტერიტორიებად, რომელსაც მართავდა I მსოფლიო ომში გამარჯვებული სახელმწიფოები. სწორედ ამ დროს, აღნიშნულმა სახელმწიფოებმა აიღეს ვალდებულება ერთა ლიგისათვის წარედგინათ პერიოდული მოხსენებები, თუ როგორ ასრულებდნენ ნაკისრ ვალდებულებებს. ამ მოხსენებებს შეისწავლიდა ერთა ლიგის სამანდატო კომისია. დროთა განმავლობაში სამანდატო კომისიას გაეზარდა უფლებამოსილება სამანდატო ტერიტორიის მმართველობაზე და ადგილობრივი

ხელისუფლების ორგანოთა მიერ ადგილობრივი მოსახლეობის მიმართ მოპყრობაზე, კონტროლის უფლებების გაზრდით.

მოგვიანებით გაერომ ეს სისტემა და გამოცდილება სამეურვეო საბჭოს საქმიანობის სრულყოფისათვის გამოიყენა, რაც კარგად ჩანს მათ მიერ შედგენილ პერიოდულ მოხსენებებში. ერთა ლიგამ, განიხილა სახელმწიფოთა პასუხისმგებლობის საკითხი უცხოელი მოქალაქეებისათვის მიყენებული ზიანის შესახებ.

საერთაშორისო სამართლის განვითარების ადრეულ ეტაპზე სახელმწიფოებმა აღიარეს ვალდებულება უცხოელი მოქალაქეების მიმართ ცივილიზებული და მართლმსაჯულების მინიმალური სტანდარტების საფუძველზე მოქმედების შესახებ. ითვლებოდა, რომ სახელმწიფო ვალდებული იყო იმ სახელმწიფოს მიმართ, რომელთა მოქალაქეებიც იყვნენ უცხოელები. იმდენად, რამდენადაც კალკული "პირი" საერთაშორისო სამართლის სუბიექტს არ წარმოადგენს ითვლებოდა, რომ იმ სახელმწიფოს წინააღმდეგ, რომელიც (კუდად ექცეოდა (ანუ საერთაშორისო სამართლის ნორმებს არღვევდა) უცხოელ მოქალაქეს, შეეძლო წარედგინა პრეტენზია იმ სახელმწიფოსათვის რომლის მოქალაქეც იყო ეს "პირი." ამგვარ კომპენსაციასთან დაკავშირებული დავის საფუძველში იძულებით გამარჯვებული სახელმწიფო, როგორც წესი უნაზღაურებდა თავის მოქალაქეებს მიყენებულ ზარალს, თუმცა საერთაშორისო სამართლის ამგვარი კომპენსაცია არ იყო საჭირო. როგორც წესი, ამგვარი დავები განიხილებოდა სახელმწიფოთაშორის დიპლომატიური მოლაპარაკებების გზით. "ზოგჯერ, როდესაც სამართალდამრღვევი სახელმწიფო არ ასრულებდა დაზარალებული მხარის მოთხოვნებს იწვევდა ამ სახელმწიფოს მიერ ძალის გამოყენებას, მაგრამ უმეტეს შემთხვევაში დავები მოლაპარაკებების, საარბიტრაჟო გადაწყვეტილებებით ან სასამართლოს გზით წყდებოდა.

ამგვარი სისტემა არ იყო სრულყოფილი იმდენად, რამდენადაც მისი დაცვის გარეთ რჩებოდნენ მოქალაქეობის არ მქონე პირები. ასე, რომ არც ერთ სახელმწიფოს არ შეეძლო დაემტკიცებინა მოქალაქეობის არ მქონე "პირთა" მიმართ საერთაშორისო ნორმების დარღვევა, რაც იწვევდა რომელიმე სახელმწიფოს ინტერესების შელახვას.

ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის განვითარების მიუხედავად უცხოელთა მიმართ მიყენებულ

ზიანს, სახელმწიფოს პასუხისმგებლობის საკითხის დაყენება დღესაც აქტუალურია და მნიშვნელოვან როლს თამაშობს თანამედროვე დიპლომატიურ ურთიერთობებში. სახელმწიფოები დღესაც მხარს უჭერენ საკუთარ მოქალაქეთა სარჩელებს ფიზიკურ, თუ იურიდიული პირებს. დღეისათვის, ამგვარი მოქმედებები ეფუძნება ძირითადად ორმხრივ ან მრავალმხრივ ხელშეკრულებებს. ამგვარი დავებისათვის გამოყენებულია უკვე არსებული ან სპეციალურად შექმნილი საერთაშორისო სასამართლოები, რაც ზოგჯერ უფრო ეფექტურია ვიდრე ადამიანის უფლებათა დაცვის არსებული პროცედურები.

ადამიანის უფლებათა განვითარებას ხელი შეუწყო შრომის საერთაშორისო სტანდარტების ჩამოყალიბებამ.

ერთა ლიგის წესდების 23-ე მუხლი გარკვეულწილად უკავშირდება ადამიანის უფლებათა დაცვას, რადგან მასში *inter alia* განხილულია ისეთი საკითხი, როგორცაა ქალის, მამაკაცისა და ბავშვისათვის შრომის სამართლიანი და ჰუმანური პირობების შექმნა. ამავე მუხლით, გათვალისწინებული იყო, საერთაშორისო ორგანიზაციის შექმნა, რომელიც ხელს შეუწყობდა მიზნის განხორციელებას. ეს ფუნქცია იკისრა შრომის საერთაშორისო ორგანიზაციამ, რომელიც ერთა ლიგასთან ერთად შეიქმნა. ერთა ლიგა დაიშალა, ხოლო შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია (ILO) დღესაც განაგრძობს არსებობას და წარმოადგენს გაეროს სპეციალიზირებულ ორგანიზაციას. შეიძლება ითქვას, რომ ერთა ლიგის მიერ შემუშავებულმა შრომის საერთაშორისო სტანდარტებზე კონტროლის სისტემამ საფუძველი ჩაუყარა ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის შემდგომ განვითარებას.

ადამიანის უფლებათა დაცვის განვითარების საქმეში შემდეგ საფეხურს წარმოადგენს უმცირესობათა უფლებების დაცვის სისტემის ჩამოყალიბება.

ერთა ლიგამ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა უმცირესობათა უფლებების დაცვის სისტემაში. მართალია, ერთა ლიგის წესდებით ეს საკითხი არ რეგულირდებოდა, თუმცა ლიგამ ამ საკითხებთან დაკავშირული უფლებამოსილება მოიპოვა I-ლი მსოფლიო ომის შემდგომ ორმხრივი და მრავალმხრივი ხელშეკრულებების საფუძველზე. გარდა ამისა, პირველი მსოფლიო ომის შემდგომ შეცვალა ევროპასთან დამაკავშირებელი არსებული საზღვრები, რამაც ხელი შეუწყო ახალი სახელმწიფოების - ჩეხოსლოვაკიის, პოლონეთის,

უნგრეთის, იუგოსლავიის, ბულგარეთის, ალბანეთის, რუმინეთის წარმოშობას. მოსახლეობის შემადგენლობაში გაერთიანდნენ ეთნიკური, რელიგიური და ენობრივი უმცირესობები. ამ უმცირესობებს ჰქონდათ შიშის საფუძველი, რომ ახალი პოლიტიკური წყობა საფრთხეს შეუქმნიდა მათ არსებობას. პირველ მსოფლიო ომში გამარჯვებული ქვეყნები კატეგორიულად მოითხოვდნენ ახალი სახელმწიფოსაგან სპეციალური ხელშეკრულებების გაფორმებას ეთნიკურ, რელიგიურ და ენობრივ უმცირესობათა დასაცავად. პირველი ასეთი ხელშეკრულება დადებულ იქნა პოლონეთთან 1919 წელს რომელსაც შემდგომში მსგავსი ხელშეკრულებების გაფორმებისას მოდელად იყენებდნენ.

ამ ხელშეკრულებათა არსი იმაში მდგომარეობდა, რომ სახელმწიფოები ვალდებული იყვნენ შეექმნათ უმცირესობათა დაცვის სისტემა, არ დაეშვათ იმ პირთა დისკრიმინაცია, რომლებიც წარმოადგენდნენ ამ სახელმწიფოში უმცირესობას და მიეცათ მათთვის განსაკუთრებული უფლებები, რათა მათ შეენარჩუნებინათ ეთნიკური, რელიგიური და ენობრივი მოღიანობა. ამ ვალდებულებათა შესრულების გარანტიად გამოვიდა ერთა ლიგა. ერთა ლიგაში შეიქმნა სისტემა, რომლითაც უმცირესობებს, რომლებსაც მიაჩნდათ რომ მათი უფლებები ირღვეოდა, შეეძლოთ მიემართათ ლიგის „სამთა კომიტეტისათვის“. დაინტერესებულ სახელმწიფოს საშუალება ეძლეოდა დაესაბუთებინა თავისი პოზიცია, თუ ეს საჭირო გახდებოდა. მართლმსაჯულების მუდმივმოქმედი პალატა სადაო საკითხებზე იყენებდა საკონსულტაციო დასკვნას. მიუხედავად იმისა, რომ ერთა ლიგა დაიშალა ამ სისტემის ზემოქმედება ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში უსაზღვროა. იმდენად, რამდენადაც მოქმედი საერთაშორისო ინსტიტუტები დღემდე იყენებენ ერთა ლიგის მიერ შექმნილ სისტემას. განსაკუთრებით კი, პეტიციების წარდგენის სისტემას.

ბ) საერთაშორისო კუმანიტარული სამართალი. კუმანიტარული სამართალი, რომელიც ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალზე უფრო დიდი ხნისაა და თავის ჯანვითარებას იწყებს ჯერ კიდევ 1859 წლიდან მკლავრი თმპულსი იყო ადამიანის უფლებათა განვითარების საქმეში. პირველი ენევის კონვენცია „სახმელეთო ომების დროს დაჭრილ და ავადმყოფ მეომართა ხვედრის გაუმჯობესების შესახებ“ მიღებულ იქნა 1864 წელს და გადაისინჯა 1907 წელს. სწორედ

1894 წლის კონვენციამ ჩაუყარა საფუძველი შემდგომში საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის განვითარებას. მოგვიანებით, მეორე მსოფლიო ომის შემდგომ 1949 წელს მიღებულ იქნა ჟენევის ოთხი კონვენცია და 1977 წელს ორი დამატებითი ოქმი.¹

ჰუმანიტარული სამართლის იდეა იმაში მდგომარეობს, რომ დაიცვას ადამიანი შეიარაღებული კონფლიქტების დროს. მიუხედავად იმისა შეიარაღებული კონფლიქტი ატარებს საერთაშორისო, თუ არასაერთაშორისო ხასიათს. შექმნის დღიდანვე საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი მიზნად ისახავდა დაეცვა ადამიანის უფლებები, მისი ღირსება შეიარაღებული კონფლიქტების ვითარებაში. მართალია, საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის დაცვის ცენტრალური ფიგურაა ადამიანი და ამ ასპექტში “ადამიანის უფლებათა სამართალი” და “საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი” ერთმანეთს ავსებენ. თუმცა, ჰუმანიტარული სამართლის რეგულირების სფერო განსაკუთრებულ, სპეციფიურ სიტუაციებში სახელმწიფოს ქცევაა და აქედან გამომდინარე, ის რეგლამენტაციას უწევს საომარი კონფლიქტების დროს სამხედრო მოქმედებებს (ე.წ. ჰააგის სამართალი, რომელიც არეგულირებს საომარი მოქმედებების წარმოების წესსა და მეთოდებს), რათა დაცულ იქნას და შემსუბუქდეს ადამიანთა გარკვეული კატეგორიის მდგომარეობა შექმნილ კონფლიქტურ სიტუაციაში (დაჭრილები, ავადმყოფები, ქალები, ბავშვები, ტყვეები და სხვა).

საერთაშორისო ჰუმანიტარულმა სამართლისაგან განსხვავებით, “ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალი” ადამიანს იცავს ყველა სიტუაციაში, მშვიდობიან დროსაც და საომარ მდგომარეობაშიც მიუხედავად მათი მდგომარეობისა და ავადღებულებს სახელმწიფოებს დაიცვან საერთაშორისო სამართლით აღიარებული ვალდებულებები არა მარტო საომარ სიტუაციაში, არამედ მშვიდობიან დროსაც.

¹ უფრო დაწერილებით ამ საკითხს განვიხილავთ მოგვიანებით.

§4. ადამიანის უფლებათა კლასიფიკაცია. ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის წყაროები

ადამიანის უფლებათა თეორიაში ადამიანის უფლებათა დაჯგუფების და კლასიფიკაციის სხვადასხვა პრინციპები არსებობს. კლასიფიკაციის დროს პასუხი უნდა გაეცეს კითხვას, თუ ვის შეეხება ეს უფლებები? ამის მიხედვით ადამიანის უფლებები შეიძლება დაიყოს *ადამიანის და მოქალაქის უფლებებად*, რომელშიც იგულისხმება უფლებათა კატალოგი, რომელიც გააჩნია არა მარტო ყველა ადამიანს, არამედ კონკრეტული სახელმწიფოს მოქალაქეს. არსებობს ისეთი უფლებები, როგორცაა სიცოცხლის უფლება, პირადი ხელშეუხებლობის უფლება და სიტყვის თავისუფლება, რომელიც ყველა ადამიანის ენიჭება მოქალაქეობისდა მიუხედავად. გარდა ამისა, არსებობს ადამიანის უფლებები, რომელიც დაკავშირებულია მხოლოდ ამა თუ იმ სახელმწიფოს მოქალაქეობასთან. მაგალითად, საარჩევნო უფლება.

ყველაზე გავრცელებულ კლასიფიკაციას ადამიანის უფლებათა თაობების მიხედვით დაჯგუფება წარმოადგენს. ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა განვითარებამ რამდენიმე სტადია განელო. ადამიანის უფლებათა თეორიაში მიღებულია *ადამიანის უფლებათა თაობებად დაყოფა*. პირველ თაობას მიეკუთვნება სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებები, მეორე თაობას – სოციალურ-ეკონომიკური უფლებები, მესამეს კი კოლექტიური უფლებები.

ადამიანის უფლებების კლასიფიკაცია შესაძლებელია საზოგადოებრივი ურთიერთობების სფეროს მიხედვითაც: *პირადი უფლებები და თავისუფლებები*, რომელიც ყველა ადამიანს გააჩნია, მიუხედავად მისი მოქალაქეობისა. ამ უფლებებს „სამოქალაქო უფლებებსაც“ უწოდებენ. ამ ჯგუფშია გაერთიანებული სიცოცხლის უფლება; პირადი ხელშეუხებლობის უფლება; პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება; გადაადგილებისა და საცხოვრებელი ადგილის თავისუფლად არჩევის უფლება; ადამიანის უფლება დატოვოს სახელმწიფო და დაუბრკოლებლად დაბრუნდეს უკან; აზრის, რწმენისა და რელიგიის თავისუფლება; უდანაშაულობის პრეზუმფცია; წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობისაგან დაცვის უფლება; სახელმწიფო დაწესებულებაში არსებული პირადი ინფორმაციის გაცნობის უფლება; ნებისმიერ

სახელმწიფოში ადამიანის უფლებაუნარიანობის აღიარების უფლება; სასამართლო წესით დაცვის უფლება.

პოლიტიკური უფლებები წარმოადგენს ბუნებით (ფუნდამენტურ), განუხსევსებელი უფლებებისა და თავისუფლებების ერთობლიობას, ადამიანის უფლებათა (კონსტიტუციურ უფლებათა და თავისუფლებათა) ერთ-ერთ ჯგუფს, რომელშიც გაერთიანებულია შემდეგი უფლებები: მოქალაქეთა უფლება - მონაწილეობა მიიღოს სახელმწიფოს საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მართვაში; მოქალაქეთა საარჩევნო უფლება; გაერთიანების უფლება, ინფორმაციის უფლება, შეკრებისა და მანიფესტაციების მოწყობის უფლება; აზრის თავისუფლება; პეტიციის უფლება.

სოციალური, ეკონომიკური და კულტურული უფლებები შეადგენენ უფლებათა კატალოგს, რომელშიც გაერთიანებულია ერთმანეთთან კავშირში მყოფი უფლებები: საკუთრების უფლება; შრომის უფლება; განათლების უფლება; ჯანმრთელობის დაცვის უფლება; სოციალური უსაფრთხოების უფლება; პროფკავშირში გაერთიანების უფლება; დასვენების უფლება.

ადამიანის უფლებათა კლასიფიკაციის შემდეგი ფორმა უკავშირდება უფლებათა ჯგუფს, რომელიც ძირითად უფლებებს აერთიანებს. ამ ჯგუფს მიეკუთვნება ძირითადი უფლება - *თავისუფლების უფლება*; ადამიანის ღირსება; სიცოცხლის უფლება; ფიზიკური ხელშეუხებლობის უფლება; გადაადგილების თავისუფლება; რწმენის, აღმსარებლობისა და სინდისის თავისუფლება, აზრისა და პრესის, ინფორმაციის, შეკრებისა და მანიფესტაციის თავისუფლებები. *სამოქალაქო უფლებები* - საარჩევნო უფლება, აზრის და პრესის, შეკრებისა და გაერთიანების თავისუფლება. *სოციალური უფლებები* - განათლების, შრომის, ჯანმრთელობის დაცვის უფლება, უსაფრთხო გარემოში ცხოვრების უფლება.²

კიდევ ერთი კლასიფიკაცია, რომელიც შეიძლება გამოვიყენოთ ადამიანის უფლებათა დაჯგუფებისას. თანამედროვე საერთაშორისო სამართალში მოქმედი საერთაშორისო *შეთანხმებები*, რომლებიც შეიცავენ ადამიანის უფლებათა

² როგორც ვხედავთ, ამ ჯგუფში გაერთიანებული უფლებები სხვაგვარი კლასიფიკაციისას, სხვა ჯგუფებშია გადაწილებული.

პრინციპებსა და ნორმებს შეიძლება პირობითად დაეყოს 3 ჯგუფად:

I ჯგუფში გაერთიანებულია ის უფლებები და თავისუფლებები, რომლებიც მოქმედებენ უმეტესად მშვიდობიან პერიოდში. მათ რიცხვს ეკუთვნის – ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია, ადამიანის უფლებათა საერთაშორისო პაქტები, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია და სხვა.

II ჯგუფში თავმოყრილია ისეთი საერთაშორისო კონვენციები, რომლებიც შეეხება ადამიანის უფლებათა დაცვას შეიარაღებული კონფლიქტების დროს. 1899 და 1907 წლებში მიღებული ჰააგის კონვენციები ომის წარმოების ჩვეულებებისა და კანონების შესახებ. ასევე, მოგვიანებით 1949 წელს მიღებული ჟენევის კონვენციები და 1977 წელს მიღებული დამატებითი ოქმები.

III ჯგუფში გაერთიანებულია საერთაშორისო დოკუმენტები, რომლებიც აწესებენ პასუხისმგებლობას ადამიანის მიერ ჩადენილ დანაშაულზე – ნიურნბერგისა და ტოკიოს სამხედრო ტრიბუნალების წესდებები; რუანდის სამხედრო ტრიბუნალისა და ყოფილი იუგოსლავიის სამხედრო ტრიბუნალების წესდებები; სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს წესდება (რომის სტატუტი).

პირობითად ადამიანის უფლებათა დაყოფა შეიძლება შემდეგი კრიტერიუმებით.

<p>წარმოშობა დროის მიხედვით</p>	<ul style="list-style-type: none"> • I თაობა (XVIII ს-ის ბოლო) სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებები • II თაობა (XX ს-ის მეორე ნახევარი) სოციალურ-ეკონომიკური უფლებები • III თაობა (XX ს-ის 70-იანი წლები) კოლექტიური (სოლიდარული) უფლებები
<p>საზოგადოებრივი ურთიერთობების სფეროს მიხედვით</p>	<ul style="list-style-type: none"> • სამოქალაქო • პოლიტიკური • ეკონომიკური • სოციალური • კულტურული

პიროვნების პოლიტიკურ-სამართლებრივი სტატუსის მიხედვით	<ul style="list-style-type: none"> • ადამიანის უფლებები (ყოველი ინდივიდის უფლებები) • მოქალაქის უფლებები
უფლებების მატარებელი სპეციალური სუბიექტის მიხედვით	<ul style="list-style-type: none"> • ლტოლვილების უფლებები • ქალთა უფლებები • ბავშვის უფლებები • აპატრიდების უფლებები • პირთა უფლებები შეიარაღებული კონფლიქტების დროს • მიგრანტთა უფლებები • ინვალიდების უფლებები • სხვა ჯგუფების უფლებები
დროში მოქმედების შეზღუდვის მიხედვით	<ul style="list-style-type: none"> • აბსოლუტური უფლებები • შეფარდებითი უფლებები
სახელმწიფოს როლის მიხედვით	<ul style="list-style-type: none"> • პოზიტიური უფლებები • ნეგატიური უფლებები
კონსტიტუციებსა და საერთაშორისო ნორმებში განმტკიცების მიხედვით	<ul style="list-style-type: none"> • ძირითადი (კონსტიტუციური) უფლებები • წარმოებული უფლებები

*“ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალი”.
ლექსიკონი ცნობარი.*

ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის წყაროები, ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში წარმოგვიდგენს სპეციფიკურ ფორმებს სახელმწიფოთა ან საერთაშორისო სამართლის სუბიექტთა შორის შეთანხმების, ამა თუ იმ ქვეყნის წესის დადგენის შესახებ. ამდენად, იურიდიულად სავალდებულო ხდება მხარეებისათვის. ისევე, როგორც საერთაშორისო სამართალი, ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის ძირითად წყაროს წარმოადგენს ³:

³ საერთაშორისო სამართლის ძირითად წყაროთა შორის მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს საერთაშორისო სამართლის ძირითად პრინციპებს.

- საერთაშორისო ხელშეკრულებები;
- საერთაშორისო ჩვეულებები.

დამატებითი წყაროები:⁴

- საერთაშორისო ორგანიზაციათა დადგენილებები;
- სასამართლო პრეცედენტები;
- მეცნიერთა დოქტრინები

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ მთავრობათაშორისო ორგანიზაციების საერთაშორისო აქტები მაგალითად, *გაეროს გენერალური ასამბლეის* დეკლარაციები და სხვა რეზოლუციები, თუ არ ეხება ორგანიზაციის შინაგან წესებს – ორგანიზაციის სტრუქტურას, წესდებით გათვალისწინებულ საყალბელო საქმიანობას არ ითვლება საყოველთაო საერთაშორისო სამართლის წყაროდ. ასეთ აქტებს მხოლოდ მორალურ-პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს და იურიდიულად სავალდებულო ქცევის წესად გახდომა შეუძლია მხოლოდ *საერთაშორისო ხელშეკრუ-*

საერთაშორისო სამართლის წყაროებთან მიმართებაში, გაეროს საერთაშორისო სასამართლოს სტატუტის თანახმად (38-ე მუხ.), სასამართლო, რომელიც მოვალეა მისთვის გადაცემული დაეა საერთაშორისო სამართლის საფუძველზე გადაწყვიტოს, გამოიყენებს: ა) როგორც ზოგად, ისე სპეციალურ საერთაშორისო კონვენციებს, რომლებიც ადგენენ მოდავე სახელმწიფოთა მიერ აღიარებულ წესებს; ბ) საერთაშორისო ჩვეულებას, როგორც სამართლებრივ ნორმად აღიარებული საყოველთაო პრაქტიკის დადასტურებას; გ) *სამართლის ზოგად პრინციპებს*, რომლებიც აღიარებულია ცივილიზებული სახელმწიფოების მიერ.

⁴ შიდასაელმწიფოებრივი კანონები არ წარმოადგენენ საერთაშორისო სამართლის წყაროებს და აქედან გამომდინარე არც ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის წყაროა, მაგრამ თუ სხვა სახელმწიფოები აღიარებენ ამ კანონს იგი შეიძლება გადაიქცეს საერთაშორისო ხელშეკრულების ან საერთაშორისო სამართლებრივი ჩვეულების მქონე წყაროდ. (მაგალითად, 1945 წლის აშშ პრეზიდენტის დეკლარაცია კონტინენტალური შეღდგის შესახებ თავდაპირველად ჩვეულებით ნორმად იქცა, ხოლო 1958 წელს კონვენციის საფუძველი გახდა). იხ. ლ.ალექსიძის სახელმძღვანელო “თანამდეროვე საერთაშორისო სამართალი”.

ლებისა ან საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლის ნორმის საშუალებით. კერძოდ, რასობრივი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ 1963 წელს მიღებულ დეკლარაციას იურიდიული სახე მიეცა 1969 წელს ამავე სახელწოდების კონვენციის მიღების შემდეგ; გაეროს 1948 წელს მიღებული ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია საყოველთაო საერთაშორისო სამართლის აქტად იქცა საერთაშორისო სამართლებრივი ჩვეულების სახით – სახელმწიფოთა უმრავლესობამ აღიარა მისი სავალდებულო ძალა თავის კანონმდებლობაში სათანადო დებულებათა შეტანით. უკანასკნელ პერიოდში დამკვიდრებული პრაქტიკით. ზოგიერთ რეგიონალურ საერთაშორისო ორგანიზაციაში (მაგ., ევროპის კავშირში) ნორმათშემოქმედებით საქმიანობას სავალდებულო ძალა ეძლევა მათი წევრი სახელმწიფოების მიმართ, რაც მათ ზენაციონალური ორგანიზაციის ელემენტს მატებს.

ტირმინთა განმარტება:

საერთაშორისო სამართალი (საერთაშორისო საჯარო სამართალი) - სახელმწიფოთაშორის ურთიერთობებში მოქმედი კცევის იმ წესების ერთობლიობა, რომელიც სახელმწიფოთა და ს.ს. სხვა სუბიექტების მიერ აღიარებულია იურიდიულად სავალდებულო ნორმად და გამოხატავს სუბიექტის საერთო ინტერესს, რომელიც თავს იჩენს საერთაშორისო ხელშეკრულებასა, თუ ჩვეულებაში და რომლის შესრულებასაც უზრუნველყოფს სუბიექტი ინდივიდუალურად ან კოლექტიურად.

საერთაშორისო სამართლის სუბიექტები - ძირითადი სუბიექტია სახელმწიფო. საერთაშორისო სამართლებრივი სუბიექტუნარიანობა მიენიჭა მთავრობათაშორის საერთაშორისო ორგანიზაციებს, თავისუფლებისათვის მებრძოლ ხალხს; სახელმწიფოს მაგვარ წარმონაქმნებს (მაგ., ვატიკანი 1929 წლიდან), მაგრამ ამ სახის სუბიექტებს შეზღუდული ხელშეკრულებით (მაგ., გაერო) ან სახელმწიფოების გადაწყვეტილებით (თავისუფლებისათვის მებრძოლი ხალხები) სუბიექტუნარიანობა აქვთ. საერთაშორისო სამართლის არა ძირითადი სუბიექტებია საერთაშორისო ორგანიზაციები – ფიზიკური პირი, რომელიც შიდა სახელმწიფოებრივი სამართლის ძირითად სუბიექტად

გვევლინება არ მონაწილეობს საერთაშორისო სამართლებრივ ურთიერთობებში. ფიზიკური პირი (ადამიანი) საერთაშორისო სამართლის სუბიექტი არ არის. საერთაშორისო სამართლის სუბიექტის ცნებიდან გამომდინარე, ფიზიკური პირი ვერ აკმაყოფილებს ძირითად მოთხოვნებს – ის ვერ მონაწილეობს საერთაშორისო სამართლის ნორმის შექმნაში, მათი შესრულების უზრუნველყოფასა და დაცვაში. ფიზიკური პირები მოქმედებენ, როგორც გარკვეული სახელმწიფოს მოქალაქენი და მხოლოდ ამიტომ სარგებლობენ ამ უფლებით; ამ უფლებათა დაცვას აწარმოებს არა თვით ფიზიკური პირი არამედ, მისი სახელმწიფო. ფიზიკურ პირს არა აქვს უფლება, რომელიმე საერთაშორისო ორგანიზაციას პრეტენზიებით წაუყენოს თავისი ან უცხო სახელმწიფოს მიმართ. ის მხოლოდ იყენებს სახელმწიფოთა შეთანხმების შედეგად წარმოშობილ უფლება-მოვალეობას შესრულოს გარკვეული ვალდებულებანი, რაზეც პასუხს აგებს შესაბამისი შიდასახელმწიფოებრივი სამართლის ნორმების საფუძველზე. მხოლოდ მაშინ, როდესაც ფიზიკური პირი აგრესიული სახელმწიფოს ხელმძღვანელია და მისი ბოროტმოქმედება მშვიდობისა და კაცობრიობის წინააღმდეგ თავისი მასშტაბით საერთაშორისო ხასიათს ატარებს, მისი გასამართლება ხდება სისხლის სამართლის საერთაშორისო ტრიბუნალისა და საერთაშორისო სამართლის ნორმათა საფუძველზე, მაგრამ ეს უკვე *საერთაშორისო სისხლის სამართლის* სფეროა, სადაც ფიზიკური პირი დანაშაულის ერთ-ერთი სუბიექტია. ამავე დროს, არ შეიძლება არ აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ ზოგიერთი საერთაშორისო ხელშეკრულებით (იხ. *ფაკულტატური ოქმი საერთაშორისო პაქტის სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა შესახებ*, *ვეროპული კონვენცია ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის შესახებ*), ფიზიკურ პირს ეძლევა უფლება დაიცვას თავისი უფლებები, თუ მონაწილე სახელმწიფო არღვევს მას, მაგრამ ეს სპეციფიკური სუბიექტუნარიანობაა, რომელიც დღეს *ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლით* რეგულირდება. ფიზიკური პირი, საერთაშორისო სუბიექტს არ წარმოადგენს. საერთაშორისო სამართლიდან გამომდინარე, ფიზიკური პირი ვერ აკმაყოფილებს საერთაშორისო სამართლის სუბიექტის მოთხოვნებს – ის არ არის საერთაშორისო სამართლის ნორმათ-შემოქმედების მონაწილე, ვერ მონაწილეობს ამ ნორმების შესრულებასა და დაცვაში. ფიზიკური პირები მოქმედებენ, როგორც გარკვეული

სახელმწიფოს მოქალაქენი და ამიტომ სარგებლობენ ამ უფლებით; ამ უფლებათა დაცვას აწარმოებს არა ფიზიკური პირი, არამედ სახელმწიფო. ფიზიკურ პირს არ გააჩნია უფლება თვითონ მიმართოს რომელიმე საერთაშორისო ორგანიზაციას, საკუთარ ან უცხო სახელმწიფოს პრეტენზიით. ის მხოლოდ იყენებს სახელმწიფოთა შეთანხმების შედეგად წარმოშობილ უფლებებს ან მოვალეა შეასრულოს გარკვეული ვალდებულებები, რაზეც პასუხს აგებს შესაბამისი შიდა სახელმწიფოებრივი სამართლის ნორმების საფუძველზე.

სამართლის წყარო – სახელმწიფოს მიერ სავალდებულო ქცევის წესის (სამართლის ნორმის) გარეგანი გამოხატულება, ოფიციალური გამოხატვისა და განმტკიცების საშუალება, მათთვის ზოგად-სავალდებულო იურიდიული ძალის მინიჭების მიზნით.

სამართლის ჩვეულება - საზოგადოებში მრავალჯერადი განმეორების შედეგად ჩამოყალიბებული ქცევის წესი, რომელიც სანქციონირებულია სახელმწიფოს მიერ საერთაშორისო სამართლის ჩვეულებას წარმოადგენს.

ცოდნის შემოწმება:

1. განსაზღვრეთ ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალი?
2. რა ძირითადი ნიშნების მიხედვით ხდება ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის კლასიფიკაცია?
3. რისთვის არის საჭირო ადამიანის უფლებათა კლასიფიკაცია?
4. რა უფლებებია გაერთიანებული პირად, პოლიტიკურ, სოციალ-ეკონომიკურ და კულტურულ უფლებათა ჯგუფებში?
5. რა უფლებებია გაერთიანებული ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა საერთაშორისო პაქტში?
6. წარმოადგენს თუ არა ადამიანი (ფიზიკური პირი) საერთაშორისო სამართლის სუბიექტს?

სასწავლო-მეთოდოლოგია:

1. პირველ თემასთან დაკავშირებით ლექტორს შეუძლია გამოიყენოს სქემები და ტექნიკური საშუალებები (პროექტორი, ფირი).
2. მასალის სწრაფად ათვისების მიზნით, რეკომენდირებულია ე.წ. “სოკრატეს მეთოდის” გამოყენება, რაც გულისხმობს ლექციის დისკუსიით წარმართვას ინტერაქტიული მეთოდის გამოყენებით.
3. ლექტორი წარმართავს დისკუსიას, მაგრამ თვითონ იღებს პასიურ მონაწილეობას.
4. სადისკუსიო თემა: “ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის განვითარების პერსპექტივები.”
5. სტუდენტებმა თვითონ მოამზადონ ადამიანის უფლებათა დეკლარაცია, ქარტია, პაქტი.

გამოყენებული ლიტერატურა:

- “ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალი”- ლექსიკონი ცნობარი. ლ. ალექსიძე, ლ. გიორგაძე, მ. კვაჭაძე, კ. კორკელია, ი. ქურდაძე.
- თბილისი 2005 წ. გვ. 14, 256-257.
- ლ. ალექსიძე, თანამედროვე საერთაშორისო სამართალი. თბილისი, 2001 წ. გვ. 16, 23, 47-50, 183.
- ავ. დემეტრაშვილი, მ. კვაჭაძე, კ. კუბლაშვილი, დ. ლოსაბერიძე, დ. რუხაძე, ვ. ხმალაძე, ზ. ჯიბლაშვილი, კონსტიტუციური სამართალი. სახელმძღვანელო. თბილისი 2005 წ. გვ.98-116.
- კ. კუბლაშვილი. ძირითადი უფლებები. თბილისი 2003 წ. გვ. 40-41.
- მაღანჩუკი, აკეპარტსის თანამედროვე საერთაშორისო სამართალი. თბილისი 2005 წ. გვ. 234-240.
- მიქაბერიძე, ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების დაცვა ევროპის საბჭოს ფარგლებში - თბილისი 2000 წ. გვ. 3-4.
- გ. ხუბუა, სამართლის თეორია. თბილისი. 2005 წ.

- ავ. დემეტრაშვილი, საზღვარგარეთის ქვეყნების კონსტიტუციები. თბილისი 2004. გვ.16.
- ჰ.პ. პასერი საეთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი. თბილისი 1999წ.
- Т. Бюргенталь. Международное право прав человека. А-А. 1999г. ст. 2432, 106-145, 260-269.
- Лукашук М.М. Международное право. М., 1998г. I т. ст.5-10.
- Лукашева Е.А. Общая теория прав человека. М., 1996 г.3-32.
- Triggs, Gillian. The Right of “Peoples” and Individual Rights: Conflict of Harmony?”. Oxford. Clarendon Press 1998. pp. 140-141.
- Finnis John. Natural Law and Natural Rights. Oxford. Clarendon Pr.1992.
- Winston Morton E. The Philosophy of Human Rights. Belmont. Col: W.1988.
- Delbez Lousi. Les principes généraux du droit international public.Paris.1964.p.45-46.
- Hunnum H. Guide to international human rights. 1992.
- Nowak M. International Human Rights. 1992.
- An Introduction to the International Protection of Human Rightst (A textbook). Editing by Raija Hanski and Markku Suksi. Turku. 2000. pp.275-287.
- Farhad Malekian. The Concept of Islamic International Criminal Law. A comparative study. Boston. 1994. 183-191.

თავი II. ადამიანის უფლებათა დაცვის უნძვერსალური სისტემა

§1. ადამიანის უფლებები და ბაერთიანებული ერების ორბანიზაცია

გასული საუკუნის შუა პერიოდამდე ადამიანის უფლებათა დაცვის გარანტიები საერთაშორისო-სამართლებრივ დონეზე არ არსებობდა და მათი დაცვააც შესაბამისად ნაკლებად იყო შესაძლებელი.

პოზიტიური სამართლის დოქტრინის თანახმად, მხოლოდ სახელმწიფოს აქვს უფლება დაიცვას საკუთარი მოქალაქეები. ამდენად, მხოლოდ სახელმწიფოს შეუძლია განაცხადოს პროტესტი სხვა სახელმწიფოს მიმართ და წარადგინოს თავისი მოქალაქის უფლებათა დაცვის სამართლებრივი გარანტიები.

1924 წელს მართლმსაჯულების მუდმივმა პალატამ დაადგინა: რომ საერთაშორისო სამართლის ერთ-ერთი პრინციპი სახელმწიფოსგან საკუთარი მოქალაქეების უფლებების დაცვაა, როდესაც სხვა სახელმწიფოს მხრიდან ისინი განიცდიან საერთაშორისო მართლსაწინააღმდეგო ქმედებას ამ შემთხვევაში სახელმწიფო საერთაშორისო დონეზე საკუთარ უფლებებს უფრო განამტკიცებს, ვიდრე პიროვნებებისას.⁵

მეორე მსოფლიო ომამდე საკმაოდ შეზღუდული იყო ფიზიკური პირის შესაძლებლობა, გამოეყენებინა საერთაშორისო-სამართლებრივი პროცედურები საკუთარი უფლებების დასაცავად. ამასთან, კერძო პირის უფლების დარღვევისას მიყენებული ზიანი იქნებოდა თუ არა საერთაშორისო საჩივრის საფუძველი, მთლიანად სახელმწიფოს გადასაწყვეტი იყო. ამდენად, იმ შემთხვევაში, თუ ფიზიკური პირის უფლებას არღვევდა თავად სახელმწიფო, “პირის” უფლებათა დასაცავად არანაირი სახის სამართლებრივი პროცედურა არ მოქმედებდა.

ასეაა გახდა, რომ ადამიანის უფლებათა დაცვის მხოლოდ სახელმწიფოებრივი გარანტიები საკმარისი არ იყო და მათი დაცვა საერთაშორისო-სამართლებრივ დონეზე უნდა ყოფილიყო უზრუნველყოფილი. ადამიანის უფლებათა დაცვა თანამედროვე საერთაშორისო სამართლის ერთ-ერთ

⁵ М. Дженис, Р. Кей, Э. Бредли. Европейское Право в области прав человека. М-Будапешт, 1997. с. 10-14.

ფუნდამენტურ პრინციპს წარმოადგენს, რაც იმას გულისხმობს, რომ ყველა სახელმწიფო ვალდებულია დაიცვას ადამიანის უფლებები და ძირითადი თავისუფლებები. ადამიანის უფლებათა დაცვა არ წარმოადგენს მხოლოდ შიდასახელმწიფოებრივ საკითხს, ის საერთაშორისო თანამეგობრობის ზრუნვის საგანია. ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო დონეზე აყვანის მნიშვნელობაზე მიუთითებს ის ფაქტიც, რომ შექმნილია ადამიანის უფლებათა დაცვის უნივერსალური და რეგიონალური მექანიზმები.

ამის გამოძახილად, შეგვიძლია მივიხნოთ საერთაშორისო სამართალში ადამიანის უფლებათა შიდასახელმწიფოებრივი გარანტიების დაცვა, რაც 1945 წელს გაეროს შექმნით დაიწყო და 1948 წელს ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის მიღებით გაგრძელდა.

მთავარი სირთულე მდგომარეობს არა ადამიანის უფლებათა სფეროში საერთაშორისო-სამართლებრივი ნორმების შემუშავებაში, არამედ ამ ნორმათა ეფექტურად გამოყენებაში.

საერთაშორისო სამართლის შედეგიანობაზე საუბრისას, იგულისხმება არა ის, თუ როგორ მოხდა საერთაშორისო სამართლის ნორმების შიდასახელმწიფოებრივი ტრანსფორმაცია, არამედ თუ როგორ იქნა იგი გამოყენებული საერთაშორისო სისტემის ფარგლებში. ე.ი. რამდენად წარმატებულია საერთაშორისო-სამართლებრივი პროცედურა.

მეორე მსოფლიო ომის სისასტიკემ გამოავლინა ადამიანის უფლებების დაცვის საერთაშორისო მექანიზმის შექმნის საჭიროება. ჯერ კიდევ 1941 წელს, ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა *ფრანკლინ რუზველტმა* წარმოთქვა ცნობილი სიტყვა, რომელშიც “ოთხი ტიპის თავისუფლებაზე” იყო საუბარი: “სიტყვისა და აზრის თავისუფლება; აღმსარებლობის თავისუფლება; სიღარიბისაგან დაცვის უფლება; აგრესიისაგან თავის დაცვის უფლება”. ეს მოსაზრება დომინირებდა ომის დროს, ხოლო შემდგომში საფუძვლად დაედო გაეროს წესდებას.

1945 წლის 26 ივნისს, სან-ფრანცისკოში (აშშ) 50 სახელმწიფოს წარმომადგენელმა ხელი მოაწერა გაეროს წესდებას. გაერთიანებული ერების ორგანიზაცია ოფიციალურად შეიქმნა 1945 წლის 24 ოქტომბერს, როდესაც მისი წესდების რატიფიცირება მოახდინა საფრანგეთმა, დიდმა ბრიტანეთმა, აშშ-მა, ჩინეთმა, სსრკ-მ და სხვა სახელმწიფოებმა.

სწორედ ამ დღიდან გაერთიანებული ერების ორგანიზაცია წამოყალიბდა, როგორც უნივერსალური საერთაშორისო ორგანიზაცია, რომლის წესდება ადასტურებს პატივისცემას ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა მიმართ. მის პრეამბულაში აღნიშნულია: “ჩვენ, გაერთიანებული ერების ხალხმა, გადავწყვიტეთ ... კვლავ დავამკვიდროთ რწმენა ადამიანის ძირითადი უფლებებისა, ადამიანის პიროვნების ღირსებისა და ფასეულობებისა, ქალისა და მამაკაცის თანასწორობისა”.

ადამიანის უფლებების დაცვაზე სრულყოფილი და ეკონომიკურ და სოციალურ საბჭოს (ECOSOC), რომელიც შეიკრიბა წესდების 68-ე მუხლის საფუძველზე გაეროს მოსამზადებელი კომისიის პირველ სხდომაზე. ამავე სხდომაზე 1946 წელს საბჭომ დაარსა ადამიანის უფლებათა დაცვის კომისია. ორივე ორგანოს მიზანი იყო ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის შემუშავება.

1946 წელს გენერალურმა ასამბლეამ თავის პირველ სხდომაზე განიხილა ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის პროექტი. მოგვიანებით დეკლარაციის ტექსტზე მუშაობა დაეწყო სარედაქციო კომიტეტს, რომელიც შედგებოდა რვა ქვეყნის წარმომადგენლისაგან.

ა) გაეროს წესდება. გაერთიანებული ერების ორგანიზაცია ეყრდნობა გაეროს წესდებას, რომელიც განსაზღვრავს მისი საქმიანობის მანდატს, წევრების უფლებებსა და მოვალეობებს. ასევე, ორგანიზაციის სტრუქტურასა და მუშაობის პროცედურას. წესდება უმნიშვნელოვანესი საერთაშორისო ხელშეკრულებაა. გაეროს შექმნის დღიდანვე გადაწყდა, რომ გაეროს წესდებას უნდა განესაზღვრა ახალი მშვიდობიანი მსოფლიოს არსებობის წესი. ამ საერთაშორისო ორგანიზაციის ერთ-ერთი ძირითადი მიზანია მომავალი თაობისათვის ომის საშიშროების არიდება და საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოების დამყარება.

როგორც აღვნიშნეთ, ადამიანის უფლებათა დაცვამ და პატივისცემამ მნიშვნელოვანი ასახვა აკოვა წესდებაში, რომლის პრეამბულაში ნათქვამია: “კვლავ დავამკვიდროთ რწმენა ადამიანის ძირითადი უფლებების, პიროვნების ღირსებისა და ფასეულობების, ქალთა და მამაკაცთა თანასწორუფლებიანობის და დიდი და პატარა ერების თანასწორობისათვის”. ამასთანავე, გაეროს წესდების თანახმად, ადამიანის უფლებები წარმოადგენს

არა დროებით მიზანს, არამედ გრძელვადიან ამოცანას. ამგეარად, წესდება გაეროს და მის წევრ-სახელმწიფოებს აკისრებს ადამიანის უფლებათა მუდმივ პატივისცემასა და დაცვას.

გაეროს ძირითად ფუნქციაზე და მის მიზნებზე მკაფიოდ მიაჩნებებს წესდების რამდენიმე მუხლი (1, 13-ე, 55-ე, 56-ე, 62-ე, 68-ე, 72-ე მუხლები), რომელიც ეხება ადამიანის ძირითად უფლებებსა და თავისუფლებებს. კერძოდ, პირველ მუხლში აღნიშნულია: "განახორციელოს საერთაშორისო თანამშრომლობა ეკონომიკური, სოციალური, კულტურული და ჰუმანიტარული ხასიათის საერთაშორისო პრობლემების მოსაგვარებლად და ადამიანის ძირითად უფლებათა და საყოველთაო თავისუფლებათა პატივისცემის წახალისებისა და განვითარებისათვის რასის, სქესის, ენისა და რელიგიის განურჩევლად...."

წესდების მე-8 მუხლი განმარტავს, რომ "გაერო არ აწესებს არავითარ შეზღუდვებს მის ორგანიზაციებში ქალთა და მამაკაცთა ნებისმიერი სახით, თანაბარი პირობებით მონაწილეობის უფლების მიმართ".

გაერთიანებული ერების ორგანიზაცია მიზნად ისახავს განახორციელოს „ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა პატივისცემა, წახალისება და განვითარება რასის, სქესის, ენისა და რელიგიის განურჩევლად“.⁶ გაეროს წესდების 55-ე მუხლის თანახმად, „გაერთიანებული ერების ორგანიზაცია ხელს უწყობს ადამიანის საყოველთაო პატივისცემას, ძირითად უფლებათა და თავისუფლებათა დაცვას ყველასათვის – რასის, სქესის, ენისა და რელიგიის განურჩევლად“.⁷ 56-ე მუხლის თანახმად, „ორგანიზაციის ყველა წევრი იღებს ვალდებულებას ორგანიზაციასთან თანამშრომლობით, როგორც ერთობლივად, ისე დამოუკიდებლად იმოქმედოს 55-ე მუხლში მითითებული მიზნების მისაღწევად“.⁸ სიტყვა „ვალდებულების აღება“ გულისხმობს სახელმწიფოს მიერ ნაკისრი ვალდებულების შესრულებას. მართალია, ეს მოთხოვნა პირდაპირ არ არის მოცემული (უფლებები არ არის განმარტებული) თუმცა, მათი შესრულება მომავლისთვისაა გამიზნული. ზემო აღნიშნულიდან გამომდინარე, სახელმწიფოებს

⁶ გაეროს წესდება, მუხლი 1 და 21-ე თავი, ბმ. 368.

⁷ გაეროს წესდება, მუხლი 55(ბ).

⁸ გაეროს წესდება, მუხლი 56.

თავისუფალი არჩევანის უფლება რჩებათ იმის გადასაწყვეტად, თუ რა საშუალებებითა და რამდენ ხანში უნდა შეასრულონ ნაკისრი ვალდებულებები.

წესდების 56-ე მუხლის თანახმად, გაეროს ყველა წევრი სახელმწიფო იღებს ვალდებულებას ერთობლივად და დამოუკიდებლად ითანამშრომლოს ორგანიზაციასთან წესდების 55-ე მუხლში ჩამოთვლილი მიზნების მისაღწევად, რომელიც მოიცავს "ადამიანის საყოველთაო პატივისცემას და უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვას ყველასათვის- რასის, სქესის, ენისა და რელიგიის განურჩევლად". საერთაშორისო სასამართლომ „ნამიბიის საქმის“ (Namibia Case) განხილვისას, შემდეგი საკონსულტაციო დასკვნა გამოიტანა: „რასის, კანის ფერისა, ეროვნული, ეთნიკური, თუ სხვა განსხვავების გამო გამოყოფა, შეზღუდვა და ლიმიტირება კანონმდებლობის მეშვეობით ადამიანის ძირითად უფლებათა და თავისუფლებათა გაეროს წესდების მიზნებისა და პრინციპების უხეში დარღვევაა“.

წესდების 62-ე და 68-ე მუხლების თანახმად, ეკონომიკური და სოციალური საბჭო უფლებამოსილია ჩამოაყალიბოს კომისიები ადამიანის უფლებათა განვითარების ხელშესაწყობად.

ამდენად, გაეროს წესდებას დიდი მნიშვნელობა ენიჭება და ფაქტობრივად, ის წარმოადგენს ადამიანის უფლებათა დაცვის ქვაკუთხედს. წესდებამ მოახდინა ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის იდეის ინტერნაციონალიზაცია ანუ წესდების ხელმომწერმა სახელმწიფოებმა აღიარეს, რომ წესდება საერთაშორისო ხელშეკრულებაა და აქედან გამომდინარე, ეს საკითხი სცილდება მხოლოდ კონკრეტული სახელმწიფოს შიდასახელმწიფოებრივ კომპეტენციას. წესდებამ საშუალება მისცა გაეროს მიერ მასშტაბური ზომები ადამიანის უფლებათა სფეროში მოეხდინა ნორმაშემოქმედება და მათი კოდიფიკაცია (ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ბილი). გაეროს წესდებით მოხერხდა ადამიანის უფლებათა დაცვის ქმედითი მექანიზმების ჩამოყალიბება (ადამიანის უფლებათა კომისია), რომელიც ხელს უწყობს საერთაშორისო თანამეგობრობას ადამიანის უფლებათა პატივისცემასა და დაცვაში.

ბ) გზა ადამიანის უფლებების საყოველთაო დეკლარაციისაკენ. გაეროს ადამიანის უფლებათა კომისიამ და სარედაქციო კომიტეტმა წარადგინა ორი დოკუმენტი: პირველი დეკლარაციის

ტიპის, რომელიც ასახავდა ადამიანის უფლებათა დაცვის ზოგად პრინციპებს; მეორე კი, პაქტის სახით, რომელიც განსაზღვრავდა უფლებებსა და მათ შესლუღევებს. მოგვიანებით, სარედაქციო კომიტეტმა ადამიანის უფლებათა კომისიას განსახილველად გადასცა ადამიანის უფლებათა დეკლარაციის პროექტის რამდენიმე მიუხლი. 1947 წლის დეკემბერში, კომისიამ გადაწყვეტილება მიიღო შემოელო ტერმინი "ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო დოკუმენტები", რომელიც სამი მუშა-ჯგუფის მიერ მომზადებულ დოკუმენტს მოიცავდა. კერძოდ, ეს ჯგუფები მუშაობდნენ: ა) ადამიანის უფლებათა დეკლარაციაზე; ბ) ადამიანის უფლებათა პაქტზე; გ) ამ პაქტების იმპლემენტაციის ღონისძიებებზე.⁹ 1948 წლის მაისში, ადამიანის უფლებათა კომისიამ გენერალური ასამბლეის ცვლილებები შეიტანა დეკლარაციის პროექტში და გაითვალისწინა სახელმწიფოთა მიერ გამოთქმული შენიშვნები. მოგვიანებით, ეკონომიკურმა და სოციალურმა საბჭომ გენერალურ ასამბლეას წარუდგინა დეკლარაცია.

1948 წლის 10 დეკემბერს №217 რეზოლუციით გენერალურმა ასამბლეამ მესამე სესიაზე საზეიმოდ მიიღო ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია.¹⁰ პირველად კაცობრიობის ისტორიაში საერთაშორისო ორგანიზაცია შეთანხმდა ერთიან მიმართებაზე ადამიანის უფლებების დაცვის სფეროში. ¹¹

ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია - იურიდიულად არასავალდებულო საერთაშორისო სამართლებრივი აქტია, რომელიც ატარებს სარეკომენდაციო ხასიათს მხოლოდ იმ ქვეყნებისათვის, რომელმაც ხელი მოაწერა დეკლარაციის სავალდებულო ნორმების შემცველ საერთაშორისო ჩვეულებებს.

⁹ Doc.UN E/600, 17 Dec.1947.

¹⁰ გაეროში 48 ქვეყანამ ხმა მისცა დეკლარაციის მიღებას, ხოლო რვა მათი შეიკავა. ხმის მიცემისას ძირითადად თავი შეიკავეს სოციალისტურმა ქვეყნებმა. მათ შორის იყვნენ: საბჭოთა კავშირი, ბელორუსია, უკრაინა, პოლონეთი, ჩეხოსლოვაკია და იუგოსლავია, სამხრეთ აფრიკისა და საუდის არაბეთის ქვეყნები.

¹¹ მოგვიანებით, 10 დეკემბერი გამოცხადდა გაეროს ადამიანის უფლებების დაცვის დღედ და მას ყოველწლიურად აღნიშნავენ.

ადამიანის უფლებათა სხვა აქტებისაგან განსხვავებით, დეკლარაციაზე მუშაობას და მის დასრულებას მხოლოდ ორი წელი დასჭირდა.

დეკლარაციის შემუშავებაზე ცნობილი მეცნიერები, საზოგადო და პოლიტიკური მოღვაწეები მუშაობდნენ. ადამიანის უფლებათა კომისიას ხელმძღვანელობდა აშშ-ს ყოფილი პრეზიდენტის მეუღლე, ქალბატონი ელეონორა რუზველტი.¹²

1948 წლის 10 დეკემბერს გაეროს გენერალურმა ასამბლეამ მთელი ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია და განაცხადა, რომ ეს დოკუმენტი იყო მიღწევა ყველა ერისათვის და საზოგადოების თითოეული წევრისთვის. ორმოცდარვა ქვეყანამ მისცა ხმა დეკლარაციის მიღებას. გენერალურ ასამბლეაზე კენჭისყრის დამთავრების შემდეგ გენერალურმა მდივანმა თავის სიტყვაში განაცხადა, რომ “დეკლარაციის მიღება იყო უდიდესი მიღწევა და წინგადადგმული ნაბიჯი დიდ ევოლუციურ პროცესში”. ეს იყო პირველი შემთხვევა, როცა გაერთიანებული ერების წევრმა ქვეყნებმა ერთად მიიღეს ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია. ამ დოკუმენტს მხარს უჭერდა მთლიანად გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ყველა წევრი ქვეყნის მილიონობით ადამიანი. დეკლარაციის მიღების შედეგად თითოეულ მოქალაქეს შეუძლია მასზე დაყრდნობით მისი და სხვა ქვეყნის ადამიანის უფლებათა საყოველთაო დაცვა.

მოგვიანებით, სახელმწიფოებმა გამოიყენეს ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია საკუთარი ქვეყნის კონსტიტუციასა და სხვა საკანონმდებლო აქტებში. საერთაშორისო სასამართლო და ეროვნული სასამართლოები

¹² ქალბატონი ელეონორა რუზველტი იყო კომისიის თავმჯდომარე, იგი ამავე დროს ამერიკის შეერთებულ შტატებს წარმოადგენდა. სპეციალური მომხსენებელი იყო ლიბანელი ჩარლზ მალიკი, ხოლო კომისიის ვიცე თავმჯდომარე ჩინელი პენგ ჩუნ ჩანგი. კომისიის ყველა წევრის მონაწილეობა არ იყო ერთნაირად მნიშვნელოვანი. ელეონორა რუზველტის თავმჯდომარეობა ძალიან მნიშვნელოვანი იყო, რადგანაც მისი საერთაშორისო ავტორიტეტი განსაკუთრებით მეორე მსოფლიო ომის შემდეგ დიდ ყურადღებას იპყრობდა. იგი ენერგიულად უძღვებოდა კომისიას და წარმატებით მართავდა მის საქმიანობას. მისი დაუზოგავი შრომის შედეგად შესაძლებელი გახდა დეკლარაციის პროექტის მოკლე ვადაში დასრულება.

ეგრდნობიან ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციას გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

დეკლარაცია სარეკომენდაციო ხასიათისაა და „ისწრაფვის ხელი შეუწყოს ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა პატივისცემას და მათ საყოველთაო და ეფექტურ აღიარებას“. მაშასადამე, დეკლარაცია ადამიანის უფლებათა უბრალო ჩამონათვალია, რომლის აღსრულების მოვალეობასაც სახელმწიფოები გაეროს წესდების 55-ე და 56-ე მუხლებით კისრულობენ. ნათელია, რომ წესდება სახელმწიფოს ფართო არჩევანის უფლებას ანიჭებს იმ საკითხში, თუ რა სისწრაფით და რა საშუალებებით შეასრულოს ნაკისრი ვალდებულებები. შესაძლებელია, რომ ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია ან მისი გარკვეული ნაწილი (მაგალითად, წამების აკრძალვა) სავალდებულო გახდა, როგორც ჩვეულებითი საერთაშორისო სამართლის ნორმა. მაგალითად, გაერომ 1968 წელს მოწვეული თეირანის კონფერენციაზე, ადამიანის უფლებათა შესახებ მიიღო რეზოლუცია, სადაც *inter alia* აცხადებს, რომ „ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია სავალდებულოა საერთაშორისო საზოგადოების წევრებისათვის“.¹³

დეკლარაცია შედგება პრემბულისა და 30 მუხლისგან:

ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის პირველ მუხლში განსაზღვრულია დეკლარაციის ძირითადი არსი. მასში ნათქვამია: “ყველა ადამიანი იბადება თავისუფალი და თანასწორი, ხოლო ამ უფლების ჩამორთმევა დაუშვებელია”.

დეკლარაციის მე-2 მუხლი განსაზღვრავს თანასწორობის არადისკრიმინაციული მოპყრობის ძირითად პრინციპებს და კრძალავს “რაიმე განსხვავებას რასის, კანის, ფერის, სქესის, ენის, რელიგიისა და მრწამსის, პოლიტიკური, ეროვნული, თუ სოციალური წარმომავლობისა, ქონებრივი, წოდებრივი, თუ სხვა მდგომარეობის საფუძველზე”. აღნიშნული მუხლი, ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალში გამოხატავს თანასწორობის პრინციპს. გარდა ამისა, ამავე მუხლში მითითებულია, რომ “დაუშვებელია რაიმე განსხვავება ქვეყნის, ტერიტორიის, პოლიტიკური, სამართლებრივი ან საერთაშორისო სტატუსის საფუძველზე მიუხედავად იმისა, ეს ტერიტორია

¹³ ბილი ადამიანის უფლებათა შესახებ. თბილისი 2001წ. გვ.3.

დამოუკიდებელია, სამეურვეოა, არათვითმმართველი თუ სხვაგვარად შეზღუდულია თავის სუვერენიტეტში”.

დეკლარაციის მე-3 მუხლი არის დეკლარაციის უმნიშვნელოვანესი ნაწილი, რომელიც განსაზღვრავს სამსხვადასხვა უფლებას. კერძოდ, ადამიანის სიცოცხლის, თავისუფლებისა და პირადი ხელშეუხებლობის უფლებას. სიცოცხლის უფლება ადამიანის ძირითადი უფლებაა, რომლის არ არსებობის შემთხვევაში შეუძლებელია ყველა სხვა მინიჭებული უფლების გამოყენება. დეკლარაციაში

თავმოყრილია როგორც სამოქალაქო და პოლიტიკური, ისე სოციალურ-ეკონომიკური უფლებები. დეკლარაციის მე-3, 21-ე მუხლებში მოცემულია სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებები. მათ შორისაა:

- გადაადგილების თავისუფლება;
- თავშესაფარის უფლება;
- მოქალაქეობის უფლება;
- ქორწინების და ოჯახის შექმნის უფლება;
- საკუთრების უფლება;
- აზრის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლება;
- შეხედულებებისა და თვითგამოხატვის უფლება;
- მშვიდობიანი შეკრებებისა და ასოციაციების თავისუფლება;
- მმართველობაში მონაწილეობისა და თანასწორი სახელმწიფო მომსახურების უფლება;

22-27 მუხლები მოიცავს სოციალურ-ეკონომიკურ ასპექტებს:

- სოციალური უსაფრთხოების უფლება;
- სამსახურის უფლება;
- სამუშაოსათვის თანაბარი ანაზღაურების უფლება;
- დასვენების უფლება;
- ჯანმრთელობის და კეთილდღეობის, ადექვატური სასიცოცხლო პირობების უფლება;
- განათლების უფლება;
- საზოგადოების კულტურულ ცხოვრებაში მონაწილეობის უფლება.

დეკლარაციის 28, 30-ე მუხლების თანახმად, ყველას აქვს უფლება, იცხოვროს სოციალური და საერთაშორისო წესრიგის

პირობებში, სადაც შესაძლებელი იქნება დეკლარაციით აღიარებულ უფლებების სრულყოფილად განხორციელება. ამასთანავე, აღნიშნულია, რომ ადამიანის უფლებათა შეზღუდვა დემოკრატიულ საზოგადოებაში დაიშვება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საფრთხე ექმნება ადამიანის უფლებებსა და თავისუფლებებს. ასევე, საზოგადოებრივი წესრიგის და საყოველთაო კეთილდღეობის ინტერესების დაცვას. დეკლარაციის თანახმად, თითოეულ ადამიანს აკისრია მოვალეობა იმ საზოგადოების წინაშე, რომელშიც ის ცხოვრობს. *“ყოველ ადამიანს აქვს მოვალეობები საზოგადოების წინაშე, რადგან მხოლოდ საზოგადოებაში შეიძლება მისი პიროვნების თავისუფალი და სრული განვითარება”* (დეკლარაციის 29-ე მუხლი, 1 პუნქტი). 29-ე მუხლი აღიარებს ყველას უფლებას ისეთ საერთაშორისო წესრიგზე, რომლის პირობებშიც შესაძლებელია დეკლარაციით განსაზღვრული უფლების გამოყენება.

დეკლარაციის 30-ე მუხლი მიუთითებს, რომ არც ერთ სახელმწიფოს არა აქვს უფლება აღნიშნული დეკლარაცია საკუთარი შეხედულებებისამებრ არასწორად განმარტოს და ამით საფრთხე შეუქმნას დეკლარაციაში ჩამოთვლილი უფლებებისა და თავისუფლებების გაუქმებას.

§2. საერთაშორისო პაქტები ადამიანის უფლებათა შესახებ

ათწლიანი მოლოდინის შემდეგ, გაეროს გენერალური ასამბლეის მიერ 1966 წელს, ხელმოსაწერდ გაიხსნა 35 სახელმწიფოს მიერ რატიფიცირებული ორი მნიშვნელოვანი დოკუმენტი - 1. სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა საერთაშორისო პაქტი; 2. ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა საერთაშორისო პაქტი..

აღნიშნული პაქტები საერთაშორისო ხელშეკრულებას წარმოადგენენ, რომლითაც წევრი-სახელმწიფოები კისრულობენ ვალდებულებებს დაიცვან პაქტით გარანტირებული ძირითადი უფლებები და თავისუფლებები პაქტზე ხელმოწერითა და მისი რატიფიცირებით ადამიანის უფლებათა დაცვა სცილდება სახელმწიფოს შიდა კომპეტენციას და ენიჭება საერთაშორისო მნიშვნელობა.

ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია ხაპროგრამო დოკუმენტად იქცა. თუმცა, თავდაპირველად განსაზღვრული იყო ადამიანის საყოველთაო დაკლარაციისათვის სავალდებულო ხასიათის მინიჭება. "ცივი ომის" პირველ წლებში დასავლეთის სახელმწიფოებმა წარმატებებს მიაღწიეს და მათი მოთხოვნით შემუშავებულ და მიღებულ იქნა ორი სხვადასხვა დოკუმენტი, რომელიც განსაზღვრა სახელმწიფოს ვალდებულებები, სხვადასხვა პროცედურები და მონიტორინგის ორგანოების შექმნა. ეს დოკუმენტია სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების საერთაშორისო პაქტი, რომელიც სხვადასხვა "თაობის" უფლებებს აერთიანებს.

ამდენად, ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია და საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ ა) სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების საერთაშორისო პაქტის ფაკულტატური ოქმი; ბ) სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების საერთაშორისო პაქტის მეორე ფაკულტატური ოქმი სიკვდილით დასჯის გაუქმების შესახებ და საერთაშორისო პაქტი ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ ქმნიან ერთიან სისტემას, რომელსაც *ადამიანის უფლებათა ბილს უწოდებენ*.

შეიძლება ითქვას, რომ საერთაშორისო პაქტები "ორი თაობის" უფლებებს იცავს. აღსანიშნავია, რომ ორივე პაქტის 1 მუხლი, სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა საერთაშორისო პაქტი და ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა შესახებ საერთაშორისო პაქტი "ხალხთა უფლებებს" ანუ "კოლექტიურ უფლებებს" იცავს. "კვლეა ხალხს აქვს თვითგამორკვევის უფლება. ამ უფლების საფუძველზე ისინი თავისუფლად განსაზღვრავენ თავიანთ პოლიტიკურ სტატუსს და ისწრაფიან ეკონომიკური, სოციალური და კულტურული განვითარებისაკენ" (პაქტების 1-ლი მუხლის 1-ლი პუნქტი). იერიდიულად სავალდებულო ხასიათის მქონე დოკუმენტად იქნა მისწერილი ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების საერთაშორისო პაქტი, რომელშიც თავმოყრილია "მეორე თაობის" უფლებები. ეს უფლებები განიხილება, როგორც "პროგრამული" უფლებები.¹⁴

¹⁴ აქვე აღსანიშნავია, რომ სოციალისტური ქვეყნები ხაზს უსვამდნენ ორივე სამოქალაქო პოლიტიკურ და სოციალურ - ეკონომიკურ

ორივე პაქტს აერთიანებს ადამიანის დისკრიმინაციის აკრძალვის მოთხოვნა. *“ამ პაქტის მონაწილე თითოეული სახელმწიფო კისრულობს ვალდებულებას პატივი სცეს მისი ტერიტორიის ფარგლებს და მის იურისდიქციაში მყოფი პირები უზრუნველყოს წინამდებარე პაქტით აღიარებული უფლებებით, რაიმე განსხვავების გარეშე. რასის, კანის ფერის, სქესის, ენის, რელიგიის, პოლიტიკური ან სხვა მრწამსის, ეროვნული, თუ სოციალური წარმოშობის, ქონებრივი მდგომარეობის, დაბადებისა, თუ სხვა გარემოებათა გამო”* (პაქტების მე-2 მუხლის 1 პუნქტი). პაქტების მსგავსებაზე ისიც მიუთითებს, რომ ორივე მათგანი აყალიბებს განსხვავებულ, მაგრამ ადამიანის უფლებათა დაცვის მწყობრ საერთაშორისო სისტემას.

მიუხედავად პაქტებს შორის მოყვანილი მსგავსებებისა, არსებობს მთელი რიგი განმასხვავებელი ნიშნებიც. პირველ რიგში: ერთი მათგანი აერთიანებს სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებებს, ხოლო მეორე - ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებებს. ამდენად, იქმნება წევრი-სახელმწიფოების მიერ ხელშეკრულების შესრულების განსხვავებული საერთაშორისო სისტემა.

ზემო აღნიშნულიდან გამომდინარე, *“სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა საერთაშორისო პაქტსა”* და *“ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა საერთაშორისო პაქტს”* შორის განსხვავება ვლინდება არა მარტო პაქტებით აღიარებული უფლებების შინაარსში, არამედ წევრი სახელმწიფოების ვალდებულებების ხასიათშიც. სახელმწიფოები საერთაშორისო პაქტით სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა შესახებ ვალდებულნი არიან დაუყოვნებლივ შეასრულონ პაქტით ნაკისრი ვალდებულებები მაშინ, როცა ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა საერთაშორისო პაქტი შეიცავს მოთხოვნას - სახელმწიფოებმა გააატარონ პოლიტიკა ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების განსახორციელებლად ანუ მას პროგრამული ხასიათი აქვს.

უფლებათა ურთიერთდამოკიდებულებას და თანასწორობას და ეწინააღმდეგებოდნენ ნებისმიერი სახის სასამართლო ან კვასი სასამართლო მონიტორინგის სისტემის შექმნას. ამ იდელოგიური კონფლიქტის გამო თითქმის 20 წლით გადაიდო ორივე საერთაშორისო პაქტის მიღება.

1952 წელს, გაეროს ადამიანის უფლებათა კომისიამ გენერალურ ასამბლეას განსახილველად წარუდგინა პაქტის პირველი პროექტი საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო, პოლიტიკურ უფლებათა და ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ. პოლიტიკური უფლებების საერთაშორისო პაქტის პირველი ფაქულტატიური ოქმი ადამიანის უფლებათა კომიტეტს ანიჭებს ინდივიდუალური საჩივრის მიღებისა და განხილვის უფლებას. ფაქულტატიური ოქმის მიღებას მხარი დაუჭირა 66 ქვეყანამ ორი წინააღმდეგით, ხოლო 38-მა თავი შეიკავა. 1989 წლის 15 დეკემბერს, მიღებულ იქნა სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა საერთაშორისო პაქტის მეორე ფაქულტატიური ოქმი, რომელიც სიკვდილით დასჯის გაუქმებას ითვალისწინებს. ფაქულტატიური ოქმის მიღებას მხარი დაუჭირა 59 ქვეყანამ 26 წინააღმდეგით, 48 თავი შეიკავა. ორივე საერთაშორისო პაქტი და პირველი ფაქულტატიური ოქმი ძალაში შევიდა 1976 წელს, მეორე ფაქულტატიური ოქმი კი ამოქმედდა 1991 წელს. საქართველომ ორივე პაქტის და პირველი ფაქულტატიური ოქმის რატიფიცირება მოახდინა 1994 წლის მასში (იხ. ცხრილი №1).

პაქტის დეტალურად განხილვამდე, გავაანალიზოთ აღნიშნული დოკუმენტისა და ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის საერთო და განმასხვავებელი ნიშნები.

სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა საერთაშორისო პაქტში ჩამოთვლილი უფლებები უფრო დეტალურადაა ფორმულირებული, ვიდრე ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციასა და ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპულ კონვენციაში. ეს გასაკვირი არცაა, რადგან ორივე მათგანი პაქტზე უფრო ხანდაზმული დოკუმენტია.

მაგალითად, პაქტში საუბარია უმცირესობათა უფლებაზე *“იმ ქვეყანაში, სადაც არსებობს ეთნიკური, რელიგიური და ენობრივი უმცირესობები, პირებს, რომლებიც ასეთ უმცირესობას განეკუთვნებიან არ შეიძლება უარი ეთქვას უფლებაზე იმავე ზღვრის სხვა წევრებთან ერთად, ისარგებლოს თავისი კულტურით, აღიაროს და აღასრულოს თავისი რელიგია, აგრეთვე, ილაპარაკოს მშობლიურ ენაზე”* (27-ე მუხლი)

პაქტში ასევე აღიარებულია უფლებები, რომლებმაც დეკლარაციაში საერთოდ არ ჰპოვა ასახვა. მაგალითად, ვალის გადაუხდელობისათვის პატიმრობის აკრძალვა, ბავშვის უფლება

მოქალაქეობაზე, თავისუფლება აღკვეთილ პირობა უფლება პუმიანურ მოპყრობაზე და ა. შ. (იხ. ცხრილი).

ამასთან, პაქტში არ არის აღიარებული ისეთი უფლებები, რომლებმაც დეკლარაციაში კპოკა ასახვა. კერძოდ, საკუთრების უფლება, პოლიტიკური თავშესაფარის უფლება, მოქალაქეობის უფლება. თუმცა, სოციერთი მათგანი, იდეოლოგიური თვალსაზრისით, დაწინებულ და ამოღებულ იქნა პაქტიდან. მაგალითად, საკუთრების უფლება.

პაქტში საუბარია სახელმწიფოს მხრიდან გარანტირებულ უფლებების ნაწილობრივ შეზღუდვაზე. კერძოდ, *“საგანგებო მდგომარეობის დროს, რომელიც ერის სიცოცხლეს ემუქრება და ოფიციალურად არის გამოცხადებული”* (მე-4 მუხლი). პაქტში პირდაპირ არის მითითებული უფლებაზე, რომლის შეზღუდვაც დაუშვებელია ნებისმიერ შემთხვევაში.

ასევე, შეზღუდვის დაუშვებლობაზე მიუთითებს პაქტის მე-5 მუხლის 2-ე პუნქტიც: *“არ შეიძლება შეიზღუდოს ან დაკნინდეს ადამიანის რომელიმე ძირითადი უფლება, რომელიც აღიარებულია ამ პაქტის მონაწილე სახელმწიფოში ან კიდევ არსებობს კანონის, კონვენციების, წესებისა და სხვა-სხვაელებების შესაბამისად იმ საბაბით, რომ წინამდებარე პაქტი ასეთ უფლებებს ან საერთოდ არ აღიარებს ან აღიარებს ნაკლები მოცულობით”*.

აქედან გამომდინარე, ქვეყანაში არსებული სამოქალაქო არეულობის, საგანგებო ვითარების ან ომის შემთხვევაში სახელმწიფოებს პაქტის მიხედვით ენიჭება უფლება გადაუხვიოს პაქტით დაკისრებულ ვალდებულებებს იმდენად, რამდენადაც ამას მოითხოვს მდგომარეობის სიმძაფრე, თუმცა ეს ქმედება უნდა შეესაბამებოდეს საერთაშორისო სამართლით ნაკისრ სხვა ვალდებულებებს და მას არ უნდა ახლდეს რაიმე სახის დისკრიმინაცია. ასეთ ვითარებაში სახელმწიფომ ოფიციალურად უნდა გამოაცხადოს საგანგებო მდგომარეობა და აცნობოს გაეროს გენერალურ მდივანს.¹⁵ სახელმწიფოთა უმრავლესობა ამას ამართლებს ქვეყანაში არსებული ისეთი შიდა სირთულეებით, როგორიცაა ეთნიკური კონფლიქტი, ტერორიზმი, პარტიზანული ომი და სოციალური ქაოსი. პაქტით ნაკისრი ვალდებულებებიდან გადახვევა დაუშვებელია. მაგალითად,

¹⁵ 20-ზე მეტმა სახელმწიფომ აცნობა გაეროს პაქტით გათვალისწინებული მუხლების შეუსრულებლობის შესახებ.

კოლუმბიასა და ჩილეში, სამხედრო დიქტატურის შემოღების დროს კომიტეტმა მსგავსი გადახვევა განიხილა, როგორც პაქტით გათვალისწინებული უფლებების დარღვევა.

პაქტის ტექსტი სოგიერთ მიუხედავად პირდაპირ მიუთითებს სახელმწიფოს დისკრიმინაციულ უფლებაზე შესლუდოს ესა თუ ის უფლება. მაგალითად, პაქტის 18-ე მუხლის მე-3 პუნქტში ნათქვამია: *“რელიგიისა და მრწამსის აღიარების თავისუფლება შეიძლება შეიზღუდოს მხოლოდ კანონით დადგენილ შემთხვევებში, როგორც საზოგადოებრივი უშიშროების, წესრიგის, ჯანმრთელობისა და მორალის ასევე სხვა პირთა ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის მიზნით”*. მსგავსი სახის შესლუდაზე საუბარი პაქტის მე-19 მუხლის მე-3 პუნქტში.

სახელმწიფოს ვალდებულებაზე, დაიცვას პაქტით აღიარებული უფლებები საუბარია პაქტის მე-2 მუხლში, რომლითაც სახელმწიფო ვალდებულია *“პატივი სცეს და მისი ტერიტორიის ფარგლებსა და მის იურისდიქციაში მყოფი ყველა “პირი,” უზრუნველყოს წაინმდებარე პაქტით აღიარებული უფლებებით”*.

გარდა ამისა, სახელმწიფო ვალდებულია გაატაროს გარკვეული ღონისძიებები საკანონმდებლო სფეროში, რომელიც სავალდებულოა ადამიანის უფლებათა დასაცავად.

სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა საერთაშორისო პაქტი შედგება ორი ნაწილისაგან: მატერიალური და პროცესუალური ნორმებისაგან. მატერიალურ ნორმებში საუბარია კონკრეტულ უფლებებზე, ხოლო პროცესუალური ნორმები აღგენს პაქტით გარანტირებული უფლებების დაცვის საერთაშორისო მექანიზმების შექმნისა და ფუნქციონირების წესს.

1. *“უნდა შეიქმნას ადამიანის უფლებათა კომიტეტი, რომელიც შედგება 18 წევრისაგან და ახორციელებს (შემდგომში „კომიტეტი“). პაქტით გათვალისწინებულ ფუნქციებს.*
2. კომიტეტის შემადგენლობაში შემავალი პირები წინამდებარე პაქტის მონაწილე სახელმწიფოების მოქალაქეები არიან. გამოირჩევიან მაღალი ზნეობრივი თვისებებითა და კომპეტენტურობით ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში. ამასთანავე, კომიტეტმა შემადგენლობის დაკომპლექტების დროს უნდა გაითვალისწინოს მაღალ კვალიფიციური, იურიდიული გამოცდილების მქონე პირთა შერჩევა.

სამოქალაქო პოლიტიკური უფლებების პაქტი შედგება პრეამბულისა და ექვსი ნაწილისაგან. 1-27-ე მუხლები შედგება როგორც ყველა ძირითადი უფლებისაგან (სიცოცხლის, პირადი ხელშეუხებლობის, გადაადგილების თავისუფლებას და სხვას) ასევე, ზოგადი დებულებებისაგან. მაგალითად, დისკრიმინაციის აკრძალვა, გენდერული თანასწორობა და ა.შ. გარდა ამისა, პაქტის 28-ე და 53-ე მუხლები (იხ. ცხრილი №2) მოიცავს საერთაშორისო მონიტორინგის სისტემას.

პაქტის თანახმად, წვერი-სახელმწიფოები ვალდებულია იღებენ დაიცვან და პატივი სცენ მათ იურისდიქციაში მყოფი ნებისმიერი ადამიანის უფლებებსა და თავისუფლებებს. მე-2 მუხლის მიხედვით, პაქტის მონაწილე სახელმწიფო ვალდებულია კისრულებს დაიცვას პაქტში წარმოდგენილი უფლებები და გააერცვლოს მის იურისდიქციაში მყოფ ყველა მოქალაქეზე განურჩევლად რასისა, კანის ფერის სქესის, ენის, რელიგიის, პოლიტიკური ან სხვა მრავალმხის, ეროვნული, თუ სოციალური წარმოშობის, ქონებრივი მდგომარეობის თუ სხვა გარემოებათა გამო. პაქტით დაკუთვლია ისეთი უფლებები როგორცაა: გადაადგილების თავისუფლება; თანასწორობა კანონის წინაშე; სასამართლო განხილვის მიუკერძოებლობა და უდანაშაულობის პრეზუმფცია; სიტყვის თავისუფლება, სინდისის და აღსარების თავისუფლება; რწმენისა და მისი გამოხატვის თავისუფლება; შეკრებაზე მონაწილეობის და გაერთიანებებში შესვლის უფლება, საზოგადოებრივი მოღვაწეობისა და არჩევნებში მონაწილეობის უფლება. პაქტი უზრუნველყოფს აგრეთვე უმცირესობების უფლებებს; კრძალავს სიცოცხლის არამართლზომიერ ხელყოფას; წამებას, სასტიკ, არაადამიანურ ან ადამიანის ღირსების შემლახველ მოპყრობას ან დასჯას; მონობასა და იძულებით შრომას; არასანქცირებულ დაპატიმრებას ან დაკავებას; კერძო ცხოვრებაში უკანონო ჩარევას; ომის პროპაგანდას და რასობრივი ან რელიგიური შუღლის გაღვივებას.

სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების საერთაშორისო პაქტით შექმნილი გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტი სახელშეკრულებო ორგანოა. 1966 წლის 16 დეკემბერს, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის №2200 (XXI) რეზოლუციით მიღებულ იქნა სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების საერთაშორისო პაქტის პირველი ფაკულტატური

ოქმი. პირველი ფაკულტატიური ოქმი პროცედურული ხასიათისაა და განსაზღვრავს კომიტეტის (CCPR) უფლებამოსილებას. პაქტით გათვალისწინებული უფლებების დარღვევის შემთხვევაში იღებს ინდივიდუალურ განაცხადებს (პეტციციები).

როგორც აღვნიშნეთ, ადამიანის უფლებათა კომიტეტს სახელშეკრულებო ორგანოს უწოდებენ, რადგან ის შექმნილია პაქტის (ხელშეკრულების) საფუძველზე.

გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტი წამოყალიბდა სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა საერთაშორისო პაქტის საფუძველზე (პაქტის 28-ე მუხლი), რომელიც ძალაში შევიდა 1976 წლის 23 მარტს.

სახელმწიფოს იურისდიქციის ქვეშ მყოფმა პირებმა, რომლებმაც სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების საერთაშორისო პაქტის პირველი ფაკულტატიური ოქმის რატიფიცირება მოახდინეს და აღიარეს კომიტეტის კომპეტენცია, რითიც უფლება მოიპოვეს პაქტით გათვალისწინებული უფლებების დარღვევის შემთხვევაში მიმართონ კომიტეტს ინდივიდუალური საჩივრით. უნდა ითქვას, რომ კომიტეტი არ იღებს არც ერთ შეტყობინებას, თუ იგი პაქტის მონაწილე სახელმწიფოს ეხება და ამავე დროს არის ფაკულტატიური ოქმის წევრი.

ადამიანის უფლებათა კომიტეტი არ წარმოადგენს გაეროს წესდების ორგანოს. ის თავისი შინაარსით საერთაშორისო პაქტის მონიტორინგის ორგანოა. ადამიანის უფლებათა კომიტეტის ძირითადი ამოცანაა მონიტორინგი გაუწიოს წევრი-სახელმწიფოების მიერ პაქტის რატიფიცირების შემდეგ აღებული ვალდებულებების შესრულებას.

კომიტეტი შედგება 18 დამოუკიდებელი ექსპერტისაგან. კომიტეტის წევრი შეიძლება გახდეს იმ წევრი-სახელმწიფოს წარმომადგენელი, რომელიც შეუერთდა პაქტს მისი რატიფიკაციის საფუძველზე. კომიტეტის წევრთა არჩევა ხდება ოთხი წლით, წევრ-სახელმწიფოთა ყოველწლიური შეხვედრის დროს. მიუხედავად იმისა, რომ ექსპერტთა კანდიდატების წარდგენა წევრი სახელმწიფოების მიერ ხდება, ისინი მაინც დამოუკიდებელი არიან თავიანთი სახელმწიფოებისაგან და კომიტეტის მუშაობაში მონაწილეობას იღებენ, როგორც დამოუკიდებელი ექსპერტები. ექსპერტები, როგორც წესი იურიდიულ მეცნიერებათა პროფესორები არიან, ხოლო

მოსამართლეები წარმოდგენილნი არიან ყველა რეგიონიდან და მსოფლიოს სხვადასხვა სამართლებრივი სისტემებიდან.¹⁶

კომიტეტი ჩვეულებისამებრ წელიწადში სამ სესიას მართავს. თითოეული მათგანი სამი კვირა გრძელდება. საგაზაფხულო სესია ნიუ-ორკში იმართება, საზაფხულო და საშემოდგომო კი - ენევეაში. თუმცა, კომიტეტს შექმლია შეხვედრისათვის ნებისმიერი სხვა ადგილი აირჩიოს. მაგალითად, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მიწვევით 1981 წელს კომიტეტმა ბონში გამართა შეხვედრა.

კომიტეტის მუშაობის ორი მთავარი ამოცანაა: სახელმწიფოთა მიერ წარმოდგენილი ანგარიშებისა და ინდივიდუალური, სახელმწიფოთაშორისი საჩივრების შესწავლა და მათი განხილვა. კომიტეტის ძირითადი ფუნქციებია:

- სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა საერთაშორისო პაქტისა და I ფაკულტატური ოქმის განხორციელების მონიტორინგი;
- საჯარო სხდომებზე წევრ-სახელმწიფოთა ანგარიშების მიღება და განხილვა.

კომიტეტი ყოველ ანგარიშთან დაკავშირებით იძლევა შენიშვნებს კონკრეტულ უფლებებთან დაკავშირებით.

- იღებს და განიხილავს ინდივიდუალურ განაცხადებს;
- განიხილავს ერთი სახელმწიფოს მიერ მეორე სახელმწიფოზე წარდგენილ განაცხადს, თუ მიღებული ზომები არ გამოიღებს შედეგს, ექსტრემალური წესით იქმნება კომისია გადაწყვეტილების მშვიდობიანი გზით მიღების მიზნით.
- კომიტეტი განიხილავს არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ წარდგენილ წერილობით შეტყობინებებსა და ანგარიშებს.

კომიტეტი განიხილავს წევრი-სახელმწიფოების ანგარიშებს. თითოეულმა წევრმა-სახელმწიფომ, რომელმაც მოახდინა საერთაშორისო პაქტის რატიფიცირება იკისრა კომიტეტისათვის პერიოდული ანგარიშის წარდგენის ვალდებულება. ამით, წევრმა-სახელმწიფოებმა დაადასტურეს ქვეყნებში პაქტით გათვალისწინებული უფლებების

¹⁶ კომიტეტის წევრთა არჩევნები პაქტის ძალაში შესვლისთანავე ჩატარდა 1976 წელს და კომიტეტი საქმიანობას შეუდგა 1977 წლიდან.

განხორციელების აუცილებლობა. კომიტეტი ეხმარება წევრ-სახელმწიფოებს ანგარიშის დაწერაში სპციალურად შექმნილი სახელმძღვანელო წესების მიხედვით.

სახელმძღვანელო პრინციპები განსაზღვრავს სახელმწიფოს მიერ კომიტეტში წარსადგენი მოხსენების მომზადების წესს: 1) მოხსენებაში უნდა აისახოს პაქტით აღიარებული უფლებების იმპლემენტაციისათვის ჩამოყალიბებული სამართლებრივი ბაზა; 2) ჩამოთვლილი და განმარტებული უნდა იქნას ის პრაქტიკული ღონისძიებები და საკანონმდებლო სფეროში წარმოებული საქმიანობა, რომლის საფუძველზეც დაცული იქნება პაქტით აღიარებული უფლებები; 3) პაქტით აღიარებულ უფლებათა გამოყენების შედეგად მიღწეული პროგრესი, რომელსაც სახელმწიფოებმა მიაღწიეს მის იერისდიქციაში მყოფი პირების მიმართ. 4) მოხსენებას თან უნდა ერთვოდეს გამოყენებული ნორმატიული აქტების ტექსტი.

პირველი ანგარიში წევრმა-სახელმწიფომ უნდა წარადგინოს პაქტის ძალაში შესულიდან ერთი წლის შემდეგ, ხოლო შემდგომი ანგარიშები განისაზღვრება ხუთწლიანი პერიოდულობით. წევრი-სახელმწიფო ვალდებულია ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტს წარუდგინოს პერიოდული ანგარიში პაქტით გათვალისწინებული უფლებების დაცვის შესახებ. საქართველომ თავისი პირველადი მოხსენება წარადგინა 1997 წლის მარტში, ხოლო პერიოდული მოხსენება 2000 წლის 9 აგვისტოს, მოხსენება განხილულ იქნა 2002 წელს.

კომიტეტში ანგარიში განსახილველად სახელმწიფოს წარმომადგენელს შეაქვს. ანგარიშის წარდგენის შემდეგ კომიტეტის წევრები მომხსენებელს საკითხის ამოწურვის მიზნით, დამატებით კითხვებს უსვამენ და არკვევენ რამდენად შეესაბამება ქვეყნის კანონმდებლობა პაქტს. უნდა აღინიშნოს, რომ კომიტეტზე ანგარიშის მოსმენა ორი დღის მანძილზე მიმდინარეობს.

კომიტეტის შეკრებამდე, მუშა-ჯგუფი წინასწარ განიხილავს ანგარიშს და ყურადღებას ამახვილებს სახელმწიფოს მიერ მოწოდებულ მასალაზე. ამასთანავე, მზადდება კითხვები, რომელიც წინასწარ გადაეცემა მომხსენებელს. კომიტეტის სხდომები ისეა მოწყობილი, რომ წევრი-სახელმწიფოს მომხსენებელს შესაძლებლობა ეძლევა კონსულტაცია გაიაროს თავის ხელისუფლებასთან და მოიპოვოს კითხვებზე გასაცემი საჭირო ინფორმაცია. თუ კითხვებზე მიღებული პასუხი ან

ინფორმაცია არ არის დამაკმაყოფილებელი მაშინ, კომიტეტი სახელმწიფო წარმომადგენელს მათზე წერილობითი პასუხის გაცემის შესაძლებლობას აძლევს.

სახელმწიფო წარმომადგენელთან ანგარიშის განხილვისას, კომიტეტი ეყრდნობა სხვადასხვა ინფორმაციის წყაროებს. კერძოდ, გაეროს სპეციალური წარმომადგენლის ანგარიშს ან გაეროს სპეციალისტობის სააგენტოების გამოცდილებას, საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციების ანგარიშებსა და კერძო ჯგუფების მოხსენებებს.

კომიტეტის მიერ სახელმწიფოთა პერიოდული ანგარიშების ღია განხილვა წარმატებული ნაბიჯი აღმოჩნდა წევრ-სახელმწიფოთა პაქტით დაკისრებული მოვალეობის მონიტორინგის საქმეში. პერიოდული ანგარიშის განხილვის და კომიტეტის მიერ გამოთქმული რეკომენდაციების შედეგად, რამდენიმე სახელმწიფომ ცვლილებები შეიტანა ადგილობრივ კანონმდებლობაში.

სესიის დაწყებამდე წინასწარი მოსამზადებელი სამუშაოების გარდა, კომიტეტის წევრები თავისი დროის დიდ ნაწილს უთმობენ კომიტეტის წევრის მოვალეობის შესრულებას. კომიტეტში გადაწყვეტილების მიღება ხდება კონსენსუსის მიღწევის გზით. თუმცა, პაქტით გათვალისწინებულია გადაწყვეტილების მიღება ხმათა უმრავლესობით.

კომიტეტის სხდომები ღიაა. მასზე დაიშვებიან მედიის წარმომადგენლები, გარდა იმ გამონაკლისი შემთხვევებისა, როცა კომიტეტი განიხილავს ინდივიდუალურ ან სახელმწიფოთაშორის განაცხადს. აღსანიშნავია, რომ კომიტეტს ძალიან ახლო თანამშრომლობა აქვს არასამთავრო ორგანიზაციებთან.¹⁷

როგორც აღვნიშნეთ, კომიტეტში მოხსენებების წარდგენა გარკვეული პერიოდულობით ხდება. ეს არ გამორიცხავს კომიტეტის უფლებამოსილებას მოითხოვოს პაქტის მონაწილე სახელმწიფოსაგან მოხსენების წარდგენა ნებისმიერ დროს.

კომიტეტში სახელმწიფოს ანგარიშის ანალიზის დროს, თუ გამოიკვეთა წევრ-სახელმწიფოში ადამიანის უფლებათა დარღვევის ფაქტები. კომიტეტი ამ ინფორმაციას დაუყოვნებლივ აცნობებს გაეროს გენერალურ მდივანს და გაეროს შესაბამის ორგანოებს (მაგალითად ადამიანის უფლებათა კომისიას).

¹⁷ ადამიანის უფლებათა კომიტეტისა და არასამთავრობო ორგანოებთან ურთიერთობის საკითხი უფრო დეტალურად განხილული

პერიოდულ მოხსენებებში ყურადღება უნდა გამახვილდეს კომიტეტის მიერ შემუშავებულ დასკვნებზე, რეკომენდაციებსა და შენიშვნებზე. სახელმწიფომ მოხსენებაში უნდა მიუთითოს მიღწეული პროგრამების თაობაზე და პაქტით აღიარებულ უფლებათა გამოყენებაზე. სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა საერთაშორისო პაქტში მკაფიოდაა განსაზღვრული ადამიანის უფლებათა კომიტეტის უფლებამოსილება, განიხილოს:

- სახელმწიფო მოხსენებები (ანგარიში);
- სახელმწიფოთაშორისო განაცხადები;
- ინდივიდუალური განაცხადები.

პაქტით გათვალისწინებული (მე-40 მუხლის მე-3 პუნქტი) მიხედვით, გაეროს გენერალურ მდივანს უფლება აქვს დაინტერესებული სპეციალიზირებულ ორგანიზაციებს (მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციას, იუნესკოს და სხვა) გაუგზავნოს მოხსენებათა ის ნაწილი, რომელიც მათი კომპეტენციის ფარგლებშია. კომიტეტი უფლებამოსილია მიიწვიოს ეს სპეციალიზირებული ორგანიზაციები კონკრეტული კომენტარების მისაღებად. კომიტეტის ყოველ სესიას წინ უძღვის ორი მეშა-ჯგუფის პარალელური სხდომა, რომელიც ყალიბდება კომიტეტის მეშაობის პრინციპების შესაბამისად. სესიის უკანასკნელ დღეს კომიტეტი იღებს წინადადებებს, შენიშვნებსა და რეკომენდაციებს წევრ-სახელმწიფოთა ანგარიშზე. კომიტეტს არა აქვს უფლება პირადად შეაფასოს მოხსენების სისწორე, ასევე, არ შეუძლია ნაატაროს გამოძიება. მიუხედავად ამისა, შესაძლებლობა აქვს ამგვარი თხოვნით მიმართოს სახელმწიფოს. კომიტეტის წევრები გამოიყენებენ საკუთარ გამოცდილებას და სხვადასხვა წყაროდან მიღებულ ინფორმაციას (არასამთავრობო ორგანიზაციები, საზოგადოებრივი ორგანიზაციები და სხვა).

კომიტეტი ყოველი ანგარიშის განხილვისას იძლევა რეკომენდაციებს და აკეთებს ზოგადი ხასიათის კომენტარებს, რომელშიც მოცემულია პაქტის მუხლების მნიშვნელობა.

ინფორმაცია, რომელიც ექვემდებარება საჯარო

გამოქვეყნებას: ადამიანის უფლებათა კომიტეტის ყოველწლიურ ანგარიშს თან ერთვის საქმიანობის მოკლე რეზიუმე, რომელიც შესაბამისობაშია პაქტთან და ფაქულტატურ ოქმთან. ასევე, აქვეყნებს თავის დასკვნებს წევრი-სახელმწიფოების ანგარიშის თაობაზე.

კომიტეტის სამდივნოს მისამართი: ენევა (შვეიცარია).

Human Rights Committee .1211 Geneva 10, Switzerland

ტელ: 0041-22/917-92-63

ფაქსი: 0041-22-917-90-22.

სესიის თარიღი: სამი სესია წელიწადში - მარტი/აპრილი-ნოემბერი;

ივლისი და ოქტომბერი/ნოემბერი - შინაგან.

კომიტეტის ფუნქციას წარმოადგენს სახელმწიფოთაშორისი განაცხადების განხილვა. პაქტის 41-ე მუხლი ითვალისწინებს: “ამ მუხლის შესაბამისად, პაქტის მონაწილე სახელმწიფოს შეუძლია განაცხადოს, რომ სცნობს კომიტეტის კომპეტენციას მიიღოს და განიხილოს ინფორმაცია, სადაც ერთი მონაწილე სახელმწიფო ამტკიცებს, რომ მეორე მონაწილე სახელმწიფო არ ასრულებს წინამდებარე პაქტით ნაკისრ ვალდებულებას. ამ მუხლით გათვალისწინებული ცნობები კომიტეტმა შეიძლება მიიღოს და განიხილოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ისინი წარმოადგინა მონაწილე სახელმწიფომ, რომელმაც გააკეთა განაცხადება, რომ ცნობს ამ კომიტეტის კომპეტენციას...”.

კომიტეტი განიხილავს სახელმწიფოთაშორის განაცხადებს შემდეგ შემთხვევებში: 1) ორივე სახელმწიფოს აღიარებული აქვს პაქტის 41-ე მუხლით გათვალისწინებული განაცხადება; 2) დაცულია პაქტის 41-ე მუხლის 1-ლი პუნქტი; ბ) თუ ქვეპუნქტით დადგენილია ვადები; 3) თუ საკითხი ექვსი თვის მანძილზე დამაკმაყოფილებლად არ გადაწყდა ორივე დაინტერესებული მონაწილე სახელმწიფოსათვის მას შემდეგ, როცა მეორე სახელმწიფო მიიღებს პირველ შეტყობინებას. თითოეულ ამ სახელმწიფოს უფლება აქვს საკითხი გადასცეს კომიტეტს. ამასთან, უნდა შეატყობინოს მეორე სახელმწიფოს. 4) საერთაშორისო სამართლით საყოველთაოდ აღიარებული პრინციპების თანახმად, თუ ამოწურულია ყველა ხელმისაწვდომი შიდა სამართლებრივი დაცვის მექანიზმი; გამონაკლისი შეიძლება დაიშვას იმ შემთხვევაში, როცა პროცედურა გაუმართლებლად ჭიანჭურდება.

1. კომიტეტი განიხილავს მხოლოდ იმ განაცხადებს, რომელშიც მოსარჩელე და მოპასუხე სახელმწიფოებს აღიარებული აქვთ კომიტეტის იურისდიქცია

სპეციალური განაცხადით და ის დემონირებულაა გენერალურ მდივანთან. ამ პროცედურას ფაქულტეტური ხასიათი აქვს და საგრძნობლად განსხვავდება ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციისა და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოსაგან.

2. იმ სახელმწიფოს, რომელსაც მიანიხია, რომ ირღვევა სხვა პაქტისა და ფაქულტატური ოქმით აღიარებული უფლებები. ამასთანავე, მას შეუძლია შეტყობინება გაუბზაენოს აღნიშნულ სახელმწიფოს. შეტყობინების მიღების დღიდან სამი თვის ვადაში „მოპასუხე სახელმწიფო“ ვალდებულია „მოსარჩელე სახელმწიფოს“ წარუდგინოს განმარტება წერილობითი ფორმით, რომელშიც მიუთითებს იმ კონკრეტულ ნაბიჯებზე, რომელიც გაატარა ან მომავალში აპირებს გაატაროს პაქტით აღიარებული უფლებების დარღვევების აღმოსაფხვრელად.

თუ ექვსი თვის განმავლობაში საკითხი დადებითად არ გადაწყდა, ორივე მონაწილე მხარეს შეუძლია მიმართოს გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტს: ა) კომიტეტი სთავაზობს სახელმწიფოებს წარმოადგინონ თავისი პოზიციები და მათ ხელთ არსებული მტკიცებულებები. კომიტეტი მისთვის გადაცემულ საკითხს განიხილავს მხოლოდ მას შემდეგ, რაც დარწმუნდება, რომ საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპების შესაბამისად, სკადეს და ამოწურეს ყველა ხელმისაწვდომი შიდასახელმწიფოებრივი საშუალებები. ეს წესი არ მოქმედებს ისეთ შემთხვევებში, როცა ამ საშუალებათა გამოყენება გაუმართლებლად ჭიანჭრდება, თუ მოხერხდა დავის მეგობრულად გადაწყვეტა კომიტეტი განაცხადებს შეთანხმების პირობებს, თუ მხარეებს შორის შეთანხმება 12 თვის განმავლობაში ვერ მოხერხდა, მაშინ კომიტეტი ამზადებს მოკლე მოხსენებას, რომელშიც აღწერილია ფაქტები და “მხარეს” წარმუდგენს ზეპირი ან წერილობითი ფორმით. ბ) კომიტეტი უფლებამოსილია სახელმწიფოთა წინასწარი შეთანხმების საფუძველზე დანიშნოს სპეციალური შემთანხმებელი კომისია. კომისიამ უნდა მოახერხოს პაქტის საფუძველზე სახელმწიფოთაშორისი ზავის მორიგების გზით გადაწყვეტა. გ) კომისია სახელმწიფოთათვის მისაღები 5 წევრისაგან შედგება, რომელიც მოქმედებს როგორც კერძო პირი. თუ კომისია ვერ

მიღწევს შედეგს, იგი უფლებამოსილია თავისი შენიშვნები და დასკვნები გააკეთოს აღნიშნულ დაგებთან დაკავშირებით და შესთავაზოს მხარეებს დავის დარეგულირების ვარიანტი. მხარეებს შეუძლიათ არ გაითვალისწინონ კომისიის დასკვნები, მაგრამ დავის დარეგულირების შემთხვევაში ადამიანის უფლებათა კომიტეტი ამ ფაქტს აცნობებს გაეროს გენერალურ ასამბლეას თავის წლიურ მოხსენებაში.

როგორც დაეინახეთ, სახელმწიფოთა შორისი განაცხადები არ ითვალისწინებენ არც სასამართლო და არც კვაზი სასამართლოს გადაწყვეტილებების გამოტანას. ამიტომ ის ნაკლებ ეფექტურია.

ა) სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების საერთაშორისო პაქტის ფაქულტატური ოქმი

პაქტის IV ნაწილის საფუძველზე დაარსებულ ადამიანის უფლებათა კომიტეტს მიეცა შესაძლებლობა მიიღოს და განიხილოს შეტყობინებები ცალკეული პირებისაგან, რომლებიც ამტკიცებენ, რომ ისინი პაქტში აღნიშნული რომელიმე უფლებების დარღვევის მსხვერპლნი არიან. ოქმით კომიტეტის მუშაობის უმნიშვნელოვანესი ფუნქცია *ინდივიდუალურ განაცხადთა განხილვაში* მდგომარეობს.

ნებისმიერ ადამიანს აქვს უფლება მიმართოს გაეროს და მის ორგანოებს თავის უფლებათა დარღვევის შესახებ. სწორედ ადამიანის უფლებათა სფეროში ინდივიდუალური განაცხადების (საჩიურების)¹⁸ წარდგენით ადამიანის უფლებები იძენს კონკრეტულ მნიშვნელობას და საერთაშორისო-სამართლებრივი ნორმები (რომლებიც საკმაოდ ზოგადი და აბსტრაქტულია) სიცოცხლისუნარიანი ხდებიან, როგორც კომიტეტისა და სასამართლო გადაწყვეტილებების, ასევე რეკომენდაციების გამოტანის საფუძველზე.

განაცხადი შეიძლება წარდგენილ იქნას მხოლოდ იმ სახელმწიფოს მიმართ, რომელიც:

1. არის პაქტის მონაწილე;
2. წვერმა-სახელმწიფომ უნდა აღიაროს კომიტეტის კომპეტენცია.

¹⁸ განაცხადს სხვაგვარად უწოდებენ ასევე „შეტყობინებას“ ან „პეტიციას“.

სუბიექტები, რომლებსაც შეუძლიათ შეიტანონ განაცხადი ადამიანის უფლებათა კომიტეტში:

- ნებისმიერ პირს, რომელიც ექცევა წევრ-სახელმწიფოს იურისდიქციის ქვეშ;
- სხვა პირს, თუ ის გამოდის განმცხადებლის სახელით და მას აქვს განმცხადებლის წერილობითი თანხმობა. (გამონაკლის შემთხვევაში ასეთი წერილობითი თანხმობა შეიძლება არც იყოს).
- მშობლებს ან მუშრვეს არასრულწლოვანი პირის სახელით, რომელსაც არ შესწევს უნარი თვითონ წარუდგინოს განაცხადი ან სხვა პირზე გასცეს თავისი თანხმობა. (მაგ. პირი ციხეშია, „გაუწინარების“ შემთხვევაში და სხვა). კომიტეტი ასეთ შემთხვევაში არ მოითხოვს ოფიციალურ თანხმობას სხვა პირისაგან.
- პაქტში მონაწილე წევრ-სახელმწიფოებს, რომლებმაც აღიარეს კომიტეტის კომპეტენცია.

განაცხადის შევსების წესი: (იხ.დანართი)

ინდივიდუალური განაცხადების განხილვა 4 ეტაპად იყოფა:

- 1) განაცხადის რეგისტრაცია; 2) განაცხადთა დასაშვებადობის გარკვევა; 3) განაცხადთა არსებითი განხილვა; 4) გადაწყვეტილების მიღება.¹⁹

საქმის კომიტეტში განხილვის პირველი ეტაპი მოიცავს: 1. საქმის „მიღებადობას“. ეს პროცედურა დაკავშირებულია ოფიციალურ მოთხოვნასთან: განაცხადი უნდა პასუხობდეს ყველა პირობას. კომიტეტი, განაცხადს განიხილავს არსებითად. ადამიანის უფლებათა კომიტეტის 5 წევრიანი მუშა-ჯგუფი ამზადებს რეკომენდაციებს და განიხილავს განაცხადის დაშვებადობის საკითხს.

- განაცხადში მითითებული უნდა იყოს, რომ განმცხადებელი პირადად დაზარალდა მოპასუხე-სახელმწიფოს მოქმედებით ან უმოქმედობით. აქედან გამომდინარე, არ არის საკმარისი სახელმწიფოს

¹⁹ განაცხადის მიღებადობის კრიტერიუმები ძალიან წააგავს ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში სარჩელის წარდგენის უფლებას (პაქტის ფაქულტატური ოქმის 1,2,3,5-ებში).

კანონმდებლობის, პრაქტიკის ან პოლიტიკის გაპროტესტება.

- განაცხადი უნდა ეხებოდეს მხოლოდ სამოქალაქო და პოლიტიკური პაქტით გარანტირებულ უფლებებსა და თავისუფლებებს და არა სოციალურ-ეკონომიკურ და პოლიტიკურ უფლებებს.
- განაცხადის მიღებისათვის სავალდებულოა, რომ შიდა სახელმწიფოებრივი დაცვის მექანიზმები (საშუალებები) იქნას ამოწურული, მაგრამ კომიტეტმა შეიძლება საქმე განიხილოს შიდა მექანიზმების ამოწურვის გარეშეც, თუ განმცხადებელი კომიტეტს წარუდგენს არგუმენტებს შიდა სამართლებრივი მექანიზმების არაეფექტურობის შესახებ.
- კომიტეტმა შეიძლება არ განიხილოს განაცხადი, თუ ჩათვლის, რომ განაცხადი არასერიოზულია ან არ ექვემდებარება კომიტეტის განხილვას. მაგალითად, თუ ერთი და იგივე სარჩელი კომიტეტში წარდგენილ იქნა რამდენჯერმე ერთი და იგივე განმცხადებლის მიერ.
- თუ ერთი და იგივე განაცხადი წარდგენილ იქნა სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებში. მაგალითად, ადამიანის უფლებათა ამერიკათაშორის კომისიაში, ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში ან ადამიანის და ხალხთა უფლებების აფრიკულ კომისიაში. კომიტეტი არ განიხილავს ამგვარ განაცხადებს. განაცხადში უნდა იყოს მითითებული ორგანო, თარიღი და შედეგები.

კომიტეტში განაცხადის წარდგენის პირველი ეტაპი მოიცავს განაცხადის რეგისტრაციას. განაცხადის რეგისტრაციის შემდეგ კომიტეტში ხდება განაცხადის მიღების დაშვებადობზე მსჯელობა. ამ მიზნით, მოპასუხე-სახელმწიფოს ეძლევა 6 თვე, რათა მან წარმოადგინოს თავისი შეხედულებები საქმის მიღებადობისა და არსებითი განხილვის თაობაზე. სახელმწიფოს მიერ კომიტეტისათვის პასუხის გადაგზავნის შემთხვევაში, განმცხადებელს ეძლევა 2 თვე კომენტარისათვის.

ამის შემდეგ, იწყება საქმის არსებითი განხილვა კომიტეტში, თუ სახელმწიფო არ პასუხობს განაცხადზე, სახელმწიფოს ორჯერ შეახსენებენ ნ-თვიანი ვადის ამოწურვის შესახებ. თუ სახელმწიფოსაგან პასუხი კიდევ არ იქნა მიღებული, კომიტეტი განიხილავს განაცხადს პირველადი ინფორმაციის საფუძველზე, თუ მიიჩნევს, რომ გარკვეულ საკითხებთან დაკავშირებით მართლაც არსებობს შენიშვნები კომიტეტი განმცხადებელს სთავაზობს წარმოადგინოს ამ საკითხთან დაკავშირებული კომენტარები. გარკვეული საკითხების დასადგენად კომიტეტი ახსნა-განმარტებისათვის მიმართავს მოპასუხე-სახელმწიფოს, ხოლო განმცხადებელს ეძლევა ისევ 2 თვე კომენტარებისათვის.

კომიტეტი საქმის განხილვის დროს თანაბარ პირობებში აყენებს მოსარჩელეს და სახელმწიფოს. თითოეულ მათგანს აქვს შესაძლებლობა კომენტარი გაუკეთოს მეორეს მიერ გამოთქმულ მოსაზრებას. კომიტეტის შეხვედრებები და დასკვნები საქმის წარმოებაში მიღებისა და მისი განხილვის შემდეგ საჯარო ხდება, მაგრამ ნებისმიერი დოკუმენტაცია შემოსული მოსარჩელის მხრიდან, წერილობითი საბუთების ჩათვლით, კონფიდენციალურია.

კომიტეტი განიხილავს საქმეებს, რომლებიც შეეხება ფაკულტატიური ოქმის მოპასუხე-სახელმწიფოსათვის ძალაში შესვლის საკითხებს, მაგრამ თუ საქმე გვაქვს ე.წ. განგრძობად დარღვევასთან, მაშინ კომიტეტი იღებს გადაწყვეტილებას განიხილოს საქმის ყველა გარემოება მათ შორის, ფაკულტატიური ოქმი ძალაში შესვლამდე. მაგალითად, საქმე ეხება “პირის გაუწინარებას“, რომელსაც ადგილი ჰქონდა ფაკულტატიური ოქმის ძალაში შესვლამდე.

შემდეგი მოთხოვნა – საქმე არ უნდა გადაეცეს დასარეგულირებლად სხვა საერთაშორისო მექანიზმებს. კომიტეტმა დაადგინა, რომ მექანიზმად არ ჩაითვლება „№1503 პროცედურით“ განხილვა და მისი სპეციალური მომხსენებლისათვის გადაცემა.

აღსანიშნავია, რომ განმცხადებელს პაქტი ზოგჯერ სთავაზობს დაცვის უფრო მაღალ დონეს, ვიდრე სხვა საერთაშორისო ხელშეკრულებებით არის გათვალისწინებული. ის ფაქტები, რომლებიც უკვე წარდგენილ იქნა სხვა საერთაშორისო მექანიზმისათვის შეიძლება წარედგინოს კომიტეტს, თუ პაქტით გათვალისწინებულია დაცვის უფრო მაღალი დონე. კომიტეტი განიხილავს იმ საკითხებსაც, რომლებიც სხვა საერთაშორისო

მექანიზმების მიერ არ იქნა განხილული პროცედურული დარღვევების გამო.

შემდეგი მოთხოვნა: განაცხადის ფორმა— განაცხადი, კომიტეტის მიერ უნდა იყოს ხელმოწერილი და განსაზღვრული ფორმით შედგენილი. (იხ. დანართი). განაცხადში წამოყენებული პრეტენზიები ქრონოლოგიურად უნდა იქნას ჩამოყალიბებული. მოთხოვნა უნდა შეიცავდეს ფაქტებს და ასახავდეს სრულ ინფორმაციას. აღწერილი უნდა იყოს ყველა მექანიზმი, რომელიც ამოწურა განმცხადებელმა. ასევე, წარმოდგენილი უნდა იყოს განაცხადთან დაკავშირებული ეროვნული ორგანოების მიერ გაცემული დოკუმენტაცია — სასამართლო ან ადმინისტრაციული ორგანოების გადაწყვეტილებები, ასევე, რეკომენდირებულია გაეროს ოფიციალურ ენაზე შედგენილი (საქმესთან დაკავშირებული) ეროვნული საკანონმდებლო აქტების ტექსტი.

მიუხედავად იმისა, რომ კომიტეტში „განაცხადთა წარდგენის პროცედურაში“ კონკრეტულ ვადებზე მითითება არ ფიქსირდება, მიზანშეწონილია განაცხადის შეტანა ყველა შიდა სამართლებრივი მექანიზმის ამოწურვისთანავე უმოკლეს ვადებში.

განაცხადში შეიძლება მითითება გაკეთდეს გარკვეულ დელიკატურ საკითხებზე, რომლებიც შეეხება განმცხადებლის პირად ცხოვრებას. ამ შემთხვევაში განმცხადებელს უფლება აქვს კომიტეტს მოსთხოვოს ფაქტების გახმაურებისაგან თავის შეკავება. ასევე, კომიტეტს უფლება აქვს პირად ცხოვრებასთან დაკავშირებული საკითხები საკუთარი შეხედულებების საფუძველზე ამოიღოს და არ გაახმაუროს.

განაცხადი უნდა ეხებოდეს მხოლოდ სამოქალაქო და პოლიტიკური პაქტით გარანტირებულ უფლებებსა და თავისუფლებებს და არა სოციალურ-ეკონომიკურ და კულტურულ უფლებებს.

სახელმწიფომ ხელშეკრულებაზე ხელის მოწერისას განაცხადთა განხილვის მექანიზმთან დაკავშირებით, შეუძლია გააკეთოს გარკვეული პროცედურული ხასიათის „დათქმები“. ეინაიდან, სახელმწიფო ვალდებულია იღებს და აზუსტებს, ხომ არ იქნება „დათქმა“ სახელმწიფოს მიერ უკან გათხოვილი.

ზოგჯერ, კომიტეტის პრაქტიკაში წარმოიშვება საკითხები, რომელთა გადაწყვეტა უნდა მოხდეს სასწრაფოდ და გამოყენებულ უნდა იქნას გადაუდებელი ზომები. კომიტეტმა, შეიძლება მოპასუხე-სახელმწიფოს მიმართოს წინასწარი ზომების

მისაღებად, რათა თავიდან აიცილოს საგამომძიებლო საქმიანობასთან დაკავშირებული ზიანი.

განაცხადის განხილვის შემდეგი სტადიაა საქმის „არსებითი“ განხილვა, რაც გულისხმობს საქმის არსის გარკვევას, რომლის საფუძველზეც კომიტეტი იღებს გადაწყვეტილებას პაქტით გარანტირებული უფლების დარღვევის (ან არ დარღვევის) შესახებ.

კომიტეტი განაცხადს განიხილავს დახურულ სხდომაზე. თუმცა, გამონაკლის შემთხვევებში კომიტეტის პროცედურებით გათვალისწინებულია ზეპირი მოსმენაც. უმეტესად, კომიტეტში განმცხადებლის წერილობით ინფორმაციას განიხილავენ. კომიტეტი არ განიხილავს ავდიო-ვიდეო ჩანაწერებს. ასევე, შესაძლებელია მხარის მიერ მოძიებულ ინფორმაციას, რომელსაც წარმოადგენს განმცხადებელი. ასევე, არ განიხილება განმცხადებლის მიერ ფაქტების მოკლე აღწერილობა.

კომიტეტს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება განაცხადის განხილვის გადადებაზე ან განხილვის შეწყვეტაზე, როდესაც სანიურის ავტორს უკან გააქვს განაცხადი ან აღარ სურს სანიურის შემდგომი განხილვა (მაგალითად, აღარ პასუხობს კომიტეტის შეტყობინებებსა და კითხვებზე).

თუ კომიტეტი დაადგენს, რომ განმცხადებელი არის „მისხვერპლი“, კომიტეტი დააკისრებს სახელმწიფოს 3 თვის განმავლობაში წარმოადგინოს ინფორმაცია გატარებული ღონისძიებების შესახებ. თუ კომიტეტი დაადგენს, რომ პაქტით გათვალისწინებული უფლებები არ იქნა დარღვეული, კომიტეტის გადაწყვეტილება ეცნობება განმცხადებელსა და მოპასუხეს სახელმწიფოს. ამ დღიდან პროცედურა დასრულებულად ითვლება.

განაცხადის არსებითი განხილვის შედეგად კომიტეტი აყალიბებს თავის გადაწყვეტილებას ინდივიდუალურ განაცხადთან დაკავშირებით და სახელმწიფოს აცნობებს კომიტეტის მოსაზრებებს. ამასთანავე, წინასწარ გადასცემს მუშა-ჯგუფს ან სპეციალურ მომხსენებელს შესაბამისი რეკომენდაციისათვის. ამის საფუძველზე, კომიტეტი საბოლოოდ აყალიბებს თავის გადაწყვეტილებას. კომიტეტის ნებისმიერი წევრი, რომელიც მონაწილეობდა ინდივიდუალური განაცხადის განხილვაში, თუ მას გააჩნია კომიტეტის სხვა წევრებისაგან განსხვავებული მოსაზრებები შეუძლია მოითხოვოს, რომ მისი

განსხვავებული მოსაზრება დაერთოს კომიტეტის გადაწყვეტილებას.²⁰

კომიტეტის გადაწყვეტილება შედგება 3 ნაწილისაგან: საქმის მოკლე ფაბულა; სამოტივაციო ნაწილი; საბოლოო გადაწყვეტილება.

კომიტეტი აკისრებს თავის მიერ დანიშნულ სპეციალურ მოძხენებელს ვალდებულებას, თვალყური ადევნოს შესაბამისი სახელმწიფოს მიერ კომიტეტის გადაწყვეტილების შესრულებას.

კომიტეტს გამოაქვს შემდეგი ტიპის გადაწყვეტილებები:

- კომიტეტი იღებს სარეკომენდაციო გადაწყვეტილებას და აღიარებს, რომ დარღვეულ იქნა წევრი-სახელმწიფოს მიერ პაქტით გარანტირებული უფლებები;
- ავალებს სახელმწიფოს გადაუხადოს განმცხადებელს კომპენსაცია, თუ ამგვარი მოთხოვნა იქნა წამოყენებული განცხადებაში.
- არ აღიარებს დარღვევას;

კომიტეტის გადაწყვეტილებები ქვეყნდება გენერალური ასამბლეისათვის წარდგენილ ყოველწლიურ ანგარიშში.

კომიტეტის გადაწყვეტილება არ საჩივრდება და მისი გადაწყვეტილება საბოლოოა. განმცხადებლისათვის გაწეული იურიდიული დახმარება კომიტეტის მიერ არ ანაზღაურდება.

2004 წლის ივნისის მონაცემების მიხედვით, კომიტეტში სულ შემოვიდა 1,295 ინდივიდუალური საჩივარი, რომელიც კომიტეტმა რეგისტრაციაში გაატარა. აქედან 362 არ იქნა მიღებული განსახილველად. ფაქულტატიური ოქმის მე-3, მე-5 მუხლების გათვალისწინებით 452 საქმე კომიტეტმა მიიღო განსახილველად. ამთგან, 349 საქმეში დადასტურდა პაქტით გათვალისწინებული უფლებების დარღვევა, 178 განცხადება უკან იქნა გატანილი, ხოლო 305-ზე ჯერ კიდევ არ არის მიღებული საბოლოო დასკვნა. ინდივიდუალურ საჩივრებს კომიტეტი განიხილავს კერძო შეხვედრებისას.

²⁰ ანალოგიური წესი მოქმედებს ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში.

კომიტეტი, წლიურ ანგარიშში აქვეყნებს კომუნიკაციების დროს მიღებულ და განხილულ განაცხადებს, ხოლო ინფორმაციის წარდგენა ხდება გაეროს გენერალურ ასამბლეაში.

კომიტეტს არ გააჩნია რაიმე სანქციები ან საშუალებები სახელმწიფოთა იძულებისათვის. კომიტეტის თვალსაზრისით ოფიციალური კუბლიკაცია ხშირად ერთადერთ საშუალებას წარმოადგენს პაქტით გათვალისწინებულ უფლებათა დასაცავად და შესაძლებელს ხდის წევრ-სახელმწიფოთა ზემოქმედებას. კომიტეტის გადაწყვეტილებები მხოლოდ სარეკომენდაციო ხასიათს ატარებენ. კომიტეტი რეკომენდაციას აძლევს პაქტის დამრღვევ წევრ-სახელმწიფოს შეცვალოს დებულებები, აღადგინოს განმცხადებლის უფლება და გადაუხადოს მას ფულადი კომპენსაცია.

კომიტეტის გადაწყვეტილებას არა აქვს საკანონმდებლო იურიდიული ძალა; მას მხოლოდ პოლიტიკურ-მორალური მნიშვნელობა აქვს და სარეკომენდაციო ხასიათს ატარებს. ამიტომ ხშირად აღნიშნავენ, რომ გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტი ნაკლებ ეფექტურია რეგიონალურ სისტემებთან შედარებით.

ფაკულტატიური ოქმის მიხედვით პირველადი განაცხადიდან გადაწყვეტილების მიღებამდე შეიძლება რამდენიმე წელი გავიდეს. ინდივიდუალური განაცხადების გარდა, კომიტეტს შეუძლია განიხილოს წევრი-სახელმწიფოს მიერ შემოტანილი განაცხადი სხვა წევრი-სახელმწიფოს მიმართ იმ მოტივით, რომ ეს სახელმწიფო არ ასრულებს საერთაშორისო პაქტით დაკისრებულ ვალდებულებას. მართალია, ეს პროცედურა ძალაში 1979 წელს შევიდა თემცა. დღეისათვის ეს უფლება არც ერთ სახელმწიფოს არ გამოუყენებია.

ბ) სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების საერთაშორისო პაქტის მეორე ფაკულტატიური ოქმი სიკედილით დასჯის გაუქმების შესახებ

მეორე ფაკულტატიური ოქმი გენერალურმა ასამბლეამ მიიღო 1989 წლის 15 დეკემბერს №44/128 რეზოლუციის საფუძველზე, ხოლო ძალაში შევიდა 1991 წელს. მეორე ფაკულტატიური ოქმის მიზანი ასახულია მისივე სახელწოდებაში, სადაც ნათქვამია “სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის მეორე ფაკულტატიური ოქმი სიკედილით დასჯის გაუქმების შესახებ”. ოქმის 1 მუხლში მითითებულია: “წინამდებარე ოქმის მონაწილე სახელმწიფოს

იურისდიქციაში არაეინ შეიძლება სიკვდილით დაისაჯოს და თითოეულმა მონაწილემ სახელმწიფომ უნდა მიიღოს ყველა საჭირო ზომები, რათა მათი იურისდიქციის ფარგლებში გაექმდეს სიკვდილით დასჯა". ამავე ოქმის მე-2 მუხლის მიხედვით, "დათქმები" დაუშვებელია "გარდა რატიფიკაციისა და მიერთების დროს დადებული დათქმებისა, რომლებიც უსრუნველყოფენ იმის დროს სიკვდილით დასჯის გაერცვლებას განსაკუთრებით საშიშ დანაშაულებებზე". გაეროს მეორე ფაკულტატიური ოქმი, ამით ჰგავს ევროპული კონვენციის მე-6 მუხლს. თუმცა, განსხვავდება მე-13 მუხლის, რომელიც საერთოდ კრძალავს სიკვდილით დასჯას ნებისმიერ სიტუაციაში. მეორე ფაკულტატიური ოქმის მე-7 და მე-11 მუხლები ძირითადად ეხება ოქმის რატიფიკირების და მიერთების პროცედურას.

ტერმინთა განმარტება:

პაქტი - სახელმწიფოთა შორის დადებული ორმხრივი ან მრავალმხრივი შეთანხმება რაიმე კონკრეტულ პოლიტიკურ საკითხზე (მაგალითად, საბჭოთა კავშირ-იაპონიის 1945 წლის პაქტი ნეიტრალიტეტის შესახებ) ან მაღალი მორალურ-პოლიტიკური უღერადობის მქონე ხელშეკრულება საერთაშორისო სამართლის რომელიმე სფეროში უფლება-მოვალეობათა დაფიქსირებით (მაგ., საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა შესახებ).

პეტიცია - ცალკეული პირებისა და ჯგუფების უფლებების დარღვევების შემთხვევაში გათვალისწინებულია მათ მიერ შეტანილი განაცხადების, პეტიციების (განაცხადების, მიმართულების) განხილვის პროცედურა, რაც თავის მხრივ მოითხოვს შესაბამისი საერთაშორისო სამართლებრივი აქტების გამოყენებას.

განსაკუთრებულ პროცედურას მოითხოვს პეტიციების განხილვა. მისი განხილვის აუცილებლობა დგება მაშინ, როდესაც სახელმწიფო, რომლის მოქალაქესაც გადაწყვეტილი აქვს პეტიციის შეტანა თავის თავზე იღებს საერთაშორისო ვალდებულებას სცნოს იმ საერთაშორისო ორგანოს კომპეტენცია, რომელსაც დაევალება მისი განხილვა. პეტიციები, რომლებიც

განიხილება საერთაშორისო არასასამართლო ორგანოებში. როგორც წესი არ არიან დაკავშირებული აუცილებელი იურიდიული გადაწყვეტილებების გამოტანასთან. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა სახემლწიფოსა და პირების მიმართ რეკომენდაციების დამუშავებას.

პეტიციები არის ორი სახის: განაცხადი-პეტიცია და პეტიცია-საჩივარი (სარჩელი). განაცხადი-პეტიცია წარმოადგენს ფიზიკური პირების ინფორმაციას მისი უფლებების დარღვევის შესახებ, რომელსაც პირი უგზავნის ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო ორგანიზაციას. ამგვარი განაცხადი-პეტიცია არ არის დაკავშირებული საერთაშორისო ორგანოების ვალდებულებასთან საფუძვლიანად განიხილოს ეს ინფორმაცია. ორგანიზაციას შეუძლია განიხილოს ან არ განიხილოს აღნიშნული პეტიცია. ამდენად, ამგვარი პეტიცია გამოიხატება იმაში, რომ პირი ეძლევა საშუალება მიმართოს საერთაშორისო ორგანიზაციას და ამით დაიცვას თავისი უფლება. მეორე მსოფლიო ომის დროს, ერთა ლიგის ჩარჩოებში არსებობდა რასობრივი, რელიგიური და ენობრივი უმცირესობის დაცვის გარანტიები, რომლებიც ითვალისწინებდნენ პეტიციების წარდგენის სისტემას. უმცირესობათა უფლებების დარღვევებზე ერთა ლიგაში პეტიციის შეტანის ფაქტი თავისთავად არ აძლევდა საბჭოს უფლებას განეხილა ეს პეტიცია. თანამედროვე პერიოდში, პირველი სახის პეტიცია შეუძლია განიხილოს გაეროს ადამიანის უფლებათა კომისიამ. ასეთი პეტიციების განხილვის წესი დადგენილია 1970 წლის 27 მაისის გაეროს ეკონომიკური და სოციალური საბჭოს №1503 (X VIII) რეზოლუციით. გაეროს ადამიანის უფლებათა კომისია პეტიციას შესასწავლად აძლევს უმცირესობის უფლებების დაცვის ქვეკომისიას, რომელიც თავის მხრივ გადასცემს ხუთი კაცისაგან შემდგარ მუშა-ჯგუფს. აღნიშნული ჯგუფი ვალდებულია დაადგინოს პეტიციის განხილვის საჭიროება და მისი ქვემდებარეობა. კომისია თავის მხრივ ვალდებულია განსაზღვროს გადაეცეს, თუ არა პეტიცია შესაბამისი რეკომენდაციებით ეკონომიკურ და სოციალურ საბჭოს.

მეორე სახის პეტიცია — პეტიცია-საჩივარი ავალდებულებს საერთაშორისო ორგანიზაციებს მის განხილვას არსებული საერთაშორისო შეთანხმების საფუძველზე. მაგალითად, ასეთ შეთანხმებას განეკუთვნება მოტ-ის წესდება; 1965 წლის საერთაშორისო კონვენცია, ყველა ფორმის რასობრივი

დისკრიმინაციის ლიკვიდაციის შესახებ; 1966 წლის საერთაშორისო პაქტი, სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ და იმავე წლის დანართი ფაკულტატიური პროტოკოლის სახით; 1969 წლის ამერიკული კონვენცია ადამიანის უფლებათა შესახებ; 1995 წლის „დსთ“-ს კონვენცია, ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა შესახებ.

კომპენსაცია - ადამიანის უფლებათა დარღვევისათვის საერთაშორისო სამართალში - თანხა, რომლის გადახდა დაეკისრა სახელმწიფოს იურიდიული ან კვაზი იურიდიული ორგანოს მიერ იმ პირთა სასარგებლოდ, რომელთა უფლებებიც დაირღვა სახელმწიფოს ან მისი წარმომადგენლების მოქმედებით ან უმოქმედობით (მაგ. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ მიღებული დადგენილების ძალით).

ბაეროს 1985 წლის დეკლარაცია ხელისუფლების დანაშაულთა და ხელისუფლების ბოროტად გამოყენების მსხვერპლთათვის მართლმსაჯულების განხორციელების ძირითადი პრინციპების შესახებ - 1985 წელს გაეროს გენერალურმა ასამბლეამ მიიღო დეკლარაცია დანაშაულთა და ხელისუფლების ბოროტად გამოყენების მსხვერპლთათვის მართლმსაჯულების ძირითადი პრინციპების შესახებ. დეკლარაციაში მოცემულია დანაშაულის მსხვერპლის განსაზღვრება. კერძოდ, აღნიშნულია, რომ ტერმინი „მსხვერპლი“ აღნიშნავს პირს, რომელსაც ინდივიდუალურად ან კოლექტიურად მიაყენეს ზიანი, მათ შორის: სხეულის დაზიანება ან მორალური ზარალი, ემოციური ტანჯვა, მატერიალური ზარალი, ან მოხდა მის ძირითად უფლებათა საფუძვლიანი შელახვა მოქმედების ან უმოქმედობის გამო, რომლებიც არღვევენ წევრი სახელმწიფოების მოქმედ ეროვნულ სისხლის სამართლის კანონებს, მათ შორის კანონებს, რომლებიც კრძალავენ ხელი-სუფლების ბოროტად გამოყენებას.

დეკლარაციაში აღნიშნულია, რომ დანაშაული ზიანს აყენებს არა მარტო სახელმწიფოს, არამედ იწვევს როგორც უშუალოდ დაზარალებულის, ისე მისი ახლობლების ფსიქოლოგიურ ტრავმას. დეკლარაციაში ხაზგასმულია, რომ პოლიციისა და მართლმსაჯულების ორგანოებმა თავიანთი არამართლზომიერი მოქმედებით შეიძლება უფრო გაამძაფრონ დაზარალებულებისა და მოწმეების მდგომარეობა. დანაშაულისა და მართლმსაჯულების სისტემის მიერ დაზარალებულისათვის და მისი ოჯახისათვის მავნე ზემოქმედების შემცირების მიზნით,

დეკლარაციაში შემუშავებულია რიგი ზომებისა, რათა: დაზარალებულები უკეთ იყვნენ ინფორმირებულნი; ხელი შეეწყონ და დაეხმარონ მათ მიიღონ ზარალის ანაზღაურება დამნაშავესაგან. ზოგიერთ შემთხვევაში კი სახელმწიფოსაგანაც; ესწრებოდნენ და ყოველთვის იქნენ მოსმენილნი, როდესაც საქმე ეხება მათი ინტერესების დაცვას; მათ მოეპყრან სამართლიანად, როგორც სამოქალაქო, ისე სისხლის სამართლის მართლმსაჯულების აღსრულებისას; დაცულ იქნენ ყოველგვარი რეპრესალიებისა და დაშინებისაგან.

დეკლარაციაში ჩამოთვლილია ის ორგანოები, რომლებიც მოწოდებულნი არიან განახორციელონ მუშაობა დაზარალებულებთან. მაგალითად, პოლიციის ორგანოები, სოციალური უზრუნველყოფის ორგანოები და სხვა. ანალოგიური ზომებია გათვალისწინებული ხელისუფლების ბოროტად გამოყენებისას დაზარალებულთა დაცვის დროს. ამასთან, განსაკუთრებულნი ყურადღება ექცევა დაზარალებულებისათვის ზიანის ანაზღაურებას.

*“ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ლექსიკონი” გვ.45.
Irvin Waller. Crime victims:Doing Justice
to their support and protection Helsinki 2003.p.22.*

ც(ო)ლნის შემოწმება:

1) შეავსეთ გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტის განაცხადი;

2) განიხილეთ საქმე:

საქმე №1

გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტში შემოვიდა განაცხადი შემდეგი პირებისაგან: ელ-ი 34 წლის, ისტორიკოსი, პროფესორი; ლუ-ისი 46 წლის, სოფლის მეურნეობის მუშაკი; ომარ ზე-კი 52 წლის, ბელალტერი; ნიურა ფერ-ი 49 წლის, ფიზიკოსი, პროფესორი; რაფაელ ფ-ი 39 წლის, ინჟინერი. ყველა ზემოთ ჩამოთვლილი პირი არის „ა“- სახელმწიფოს მოქალაქე და მიეკუთვნებიან „ა“ სახელმწიფოში მცხოვრებ ეროვნულ უმცირესობებს. მათ საზიკარი წარმოადგინეს პირადად.

კომიტეტმა მიუთითა, რომ წარმოდგენილი ფაქტები უტყუარია.

განაცხადის ავტორები 1990-1994 წლებში იყვნენ დეპუტატობის კანდიდატები და კენჭს იყრიდნენ საპარლამენტო არჩევნებში სხვადასხვა პარტიებიდან. მოგვიანებით, 1999 წელს, „ა“ სახელმწიფოს ახალი მთავრობის მიერ მიღებული „დამფუძნებელი დეკრეტის“ საფუძველზე პარტიები კანონგარეშედ გამოცხადდნენ. პარტიის აკრძალვის ვადა განისაზღვრა 15 წლით. 1999 წელს დამფუძნებელი აქტის მიხედვით, განაცხადის ყველა ავტორს 15 წლით აკრძალა მონაწილეობის მიღება ნებისმიერ პოლიტიკურ საქმიანობაში.

ავტორებმა სარჩელი შეიტანეს „ა“ სახელმწიფოს საერთო სასამართლოებში, თუმცა მათ არ აღიარეს განმცხადებლების უფლებების დარღვევის ფაქტი. მათ ასევე მიმართეს საკონსტიტუციო სასამართლოს „დამფუძნებელი დეკრეტის“ კონსტიტუციასთან შესაბამისობის დადასტურების მიზნით. საკონსტიტუციო სასამართლომ „დამფუძნებელი დეკრეტი“ სკნო კონსტიტუციის შესაბამის აქტად.

ავტორები მიუთითებენ, რომ მათი უფლებების ამგვარი შეზღუდვა არღვევს პაქტის გარკვეულ მიუხლს. პოლიტიკური უფლებების შეჩერება არა მარტო „ა“ სახელმწიფოში, არამედ სხვა ქვეყნებშიც წარმოადგენს სანქციას გარკვეული სისხლის სამართლის საქმეთა კატეგორიებისათვის. განმცხადებლები მოუთითებდნენ, რომ უფლებათა ამგვარი შეზღუდვა უპრეკედენტოა. ისინი აღნიშნავდნენ, რომ დამფუძნებელი აქტი ეწინააღმდეგება სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტით გარანტირებულ უფლებებს.

2000 წელს „ა“ სახელმწიფომ კომიტეტს წარუდგინა განაცხადი, რომელშიც მიუთითა: „ა“ სახელმწიფოს მთავრობა ეყრდნობა სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის შესაბამის მიუხლს რის საფუძველზეც დაშვებულია ერის სიცოცხლისათვის საშიშ შემთხვევაში (საგანგებო მდგომარეობაში) პაქტით გარანტირებული გარკვეული უფლებების შეზღუდვა. მთავრობა თავის მოხსენებაში ასევე მიუთითებდა, რომ პაქტის შესაბამისი მიუხლს მე-2 პუნქტის თანახმად, სადაც მითითებულია იმ მიუხლების ჩამონათვალი რომელთა შეზღუდვაც დაუშვებელია. განაცხადის ავტორთა მიერ მითითებული უფლება არ არის მოხსენებული.

სახელმწიფოს მიანინია, რომ მიღებულ იქნა კანონიერი 'სომეხები „ერის სიცოცხლის“ დასაცავად. ამ სომეხების მიზანია, იყოს ადამიანის უფლებათა რეალური, უფექტური და მტკიცე დაცვა. აქედან გამომდინარე, მთავრობა თვლიდა, რომ მას აქონდა უფლება დროებით გადაეხეია პოლიტიკურ პარტიებთან დაკავშირებული დებულებებისაგან.

გარდა ამისა, სახელმწიფო ამტკიცებს, რომ გაეროს გენერალური მდივანი ინფორმირებული იქნა მთავრობის მიერ ამ გადაწყვეტილების შესახებ და მისი საშუალებით მოხდა სხვა წევრ-სახელმწიფოთა ინფორმირება. შეტყობინებაში მითითებულ იქნა, რომ საგანგებო მდგომარეობა ვრცელდებოდა 1999 წლიდან 2000 წლამდე.

კომიტეტმა ჩათვალა, რომ სომეხები მიღებული „ა“ სახელმწიფოს მიერ არ შეესაბამება იმ მოთხოვნებს, რომელთა არსებობის შემთხვევაშიც სახელმწიფოს შეუძლო შეესლუდა პაქტით გარანტირებული გარკვეული უფლებები.

დამატებითი ინფორმაცია: კომიტეტმა აღნიშნა, რომ საკანონმდებლო წესით აღიარებულ „დამფუძნებელ აქტში“ მთავრობა აღნიშნავს ქვეყანაში არსებული საგანგებო სიტუაციის შესახებ. თუმცა, არ მოუთითებს არავითარ ფაქტობრივ მასალასე. მთავრობას არ უცდია დაედგინა პაქტით გარანტირებული უფლებების მიმართ შესლუდვის ბუნება და საზღვრები ან ეხვენებინა, რომ ამგვარი შესლუდვები გადაუდებელი და აუცილებელია. მთავრობამ მხოლოდ მიუთითა, რომ პაქტის მე-40 მუხლის თანახმად, დამატებითი ინფორმაცია მოცემული იქნებოდა პერიოდულ მოხსენებაში.

კომიტეტი, რომელსც მოქმედებს ფაკულტატიური ოქმის მე-5 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, მიუთითებს, რომ სახელმწიფოს მიერ პოლიტიკური საქმიანობის 15 წლით აკრძალვა არღვევს პაქტით გარანტირებულ უფლებას.

კომიტეტი თვლის, რომ „ა“ სახელმწიფომ აუცილებლად უნდა გადადგას ნაბიჯი ამ პირობათვის პოლიტიკური მოღვაწეობის უფლების აღსადგენად.

„ა“ სახელმწიფოს მიერ სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტი რატიფიცირებულია 1993 წელს, ხოლო ფაკულტატიური ოქმი – 1996 წელს.

კითხვები:

1. ადამიანის რომელი უფლებები იქნა დარღვეული? მიუთითეთ კონკრეტული მუხლი.

2. შეავსეთ გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტის ინდივიდუალური განაცხადის ნიმუში.
3. რა ზომები უნდა იქნას გატარებული სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა საერთაშორისო პაქტით აღიარებული ვალდებულებების გადახვევის შემთხვევაში?

სასწავლო-მეთოდოლოგია: აღნიშნული თემის შესწავლისათვის, საყვარელია საერთაშორისო სამართლის, განსაკუთრებით ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ბილის გაცნობა. აგრეთვე რეკომენდირებულია კომიტეტში სახელმწიფოს მიერ წარსადგენი ანგარიშებისა და ინდივიდუალური განაცხადების შევსების სახელმძღვანელო პრინციპების გაცნობა, რომლისთვისაც გარდა სპეციალური ლიტერატურისა შეიძლება გამოყენებულ იქნას გაეროს ვებ-საიტები: www.un.org/hr/complaints/procedures1 ან www.un.org

დისკუსია თემაზე: საქართველოს მთავრობის ანგარიში “სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების საერთაშორისო პაქტით ნაკისრი ვალდებულებების განხორციელება საქართველოს მიერ”, დისკუსიის წარმართვისათვის სასურველია მონაწილეები გაეცნონ აღნიშნული დოკუმენტის ტექსტს.

დისკუსია თემაზე: საქართველოს მთავრობის ანგარიში “სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების საერთაშორისო პაქტით ნაკისრი ვალდებულებების განხორციელება საქართველოს მიერ”. დისკუსიის წარმართვისათვის დისკუსიის მონაწილეები უნდა გაეცნონ აღნიშნული დოკუმენტის ტექსტს.

გ3. საერთაშორისო პაქტი ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ

საერთაშორისო პაქტი ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა შესახებ წარმოადგენს ადამიანის უფლებათა საერთაშორისო დაცვის სისტემის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს დოკუმენტს, რომელიც გაერომ შეიმუშავა 1945 წლის შემდეგ. აღნიშნული პაქტი ძალაში შევიდა 1976 წელს. საქართველომ

ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა შესახებ საერთაშორისო პაქტის რატიფიცირება მოახდინა 1994 წელს.

საერთაშორისო პაქტი ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა შესახებ მიზნად ისახავს დაიცვას ადამიანის უფლებათა მთელი კომპლექსი (სოციალური, ეკონომიკური და კულტურული უფლებები).

პაქტში ჩამოთვლილი ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებები რაოდენობრივად უფრო მეტია, ვიდრე საყოველთაო დეკლარაციაში შესული ანალოგიური უფლებები. პაქტის დამსახურებაა, რომ მასში დეკლარირებულია არა მარტო უფლებები, არამედ მოცემულია მათი დახასიათება და განსაზღვრულია ზომები, რომლებიც უნდა იქნას მიღებული წვერი-სახელმწიფოების მიერ პაქტით გათვალისწინებული უფლებების დასაცავად (მე-7 მუხლი).

განსხვავებით სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების პაქტისაგან, საერთაშორისო პაქტი ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა შესახებ ითვალისწინებს ნაკისრ ვალდებულებათა არა დაუყოვნებლივ შესრულებას, არამედ გარკვეული ზომების მიღებას “რათა მიაღწიონ ამ უფლებათა სრულ რეალიზაციას”. უნდა აღვნიშნოთ, რომ ასეთი მიდგომა არა ერთხელ იქნა გამოყენებული სხვა საერთაშორისო დოკუმენტებშიც. მაგალითად, ევროპის სოციალურ ქარტიაში. საკითხისადმი ამგვარი მიდგომა განაპირობა წვერი-სახელმწიფოების სხვადასხვა ეკონომიკური განვითარების დონემ და სოციალურ-ეკონომიკური უფლებების სრულყოფილად და თანაბრად დაცვის გარკვეულმა პირობებმა. აღნიშნული უფლებების დაცვა შეუძლებელია ეკონომიკური დონის ზრდისა და მასთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტის გარეშე. მაგრამ ეს ისე არ უნდა იქნას გაგებული, თითქოს პაქტის თანდათან შესრულება ხანგრძლივ პერიოდს უნდა მოიცავდეს. სოციალურ, ეკონომიკურ და კულტურულ უფლებათა კომიტეტმა არა ერთხელ მიუთითა, რომ სახელმწიფოს ეკისრება “დაუყოვნებლივ მოქმედების ვალდებულება”.

პოლიტიკური და სამოქალაქო უფლებების დაცვა ავალებს სახელმწიფოს თავისი ვალდებულებების პირნათლად შესრულებას. ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა საერთაშორისო პაქტით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება გარკვეული ხარჯების გაღებას მოითხოვს

სახელმწიფოსაგან (სოციალური პროგრამების ამოქმედება, ჯანდაცვის ეფექტური სისტემის შექმნა, ეკონომიკის განვითარება, ახალი სამუშაო ადგილების შექმნა).

ზემოთ აღნიშნული პაქტის მონაწილე ყველა წევრი-სახელმწიფო ანგარიშს წარუდგენს კომიტეტს. ეს უკანასკნელი კი შეისწავლის პერიოდულ ანგარიშებს და მიუღმეო კონსულტაციებს უწევს ქვეყნის მთავრობას.

საერთაშორისო პაქტი შედგება პრეამბულისა და 31 მუხლისაგან, რომელიც ექვს თავად არის დაყოფილი. პრეამბულა წარმოადგენს პაქტის მონახაზს და გარკვეულწილად წააგავს სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა პაქტს. პრეამბულაში რამდენიმე მნიშვნელოვანი განმარტებაა მოცემული. მათ შორის ნათქვამია, რომ “ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის თანახმად, თავისუფალი, შიშისა და გაჭირვებისაგან თავისუფალი ადამიანის იდეალის მიღწევა შესაძლებელია მხოლოდ ისეთ პირობებში, როცა თითოეული შესძლებს ისარგებლოს პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებებით ისევე, როგორც სამოქალაქო უფლებებით...”. პრეამბულა აშკარად მიაჩნებს, რომ პაქტი გაეროს წესდების ზეგავლენით არის შექმნილი. ის ასევე მიუთითებს გაეროს წესდებით სახელმწიფოთა ნაკისრ ვალდებულებათაზე ხელი შეუწყოს ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა საყოველთაო პატივისცემასა და დაცვას.

პაქტის პირველი მუხლით აღიარებულია ყველა ხალხის თვით გამორკვევის უფლება და მისი შესაძლებლობა განსაზღვროს თავისი პოლიტიკური სტატუსი, ისწრაფოდეს ეკონომიკური, სოციალური და კულტურული განვითარებისაკენ. ამ საკითხმა საკმაოდ დიდი დებატები გამოიწვია, რამეთუ იმ პერიოდში ამგვარი განმარტება ყველა წევრი სახელმწიფოსათვის არ იყო მისაღები იდეოლოგიური მოსაზრებების გამო.

სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა საერთაშორისო პაქტისა და ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა საერთაშორისო პაქტის მე-3 მუხლები ერთი და იგივე საკითხს არეგულირებენ. ასევე - “ამ პაქტის მონაწილე სახელმწიფოები ვალდებულებას კისრულობენ უზრუნველყონ ქალისა და მამაკაცის თანასწორუფლებიანობა. ისარგებლონ ამ პაქტით დადგენილი ყველა ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებით”.

პაქტის მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს III თავი (6-15 მუხლები), რომელშიც ჩამოთვლილი და დახასიათებულია კონკრეტული უფლებები. პაქტით გარანტირებულია შრომის უფლება (მე-6 მუხლი). ეს უფლება მოიცავს ყოველგვარ შრომას, მიუხედავად იმისა, თუ სად არის “პირი” დასაქმებული - კერძო სექტორში, თუ სახელმწიფო სტრუქტურაში. შრომის უფლების რეალიზაციაზე დამოკიდებული “პირის” პირადი და მისი ოჯახის კეთილდღეობა. შრომის სამართლიანი, ხელსაყრელი პირობების შექმნის უფლება გულისხმობს შრომის ანაზღაურებას და უზრუნველყოფს შრომისათვის თანაბარი ანაზღაურების შესაძლებლობას (მე-7 მუხლი).

პაქტის III თავის მე-8 მუხლში საუბარია მშრომელთა პროფესიული კავშირების შექმნის უფლებაზე. აღნიშნული უფლება დაკავშირებულია სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების 22-ე მუხლთან, რომლის მიხედვითაც თითოეულ ადამიანს ენიჭება ასოციაციისა და პროფკავშირის შექმნისა და მასში გაწევრიანების უფლება. აღნიშნული უფლებები დაკავშირებულია გაფიცვის უფლებასთან.

სოციალური უზრუნველყოფის უფლება აღიარებულია პაქტის მე-9 მუხლით. ამ პაქტის მონაწილე სახელმწიფოები აღიარებენ თითოეული ადამიანის უფლებას სოციალურ უზრუნველყოფაზე სოციალური დახმების ჩათვლით. პერიოდული ანგარიშის განხილვის დროს სოციალურ, ეკონომიკურ და კულტურულ უფლებათა კომიტეტი მიუძღივად ინტერესდება წევრ-სახელმწიფოებში სოციალური უზრუნველყოფის სისტემის მოქმედებით. კომიტეტი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს ქალების, ბავშვების, უნარშეზღუდული პირებისა და მოხუცების მიერ ამ უფლებით სარგებლობის საკითხებს.

ოჯახის დაცვის უფლება (მე-10 მუხლი) განსაზღვრავს ოჯახის წევრთა, განსაკუთრებით კი დედათა და ბავშვთა უფლების დაცვის საკითხს. იმავე მუხლში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ქორწინების უფლებას, მშობიარობამდე და მშობიარობის შემდეგ პერიოდში ქალის უფლებების დაცვას. კომიტეტი დიდ ყურადღებას უთმობს ბავშვის უფლებათა დაცვას. კერძოდ, კი ბავშვის შრომას და მის საცხოვრებელ პირობებს.²¹

²¹ ყველაზე მნიშვნელოვან მუშაობას კი ამ მიმართულებით გაეროს ბავშვთა ფონდი წარმართავს.

ცხოვრების სათანადო დონის და პირობების უზრუნველყოფის უფლებას ეხება პაქტის მე-11 მუხლი. ჯანმრთელობის დაცვის უფლება გარანტირებულია პაქტის მე-12 მუხლით. სოციალურ, ეკონომიკურ, კულტურულ უფლებათა კომიტეტი დიდ დროს უთმობს ჯანმრთელობის უფლებების მონიტორინგის საკითხს. პერიოდული ანგარიშების განხილვისას კომიტეტი განსაკუთრებულ ყურადღებას ანიჭებს შიდასივრცით დაავადებულ პირთა უფლებების განხილვას. *განათლება (13-ე და 14-ე მუხლები)* - განათლება ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი წინაპირობაა ადამიანის უფლებებით სარგებლობისთვის. ეს ორი მუხლი მიუთითებს ბავშვთა დაწყებითი განათლების საკვალდებულო ხასიათზე, აქვეა აღნიშნული, რომ სახელმწიფომ არა მარტო უნდა უზრუნველყოს "საკვალდებულო უფასო დაწყებითი განათლება", არამედ შეიმუშაოს და მიიღოს ღონისძიებათა დეტალური გეგმა, რათა თანდათან განახორციელოს საყოველთაო საკვალდებულო უფასო განათლების პრინციპი".

კულტურულ ცხოვრებაში მონაწილეობის უფლება (15-ე მუხლი) - პაქტის მონაწილე სახელმწიფოები აღიარებენ თითოეული ადამიანის უფლებას მონაწილეობა მიიღოს კულტურულ ცხოვრებაში და სარგებლობდეს მეცნიერულ-ტექნიკური მიღწევებით. მუხლში მითითებულია სახელმწიფოს პოზიტიურ ვალდებულებზე - პატივი სცეს "თავისუფლებას, რომელიც აუცილებელია სამეცნიერო კვლევისა და შემოქმედებითი მოღვაწეობისათვის".

60-იანი წლებიდან მოყოლებული საერთაშორისო თანამეგობრობა დიდ ყურადღებას უთმობს სოციალურ-ეკონომიკურ უფლებათა განვითარებასა და დაცვას, როგორც უნივერსალურ, ისე რეგიონალურ დონეზე. ამის დასტურია ის საერთაშორისო სამართლებრივი აქტები, რომლებშიც ასახვა პოვა მეორე თაობის უფლებებმა.

ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა
კომიტეტი
(CESCR)

1985 წელს ეკონომიკურ და სოციალურმა საბჭომ ჩამოაყალიბა ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა კომიტეტი. ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების

საერთაშორისო პაქტის საფუძველზე წევრი-სახელმწიფოები ვალდებული არიან ყოველ 5 წელიწადში ერთხელ, კომიტეტში წარადგინონ ანგარიში პაქტით ნაკისრ ვალდებულებათა შესრულების შესახებ. კომიტეტმა წევრ-სახელმწიფოთა ანგარიშის განსახილველად შექმნა მუშა-ჯგუფი 5 წევრის შემადგენლობით. კომიტეტი არასამთავრობო ორგანიზაციებს საშუალებას აძლევს მუშა-ჯგუფებს გააცნოს თავისი შენიშვნები სახელმწიფოთა მოხსენებების თაობაზე. არასამთავრობო ორგანიზაციებს ეძლევათ უფლება კომიტეტში წარადგინონ ინფორმაციები ან ანგარიშები წერილობითი ფორმით.

კომიტეტი ყოველწიურად ეკოსს წარუდგენს ანგარიშს.

სამდივნოს მისამართი: უენევა.

Committee on Economic, Social and Cultural Rights.
c/o OHCHR-UNOC, 1211 Geneva 10, Switzerland.

სესიის ჩატარების ვადები: წელიწადში ორი სამ კვირიანი სესია მაისში და ნოემბერში-დეკემბერი-უენევა. ყოველ სესიას წინ უსწრებს მუშა ჯგუფის ერთკვირიანი სესია.

ასევე, კომიტეტი დიდ ყურადღებას უთმობს იმ არასამთავრობო ორგანიზაციებთან ურთიერთობას, რომლებიც მუშაობენ სოციალურ, კულტურულ და ეკონომიკურ სფეროში. ამასთან, გააჩნიათ ეკონომიკურ და სოციალურ საბჭოში საკონსულტაციო სტატუსი, მაგრამ ეს არ გამოორიცხავს კომიტეტის კავშირს იმ არასამთავრობო ორგანიზაციებთან, რომელთაც არ გააჩნიათ ეს სტატუსი. კომიტეტის მუშაობა დაკავშირებულია არასამთავრობო ორგანიზაციებთან. კერძოდ, ეს გამოიხატება:

- წევრ-სახელმწიფოთა ანგარიშის განხილვა;
- საერთო დისკუსიების ჩატარება;
- ზოგადი ხასიათის შენიშვნების შემუშავება.

2005 წელს კომიტეტმა გამართა რამდენიმე შეხვედრა. კომიტეტს წევრი-სახელმწიფოებისათვის შემუშავებული აქვს ანგარიშის შედგენის "დამხმარე" ვარიანტი, რომლის მიხედვითაც (ანგარიშის დეტალური მონახაზი, მეთოდოლოგია) იწერება

პერიოდული ანგარიში. ჩვეულებისამებრ, კომიტეტი სასესიო განიხილვაზე ხუთ-ექვს პერიოდულ ანგარიშს ისმენს, თუ წევრი-სახელმწიფო მოითხოვს წარდგენილი ანგარიშის განხილვის უკანასკნელ მომენტში გადადებას, კომიტეტი უარს ამბობს ამ მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე და წევრი ქვეყნის წარმომადგენლის დაუსწრებლობის შემთხვევაშიც კი, იხილავს მას. სამწუხაროდ, კომიტეტი ხშირად წევრი-სახელმწიფოების მიერ პერიოდული ანგარიშების დაგვიანებით წარმოდგენის ან გადადების წინაშეც დამდგარა. დაგვიანებული ანგარიშის წარდგენის შემთხვევაში, კომიტეტი აცნობებს წევრ-სახელმწიფოს მოქველებული ინფორმაციის მიწოდების თაობაზე. თუ კომიტეტი დამატებით ინფორმაციას ვერ მოიპოვებს წევრი-ქვეყნისაგან, მაშინ ეს უკანასკნელი განიხილავს სოციალური, ეკონომიკური და კულტურული უფლებების პაქტის შესრულებას არსებული ინფორმაციის წყაროებზე დაყრდნობით.

წევრი-სახელმწიფოს მიერ წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა სასესიო მუშა-ჯგუფის მიერ ხდება, რომელიც კომიტეტის ხუთი წევრისაგან შედგება. მუშა-ჯგუფი განიხილავს ანგარიშს და წარადგენს კითხვებს დამატებითი ინფორმაციის მისაღებად. განხილვის დროს, წევრი-სახელმწიფოს წარმომადგენელი ანგარიშის წარდგენისას ვალდებულია იმ კითხვებს გასცეს პასუხი, რომელიც მუშა-ჯგუფის მიერ შემუშავდა და წინასწარ გადაეცა ქვეყნის წარმომადგენელს დამატებითი ინფორმაციის მისაპოვებლად. განხილვის დროს იმართება კონსტრუქციული დიალოგი წევრ-სახელმწიფოსა და კომიტეტის წევრებს შორის. განხილვის დასკვნით ნაწილში კი კომიტეტი შეიმუშავებს რეკომენდაციებს კონვენციის განხორციელებასთან დაკავშირებით. დასკვნითი მოსაზრებები დაყოფილია ხუთ ნაწილად:

- 1) შესავალი;
- 2) დადებითი ასპექტები;
- 3) სირთულეები და ფაქტები, რომლებიც ხელს უშლიან პაქტის განხორციელებას;
- 4) მნიშვნელოვანი და რთული/პრობლემური საკითხები;
- 5) რეკომენდაციები და წინადადებები.

საბოლოო დასკვნის მიღება კომიტეტის მიერ ხდება დახურულ სხდომაზე, რომელიც საჯაროა სესიის ბოლო სამუშაო დღეს. კომიტეტმა დაადგინა, რომ რამდენჯერმე ადგილი ჰქონდა პაქტის შეუსრულებლობას და წევრ-სახელმწიფოებს მოსთხოვა

შეაწვიტა პაქტით გათვალისწინებული უფლებების შემდგომი დარღვევა. საჭიროების შემთხვევაში კომიტეტის თავმჯდომარე, როგორც ზეპირი, ასევე წერილობითი სახით მიმართავს წევრ-სახელმწიფოებს და შეატყობინებს კომიტეტის წევრთა „წახილს ამა თუ იმ უფლების დარღვევასთან დაკავშირებით“.

კომიტეტი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს სამოქალაქო საზოგადოებისათვის ინფორმაციის მიწოდებას პაქტის შესრულებასთან დაკავშირებით. სოციალურ, ეკონომიკურ და კულტურულ უფლებათა კომიტეტი პირველი იყო, რომელმაც გაეროს სხვა სახელშეკრულებო ორგანოებისაგან განსხვავებით საშუალება მისცა საერთაშორისო და ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციებს წარმოედგინათ განაცხადი კონკრეტულ ქვეყნებში პაქტით გათვალისწინებული უფლებებით სარგებლობის ან მათი დარღვევების შესახებ. ამასთანავე, არასამთავრობო ორგანიზაციებმა კომიტეტს პერიოდული ანგარიშის განხილვამდე რამდენიმე თვით ადრე უნდა მიაწოდონ ინფორმაცია წევრ-ქვეყანაში პაქტით გათვალისწინებული უფლებების დაცვის შესახებ. (თავში: არასამთავრობო ორგანიზაციების თანამშრომლობის შესახებ უფრო დაწერილებით იხილავთ.)

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სამწუხაროდ, სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული უფლებების საერთაშორისო პაქტის დარღვევის შემთხვევაში კომიტეტის მიერ ინდივიდუალური საჩივრების მიღება ჯერ-ჯერობით არ ხდება სპეციალური პროცედურისა და ფაკულტატიური ოქმის არ არსებობის გამო, რომელიც ამ პროცედურას განსაზღვრავს. 1993 წელს გამართულ ვენის ადამიანის უფლებათა საერთაშორისო კონფერენციაზე მიღებულ იქნა ვენის დეკლარაცია და მოქმედებათა გეგმა ფაკულტატიური ოქმის შესამუშავებლად. მოგვიანებით, კომიტეტმა შეიმუშავა ფაკულტატიური ოქმის პროექტი, მაგრამ ის ოფიციალურად უნდა მიიღოს გაეროს შესაბამისმა ორგანოებმა.

§ 4. გაეროს ეკონომიკური და სოციალური საბჭო (ECOSOC)

გენერალურ ასამბლეას უფლება აქვს საკითხის მოსამზადებლად შექმნას დამხმარე ორგანოები, რომლებიც გენერალური ასამბლეას სესიებს შორის პერიოდში, ადამიანის უფლებათა დაცვის დარგში ეკონომიკური და სოციალური საბჭო (ეკოსოსი) აქტიურ ხელმძღვანელობას უწევს.

ეკოსოსი გაეროს ერთ-ერთ ძირითად ორგანოს წარმოადგენს. საბჭოს, 54 წევრის შემადგენლობით, ირჩევს გაეროს გენერალური ასამბლეა. საბჭოს ფუნქციებია: ა) ორგანიზაციის ეკონომიკური და სოციალური საქმიანობის უზრუნველყოფა; ბ) საერთაშორისო ვითარება ეკონომიკურ, სოციალურ, კულტურულ, განათლების, ჯანმრთელობის დაცვისა და ბევრ სხვა დარგში და მისი შესწავლა და გამოკვლევა; გ) მოხსენებები და სათანადო რეკომენდაციების მომზადება; დ) რეკომენდაციების გაცემა ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა პატივისცემის დაცვისა და წახალისებისათვის; ე) საერთაშორისო კონფერენციებზე მუშავდება სათანადო კონვენციების პროექტები გაეროს გენერალურ ასამბლეაში წარსადგენად; ე) აწარმოებს მოლაპარაკებას გაეროს სპეციალიზირებულ დაწესებულებებთან. საბჭოსთან შექმნილია დამხმარე ორგანოები: გაეროს ადამიანის უფლებათა კომისია, ქალთა უფლებების კომისია და სხვ.

ადამიანის უფლებათა კომისია

ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში აქტიურ მონაწილეობას იღებს ეკონომიკური და სოციალური საბჭო (ECOSOC), ხოლო საბჭოს მთავარი დამხმარე ორგანო ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხებში არის *ადამიანის უფლებათა კომისია*.

ადამიანის უფლებათა დაცვის კომისია გაეროს ეკონომიკური და სოციალური საბჭოს (ECOSOC) მიერ შეიქმნა 1946 წელს გაეროს *წესდების საფუძველზე*, რომელიც ადამიანის უფლებების დაცვის სფეროში მუშაობს. კომისია პოლიტიკური ორგანოა.

კომისია უფლებამოსილია ამა თუ იმ სახელმწიფოში შექმნილი სიტუაციის გასარკვევად მოიწვიოს სპეციალური ექსპერტთა მუშაჯგუფი, რომლებიც დანიშნულნი არ არიან წევრი-სახელმწიფოების მიერ.

თავისი საქმიანობის სრულყოფის მიზნით, კომისიამ წამოაყალიბა რამდენიმე სუბსიდირებული ორგანო. 1947 წელს ადამიანის უფლებათა კომისიამ შექმნა დისკრიმინაციის დაუშვებლობისა და უმცირესობათა დაცვის გაეროს ქვეკომისია. 1999 წლიდან მას „ადამიანის უფლებათა ხელშეწყობისა და დაცვის ქვეკომისია“ ეწოდა. სპეციალური მომხსენებლები ქვეკომისიას წინასწარი განხილვისათვის გადასცემენ მოხსენებებს ისეთ აქტუალურ საკითხებზე, როგორცაა: *ხალხთა თვითგამორკეების უფლების* განვითარების ისტორია და თანამედროვე მდგომარეობა, ეროვნულ უმცირესობათა პრობლემა, აბორიგენი მოსახლეობის დისკრიმინაციის დაუშვებლობა და ა.შ. ქვეკომისიის დღის წესრიგში ყოველთვის დგას საკითხი ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დარღვევის შესახებ ამა თუ იმ ქვეყანაში. 1970 წლიდან, ქვეკომისია იხილავს საჩივრებს ადამიანის უფლებათა უხეში და სისტემატური დარღვევების შესახებ.

მის კომპეტენციაში არ შედის კონკრეტული კერძო საჩივრების განსჯა. საჩივრების საერთო ანალიზის საფუძველზე არკვევს, თუ რამდენად სისტემატური და მასობრივია უხეში დარღვევების ფაქტები. დასკვნების საფუძველზე მასალა გადაეცემა ადამიანის უფლებათა კომისიას, რომელიც აწყობს მათ განხილვას. რასაც შედეგად შეიძლება მოჰყვეს „დამნაშავე“ სახელმწიფოსათვის *გაეროს გენერალური ასამბლეის* მიერ შენიშვნის მიცემა, თუ *საერთაშორისო დანაშაული* არ არის ჩადენილი. მიუხედავად ამისა, აღნიშნული სისტემა სახელმწიფოებზე შემოქმედების საკმაოდ ეფექტურ საშუალებად გამოდგა. თუმცა, დღეს იგი ადგილს უთმობს *ადამიანის უფლებათა დაცვის სახელშეკრულებო მექანიზმებს*.

ადამიანის უფლებების დაცვის კომისიის მთავარი ფუნქციაა კონკრეტულ წევრ-ქვეყნებში ადამიანის უფლებების დარღვევის ფაქტების დადგენა და შესწავლა. ამ ღონისძიებას გაეროს სპეციალური მომხსენებელი ძირითადად თავის მუშა-ჯგუფთან ერთად ახორციელებს.

ხშირად ადამიანის უფლებები პოლიტიკურ პრობლემებს უკავშირდება. აღნიშნულ უფლებათა დაცვა დიპლომატიური საშუალებების გამოყენებას მოითხოვს, როგორც წესი ადამიანის უფლებათა დაცვის კომისია გაეროს გენერალური მდივნის სახელით მოქმედებს.

ადამიანის უფლებათა კომისიის პროცედურები, როგორც უკვე აღენიშნეთ, ეკონომიკური და სოციალური საბჭოს მიერ 1946 წელს, გაეროს წესდების 68-ე მუხლის საფუძველზე ჩამოყალიბდა. თავდაპირველად, კომისია შეიქმნა ადამიანის უფლებათა მხარდასაჭერად. კომისიის მოვალეობაში შედიოდა ადამიანის უფლებათა სფეროში კონვენციებისა და რეზოლუციების მომზადება. შემდგომში მისი სამუშაო არეალი გაფართოვდა და მან მიიღო უფლებამოსილება ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში.

კომისიის განსახილველ თემებს მიეკუთვნება:

- გაეროს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის მოხსენება;
- ხალხთა თვითგამორკვევის უფლება;
- რასიზმი, რასობრივი დისკრიმინაცის, ქსენოფობიისა და ყველა ფორმის დისკრიმინაციის თემები;
- განვითარების უფლება;
- მსოფლიოს ნებისმიერ კუთხეში ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხები;
- პირადი და პოლიტიკური უფლებები (მათ შორის: წამება და დაკავება; გაუზიარება და სასამართლოს გარეშე სიკვდილით დასჯა; სიტყვის თავისუფლება; რელიგიური შეუწყნარებლობა; განსაკუთრებული მდგომარეობა და მრავალი სხვა საკითხი დაკავშირებული აღნიშნულ უფლებებთან).
- ქალთა უფლებები და გენდერული თანასწორობა, ძალადობა ქალთა მიმართ;
- ბავშვის უფლებები;
- საზოგადოებრივ ჯგუფთა წევრების უფლებების დაცვის საკითხები (უმცირესობები, მიგრანტები, იძულებით გადაადგილებული პირები და სხვა პირები).
- ძირძველი მოსახლეობის უფლებათა დაცვის საკითხი;
- ქვეკომისიის მოხსენება ადამიანის უფლებათა დაცვისა და მხარდაჭერის (ქვეკომისიის წევრთა არჩევნები) საკითხები;
- ადამიანის უფლებათა დაცვას მხარს უჭერს (უფლებათა დაცვის, ინფორმაციისა და განათლების, ადამიანის უფლებათა სფეროში, მეცნიერებასა და გარე სამყაროს ორგანიზაციები).

- ადამიანის უფლებათა დაცვის მექანიზმების ეფექტური მოქმედება;
(ხელშეუხებლობის ორგანოები, ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნული ორგანოები და რელიგიური ხელშეკრულება, გაეროს რეფორმირების მცდელობა).
- ადამიანის უფლებათა სფეროში საკონსულტაციო მომსახურება, ტექნიკური თანამშრომლობა;
- ადამიანის უფლებათა კომისიის მუშაობის სრულყოფა.
დღის წესრიგის ცალკეულ საკითხებზე მეთვალყურის სტატუსით საკუთარი შეხედულებების გამოთქმის უფლებით (სეპირად და წერილობით), მაგრამ ხმის მიცემის უფლების გარეშე, სხდომების მუშაობაში მონაწილეობის უფლება აქვთ:
 - გაეროს სხვა წევრ-სახელმწიფოებს, რომლებიც იმ პერიოდში არ არიან კომისიის უფლებამოსილი წევრები;
 - სახელმწიფოები, რომლებიც არ არიან გაეროს წევრები (მაგალითად, ვატიკანი).
 - საერთაშორისო სამთავრობოთაშორისო ორგანიზაციები (ევროსაბჭო, ეუთო, ევროკავშირი).
 - გაეროს სპეციალიზირებული დაწესებულებები, როგორებიცაა გაეროს დტოდევილთა უმაღლესი კომისარი (UNHCR), შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია (ILO), გაეროს ბავშვთა ფონდი (UNICEF), განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაცია (UNESCO), გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაცია (FAO), ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია (WHO).
 - საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციები და სხვა, რომლებსაც არ გააჩნიათ ECOSOC – ის საკონსტიტუციო სტატუსი.
 - მას-მედია.

კონტროლის მექანიზმები ადამიანის უფლებათა კომისიის ფარგლებში

გაეროს სისტემაში მნიშვნელოვანია მაკონტროლებელი პროცედურების ფორმირება და განვითარება, რომლებიც მიზნად ისახავენ კომისიის კომპეტენციის გაზრდას. ამ მიმართულებით ეკონომიკურმა და სოციალურმა საბჭომ (ეკოსომა) 1967 წელს

მიიღო №1235 (XLII) რეზოლუცია, რომლითაც დანერგა შეტყობინებათა პრაქტიკა. შეტყობინება განაცხადის (სასივრის) ხასიათს ატარებს და სახელმწიფოს ედება ბრალი ადამიანის უფლებათა დარღვევაში.

კომისიამ მიიღო მაკონტროლებელი ფუნქციის შესრულების აშკარად გამოხატული უფლებამოსილება. რეზოლუციით ადამიანის უფლებათა კომისიის— „ადამიანის უფლებათა ხელშეწყობისა და დაცვის ქვეკომისიას“ უფლება მიეცა განიხილოს შეტყობინებები, რომლებიც მიუთითებენ „ადამიანის უფლებათა განმეორებით დარღვევებზე“. მაგალითად, აპარტიდზე, რომელსაც იყენებდნენ სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში და დასავლეთ აფრიკის ტერიტორიაზე. ასევე რასობრივი დისკრიმინაციის ფაქტები, რომლებსაც ადგილი ჰქონდა სამხრეთ როდეზიაში და სხვა.

პირველად №1235-ე რეზოლუციის გამოყენების პრაქტიკამ ცხადყო, რომ კომისია და ქვეკომისია უფლებამოსილნი არიან შეისწავლონ ადამიანის უფლებათა ყველა დარღვევა, რომლებიც მასობრივ და სისტემატურ ხასიათს ატარებენ და აქედან გამომდინარე, გაანიათ განმეორებადი ხასიათი.

1970 წელს, ეკოსოსმა მიიღო №1503 (XLVIII) რეზოლუცია. მას ეწოდება: „ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დარღვევის შესახებ შეტყობინებათა განხილვის პროცედურა“. ეს რეზოლუცია დისკრიმინაციის თავიდან აცილებისა და უმცირესობათა დაცვის შესახებ ქვეკომისიას ანიჭებდა უფლებამოსილებას, შეექმნა მუშა-ჯგუფი, რომელიც 5 წევრისაგან შედგებოდა. წელიწადში ერთხელ, დახურულ სხდომაზე ხდებოდა ჯგუფის შეკრება. მათი მთავარი ამოცანა იყო სახელმწიფოთა მხრიდან მიღებული შეტყობინებების გაანალიზება. მიღებული ინფორმაციებიდან ჯგუფი არჩევდა შეტყობინებებს, რომლებსაც გადასცემდა ქვეკომისიას. მუშა-ჯგუფს მოხსენების მიღებისას გამოჰქონდა გადაწყვეტილება, რომელშიც მითითებული იყო ადამიანის უფლებათა სისტემატურ, უხეშ დარღვევებზე. შემდგომ ეტაპზე ეს შეტყობინებები ცნობისათვის გადაეცემოდა ადამიანის უფლებათა კომისიას. საკონტროლო განხილვა შეიძლება შეწყვეტილიყო ისე, რომ არ

ამდენად, აღნიშნული პროცედურა №1503 არაეფექტურობის გამო, რეფორმირებულ იქნა 2000 წელს და ეკოსოსის ამ რეზოლუციამ ახალი ნომერი №2000/3 მიიღო, თუმცა მას დღესაც №1503 პროცედურებით მოიხსენებენ.

ECOSOC-ის №2000/3 რეზოლუციით, ადამიანის უფლებათა ხელშეწყობისა და დაცვის ქვეკომისიას მიენიჭა უფლებამოსილება, თავისი შემადგენლობიდან შექმნას მუშა-ჯგუფი შეტყობინებათა შესახებ. ეს ჯგუფი იკრიბება წელიწადში ერთხელ ქვეკომისიის მუშაობის დასრულებისთანავე, რათა განიხილოს ცალკეულ პირთა ან პირთა ჯგუფების მიერ გაგზავნილი შეტყობინებები და ასევე სახელმწიფოებიდან მიღებული პასუხები, თუ დადგინდება, რომ შეტყობინება ეხება ადამიანის უფლებათა უხეშ დარღვევას, ინფორმაცია გადაეგზავნება მუშა-ჯგუფს სიტუაციების შესახებ. ეს ჯგუფი შედგება 5 წევრისაგან და მათი შეხვედრა უნდა შედგეს ადამიანის უფლებათა კომისიის სხდომის დაწყებამდე ერთი თვით ადრე მაინც. ამ ჯგუფმა უნდა გადაწყვიტოს გადაეცეს თუ არა შეტყობინებაში აღწერილი ადამიანის უფლებათა დარღვევის ფაქტები კომისიას განსახილველად. იმ მომენტანდე, ვიდრე ადამიანის უფლებათა დარღვევის საქმე არ გადაეცემა ეკოსოს-ს, ყველა მანამდე ჩატარებული პროცედურა კონფიდენციალურია. აღნიშნულ შეტყობინებას ეკოსოს-ს ადამიანის უფლებათა კომისია გადასცემს მას შემდეგ, რაც სხდომაზე შეისწავლის ადამიანის უფლებათა დარღვევის ფაქტებს.

№1503 პროცედურა ითვალისწინებს შემდეგ მომენტებს:

- შეტყობინება მიღებული იქნება, თუ ის შეიცავს უტყუარ ინფორმაციას იმის თაობაზე, რომ აღგილი პქონდა ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა არა ერთ სერიოზულ დარღვევას;
- შეტყობინება შეიძლება შეტანილ (გაგზავნილ) იქნას “პირის” ან “პირთა ჯგუფის” მიერ, რომლებიც თვლიან, რომ ისინი არიან ადამიანის უფლებათა დარღვევის მსხვერპლნი, ასევე იმ “პირების” მიერ რომლებსაც გააჩნიათ ინფორმაცია ამგვარი დარღვევების შესახებ;

22 ქაკლინ კაცშაი. ბაუროს ადამიანის უფლებათა დაცვის სისტემა. ვარსაჰა 2002წ. გვ.26-27.

- არ განიხილება ანონიმური განაცხადები. ასევე, მედია საშუალებებით მიღებული ინფორმაცია;
- შეტყობინებებში უნდა იქნას აღწერილი ფაქტები და არსებობდეს საფუძველი იმის მტკიცებისა, რომ ადგილი ჰქონდა ადამიანის უფლებათა დარღვევას;
- შეტყობინება არ უნდა იქნას დაწერილი შეურაცხმყოფელი სიტყვებით მოპასუხე-სახელმწიფოს მიმართ;
- განაცხადის წარდგენამდე ამოწურული უნდა იყოს ყველა შიდასამართლებრივი დაცვის საშუალებები.

№1503 პროცედურის მიხედვით, განცხადების განხილვა დახურულია. ამიტომ სახელმწიფოებს აქვთ ორი საშუალება:

- კომისია, თუ მოლაპარაკებების მეშვეობით მოახერხებს იმას, რომ სახელმწიფოში მდგომარეობა გაუმჯობესდება და სიტუაციის გამოსასწორებლად გაატარებს მთელ რიგ ღონისძიებებს, საქმე დასრულებულად ჩაითვლება. ერთადერთი მინიშნება იქნება კომისიის მიერ გამოქვეყნებული ანგარიში, სადაც მითითებული იქნება კონკრეტული სახელმწიფო, რომლის მიმართაც გამოყენებულ იქნა №1503 პროცედურა, მაგრამ არ გამოქვეყნდება ინფორმაცია იმის თაობაზე, თუ რა მიზეზით იქნა აღძრული №1503 პროცედურა.
- თუ სახელმწიფო არ ითვალისწინებს კომისიის შენიშვნებს და დასკვნებს, განაგრძობს ადამიანის უფლებათა უხეშ დარღვევას, კომისიას შეუძლია ამ სახელმწიფოში არსებული სიტუაცია გადაგზავნოს №1235 პროცედურით განხილვისათვის. ეს პროცედურა საქმის საჯაროდ განხილვას ითვალისწინებს და საკითხი ღიად განიხილება კომისიის სხდომაზე.

ადამიანის უფლებათა კომისიამ და ეკოსოსმა ჩამოაყალიბეს კონვენციისაგან დამოუკიდებელი პროცედურა და მექანიზმი:

- სპეციალური მომხსენებელი, წარმომადგენელი ან ექსპერტი, რომელიც მოქმედებს, როგორც დამოუკიდებელი ექსპერტი ეკოსოსისა და ადამიანის უფლებათა კომისიის მიერ მიცემული მანდატის ფარგლებში.
- ადამიანის უფლებათა კომისიამ თავისი არსებობის მანძილზე ჩამოაყალიბა სხვადასხვა მუშა-ჯგუფები:

- ძირძველი მოსახლეობის შესახებ გაეროს დეკლარაციის პროექტის შემშუშავებელი მუშა-ჯგუფი;
- იძულებითი ან ძალადობითი გაუწინარების შესახებ მუშა-ჯგუფი და სხვა;

ადამიანის უფლებათა კომისიის სპეციალური მომხსენებელი. ადამიანის უფლებათა კომისიის სპეციალური მომხსენებელი ითვალისწინებს ადამიანის უფლებათა კომისიის პროცედურებს, ხოლო მათი საქმიანობა სამანდატო სისტემაზეა დაფუძნებული. არსებობს რამდენიმე სახის მანდატი:

- *სპეციალურ მომხსენებელს ეძლევა მანდატი იმ სახელმწიფოში მოქმედებისათვის, რომლის ტერიტორიაზეც განხორციელდა ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხებთან დაკავშირებული გამოკვლევა, მონიტორინგი და ამის საფუძველზე მომზადდა ანგარიში საჯარო განხილვისათვის;*
- *თემატური მანდატი, რომელიც სპეციალურ მომხსენებელს ეძლევა მსოფლიოს მასშტაბით ადამიანის უფლებებთან დაკავშირებული სიტუაციის შესასწავლად ამ სფეროში მონიტორინგისა და მოხსენების საჯარო წარდგენისათვის.*

სპეციალური მომხსენებლის მუშაობის მეთოდები. სპეციალური მომხსენებლის სამუშაო მეთოდებსა და მის უფლებამოსილებას განსაზღვრავს ადამიანის უფლებათა კომისიის № 1985/33 რეზოლუცია. მისი მოღვაწეობა ეფუძნება ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ბილს და გაეროს სხვა სამართლებრივ აქტებს.

სპეციალური მომხსენებლის ფუნქციები განსაზღვრულია შემდეგნაირად:

- მიმართავს მთავრობებს, გაეროს სპეციალიზირებულ ორგანოებსა და საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციებს უტყუარი ინფორმაციის მიღებისათვის;
- გადასცემს სახელმწიფოს მის ხელთ არსებულ ინფორმაციას ადამიანის უფლებათა დარღვევების შესახებ. ამავ დროს, ის თხოვს სახელმწიფოს გაეცნოს ფაქტებს და წარმოადგინოს პასუხი, ჩაატაროს გამოძიება აღნიშნული დარღვევის აღმოსაფხვრელად, დასაჯოს დამნაშავე პირები და სხვა;

- სპეციალური მომხსენებელი ანალიზს უკეთებს სახელმწიფოს პასუხებს და უგზავნის მათ “ბრალმდებელ” პირებს, რათა მათ გააკეთონ კომენტარები;
- სპეციალურ მომხსენებელს სისტემატური კონტაქტი აქვს გაეროს შესაბამის ორგანოებთან;
- სპეციალური მომხსენებელი ჩადის იმ ქვეყნებში (მთავრობის მიწვევით) ან თავისი საკუთარი ინიციატივით (ატყობინებს მთავრობას მოსალოდნელი ვიზიტის შესახებ);
- ვიზიტის შედეგად მიღებული ინფორმაციის ანალიზის შემდეგ სახელმწიფოს უგზავნის რეკომენდაციებსა და შენიშვნებს;
- სპეციალური მომხსენებელი ყოველწლიურად წარადგენს ანგარიშს ადამიანის უფლებათა კომისიის წინაშე.

§5. ალამიანის უზღუბათა დაცვის საერთაშორისო

აქტები ბაეროს ფარგლებში

გაეროს ფარგლებში შემუშავებული 100–ზე მეტი კონვენცია და დეკლარაცია ფართო საკითხებს მოიცავს. ჩვენ მხოლოდ რამდენიმე მათგანზე შევჩინებთ თქვენს ყურადღებას.

- 1948 წელს მიღებული კონვენცია გენოციდის წინააღმდეგ ბრძოლის კონვენციაა, რომელშიც მოცემულია გენოციდის განსაზღვრება. ის მიჩნეულია მოქმედებად, “რომლის მიზანია მთლიანად ან ნაწილობრივ გაანადგუროს ეროვნული, ეთნიკური ან რელიგიური ჯგუფი”. კონვენცია გენოციდს საერთაშორისო-სამართლებრივ დანაშაულად აცხადებს და ითვალისწინებს დამნაშავეთა პასუხისმგებლობის საკითხს. სახელმწიფოებს ავალდებულებს ებრძოლონ გენოციდის ყოველგვარ გამოვლინებას და მიიღონ ქმედითი ზომები მის აღმოსაფხვრელად. იმ შემთხვევაში, როდესაც გენოციდი სახელმწიფოს პოლიტიკაა, მისი განმხორციელებელი პირები საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლოს წინაშე აგებენ პასუხს (გენოციდი, როგორც საერთაშორისო დანაშაული აღიარებულ იქნა ნიურნბერგის, ტოკიოს, რუანდის,

ყოფილი იუგოსლავიისა და სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოების მიერ).

- 1951 წელს მიღებული კონვენცია „*ლტოლვილთა სტატუსის შესახებ*“ განსაზღვრავს ლტოლვილთა უფლებებსა და მოვალეობებს. ამასთანავე, უფლებას დეპორტირაციის შესახებ. მათი დეპორტაცია არ მოხდეს ისეთ ქვეყნებში, სადაც მათ სიცოცხლეს საფრთხე ემუქრება „...*რასის, რწმენის, მოქალაქეობის, გარკვეული სოციალური ჯგუფის წევრობის ან პოლიტიკური მრწამსის ნიშნით დევნის ობიექტი, დასაბუთებული საშიშროების გამო იმყოფება თავისი ქვეყნის გარეთ და არ შეუძლია ისარგებლოს შესაბამისი მფარველობით ან არ გააჩნია გარკვეული მოქალაქეობა და მსგავსი მოვლენების შედეგად იმყოფება თავისი ქვეყნის გარეთ*“. კონვენციამ აღიარა ლტოლვილთა უფლებები ყოველდღიური ცხოვრების სხვადასხვა ასპექტში. მათ შორის, უფლება შრომაზე, განათლებაზე, საზოგადოებრივ მხარდაჭერაზე, სოციალურ უზრუნველყოფაზე და დოკუმენტების გადაგზავნის უფლებებზე. 1951 წელს ჩამოყალიბდა გაეროს *ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატი (UNHCR)*, რომლის ძირითადი მისიაა აღრიცხოს, დახმარება გაუწიოს და დაიცვას ლტოლვილთა უფლებები. 1967 წლის დამატებით ოქმში ლტოლვილების სტატუსის შესახებ აღნიშნულია, რომ ლტოლვილთა უფლებების დაცვა ხორციელდება ყველა ლტოლვილზე. მათი დაცვის შესახებ მიღებულ იქნა რეგიონალური კონვენციები (1969 წელს აფრიკის ერთობის ორგანიზაციის კონვენცია, რომლის დაცვის ობიექტები არიან აფრიკის კონტინენტის ლტოლვილები; 1984 წლის კარტახენის დეკლარაცია, რომელიც შეეხება საერთაშორისო მექანიზმის ფარგლებში შეიარაღებული კონფლიქტების დროს ლტოლვილთა დაცვის საკითხს).
- 1963 წელს, გაერომ მიიღო სპეციალური დეკლარაცია „*რასობრივი დისკრიმინაციის ყველა ფორმის ლიკვიდაციის შესახებ*“; ხოლო 1969 წელს მიღებულ იქნა ანალოგიური დასახელების კონვენცია რასობრივი დისკრიმინაციის შესახებ, სადაც აღნიშნულია, რომ ყოველგვარი განსხვავება წარმოშობის, სქესის,

რელიგიური მრწამსის, კანის ფერის ნიშნის მიხედვით ეკონომიკურ-სოციალურ და კულტურულ-საზოგადოებრივი ცხოვრების ამა თუ იმ დარგში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა აღიარების ან თანაბარ საწყისებზე განხორცილების გაუქმება თუ შეზღუდვა აკრძალულია და დასჯადი ქმედებაა (მუხლი 1). კონვენციით აკრძალულია რასობრივი დისკრიმინაციის ყველა ფორმა, სეგრეგაციისა და აპარტიდის გამოვლინება. გარდა ამისა, კონვენცია კრძალავს ისეთი ორგანიზაციების საქმიანობას, რომლებიც საზოგადოებაში ეწვეიან რასობრივი დისკრიმინაციის იდეის პროპაგანდას.

1979 წელს, მიღებულ იქნა კონვენცია „ქალთა მიმართ ყველა ფორმის დისკრიმინაციის ლიკვიდაციის შესახებ“. კონვენციის პირველ მუხლში მოცემულია დისკრიმინაციის დეფინიცია, რომელიც შეესაბამება კონვენციის ყველა მუხლს. კონვენცია ავალდებულებს მონაწილე სახელმწიფოებს დაგმონ ქალის დისკრიმინაციის ნებისმიერი გამოვლინება და აღმოფხვრან ქალის დისკრიმინაცია, ასევე შეიტანონ ქალისა და მამაკაცის თანასწორუფლებიანობის პრინციპი კონსტიტუციაში და სხვა საკანონმდებლო აქტებში. მე-3 მუხლი მიუთითებს სახელმწიფოს ყველა სფეროში და კერძოდ, სოციალურ, პოლიტიკურ, ეკონომიკურ და კულტურულ სფეროებში ქალის მონაწილეობის უზრუნველსაყოფად მიხარდამჭერი ღონისძიებების გატარებას. ამ კონვენციის მეშვეობით შესაძლებელი გახდა ადამიანის უფლებების საერთაშორისო ინსტრუმენტებში დამატებით ქალთა უფლებებისა და თანასწორობისთვის სპეციალური დამცავი მექანიზმების ჩამოყალიბება. კონვენციის მე-5 მუხლით, სადაც ქალის თანასწორობა კანონითაა განსაზღვრული, წევრმა ქვეყანამ ყველა ზომა უნდა მიიღოს ერთ-ერთი სქესის არასრულფასოვნების სტერეოტიპის აღმოსაფხვრელად. კონვენციაში ასევე ხაზგასმულია წევრი-სახელმწიფოს ვალდებულება, აღმოფხვრას ნებისმიერი სახის დისკრიმინაცია, რომელიც ხელს შეუშლის ქალს თავისი ქვეყნის პოლიტიკურ და სამოქალაქო ცხოვრებაში. ამასთან,

მონაწილე სახელმწიფოები კანონის წინაშე აღიარებენ ქალის მამაკაცთან თანასწორობას. ამავ დოკუმენტის მეშვეობით სახელმწიფოები თანხმდებიან ბათილად სცნონ ყველა ის ხელშეკრულება და იურიდიული დოკუმენტი, რომელსაც ქალის უფლება-უნარიანობის შეზღუდვა მოჰყვება. ქალებისთვის თანასწორი უფლებების მინიჭება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ერთ-ერთი ძირითადი პრინციპია. გაეროს წესდების პრეამბულაში ნათქვამია: “გაერთიანებული ერების ხალხმა გადაეწყვიტა კვლავ დაეამკვიდროთ რწმენა ადამიანის ძირითადი უფლებების, ადამიანის პიროვნების ღირსებისა და ფასეულობის, ქალთა და მამაკაცთა თანასწორუფლებიანობისა და დიდი და პატარა ერების თანასწორობის”.

- 1984 წელს გაერომ მიიღო წამების არაადამიანური ან ღირსების დამამკრებელი მოპყრობისა ან სასჯელის წინააღმდეგ კონვენცია, რომლის საფუძველზეც წამება საერთაშორისო დანაშაულად იქნა აღიარებული. კონვენცია არ ამართლებს წამებას და კრძალავს ყველა მის გამოვლინებას ნებისმიერი სახით.
- 1989 წელს მიღებულ იქნა კონვენცია ბავშვის უფლებათა შესახებ, რომელიც აღიარებს ბავშვის უფლებებს და ქმნის ბავშვის უფლებათა დაცვის ქმედით სისტემას. კონვენციით აღიარებულია ყველა ძირითადი უფლება და თავისუფლება, ზოგიერთი გამონაკლისის გარდა (მაგალითად, საარჩევნო უფლება, სახელმწიფოს მართვაში მონაწილეობის უფლება). კონვენციით განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ლტოლვილ და ინვალიდ ბავშვებს, ასევე ბავშვებს, რომლებიც ეროვნულ უმცირესობას მიეკუთვნებიან.
- 1990 წელს მიღებულ იქნა საერთაშორისო “*კონვენცია ყველა მშრომელი-მიგრანტისა და მათი ოჯახის წევრების უფლებების დაცვის შესახებ*”, რომელიც განსაზღვრავს სხვა ქვეყნებში მყოფი მუშებისა და მათი ოჯახის წევრების მდგომარეობას და კისრულობს მათ დაცვას, მიუხედავად იმისა ლეგალურად თუ არალეგალურად იმყოფებიან ისინი სხვა სახელმწიფოებში.

გაეროს ეგიდით მიღებული დეკლარაციები და კონვენციები გარკვეულწილად საფუძველად უდევს მთელ რიგ რეგიონალურ

საერთაშორისო ხელშეკრულებებს, ისეთებს როგორცაა: ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების ევროპული კონვენცია, ადამიანის უფლებების ამერიკული კონვენცია და ადამიანის უფლებებისა და ხალხების აფრიკული ქარტია და სხვა.

გაერომ, გარდა აღნიშნული შეთანხმებებისა, მიიღო სხვა ნორმატიული აქტები და წესები, რომელთაც შეხება აქვთ ადამიანის უფლებების დაცვის პრობლემებთან. ესენია: „კოდექსი საქციელის შესახებ“, „პრინციპი“ და ა.შ. აღნიშნული დეკლარაციები არ ითვლება შეთანხმებებად, თუმცა სახელმწიფოები აწერენ ხელს. მიუხედავად ამისა, მათ დიდი მნიშვნელობა ენიჭებათ, რადგან მას სახელმწიფოები გულმოდგინედ ამზადებენ და იღებენ ურთიერთშეთანხმების საფუძველზე. განსაკუთრებით მნიშვნელოვნადაა მიჩნეულია შემდეგი დოკუმენტები:

- 1981 წელს მიღებული *დეკლარაცია რელიგიისა და მრწამსის საფუძველზე ყველა ფორმის შეურიგებლობისა და დისკრიმინაციის ლიკვიდაციის შესახებ, რომელიც* ამტკიცებს თითოეული ადამიანის უფლებას აზრის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლებაზე. ამავე დროს, აღიარებს მის უფლებას, არ იღვენებოდეს რელიგიური მრწამსისა და სხვა რწმენის აღიარების გამო და არ გახდეს დისკრიმინაციის ობიექტი.
- 1986 წლის *დეკლარაციამ განვითარების შესახებ*, „განვითარება“ აღიარა ადამიანის უფლებების ერთ-ერთი განუყოფელ უფლებად, რომლის თანახმადაც თითოეულ პიროვნებას ცალკე და ყველა ხალხს ერთად აქვს უფლება, თავისი წვლილი შეიტანოს და გამოიყენოს ეკონომიკური, სოციალური, კულტურული და პოლიტიკური განვითარების შედეგები, რომლის დროსაც ადამიანის ყველა უფლება და თავისუფლება მთლიანად იქნება რეალიზებული. გარდა ამისა, აღინიშნა ისიც, რომ შესაძლებლობების თანაბარი „განვითარება“ წარმოადგენს, როგორც ერის, ასევე ცალკეული ადამიანის პეროგატივას.
- 1992 წელს გაეროს მიერ მიღებულ *იქნა დეკლარაცია იმ პირთა უფლებების შესახებ, რომლებიც მიეკუთვნებიან ეროვნულ, ეთნიკურ, რელიგიურ და ენობრივ უმცირესობებს*. აღნიშნული დოკუმენტი აღიარებს

უმცირესობის უფლებებს თავისი კულტურის, რელიგიის, საკუთარი ენისა და თვითმყოფადობის შენარჩუნებაზე, უფლებას დაბრუნდეს სამშობლოში. ამავე დროს, ხალხს მოუწოდებს უზრუნველყოს უმცირესობის ეს უფლება.

- სხვა მნიშვნელოვანი დოკუმენტებია: მინიმალური სტანდარტული წესები პატიმართა მოპყრობის შესახებ (1957წ); ძირითადი პრინციპები სასამართლო ორგანოების დამოუკიდებლობის შესახებ (1985წ); იმ პირთა დაცვის პრინციპების კრებული, რომლებიც ექვემდებარებიან დაკავებას ან დაპატიმრებას ნებისმიერი ფორმით (1988წ); დეკლარაცია ძალადობრივად გაუჩინარებულ პირთა დაცვის შესახებ;

§ 6. გაეროს სხვა ხელშეკრულებითი ორბანოები

გაეროს მიერ კონვენციით ნაკისრ ვალდებულებებზე საზედამხედველოდ შექმნილ შესაბამის ორგანოებს სახელშეკრულებო ორგანოები ეწოდება. ესენია:

1. ადამიანის უფლებათა კომიტეტი (CCPR) ჩამოყალიბდა სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა საერთაშორისო პაქტის (1966წ) საფუძველზე;
2. წამების საწინააღმდეგო კომიტეტი (CAT) ჩამოყალიბდა წამების, არაადამიანური ან ღირსების დამამცირებელი მოპყრობისა ან სასჯელის წინააღმდეგ კონვენციის (1984წ) საფუძველზე;
3. რასობრივი დისკრიმინაციის შესახებ კომიტეტი (CERD) ჩამოყალიბდა ყველა ფორმის რასობრივი დისკრიმინაციის აღმოფხვრის საერთაშორისო კონვენციის (1965წ) საფუძველზე;
4. ქალთა დისკრიმინაციის ლიკვიდაციის კომიტეტი (CEDAW) - ქალთა მიმართ ყველა ფორმის დისკრიმინაციის ლიკვიდაციის შესახებ კონვენციის (1979წ) საფუძველზე;
5. ბავშვის უფლებათა კომიტეტი (CRC) - ბავშვის უფლებათა შესახებ კონვენციაზე ვალდებულებათა შესრულების საზედამხედველოდ;

6. ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა კომიტეტი (CESCR) ჩამოყალიბდა ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების საერთაშორისო პაქტის (1966წ) საფუძველზე; ამჯერად, გაეროს სახელშეკრულებო ორგანოების ცალ-ცალკე განხილვა მათი სიმრავლის გამო, ჩვენს ამოცანას არ წარმოადგენს. შედარებით დეტალურად განვიხილავთ მხოლოდ ორ მათგანს: წამების საწინააღმდეგო და წამების, არაადამიანური ან ღირსების დამამცირებელი მოპყრობისა და დასჯის კომიტეტის საქმიანობას.

წამების საწინააღმდეგო კომიტეტი (CAT)

კომიტეტი ჩამოყალიბდა წამების, არაადამიანური ან ღირსების დამამცირებელი მოპყრობისა ან სასჯელის წინააღმდეგ კონვენციის საფუძველზე. კონვენცია ძალაში შევიდა 26.06.1987წ. და მას გააჩნია დამატებითი ოქმი (სტამბულის ოქმი).

კომიტეტის ფუნქციები:

- საჯარო სხდომებზე მიიღოს და განიხილოს წევრ-სახელმწიფოთა ანგარიში (იხ. ცხრილი).
- იღებს და შეისწავლის ინდივიდუალურ განაცხადებს, თუ წევრ-სახელმწიფომ აღიარა კომიტეტის კომპეტენცია;
- იღებს და დახურულ სხდომებზე განიხილავს ანგარიშებს სისტემატური წამების შესახებ;
- კონვენციის მე-20 მუხლის თანახმად, კომიტეტის ყველა მოქმედება კონფიდენციალურია, მაგრამ კომიტეტს შეუძლია თავის ანგარიშში გამოაქვეყნოს გამოძიების შედეგები;
- კონვენციის 21-ე მუხლის საფუძველზე მიიღოს და განიხილოს ერთი სახელმწიფოს განაცხადი (საჩივარი) მეორე სახელმწიფოს მიმართ, „თუ აღიარებს კომიტეტის კომპეტენციას მიიღოს და განიხილოს შეტყობინებები, რომლებიც შეიცავენ ერთი მონაწილე სახელმწიფოს საჩივარს იმის შესახებ, რომ მეორე სახელმწიფო ნაკისრ ვალდებულებებს არ ასრულებს“;
- შეუძლია ექსტრემალურ სიტუაციაში შექმნას კომისია საკითხთა გამოძიებაზე. განხორციელებულ მოქმედებათა პროცედურა საიდუმლოა;

- მხედველობაში იღებს არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ მიწოდებულ ინფორმაციას.

საჯაროდ გამოქვეყნებული ინფორმაციაა **წევრ-სახელმწიფოს** წლიური ანგარიში და განხილული შეტყობინებები.

სამდივნოს მისამართია: *ვენევა.*

Committee against Torture

c/o OMCM-UNOQ

1211 Geneva 10, Switzerland

fax: 0-041/22/917-90-22.

სესიები ტარდება ვენევაში წელიწადში 2-ჯერ: აპრილსა და ნოემბერში.

წამების საწინააღმდეგო კომიტეტში წარდგენილი ინდივიდუალური განაცხადები ეხება იმ პირებს, რომელთა უფლებებიც იქნა დარღვეული

კონვენცია აძლევს შესაძლებლობას:

- წარმოადგინოს ინდივიდუალური განაცხადები კონვენციის წევრ-სახელმწიფოთა მიერ კონვენციის დარღვევის შესახებ. ეს შესაძლებელია, თუ სახელმწიფოს აღიარებული აქვს კომიტეტის იურისდიქცია კონვენციის 22-ე მუხლის თანახმად.
- თუ მსხვერპლს არა აქვს საშუალება წარმოადგინოს შეტყობინება, მისი სახელით მოქმედებენ მისი ოჯახის წევრები ან მისი წარმომადგენლები.

შეტყობინება მისაღებია, თუ აკმაყოფილებს შემდეგ მოთხოვნებს:

- უნდა იქნას ხელმოწერილი და არა ანონიმური;
- არ უნდა მოხდეს უფლების ბოროტად გამოყენება;
- უნდა ეხებოდეს კონვენციით გათვალისწინებული უფლებების დარღვევას.

- საქმე არ არის განხილული ან არ იხილება სხვა საერთაშორისო ორგანოების მიერ (მაგალითად, ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში).
- ამოწურულია ყველა შიდასამართლებრივი მექანიზმი.
განაცხადის წარდგენისას არ არის აუცილებელი გარკვეული ვადის დაცვა შიდასამართლებრივი საშუალებების ამოწურვის შემდეგ.

CAT-ის ფარგლებში გათვალისწინებული სხვა პროცედურები.
კომიტეტის მიერ ჩატარებული გამოძიება (კონვენციის მე-20 მუხლი) შესაძლებელია:

- თუ კომიტეტი მიიღებს უტყუარ ინფორმაციას;
- ინფორმაცია შეიცავს დასაბუთებულ მონაცემებს;
- სახელმწიფოს მიერ წამების სისტემატურად გამოყენება.

კომიტეტს საშუალება აქვს:

- მიმართოს სახელმწიფოს წარმოდგინოს თავისი შენიშვნები;
- ჩაატაროს სასწრაფო და კონფიდენციალური გამოძიება და მოინახულოს კონვენციის დამრღვევი სახელმწიფო;
- ეს ზომები მკაცრად კონფიდენციალურია. კომიტეტს არ შეუძლია იმოქმედოს აღნიშნული სახელმწიფოს თანხმობისა და თანამშრომლობის გარეშე.
- კომიტეტს შეუძლია გამოაქვეყნოს ანგარიში გამოძიების შესახებ.

რასობრივი დისკრიმინაციის ლიკვიდაციის კომიტეტი (CERD)

კონვენციის საფუძველზე კომიტეტი ჩამოყალიბდა ყველა სახის რასობრივი დისკრიმინაციის შესახებ კონვენცია, ძალაში შევიდა 1969 წელს.

კომიტეტის უფლებამოსილება:

- წევრ-სახელმწიფოთა ანგარიშის მიღება და განხილვა ღია სხდომაზე;
- ანგარიშს მიიღებს ერთი სახელმწიფოსგან მეორე სახელმწიფოზე. შეუძლია ჩამოაყალიბოს სწრაფ-მოქმედი კომისია;

- მიიღებს და შეისწავლის ინდივიდუალურ განაცხადებს, თუ წევრი-სახელმწიფო აღიარებს კომიტეტის კონპეტენციას;
- განიხილავს დარღვევებს ახალი პროცედურის საფუძველზე, რომელიც ითვალისწინებს აღრეული შეტყობინებების სისტემასა და სასწრაფო მოქმედებას.

ინფორმაცია, რომელიც ექვემდებარება გამოქვეყნებას:

წლიური ანგარიში, მათ შორის კომიტეტის რეკომენდაციები და წინადადებები, კომიტეტზე შეჯამებული დასკვნები, რომლებსაც ყველა კომიტეტი წარუდგენს სახელმწიფოს ინდივიდუალური განაცხადის სახით.

სამდივნოს მისამართია: ჟენევა.

Committee of the Elimination of Racial

Discrimination

c/o OHCHR-UNOQ. 1211 Geneva 10, Switzerland.

Fax: 0-041/22/917-90-22.

სესიები ტარდება: წელიწადში ორი სამ კვირიანი სესია, მარტსა და აგვისტოში ტარდება ჟენევაში.

**ქალთა დისკრიმინაციის ლიკვიდაციის შესახებ
კომიტეტი (CEDAW)**

კომიტეტი კონვენციის საფუძველზე შეიქმნა და ძალაში შევიდა 1981 წელს ქალთა დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრისა და ქალთა უფლებების შესახებ ცოდნის გავრცელების მიზნით. კომიტეტი:

- იღებს და განიხილავს წევრ-სახელმწიფოთა ანგარიშებს ღია სხდომებზე;
- კონკრეტულ საკითხებზე გამოაქვს რეკომენდაციები;
- იღებს და ხელს უწყობს არასამთავრობო ორგანიზაციებს, გადასცენ ინფორმაცია კონვენციის დაცვის შესახებ.

გარდა ამისა, კომიტეტი ცდილობს, გადაუდებელი მნიშვნელობის პრობლემების გადასაჭრელად მიიპყროს ეკონომიკური და სოციალური საბჭოს ყურადღება. კომიტეტი

განიხილავს და შეისწავლის კერძო პირთა და არასამთავრობო ორგანიზაციების განაცხადებს და ინტერესდება იმ განაცხადებით, რომელიც შეიცავენ ქალთა უფლებების სისტემატური დარღვევისა და დისკრიმინაციის უტყუარ ფაქტებს. ინდივიდუალური განაცხადები:

1999 წლის 6 ოქტომბერს, გაეროს გენერალური ასამბლეის მიერ მიღებულ იქნა კონვენციის ფაკულტატიური ოქმი, რომელიც ხელმოსაწერად გაიხსნა 10 დეკემბერს (A/54/4). ფაკულტატიური ოქმის საფუძველზე შესაძლებელი გახდა ინდივიდუალური განაცხადის კომიტეტში შეტანა.

2000 წლის 22 დეკემბერს, ოქმი ძალაში შევიდა. კომიტეტის ინფორმაციები ატარებს საჯარო ხასიათს და აქვეყნებს წლიურ ანგარიშს.

სამდივნოს მისამართი: ნიუ-იორკი.

Committee on the Elimination of Discrimination

against

Women c/o The Division for the advancement of

Women.

Room DC2-1220, P.O. Box 20. UN, New York,

NY 10017.

წელიწადში ორჯერ: იანვარ-თებერვალში და იელისში ნიუ-იორკში ატარებს სესიებს.

ინდივიდუალური განაცხადების წარდგენა რასობრივი დისკრიმინაციის ლიკვიდაციის შესახებ კომიტეტში

ინდივიდუალური განაცხადი არსებობს მაშინ, როცა სახელმწიფო მონახდენს კონვენციის რატიფიცირებას და აღიარებს კომიტეტის უფლებას.

- სახელმწიფო, კონვენციის მე-14 მუხლის თანახმად, აღიარებს კომიტეტის კომპეტენციას;
- “პირი” ან “პირთა ჯგუფი” (განმცხადებლები) შეძლება იყოს სავარაუდო დარღვევების პოტენციური მსხვერპლი. გარდა ამისა, განაცხადი არ უნდა იყოს ანონიმური.
- შიდა სამართლებრივი დაცვის მექანიზმების ამოწურვის შემდეგ, განმცხადებელს უკანასკნელი სასამართლო

განაცხადის წარდგენის შემდეგ:

- კომიტეტი, კონფიდენციალური წესით ატყობინებს სახელმწიფოს განაცხადის შინაარსს. კომიტეტი განმცხადებლის თანხმობის გარეშე არ ასახელებს მის ვინაობას;
- სახელმწიფოს პასუხის მისაღებად აქვს 3 თვე;

კომიტეტი ბავშვის უფლებათა შესახებ (CRC)

კომიტეტი შეიქმნა ბავშვის უფლებათა შესახებ კონვენციის საფუძველზე, რომელიც ძალაში შევიდა 1989 წელს.

კომიტეტი:

- იღებს და განიხილავს წევრ-სახელმწიფოთა ანგარიშებს საჯაროდ ან კონფიდენციალურად.
- მთავრობას აქვს უფლება განსაზღვროს პრიორიტეტები და მისი გამოყენების სფეროები. ასევე განსაზღვროს მომავალის კონკრეტული მიზნები, შესაბამისი კანონები ან სხვა ნორმატიული აქტები, რომლებიც თან უნდა ერთვოდეს მოხსენებას.
- კომიტეტს შეუძლია ბავშვის უფლებების დარღვევასთან დაკავშირებით, გენერალური ასამბლეის მეშვეობით, მიმართოს გენერალურ მდივანს;
- იგი მოუწოდებს არასამთავრობო ორგანიზაციებს სესიებში აქტიური თანამშრომლობისაკენ.

CRC ყოველი სხდომის ბოლოს იღებს დასკვნებს წევრ-სახელმწიფოთა მიერ წარმოდგენილი ანგარიშის თაობაზე. კომიტეტის დასკვნები უნდა გამოქვეყნდეს წევრ-სახელმწიფოში.

სახელმწიფო ვალდებულია პატივი სცეს და დაიცვას კომიტეტის რეკომენდაციები.

CRC შეუძლია მიმართოს შეკითხვისათვის გაეროს სპეციალიზირებულ ორგანოებს UNHCR (ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატი), ILO (შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია), UNICEF (გაეროს ბავშვთა ფონდი), WHO (ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია; UNESCO (განათლების, მეცნიერების და კულტურის ორგანიზაცია) და სხვა.

ბავშვის უფლებების შესახებ კონვენციის ფაკულტატიური ოქმი²³ ითვალისწინებს:

- შეიარაღებულ კონფლიქტებში ბავშვის მონაწილეობის საკითხს;
- ბავშვთა ვაჭრობის, ბავშვთა პროსტიტუციისა და ბავშვთა პორნოგრაფიის აკრძალვის საკითხებს.

გენერალურ ასამბლეაში ანგარიშის წარდგენა ECOSOC-ის მიერ ხდება 2 წელიწადში ერთხელ. ყოველი სესიის შემდეგ კომიტეტი ადგენს ცალკე ანგარიშს, რომელიც ექვემდებარება გამოცემას. ყოველი წერი-სახელმწიფოს ანგარიშზე შემუშავებულია დასკვნები.

სამდივნოს მისამართი: ჟენევა.

Committee on the Rights of the Child c/o OHCHR-UNOQ

1211 Geneva 10, Switzerland.

სესიის თარიღი: წელიწადში 3 სესია-აინვარი, აპრილი და სექტემბერი, ჟენევა.

§7. ბაეროს ადამიანის უფლებების დაცვის შმაღლესი კომისარი

ბაეროს ადამიანის უფლებათა სფეროში საქმიანობის კოორდინაციის გაუმჯობესების მიზნით, 1993 წლის 20 დეკემბერს ქ. ვენაში, ადამიანის უფლებათა საერთაშორისო კონფერენციაზე მიღებული რეკომენდაციის საფუძველზე, გენერალური ასამბლეის №48/141 რეზოლუციით შეიქმნა *ადამიანის უფლებათა შმაღლესი კომისრის პოსტი*. შმაღლესი კომისრის საქმიანობა მოიცავს საერთაშორისო თანამშრომლობის ხელშეწყობას ადამიანის უფლებათა დარგში და ხელს უწყობს ადამიანის უფლებათა

²³ აღნიშნული ოქმი არ უნდა აგვერიოს ჟენევის კონვენციებსა და დამატებით ოქმებთან, რომელშიც ასევე მოცემულია შეიარაღებულ კონფლიქტების დროს ბავშვთა უფლებების დაცვა და მათი კონფლიქტში მონაწილეობის აკრძალვა.

ეფექტურად განხორციელების პოპულარიზაციასა და ადამიანის უფლებათა დაცვას ემსახურება გაეროს სისტემაში ადამიანის უფლებების საკითხების წინ წამოწევას და მათ კოორდინაციას, ადამიანის უფლებათა სფეროში ახალი სტანდარტების შემუშავებას და ამ სფეროში ხელშეკრულებების რატიფიცირების პოპულარიზაციას. კომისრის მანდატში შედის ადამიანის უფლებების სერიოზულ დარღვევებზე რეაგირება და ამგვარი დარღვევების თავიდან ასაცილებლად კონკრეტული საქმიანობის წარმართვა. ასევე კონსულტაციებისა და ტექნიკური დახმარების გაწევა წევრ-სახელმწიფოების მთავრობებისათვის.

უმაღლეს კომისარს ნიშნავს გაეროს გენერალური მდივანი და ამტკიცებს გენერალური ასამბლეა ოთხი წლის ვადით. აღნიშნული თანამდებობა, თავისი დონით, გაეროს გენერალური მდივნის მოადგილის თანამდებობას შეესაბამება და წარმოადგენს გაეროს თანამდებობის პირს. იგი გაეროს გენერალური მდივნის ხელმძღვანელობით ახორციელებს გაეროს საქმიანობას ადამიანის უფლებების დაცვის სფეროში და მასთან ერთად, პასუხისმგებელია მის შედეგებზე და თავის მოვალეობას ასრულებს გაეროს წესდების ფარგლებში, ადამიანის უფლებების საყოველთაო დეკლარაციის და სხვა საერთაშორისო სამართლის დოკუმენტების შესაბამისად.

უმაღლესი კომისარი ვალდებულია, ყოველწლიურად, თავისი საქმიანობის შესახებ მოხსენება წარუდგინოს გაეროს ადამიანის უფლებების კომისიას, ხოლო ეკონომიკური და სოციალური საბჭოს საშუალებით - გაეროს გენერალურ ასამბლეას. უმაღლესი კომისრის რეზიდენცია ეწევაშია განლაგებული.

ადამიანის უფლებების უმაღლესი კომისრის სამმართველო წარმოადგენს გაეროს მთელი საქმიანობის ხელმძღვანელ ცენტრსა და ამავე დროს ისეთი დანაყოფების სამდივნოს, როგორცაა:

- კელევისა და განვითარების სამსახური, რომელიც იკვლევს და აანალიზებს ადამიანის უფლებათა დაცვის საქმიანობას და რეაგირებას უკეთებს წევრ-სახელმწიფოთა ვალდებულებების შესრულებას სხვადასხვა ქვეყნებში;
- პროგრამების სამსახური ხელმძღვანელობს გაეროს წევრი-სახელმწიფოებისათვის ტექნიკური დახმარების პროგრამებს; ეხმარება ფაქტების გამომძიებელ ჯგუფებს

(სამუშაო ჯგუფებს, სპეციალურ მომხსენებლებს), ატარებს ტრენინგებს ადამიანის უფლებათა სფეროში;

- დახმარებას უწევს ადამიანის უფლებათა ეროვნული დაწესებულებების შექმნასა და მათ ფუნქციონირებას.

ტერმინთა განმარტება:

კონვენცია - საერთაშორისო ხელშეკრულების ერთ-ერთი სახელწოდება, რომელიც ძირითადად გამოიყენება მრავალმხრივი საერთაშორისო ხელშეკრულებებისათვის (მაგალითად, კონვენცია გენოციდის აღმოფხვრის შესახებ). კონვენცია შეიძლება ეწოდოს ორმხრივ საერთაშორისო ხელშეკრულებასაც.

თანამედროვე საერთაშორისო სამართალი (ლექსიკონი-ცნობარი). გვ. 166.

ბაეროს ორბანოები ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში – როგორ ასრულებს ესა თუ ის სახელმწიფო საერთაშორისო სამართლებრივ ვალდებულებებს, კერძოდ, აღნიშნულ სფეროში ეს მის საშინაო საქმედ არის მიჩნეული, მაგრამ ურთიერთშეთანხმების საფუძველზე სახელმწიფოები აღიარებენ საერთაშორისო ორგანოების უფლებას კონტროლი გაუწიონ ახელმწიფოების მიერ ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებას. გაეროს ფუნქციები ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში გათვალისწინებულია გაეროს წესდების პრეამბულასა და შემდეგ მუხლებში: I-ლი (მე-3 პუნქტი), მე-13, 55-ე, 56-ე, 62-ე და 72-ე. გაეროს ის ძირითადი ორგანოები, რომლებიც უფლებამოსილი არიან განიხილონ ადამიანის უფლებათა საკითხები, არიან გაეროს გენერალური ასამბლეა და გაეროს ეკონომიკური და სოციალური საბჭო. ადამიანის უფლებათა საკითხების უმრავლესობა განიხილება გაეროს გენერალური ასამბლეის სესიებზე. პირველად საკითხებს იხილავენ მესამე კომიტეტში (სოციალური, ჰუმანიტარული და კულტურული საკითხების კომიტეტი). ზოგიერთი საკითხი გადაეცემა სხვა კომიტეტსაც. ყოველი კომიტეტი საკითხს განიხილავს დღის წესრიგის მიხედვით და განიხილის დამთავრებისთანავე გენერალური ასამბლეის პლენარულ სხდომას უგზავნის სპეციალურ მოხსენებას, სადაც აღნიშნულია კენჭისყრის შედეგებიც.

გენერალურ ასამბლეას უფლება აქვს, საკითხის მოსამზადებლად შექმნას დამხმარე ორგანოები, რასაც იგი ხშირად აკეთებს. გენერალური ასამბლეის სესიებს შორის პერიოდში ადამიანის უფლებათა დაცვის დარგში აქტიურ ხელმძღვანელობას ეწევა ეკონომიკური და სოციალური საბჭო (ეკოსოსი). საბჭოს მთავარი დამხმარე ორგანო ადამიანის უფლებათა დაცვის დარგში არის ადამიანის უფლებათა კომისია. 1947 წელს ადამიანის უფლებათა კომისიამ შექმნა დისკრიმინაციის დაუშვებლობისა და უმცირესობათა დაცვის გაეროს ქვეკომისია (1999 წლიდან მისი სახელწოდებაა „ადამიანის უფლებათა ხელშეწყობისა და დაცვის ქვეკომისია“).

ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის ლექსიკონი
გვ.50.

ცოდნის შემოწმება:

- ა. შეადარეთ ერთმანეთს ადამიანის უფლებათა კომიტეტისა და ადამიანის უფლებათა კომისიის პროცედურები.
- ბ. განიხილეთ ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების საერთაშორისო პაქტით აღიარებული უფლებების ეროვნულ კანონმდებლობაში იმპლემენტაციის საკითხები.
- გ. დისკუსია თემაზე: “ადამიანის ეკონომიკურ, სოციალური და კულტურული უფლებების საერთაშორისო პაქტი და საქართველოს კონსტიტუცია”.

სასწავლო მეთოდობა:

წინამდებარე თემის შესასწავლად სტუდენტი უნდა გაეცნოს საერთაშორისო პაქტს ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ და ადამიანის დაცვის იმ მექანიზმებს, რომლებიც არსებობენ ამ სფეროში. სახელმძღვანელოს მე-2 თავის შესწავლისას ლექტორმა უნდა გამოიყენოს ცხრილები.

აღნიშნული თავის შესწავლისათვის აუცილებელია ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ პაქტის ტექსტის დამუშავება. ყოველ კონკრეტულ თემაზე

ლექტორმა უნდა მოამზადოს საკითხავი მასალა, რომელშიც თაემოყრილი იქნება პაქტთან დაკავშირებული ინფორმაცია, პაქტის მონაწილე ქვეყნების სია, ბოლო წლების პუბლიკაციები ამ თემაზე და ამონაკრებები სპეციალური ლიტერატურიდან. ასევე ლექტორმა უნდა მიუთითოს გაეროს ვებ-გვერდზე და ლექციის გარკვეული ნაწილი (დაახლოებით 15-20წთ) დაუთმოს გაეროს ვებ-გვერდზე ინფორმაციის მოძიების საკითხებს, რისთვისაც სავალდებულოა ინტერნეტის გამოყენება.

ანალიტიკური აზროვნების განვითარების მიზნით, აღნიშნული თემის შესწავლისას უნდა მოეწყოს დისკუსიები. პარალელურად უნდა იქნას შესწავლილი საქართველოს კანონმდებლობა.

წამების შესახებ სპეციალური მომხსენებლისათვის ინფორმაციის მიწოდების ფორმა

გაეროს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისარიატი.

1. გაეროს ბიურო.
2. ჟენევა.

I. სპეციალური მომხსენებლისათვის მიწოდებული ინფორმაცია უნდა შეიცავდეს:

1. დაზარალებულის სახელი და გვარი სრულყოფილად;
2. როდის მოხდა წამების ფაქტი, თვე და რიცხვი;
3. სად მოხდა პირის დაკავება—ქალაქი, რაიონი და სხვა. თუ ცნობილია მიუთითეთ წამების ადგილმდებარეობა;
4. ინფორმაცია იმ ფორმირების შესახებ, რომელმაც განახორციელა წამება;
5. წამების ხერხების აღწერა და სხეულის დაზიანება;
6. იმ პირთა ან ორგანიზაციის ვინაობა, რომელთაც წარმოადგინეს ინფორმაცია (სახელი, გვარი, მისამართი. ინფორმაცია კონფიდენციალურია);

გარდა ამისა, განაცხადს თან უნდა დაერთოს წამების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი. მაგალითად, სამედიცინო დასკვნა.

წამების მსხვერპლის მონაცემები:

2. გვარი
3. სახელი
4. სქესი: მამაკაცი/მდედრობითი
5. დაბადების თარიღი/ასაკი
6. ეროვნება
7. საქმიანობა
8. პირადობის დამადასტურებელი ნომერი (თუ არსებობს)
9. საქმიანობა (პროფკავშირები, პოლიტიკა, რელიგიური და სხვა)
10. სამუშაო ან/და საცხოვრებელი ადგილის მისამართი.

II. გარემოებები, რომლებიც თან უნდა ერთვოდეს წამების ფაქტებს.

1. წამების მსხვერპლის დაკავების თარიღი და ადგილი;

2. იმ პიროვნებების იდენტიფიკაცია, რომლებმაც პირველებმა დააკავეს და აწამეს (პოლიცია, დაზვერვის ორგანოები, სამხედრო ან გასამხედროებელი ფორმირებები, საპყრობილეთა მუშაკები და სხვა).
3. ჰქონდა თუ არა დაკავების დროს ადვოკატთან, ნათესავეებთან ან მეგობრებთან შეხვედრის საშუალება? თუ ამის საშუალება მიეცა, დაკავებიდან რა მონაკვეთში მოხდა ეს?
4. წამების მეთოდების აღწერა.
5. წამების შედეგად სხეულის რა დაზიანება იქნა მიყენებული?
6. რა მიზანს ემსახურებოდა წამება?
7. გამოიკვლია თუ არა დაზარალებული სამედიცინო პერსონალმა ამ მოვლენის დროს ან მის შემდეგ? თუ ასეთი გასინჯვა მოხდა, როდის? გასინჯვა მოხდა ციხის ან სახელმწიფო ექიმის მიერ?
8. ადგილი ჰქონდა თუ არა შესაბამისი მკურნალობის ჩატარებას წამების შედეგად მიყენებული სხეულის დაზიანებისას?
9. ჩატარდა თუ არა გამოკვლევა ისეთი ხერხით, რომელიც საშუალებას მისცემდა ექიმს გამოეყვინა წამების შედეგად სხეულის დაზიანება? შედგენილ იქნა თუ არა სამედიცინო ანგარიში?
10. თუ დაზარალებული პატიმარი გარდაიცვალა, ჩაუტარდა თუ არა გაკვეთა ან სასამართლო ექსპერტიზა?

III. სამართალდამცავი აქცია.

ოჯახმა ან წარმომადგენელმა მიმართა თუ არა ადგილობრივ ორგანოს, შიდასამართლებრივ დაცვის მექანიზმებს, თუ მიმართა -მოქმედების შედეგი;

IV. ინფორმაცია განაცხადის წარმდგენის ავტორის შესახებ.

1. გვარი
2. სახელი
3. რა აკავშირებს დაზარალებულთან
4. წარმოდგენილი ორგანიზაცია (თუკი ორგანიზაციაა განმცხადებელი)
5. მისამართი.

გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტში ინდივიდუალური
განაცხადის ნიმუში

თარიღი: _____

შეტყობინების მისამართი: ადამიანის უფლებათა კომიტეტი
The Human Rights გაეროს ადამიანის უფლებათა
Committee c/o უმაღლესი კომისარის ოფისში
OHCHR-UNOG გადასაცემად
1221 Geneva 10,
Switzerland

*განაცხადი განსახილველად წარედგინება სამოქალაქო და
პოლიტიკური უფლებების საერთაშორისო პაქტის
ფაკულტატიური ოქმის შესაბამისად*

1. ინფორმაცია განცხადებლის ავტორის შესახებ

გვარი _____

სახელი (სახელები) _____

ეროვნება _____

საქმიანობის ხასიათი _____

დაბადების თარიღი და ადგილი _____

ამჟამინდელი მისამართი _____

სხვა მისამართი კონფიდენციალური კორესპოდენციის მისაღებად
(თუკი განსხვავდება ამჟამინდელი მისამართისაგან)

განაცხადს წარმოადგენს*:

ა) ქვევით ჩამოთვლილი დარღვევის ან დარღვევათა
მსხვერპლი

ბ) საეარაუდო მსხვერპლის მიერ დანიშნული წარმომადგენელი

* აღნიშნეთ სწორი პასუხი

გ) სხვა პირი

თუკი აღნიშნულია კეადრატი (გ), ავტორმა უნდა განმარტოს:
(I) რა სახით მოქმედებს მოცემული პირი მსხვერპლის სახელით
(მიუთითეთ ნათესაური კავშირი ან სხვა პირადი ურთიერთობები
საეარაუდო მსხვერპლთან/მსხვერპლებთან):

(II) რატომ არა აქვს საშუალება მსხვერპლს (მსხვერპლებს) პირადად წარმოადგინოს თავისი შეტყობინება

2. ინფორმაცია სავარაუდო მსხვერპლის (მსხვერპლთა)

შესახებ

(თუკი ის (ისინი) არ წარმოადგენს (წარმოადგენენ) შეტყობინების ავტორს)**

გვარი _____

სახელი (სახელები) _____

ეროვნება _____

საქმიანობის ხასიათი _____

დაბადების თარიღი და ადგილი _____

ამჟამინდელი მისამართი _____

გვარი _____

სახელი (სახელები) _____

ეროვნება _____

საქმიანობის ხასიათი _____

დაბადების თარიღი და ადგილი _____

ამჟამინდელი მისამართი _____

** ყოველი სავარაუდო მსხვერპლი მიუთითეთ დამოუკიდებლად და დაურთეთ დამატებითი ფურცლები

3. მოკასუხე სახელმწიფო. დარღვეული მუხლები.
სამართლებრივი დაცვის შიდასახელმწიფოებრივი
საშუალებები

სახელმწიფოს დასახელება - სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების საერთაშორისო პაქტის და ფაკულტატიური ოქმის მონაწილე სახელმწიფო, რომლის წინააღმდეგაც არის მიმართული შეტყობინება

სამოქალაქო და პოლიტიკური საერთაშორისო პაქტის მუხლები, რომლებიც სავარაუდოდ იქნა დარღვეული

სამართლებრივი დაცვის შიდასახელმწიფოებრივი საშუალებები, რომლებიც ამოწურული იქნა სავარაუდო მსხვერპლის (მსხვერპლთა) მიერ ან მისი წარმომადგენლის (წარმომადგენლების) მიერ: სასამართლოში ან სხვა სახელმწიფო ორგანოში მიმართვა; როდის და როგორი შედეგით გადაწყდა საქმე (შეძლებისდაგვარად თან დაურთეთ შესაბამისი სასამართლო ან ადმინისტრაციული გადაწყვეტილებების ყველა ასლი)

თუკი სამართლებრივი დაცვის შიდასახელმწიფოებრივი საშუალებები არ იქნა ამოწურული, მიუთითეთ რატომ:

4. სხვა საქართველოს პროცედურები

იყო თუ არა ეს საკითხები წარდგენილი განსახილველად საქართველოს გამოძიების ან დაკვების მოწესრიგების სხვა რომელიმე პროცედურის შესაბამისად (მაგალითად, ადამიანის უფლებათა ამერიკათაშორისო კომისია, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო)? თუკი იყო წარდგენილი, როდის და როგორი შედეგით?

5. ბანაცხაღში მოყვანილი ფაქტები

სავარაუდო დარღვევის ან დარღვევათა ფაქტების დაწვრილებითი აღწერა (შესაბამისი თარიღის მითითებით)

თარიღი და ავტორის ხელის მოწერა

*დაამატეთ იმდენი გვერდი, რამდენიც აუცილებელია ფაქტების აღსაწერად.

გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტში ინდივიდუალური განაცხადის ნიმუშის არაოფიციალური თარგმანი შესრულებულია მკვაჭაძის მიერ

ბამოყენებული ლიტერატურა:

- ლ.ალექსიძე. თანამედროვე საერთაშორისო სამართალი. თბილისი 2001. გვ.183-226
- პ. მაღანუკი. აკეპარტისის საერთაშორისო სამართალი. თბილისი 2005 წ. გვ. 236-247.
- ლ.ალექსიძე, ლ.გიორგაძე, ზ.დავითაშვილი, მ.კვაჭაძე, კ.კორკელია, ი.ქურდაძე. თანამედროვე საერთაშორისო სამართლის ლექსიკონი-ცნობარი. თბილისი 2005 წელი.
- ლ.ალექსიძე, ლ.გიორგაძე, მ.კვაჭაძე, კ.კორკელია, ი.ქურდაძე.ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალი. თბილისი 2005 წ.
- საქართველოს 2002 წლის საანგარიშო მოხსენება გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტში.
- ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ბილი. თბილისი 1999წ.
- ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალი: ხელშეკრულებები, პაქტები, კონვენციები. თბილისი 2002 წ.
- ადამიანის უფლებათა ლექსიკონი. შემდგენელი ფრიდონ საყვარელიძე. თბილისი 1999წ.
- გაერთიანებული ერების ორგანიზაციების ადამიანის უფლებათა დოკუმენტები. თბილისი 1999.
- გაერთიანებული ერების ორგანიზაცია. გზამკვლევი. გაეროს ასოციაცია. 2004წ.
- Основные вопросы возникшие в связи с осуществлением МПГПП ЭКОСОС. 2000.
- I.J.Salcedo. Human Rights Declaration. EPIL. II (1995).990-996.
- Henrz J.Steiner. Ph.Alston. International Human Rights in Context. Oxford University Press. 17-22; 145-165; 130.
- An Introduction to the International Protection of Human Right (A textbook). Editing by Raija Hanski and Markku Suksi. Turku.2000. pp.275287.
- A.H. Robertson. L.M. Merrells. Human Rights in the World. 1996. Manchester University Press.pp.23-96.
- Hurst Hannum. UN: International protection of human rights. University of pensilvania press. Philadelphia. 1986.133-153.
- Steiner, H. J., Alston P. :International Human Rights in Context (Oxford University Press, 2000). pp.230-256.

- Raija Hanski, Markku Suksi. An introduction to the international protection of HR. Tarku, 2000
- Krzysztof Drzewicki. The UN Charter and the Universal Declaration of HR. Strasbourg, 2000
- J.G. Merrills. The European Convention on Human Rights. Strasbourg, 2000
- Devine, c., Hansen, C. R, Wilde, R. Human Rights: The Essential Reference (Oryx Press, 1999)
- Freeman M. Human Rights (Polity, 2002)
- Brownie, Ian.: Basic Documents on Human Rights (New York: Oxford University Press, 1994). SARAH JOSEPH, JENNY SCHULTZ, The international covenant on civil and political rights: cases, materials and commentary, Oxford, 2000
- Rehman J. :International Human Rights Law (Longman, 2002).
- S.Blav, R.Piotrowicz.Public International Law. Oxford University Press. 1997.pp.271-299.
- M.Dixon. Textbook on International Law. Blackstone Press. 2000. pp.331-330.
- Malcolm N.Show. International Law. Fifth edition. Cambridge University Press. 247- 252; 257-262; 282- 310.
- Bossuyt. Guide to the Travaux Preparatoires of the International Covenant on Civil and Political Rights. The Hague. 1987;
- M.Nowak. The effectiveness of the International Covenant on Civil and Political Rights. Human Rights Law Journal.N2; 1981, 168-170; N5. pp. 199-201.
- CCPR/C/21/rev.1/Add/10/ 200. General Comment 29/2001. CCPR/ C/21/Rev. 1/Add.11.
- P.Alston.G.Quinn. Economic, Social and Cultural Rights. United Nations and Human Rights. Human Rights Quartaly. N9. 1987. pp. 156, 178-180.
- Международные акты о правах человека. М., 1998
- Мовчан А. Международная защита прав человека. М., 1958. ст. 140-145.
- Гусейнов Л.Г., Международная ответственность государств за нарушение прав человека. М., 2000. 128-141
- Чхиквадзе В.М., Пакты о правах человека и их историческое значение. М., 1986

- Карташкеев В.А. Всеобщая декларация и права человека. М., 1989
- Черниченко С.В. ООН и права человека. Ежегодник международного права. СПб. 1996-1997
- Организация Объединённых Наций. Основные факты. М., 2000. 265-290.
- Бюргенталь. Международное право прав человека. А-А. 1999г. ст. 106-145. . ст. 26-32. 100-101
- Лукашук М.М. Международное право. М., 1998г. I т. ст. 33-41.
- Общая теория прав человека. М., 1996. ст. 417-434.
- Основные вопросы возникшие в связи с осуществлением МПГПП. МПЭСК права. ЭКОСОС. 2000.

www.un.org;

www.unsyst.org

www.undp.org

www.unicef.org

www.unesco.org

www.unhcr.ch

www.unchr.ch

www.ilo.org

www.who.ch

თავი III. ადამიანის უფლებათა დაცვის რეგიონალური სისტემა

1. §1. ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული სისტემა

ევროპაში, მეორე მსოფლიო ომის შემდგომ დაგროვილი პრობლემები ეხებოდა როგორც ეკონომიკურ, ასევე სოციალურ სფეროს. ომში გამარჯვებული სახელმწიფოების ლიდერები კარგად ათვითცნობიერებდნენ, თუ რამდენად მნიშვნელოვანი იყო ევროპაში ისეთი ორგანიზაციის შექმნა, რომელიც ქმედითად დაიცავდა ადამიანის უფლებებს და წინ აღუდგებოდა მეორე მსოფლიო ომის დროს მომხდარი ტრაგედიის გამეორებას. 1946 წლის 19 სექტემბერს (კიურხში (შვეიცარია), უინსტონ ჩერჩილმა, დიდი ბრიტანეთის ყოფილმა პრემიერ-მინისტრმა, პირველად გაახმოვანა ევროპის გაერთიანების იდეა. ევროპის ლიდერებს მეორე მსოფლიო ომის შედეგების გამოსწორების ერთ-ერთ გზად ერთიანი ევროპის შექმნა მიაჩნდათ. 1949 წელს ეს იდეა განხორციელდა და ჩამოყალიბდა ევროპის საბჭო.

ევროპის საბჭო წარმოადგენს რეგიონალურ ორგანიზაციას. მისი ამოცანაა ადამიანის უფლებათა ქმედითი დაცვა.

ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული სისტემა შექმნილია ევროსაბჭოს ფარგლებში და რეგიონალური სახელმწიფოთაშორისო ორგანიზაციაა, რომელიც 1949 წელს, ათი დასავლეთ-ევროპული სახელმწიფოს მიერ ჩამოყალიბდა. ეს ქვეყნებია: საფრანგეთი, დიდი ბრიტანეთი, დანია, ირლანდია, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა, ლუქსემბურგი, ნორვეგია, შვედეთი, ისლანდია, ნიდერლანდები.

ევრო საბჭოს წესდების მე-3 მუხლში გახმოვანებულია ევროსაბჭოს შექმნის ძირითადი იდეა.

ევროპის საბჭოს მიზნებს წარმოადგენს:

- ადამიანის უფლებების, კლურალისტური დემოკრატიისა და კანონის უზენაესობის დაცვა;
- ევროპის კულტურული თვითმყოფადობის და მრავალფეროვნების განვითარებისა და ამ სფეროში ცოდნის გავრცელების ხელშეწყობა;

- ევროპული საზოგადოების წინაშე მდგომ პრობლემათა (უმცირესობათა დისკრიმინაცია, ქსენოფობია, შეუწყნარებლობა, გარემოს დაცვა, ადამიანის კლონირება, შიდსი, ნარკოტიკები, ტერორიზმი, ორგანიზებული დანაშაული და ა. შ.) გადაწყვეტის გზების ძიება;
- პოლიტიკურ, საკანონმდებლო და კონსტიტუციურ რეფორმათა მხარდაჭერის გზით ევროპაში დემოკრატიული სტაბილურობის განმტკიცება.

ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპულ-რეგიონალური სისტემა ემყარება ორ ხელშეკრულებას: ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპულ კონვენციას და სოციალურ ქარტიას. კონვენციით აღიარებულია სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებები, ხოლო სოციალური ქარტია აღიარებს ეკონომიკურ და სოციალურ უფლებებს.

ევროპულ სისტემაში ორივე ხელშეკრულებით გათვალისწინებულია სახელმწიფოთა მხრიდან ხელშეკრულების შესრულებაზე საზედამხედველო სპეციალური ინსტიტუციონალური ორგანოების შექმნა. კონვენციის შემთხვევაში ეს არის ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო (ადრე ამ ორგანოებში შედიოდა ადამიანის უფლებათა კომისია), ხოლო სოციალური ქარტიის შემთხვევაში უნდა აღინიშნოს, რომ ხშირად ევროპულ სისტემას მიიხრევიან ყველაზე ეფექტურ სისტემად ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში.

ევროპის საბჭოში გაწევრიანება შეუძლია ევროპის ნებისმიერ სახელმწიფოს, რომელიც აღიარებს კანონის უზენაესობის პრინციპს და უზრუნველყოფს მისი იურისდიქციის ქვეშ მყოფი ადამიანების უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების დაცვას. „საბჭოს მიზანია მიაღწიოს უფრო დიდ ერთობლიობას, მისი იდეალებისა და მიზნების განხორციელებას, რომლებიც წარმოადგენენ მათ საერთო მემკვიდრეობას, მათ ეკონომიკურ და სოციალურ პროგრესს“.

დღეისათვის, ევროპის საბჭოში გაწევრიანებულია 46 წევრი ქვეყანა: **

1949 წლის 5 მაისს, ათი სახელმწიფოს (ბელგია, დანია, საფრანგეთი, ირლანდია, იტალია, ლუქსემბურგი, ნიდერლანდები, ნორვეგია, შვედეთი და გაერთიანებული სამეფო*) მიერ დაფუძნებულ ორგანიზაციას, 1949 წლის აგვისტოში, შეუერთდა საბერძნეთი და თურქეთი. 1950 წელს ისლანდია და გერმანია, 1956 წელს ავსტრია, 1961 წელს კვიპროსი, 1963 წელს შვეიცარია, 1965 წელს მალტა, 1976 წელს პორტუგალია, 1977 წელს ესპანეთი, 1978 წელს ლიხტენშტეინი, 1988 წელს სან-მარინო, 1990 წელს უნგრეთი, 1991 წელს პოლონეთი, 1992 წელს ბულგარეთი, 1993 წელს ესტონეთი, ლიტვა, სლოვენია, ჩეხეთის რესპუბლიკა, სლოვაკეთი, რუმინეთი; 1994 წელს ანდორა, 1995 წელს ლატვია, ალბანეთი, მოლდოვა, უკრაინა, „იუგოსლავიის ყოფილი რესპუბლიკა მაკედონია“; 1996 წელს რუსეთის ფედერაცია და ხორვატია, 1999 წელს საქართველო, 2001 წელს სომხეთი და აზერბაიჯანი, 2002 წელს ბოსნია და ჰერცეგოვინა, 2003 წელს სერბია და მონტენეგრო, 2004 წელს მონაკო (2004).

1993 წლის 12 მარტს, გაწევრიანების შესახებ განაცხადი შეიტანა ბელორუსიამ. დამკვირვებლის სტასუსის მქონე ქვეყნებია: კანადა, წმინდა საყდარი (ვატიკანი), ამერიკის შეერთებული შტატები, მექსიკა. მათ ევროპის საბჭოს მთავრობათაშორის ორგანოებში დამკვირვებლის სტატუსი აქვთ. ევროპის საბჭოს შტაბ-ბინა განლაგებულია სტრასბურგში (საფრანგეთი) მდებარე ევროპის სასახლეში (Palais de l'Europe).

ევროპაში არსებობს ორი რეგიონალური ორგანიზაცია - ევროპის საბჭო, რომელსაც ხშირად „დიდ ევროპას“ უწოდებენ წევრ-სახელმწიფოთა რაოდენობის გამო და ევროპის კავშირი, რომელიც „პატარა ევროპის“ სახელითაა ცნობილი. ამ ორ ორგანიზაციას განსხვავებული დასახელებების გარდა, სხვადასხვა ფუნქციაც აკისრია. მიუხედავად ამისა, მათი ინტერესები ხშირად იკვეთება და მათი წარმოშობის ისტორია ურთიერთკავშირშია.²⁴

²⁴ ევროკავშირის შესახებ იხ. წიგნის III თავის §3.

**ევროსაბჭოსა და
ევროკავშირის განმასხვავებელი ნიშნები²⁵**

<i>ევროპის საბჭო</i>	<i>ევროპის კავშირი</i>
ევროპის საბჭო განლაგებულია სტრასბურგში და მასში გაერთიანებულია 46 წევრი-სახელმწიფო	ევროპის კავშირი (გაერთიანება), რომელიც შედგება სამი ორგანიზაციისაგან, ესენია: ევროპის ქვანახშირისა და ფოლადის გაერთიანება, ევროპის ეკონომიკური გაერთიანება და ევროპის ატომური ენერჯიის კომისია (ეკრატომი). განლაგებულია ბრიუსელში.
<i>საპარლამენტო ასამბლეა</i>	<i>ევროპარლამენტი</i>
ევროპის საბჭოს სათათბირო ორგანო, რომელიც შედგება წევრი სახელმწიფოების პარლამენტების წარმომადგენლებისაგან (სულ 313 წევრი).	ევროკავშირის საკანონმდებლო ორგანო, რომელსაც ირჩევენ ევროკავშირის ქვეყნები 5 წლის ვადით (სულ 626).
<i>ადამიანის უფლებათა ევროპული კომისია</i>	<i>ევროკომისია</i>
1998 წლამდე მოქმედი ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის საფუძველზე შექმნილი ორგანო, რომელიც განიხილავდა ინდივიდებისა და ევროსაბჭოს წევრ-სახელმწიფოთა მიერ, ასევე წევრ-სახელმწიფოთა წინააღმდეგ წარდგენილი განაცხადების მიღებადობის საკითხს.	ევროკომისია ბრიუსელშია განლაგებული. იგი აღმასრულებელი ორგანოა, შეიმუშავებს ღონისძიებებს და უზრუნველყოფს მათ განხორციელებას. კომისია კანონმდებლობის მთავარი ინიციატორია, თუმცა კანონებს იღებს ევროპარლამენტი და მინისტრთა საბჭო, აგრეთვე ამ კავშირის წევრი ცალკეული სახელმწიფოები.

²⁵ . www.coe.ge.

<p>ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო</p>	<p>ევროპის თანამეგობრობის სასამართლო</p>
<p>სტრასბურგის სასამართლო წარმოადგენს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით დაარსებულ ორგანოს, რომელსაც გამოაქვს გადაწყვეტილება ადამიანის უფლებათა დარღვევის შესახებ.</p>	<p>ევროკავშირში მოქმედი ორგანო, რომელიც შედგება 13 მოსამართლისა და 6 გენერალური ადვოკატისაგან; მათ ნიშნავენ 6 წლის ვადით ევროკავშირის წევრი ყველა სახელმწიფოს თანხმობით. სასამართლოს ევალება ევროკავშირის სიერცეში შემავალ ყველა ქვეყანაში კანონის ერთიანი გამოყენების უზრუნველყოფა ისეთ საკითხებში საბოლოო გადაწყვეტილების მიღებით, როგორიცაა: ა) დაეები ევროკავშირის კომისიასა და კავშირის წევრ-სახელმწიფოს შორის; ბ) დაეები კავშირის წევრ-სახელმწიფოთა შორის; გ) კავშირის წინააღმდეგ მიმართული აქტები; დ) კავშირის წევრ-სახელმწიფოთა სასამართლოების მიერ გადმოცემული საკითხები ევროპის კანონმდებლობის ინტერპრეტაციის შესახებ. ევროპის სასამართლოს გადაწყვეტილებებსა და ევროკავშირის წევრი სახელმწიფოს სასამართლოს გადაწყვეტილებებს შორის კოლიზიის შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება ევროპის სასამართლოს აქტს.</p>

§2. ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპული კონვენცია

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია ადამიანის უფლებათა დამცავი და ევროსაბჭოს უძველესი საერთაშორისო სამართლებრივი ინსტრუმენტია, რომელიც მიზნად ისახავს სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების დაცვას არა მარტო სავალდებულო საერთაშორისო ხელშეკრულებებზე ხელმოწერის გზით, არამედ ხელმომწერ მხარეთა მიერ ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებაზე ზედამხედველობის განხორციელებითაც. (ლ. ფაფიაშვილი. „როგორ მიემართოთ ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპულ სასამართლოს“, გვ.8).

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია მიღებულ და ხელმოწერილ იქნა 1950 წლის 4 ნოემბერს, რომში, ძალაში შევიდა 1953 წლის 3 სექტემბერს მას შემდეგ, რაც მისი რატიფიცირება 10-მა დამფუძნებელმა სახელმწიფომ მოახდინა. მიუხედავად იმისა, რომ ევრო საბჭოს წესდება არ მოითხოვს წევრი-სახელმწიფოებისაგან მის რატიფიცირებას.

ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის მექანიზმი ევრო საბჭოს წევრ-ქვეყნებში ფაქტობრივად უზრუნველყოფილია ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა შესახებ ევროპული კონვენციისა და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს საფუძველზე.

შესაბამისი საერთაშორისო პრაქტიკა ადასტურებს, რომ ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა შესახებ ევროპული კონვენცია ერთ-ერთი ყველაზე სრულყოფილი და ეფექტური საერთაშორისო სამართლებრივი აქტია. სწორედ, ამ თვალსაზრისით არის ქვემოთ გაშუქებული ევროპული კონვენციის დებულებები.²⁶

კონვენციის პროექტის შემუშავებასა და მიღებას წინ უსწრებდა გაეროს 1948 წელს მიღებული ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია. დეკლარაციის მნიშვნელობა და მისი კავშირი კონვენციასთან კარგად სჩანს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის პრეამბულაში, სადაც აღნიშნულია, რომ კონვენციის ხელმომწერი მთავრობები ითვალისწინებენ 1948 წლის 10 დეკემბრის გაერთიანებული ერების ორგანიზაციის

²⁶ მომავალში ჩვენ გამოვიყენებთ ტერმინს “ევროპული კონვენცია”.

გენერალურ ასამბლეის მიერ გამოცხადებულ ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია.

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია, ტიპურ ევროპულ ტრადიციებზე აღმოცენებული დოკუმენტია, რომელიც შეიქმნა ლიბერალურ ტრადიციებზე. ეს კარგად სჩანს მისი პრეამბულიდანაც. ადამიანის უფლებათა 1950 წელს მიღებული ევროპული კონვენცია შედგება პრეამბულისა და 59 მუხლისაგან (ახალი რედაქციით, ვიდრე ამოქმედდებოდა მე-11 დამატებითი ოქმი, რომელმაც მოახდინა სასამართლოს რეორგანიზაცია და გააუქმა კომისია). კონვენცია პირობითად შეგვიძლია დავეყოთ რამდენიმე ნაწილად: პრეამბულა, 1-ლი მუხლი - *ratione persone* მე-2, მე-18 მუხლი, კონვენციით აღიარებული უფლებები - *ratione materiae*; 59-ე მუხლი, რომელიც სასამართლოს ფუნქციონირების წესს ეხება, ხოლო მე-19 - კონვენციით გარანტირებულ უფლებებს.

ratione persone – კონვენციის მოქმედება პირთა წრის მიხედვით. კონვენცია მოქმედებს ყველაზე, ვინც ექცევა „მაღალი ხელშემკვრელი მხარეების იურისდიქციის ფარგლებში“ (მუხლი 1). მიუხედავად მათი მოქალაქეობისა, რაც იმას ნიშნავს, რომ ადამიანის უფლებების ევროპული კონვენცია ერთდროულად იცავს იმ პირებს, რომლებიც არიან წევრ-სახელმწიფოთა მოქალაქეები, აპატრიდები, ბიპატრიდები და ის უცხოელები, რომლებიც ევრო-საბჭოს წევრ-სახელმწიფოს იურისდიქციის ქვეშ იმყოფებიან (მაგ: პაკისტანელი მოქალაქე, რომელიც მუშაობს და ჰყავს ოჯახი საფრანგეთში). კონვენცია მოქმედებს წევრ-სახელმწიფოთა იურისდიქციის ქვეშ მყოფ ფიზიკურ და იურიდიულ პირებზე.

სახელმწიფო-მოპასუხე. კონვენციის 1 მუხლის თანახმად, სახელმწიფო მოვალეა დაიცვას მისი იურისდიქციის ფარგლებში მყოფი პირები (როგორც ფიზიკური, ისე იურიდიული).

მოპასუხე-სახელმწიფო ევროპული სასამართლოს წინაშე პასუხობს ევროპული კონვენციით გათვალისწინებული უფლებებისა და თავისუფლებების დარღვევის ფაქტებზე, ხოლო სასამართლო გადაწყვეტილების საფუძველზე მათ წინაშე ვისი უფლებებიც დარღვეულია, საერთაშორისო –სამართლებრივი აქტად ფიქსირდება. ამ შემთხვევაში, პასუხისმგებლობა შეიძლება დაეკისროს მხოლოდ სახელმწიფოს. აქედან გამომდინარე, მოპასუხედ ინდივიდუალურ განაცხადზე შეიძლება იყოს მხოლოდ სახელმწიფო. მოსარჩელის აზრით ის სახელმწიფო, რომელიც

ხელისუფლების მოქმედებით ან უმოქმედობით არღვევს კონვენციით გარანტირებულ უფლებებს, მოპასუხედ ვერ გამოვა. ასევე ის სახელმწიფო, რომელიც არ არის კონვენციის წევრი-სახელმწიფო. აგრეთვე, მოპასუხედ ვერ გამოვა რეგიონალური საერთაშორისო ორგანიზაცია, როგორცაა ევროკავშირი, თუნდაც მისი ყველა „წევრი-სახელმწიფო არის ევროკავშირის წევრი-სახელმწიფო“.

სახელმწიფო, არ აგებს პასუხს თავისი ორგანიზაციების ქმედებაზე, რომლითაც დაირღვა მოსარჩელის უფლებები და თავისუფლებები. („ტუმბლოვიჩი რუსეთის ფედერაციის წინააღმდეგ“.²⁷

ratione persone ეხება არა მარტო მოსარჩელეს, არამედ მოპასუხე სახელმწიფოს.²⁸

სახელმწიფო ევროპულ სასამართლოში წარმოადგენს „სახელმწიფო აგენტს“. ნებისმიერ წევრ-სახელმწიფოში არსებობს სპეციალური ორგანო ან თანამდებობის პირი.

ratione materiae-კონვენციის მოქმედების საგანი. ევროპული კონვენცია იცავს მხოლოდ კონვენციით ან მისი დამატებითი ოქმებით გარანტირებულ უფლებებსა და თავისუფლებებს. მხოლოდ რამდენიმე მუხლია, ისიც დამატებით ოქმებში, რომლებშიც საუბარია ისეთ სოციალურ უფლებათა დაცვაზე, როგორცაა განათლება და ეკონომიკური საკუთრების უფლება. (1 დამატებითი ოქმი, მუხლი 1). იმდენად, რამდენადაც კონვენციაში მოცემულია მხოლოდ 14 უფლება, დროთა განმავლობაში მოხდა მათი გაფართოება დამატებითი ოქმების მიღების გზით.

სულ - მიღებულ იქნა 14 დამატებითი ოქმი. აქედან, კონვენციის 1,4,6,7-ე და მე-12 მუხლი, კონვენციით გარანტირებულ უფლებათა გაფართოებას ეხება. კერძოდ, კონვენციის პირველი დამატებითი ოქმით აღიარებულია ქონებით დაუბრკოლებლად სარგებლობის უფლება, განათლების მიღების უფლება, თავისუფალი არჩევნების უფლება, მე-2 დამატებითი ოქმი

²⁷ ლ. ტუმბლოვიჩი უჩიოდა რუსეთის ფედერაციას აქციონერული საზოგადოების „სატურნის“ მიერ მისი შრომითი უფლებების დარღვევის შესახებ. სასამართლომ მიუთითა, რომ „ფიზიკური პირი სარჩელს ვერ წაუყენებს კერძო კომპანიას ან კერძო პირს“.

²⁸ ტერმინ „მთავრობაში“ სასამართლო გულისხმობს „სახელმწიფო ხელისუფლებას“.

უზრუნველყოფს სახელმწიფოს ტერიტორიაზე კანონიერად მყოფი ყველა პირისათვის თავისუფლად გადაადგილებისა და საცხოვრებელი ადგილის არჩევის უფლებას. მე-6 მუხლით საერთოდ აიკრძალა სიკვდილით დასჯა, რაც ამავე დროს, გახდა ევრო-საბჭოში გაწვევრიანების ერთ-ერთი პირობა. მე-7 დამატებითმა ოქმმა სისხლის სამართლის დანაშაულში მსჯავრდებულ პირებს მიანიჭა მათ წინააღმდეგ გამოტანილი სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენის ზემდგომ ინსტანციაში გასაჩივრებისა და მცდარი განაჩენით მათთვის მიყენებული ზიანის კომპენსაციის უფლება: აკრძალა ერთი და იგივე სახელმწიფოს იურისდიქციის ფარგლებში მყოფი პირის ხელშეორედ გასამართლება ან იმ დანაშაულისათვის დასჯა, რომლისთვისაც პირი უკვე გამართლებული ან მსჯავრდებულ იქნა.

და ბოლოს, სასამართლოს გადაწყვეტილების ნაწილში არ გვხვდება ევროკონვენციის პრეამბულის დარღვევაზე მითითება, მაგრამ პრეამბულაზე მითითებას ვხვდებით მოტივაციის ნაწილში. საქმეში „გოლდენი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ“ (1975 წ.) სასამართლომ მიუთითა: „31-ე მუხლის მე-2 პუნქტის საერთაშორისო ხელშეკრულებათა სამართლის შესახებ ვენის კონვენციის მიხედვით. ხელშეკრულების პრეამბულა წარმოადგენს მისი კონტექსტის განუყოფელ ნაწილს“. პრეამბულა ხშირად სარგებლობს კონკრეტული საერთაშორისო-სამართლებრივი აქტების ინტერპრეტაციით, მისი „საგნისა“ და „მიზნის“ გასარკვევად ეყრდნობოდა რა, პრეამბულის ტექსტს სასამართლომ „აღმოაჩინა“ კონვენციით დაცული ისეთი უფლებები, რომლებიც არ არის პირდაპირ ასახული კონვენციის ტექსტში. სასამართლომ პირდაპირ მიუთითა: „კონვენციის ძირითადი ფასეულობების, უფრო სწორად პოლიტიკური ტრადიციებისა და იდეალების საერთო მემკვიდრეობაზე, თავისუფლების პატივისცემასა და სამართლის უზენაესობაზე“, რომელზედაც საუბარია პრეამბულაში.“²⁹

პრეამბულაში ასევე აღნიშნულია „ზოგიერთი“ უფლებებისა და თავისუფლებების შესახებ. სიტყვა „ზოგიერთ“-ში მოიაზრება „ადამიანის უფლებების და თავისუფლებების“ მთელი კატალოგი

²⁹ ვენის 1969 წ. კონვენცია „საერთაშორისო ხელშეკრულებათა სამართლის შესახებ“.

(ეს უფლებები შეესაბამება ოქმებში მოცემული უფლებებითა და თავისუფლებებით, ასევე მნიშვნელოვანია სასამართლოს განმარტებები). აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ევროკონვენციის მუხლებში აღიარებული უფლებები უფრო ნაკლებია, ვიდრე ორივე პაქტის უფლებათა კატალოგი. ევროპული კონვენცია აღიარებს მხოლოდ სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებებს. არსებობს მხოლოდ ორი მუხლი, რომელიც იცავს ეკონომიკურ უფლებას-საკუთრებისა და სოციალურ უფლებას-განათლების უფლებას. ასევე, უფრო ფართო ჩამონათვალს ეხედებით ევრო კონვენციის მიღების შემდეგ ამოქმედებულ კონვენციებში. მაგ: თავშესაფარის უფლება; მემკვიდრეობის უფლება და სხვა.

კონვენციის მე-2-, მე-5, მე-11, მე-13 ოქმები ეხება პროცესუალურ ნორმებს. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მე-11 ოქმი, რომლითაც მოხდა ადამიანის უფლებათა ევროპული კომისიისა და სასამართლოს ტრანსფორმირება. კომისია გაუქმებულ იქნა და შეუერთდა სასამართლოს.

ratione temporis-კონვენციის მოქმედება დროის მიხედვით. ევროპული კონვენცია მოქმედებს და ვრცელდება იმ სახელმწიფოებში, რომლებმაც ხელი მოაწერეს და მოახდინეს რატიფიცირება. ევრო კონვენცია, მხოლოდ შემდეგ, ამ კონკრეტული წევრი-სახელმწიფოს მიმართ იწყებს მოქმედებას. კონვენციის მოქმედებას არ გააჩნია უკუძალა და მისი გამოყენება არ ხდება იმ შემთხვევების მიმართ, რომლებსაც ადგილი ჰქონდათ კონვენციის რატიფიცირებამდე. ისევე, როგორც ადამიანის უფლებათა სხვა საერთაშორისო მექანიზმებს. სასამართლომ შეიძლება განიხილოს ადამიანის იმ უფლებათა დარღვევის საქმე, რომელსაც ადგილი ჰქონდა კონვენციის რატიფიცირებამდე. ე.ი. სასამართლო გადაწყვეტილებას გამოიტანას მხოლოდ იმ ფაქტზე, რომელსაც ადგილი ჰქონდა კონვენციის რატიფიცირების შემდეგ. სასამართლო ამ შემთხვევაში განიხილავს 2 ნაწილად ჰყოფს. დარღვევის I-ლი ნაწილი (ანუ კონვენციის რატიფიცირებამდე არსებული დარღვევა) არ ხდება სასამართლოს განიხილის საგანი, ხოლო იმ ნაწილის, რომელიც ხდება კონვენციის რატიფიცირების შემდეგ პერიოდში, სასამართლო განიხილავს და გამოაქვს გადაწყვეტილება.

ratione loci-კონვენციის მოქმედება სივრცეში. კონვენცია მოქმედებს, როგორც უშუალოდ წევრი-სახელმწიფოების

ტერიტორიაზე, ისე იმ ტერიტორიებზე, რომლებიც წევრი-სახელმწიფოების იურისდიქციის ქვეშ ექვევითან.

კონვენცია, როგორც საერთაშორისო ხელშეკრულება. ევროპული კონვენცია, თავისი ბუნებითა და დამახასიათებელი ნიშნებით, მრავალმხრივ საერთაშორისო-ხელშეკრულებას წარმოადგენს, რომელიც გამოიხატება ევრო საბჭოს წევრ-სახელმწიფოთა კოლექტიურ ვალდებულებაში, უზრუნველყოს მათ იურისდიქციაში მყოფი ყოველი "პირი" კონვენციით გარანტირებული უფლებებითა და თავისუფლებებით, რომელსაც თან სდევს ზე-ევროპული წევრ-სახელმწიფოების მიერ უფლებათა დაცვის კონტროლი.

კონვენცია, როგორც საერთაშორისო-სამართლებრივი აქტი ორი ასპექტით გამოირჩევა: (1) კონვენციის ადგილი და როლი საერთაშორისო სამართალში (განსაკუთრებით პუმანიტარულ სამართალში). (2) კონვენცია, როგორც საერთაშორისო სამართლებრივი ხელშეკრულება, რომელიც განსაზღვრავს ან ზემოქმედებას ახდენს სასამართლოს სამართალ გამოყენებით საქმიანობაზე.

გარდა ამისა, კონვენციისა და მისი ოქმების ამოქმედებისათვის აუცილებელია მათი რატიფიცირება. ამასთან, სასამართლოს იურისდიქციის აღიარება ხდება ავტომატურად და არ საჭიროებს სპეციალურად ცალკე კონვენციისგან დამოუკიდებლად, მისი იურისდიქციის სავალდებულო ხასიათის აღიარებას.

ევროპული კონვენციის დენონსაცია. ევროპული კონვენციის დენონსაცია ხდება გარკვეული პროცედურის მიხედვით: 1). სახელმწიფო დენონსაცია შეიძლება განხორციელდეს 5 წლის შემდეგ, როდესაც სახელმწიფო გახდა კონვენციის წევრი; 2). დენონსაციის მომენტი დადგება ევრო საბჭოს გენერალური მდივნისათვის შესაბამისი შეტყობინებების გადაგზავნიდან ექვსი თვის თავზე. 3). დენონსაციის ძალაში შესვლამდე წევრი-სახელმწიფო მაინც შებოჭილია კონვენციით აღიარებული უფლებებით.

ევროპული კონვენციის 58-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, სახელმწიფოს „დენონსაცია ვერ გაათავისუფლებს შესაბამის მაღალ ხელშემკრელ მხარეს ამ კონვენციით გათვალისწინებული მისი ვალდებულებისაგან რაიმე მოქმედების მიმართ, რომელიც შეიძლება წარმოადგენდეს ამ ვალდებულებათა დარღვევას და შეიძლება, ეს მას ჩადენილი

ჰქონდეს დენონსაციის ძალაში შესვლამდე”. ამასთან, მოქმედებენ დენონსაციის მე-2 და მე-3 პუნქტები.

ევროპის საბჭოში წევრობა წყდება არა მარტო კონვენციის დენონსაციის შემთხვევაში, არამედ ევრო საბჭოს წესდების მე-8 მუხლის მიხედვით, სახელმწიფოს მხრიდან ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის უხეში დარღვევისას. წესდების მე-3 მუხლის საფუძველზე, მინისტრთა კომიტეტს შეუძლია შესთავაზოს კონვენციის დარღვევების მიუხედავად სახელმწიფოს ევროსაბჭოს წევრობა, ხოლო სახელმწიფოს უარყოფითი პასუხის შემთხვევაში მინისტრთა კომიტეტს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება შეწყვიტოს სახელმწიფოს ამ რეგიონალურ ორგანიზაციაში წევრობა; თარიღს ადგენს თვითონ კომიტეტი. ³⁰

კონვენციის დათქმები. კონვენციის 57-ე მუხლის თანახმად: „ნებისმიერ სახელმწიფოს კონვენციაზე ხელის მოწერისას ან სარატიფიკაციო სიგელის შესანახად ჩაბარების დროს შეუძლია გააკეთოს დათქმა კონვენციის რომელიმე განსაზღვრული დებულების მიმართ, თუ მის ტერიტორიაზე ძალაში მყოფი რომელიმე კანონი არ შეესაბამება კონვენციის შესაბამის დებულებას“. კონვენციის ამავე მუხლში მითითებულია, რომ დაუშვებელია საერთო ხასიათის დათქმების გაკეთება. ყოველი დათქმა უნდა შეიცავდეს მოკლე განცხადებას ამ კანონის შესახებ.

კონვენციის მუხლების კლასიფიკაცია. კონვენციის ახალი რედაქცია სულ 59 მუხლს მოიცავს და დაყოფილია სამ ჯგუფად.

კონვენციის ორენოვანი დოკუმენტი შედგენილია ევრო საბჭოს ოფიციალურ ენებზე — ინგლისურსა და ფრანგულზე. კონვენციის 59-ე მუხლში პირდაპირაა მითითებული, რომ ორივე ტექსტს ერთი და იგივე იურიდიული ძალა გააჩნია.

³⁰. საბერძნეთში სახელმწიფო დიქტატურის დამყარებასთან დაკავშირებით 1969 წელს აპირებდნენ ევროსაბჭოდან გარიცხვას, საბერძნეთმა თვითონ „დაასწრო“ მოვლენებს და მოახდინა კონვენციის დენონსაცია და იმავე დღეს განაცხადა ევროსაბჭოდან გასვლის შესახებ. მხოლოდ 1974 წ. გავიდა საბერძნეთი ხელმეორედ ევროსაბჭოში და მოახდინა კონკრ. რატიფიცირება.

კონვენციის ნორმები, თავისი ფუნქციონალური დანიშნულების მიხედვით ორ ძირითად ჯგუფად იყოფა: *ორგანიზაციულ-პროცესუალურ და მატერიალურ-სამართლებრივ ნორმებად.*

პირველ ჯგუფში ნორმები თავმოყრილია კონვენციის II ნაწილში მოთავსებული მუხლები (მე-19-59 მუხლი). ორგანიზაციულ ნორმებს ემიჯნება პროცესუალური ნორმები, რომლებშიც თავმოყრილია საქმის სასამართლოში განხილვის პროცედურები, კრიტერიუმები (28-44-ე მუხლი). კონვენციაში მოცემული მუხლები დაკავშირებული სასამართლოს საქმიანობასთან ძალიან ზოგადია და მოითხოვს დეტალიზაციას. სწორედ ამ მიზნით 1988 წლის 4 ნოემბერს მიღებული იქნა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს რეგლამენტი.

მატერიალურ-სამართლებრივი ნორმები მოთავსებულია კონვენციის I ნაწილში: „უფლებები და თავისუფლებები (2-19-ე მუხლი). ამავე ჯგუფში, შედის ოქმებით გარანტირებული უფლებებიც.

კონვენციის ნორმათა უმეტესობა ატარებს ამკრძალავ ხასიათს. ზოგიერთი მუხლი პირდაპირ შეიცავს ამკრძალავ მითითებას. ამგვარი ნორმა კონვენციაში სულ ცხრაა. მაგალითად, ევროკონვენციის მე-3 მუხლი, მე-4 მუხლი, მე-4 ოქმის მე-3 მუხლი, მე-17 მუხლი.

სხვა ნორმებიც ატარებენ ამკრძალავ ხასიათს, მაგრამ მათში ამკრძალვა ირიბი ფორმითაა მოცემული. მათში მითითებულია კონკრეტული უფლებები. კერძოდ, სახელმწიფოს მხრიდან ხელყოფისაგან დაცვა გარანტირებულია კონვენციით. ასე მაგალითად, ევრო კონვენციის მე-8 მუხლი, მე-9 მუხლი, მე-10 მუხლი, ასევე მე-5, მე-6 მუხლი; უნდა აღვიშნოთ, რომ ამგვარ ხასიათს ატარებს კონვენციის II ნაწილის მუხლების უმრავლესობა. ამასთან, ამ მუხლებისათვის დამახასიათებელია ისიც, რომ მათ გააჩნიათ მეორე ნაწილი, რომელიც ზღუდავს აღნიშნულ უფლებებს. ამგვარი შეზღუდვები კანონითაა გათვალისწინებული და აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში (მე-8 მუხლი და მე-10 მუხლი).

ევროკონვენციის მიხედვით უფლებებისა და თავისუფლებების შეზღუდვები ხორციელდება სახელმწიფოს მიერ და მდგომარეობს შემდგომში:

— საზოგადოებრივი უსაფრთხოების ინტერესებიდან გამომდინარე;

- სასოგადოებრივი წესრიგიდან გამომდინარე;
- ჯანმრთელობის, მორალის ან სხვათა უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა.
- კანონის შესაბამისობა; (მე-8 მუხლი).
- ეროვნული უსაფრთხოების დაცვისათვის; (მე-8 მუხლი).
- ქვეყნის ეკონომიკური კეთილდღეობის ინტერესებიდან გამომდინარე (მე-8 მუხლი).
- უწესრიგობის ან სისხლის სამართლის დანაშაულის აღკვეთისათვის.
- ტერიტორიული მთლიანობის დაცვისათვის (მე-10 მუხლი).
- სხვათა რეპუტაციის ან უფლებების დაცვისათვის (მე-10 მუხლი)
- კონფიდენციალურად მიღებული ინფორმაციის გამჟღავნების თავიდან აცილებისათვის (მე-10 მუხლი).
- დანაშაულისა და უწესრიგობის აღკვეთისათვის (მე-11 მუხლი).

გარდა ამისა, კონვენციით ცალკეა გამოყოფილი ევრო კონვენციით გარანტირებულ უფლებათა დაცვისაგან გადახვევის შემთხვევები საგანგებო სიტუაციების დროს (მე-15 მუხლი).

მატერიალურ-სამართლებრივ ნორმათა თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ ეს ნორმები დისპოზიციურია და ერთი შეხედვით თითქოს არ შეიცავს სანქციებს, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ მათში სანქციები არ არის. კონვენცია ითვალისწინებს მას, როგორც ყველა ნორმებისათვის საერთო სანქციას. კერძოდ, ევროკონვენციის 41-ე მუხლი ითვალისწინებს „სამართლიან დაკმაყოფილებას“, „თუ სასამართლო დაადგენს, რომ მოხდა კონვენციისა და მისი ოქმების დარღვევა და თუ მაღალი ხელშემკვრელი მხარის შიდასახელმწიფოებრივი სამართალი მხოლოდ ნაწილობრივი დაკმაყოფილების საშუალებას იძლევა, სასამართლო აუცილებლობის შემთხვევაში, უსრუნველყოფს დაზარალებული მხარის სამართლიან დაკმაყოფილებას.“³¹

³¹. 41 მუხლში ნაგულისხმევეა საჯარიმო სანქცია, საჯარიმო სანქციის ქვედა ზღვარი გამოიხატება იმაში, რომ თვით სასამართლოს მიერ „უფლებების დარღვევის აღიარება“, ყოველგვარი ფულადი გადასახადის გარეშე, უკვე ნიშნავს „სამართლიან კომპენსაციას“. ხედა ზღვარში კი ითვლისხმება ფულადი კომპენსაციის გადახდა. მაგალითად, საქმეში „სანიძე საქართველოს წინააღმდეგ“ ევროპულმა სასამართლომ

სამართლიანი დაკმაყოფილებისას სასამართლო მხედველობაში იღებს საქმის არსს, სამართალ დარღვევის ხასიათს, განმცხადებლისათვის მიყენებულ ზიანს და სხვა. „სამართლიანი დაკმაყოფილება“ განმცხადებლისათვის მიყენებული ზიანისათვის ითვალისწინებს: 1) ფულადი და არა ქონებრივი ხასიათის ზიანის მიყენებას; 2) გადასახადების და ხარჯების ანაზღაურებას.

ფულადი ზიანის მიყენებაში იგულისხმება მისაღები შემოსავლის მიუღებლობა, შემოსავლის წყაროს დაკარგვა ან ქონების დაზინება, მისი ღირებულების შემცირება და სხვა.

არაქონებრივი ზიანის მიყენებაში გულისხმობენ მოსამართლის მიერ მორალური ზიანის მიყენებას, მოსვენების დაკარგვას, უსამართლობის განცდას, რეალურ ტანჯვას, ღირსებისა და პატივის შელახვას და სხვა. ორივე შემთხვევაში მოსამართლემ უნდა წარმოადგინოს მისთვის მიყენებული ზიანის ფაქტი, სადაც უნდა არსებობდეს მიზეზობრივი კავშირი.

დაადგინა: „14 (ბ) ყოველგვარი განცდილი ზიანისათვის მოპასუხე სახელმწიფომ განმცხადებელს სამი თვის ვადაში უნდა გადაუხადოს 150 000 (ას ორმოცდაათი ათასი) ეურო განმცხადებლის პატიმრობისათვის 2001 წლის 29 იანვრიდან განაჩენის გამოტანა გე. 72 (ასანიძე სამ.) (ბ) და (გ) და კონვენციით გარანტირებულ უფლებათა სახელმწიფოს მხრიდან ხელყოფას შორის.

3. გადასახადები და ხარჯები გულისხმობს: (1) ფაქტიურად უკვე გაწეული დანახარჯების არსებობას; (2) ეს დანახარჯები აუკიდებლობით იყო გამოწვეული; (3) მათი ოდენობა რეალურია და ამავდროულად გონიერული.

ევროპული კონვენცია

- ა) სიცოცხლის უფლება (მე-2 მუხლი);
- ბ) მესამე მუხლი: წამების აკრძალვა;
- გ) მეოთხე მუხლი: მონობისა და იძულებითი შრომის აკრძალვა;
- დ) მეხუთე მუხლი: თავისუფლებისა და უსაფრთხოების უფლება;
- ე) მეექვსე მუხლი: სამართლიანი სასამართლოს უფლება;
- ვ) მეშვიდე მუხლი: სასჯელის უკუქცევითი გამოყენების აკრძალვა;
- ზ) მერვე მუხლი: პირადი და იჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლება;
- თ) მეცხრე მუხლი: აზრის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლება;
- ი) მათე მუხლი: გამობატვის თავისუფლება;
- კ) მეთერთმეტე მუხლი: შეკრებისა და გაერთიანების თავისუფლება;
- ლ) მეორმეტე მუხლი: ქორწინების უფლება;
- მ) მეცამეტე მუხლი: ევექტური შიდასახელმწიფოებრივი დაკვის ხელმისაწვდომობის უფლება;
- ნ) მეოთხმეტე მუხლი: დისკრიმინაციის აკრძალვა.

პირველი ოქმი

- ა) პირველი მუხლი: საკუთრების უფლება;
- ბ) მეორე მუხლი: განათლების უფლება;
- გ) მესამე მუხლი: თავისუფალ არჩევნებში მონაწილეობის უფლება.

მეოთხე ოქმი

- ა) პირველი მუხლი: თავისუფლების აღკვეთის აკრძალვა ვალის გამო;
- ბ) მეორე მუხლი: გადაადგილების თავისუფლება;
- გ) მესამე მუხლი: მოქალაქეების გაძევების აკრძალვა;
- დ) მეოთხე მუხლი: უცხოელთა კოლექტიური გაძევების აკრძალვა;

მეექვსე ოქმი

მეექვსე ოქმი კრძალავს სიკვდილით დასჯას მშვიდობიან პერიოდში.

მეშვიდე ოქმი:

ა) პირველი მუხლი: უცხოელთა გაძევებასთან დაკავშირებული პროცედურული გარანტიები;

ბ) მეორე მუხლი: ზომიერად სასამართლოში განაჩენის გასაჩივრების უფლება;

გ) მესამე მუხლი: კომპენსაცია არამართებული მსჯავრდებისათვის;

დ) მეოთხე მუხლი: ერთი და იმავე დანაშაულისათვის ხელმეორედ გასამართლების ან დასჯის აკრძალვა;

ე) მეხუთე მუხლი: მეუღლეთა შორის თანასწორობა.

მეთორმეტე ოქმი:

კრძალავს დისკრიმინაციას ყველა იმ უფლებასთან დაკავშირებით, რომელიც პირს ენიჭება ეროვნული კანონმდებლობით.

მეცამეტე ოქმი:

კრძალავს სიკედილით დასჯას ნებისმიერ დროს, მათ შორის საომარი მდგომარეობის დროს.

მეთოთხმეტე ოქმი:

ამ ოქმით დადგენილია ახალი პროცედურები..

კონვენციის მუხლებიდან და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკიდან გამომდინარე, კონვენციით გარანტირებული უფლებები პირობითად შეიძლება დაიყოს ჯგუფებად:

I ჯგუფს მიეკუთვნება პირადი უფლებები.³²

პირადი უფლებები იწყება მე-2 მუხლიდან, რომელიც ეხმიანება მე-6 ოქმს „სიკვდილით დასჯის აკრძალვის შესახებ“.

- სიცოცხლის უფლება;
- მონობისა და იძულებითი შრომის აკრძალვა;
- პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლება;
- საცხოვრებლის პატივისცემის უფლება;
- კორესპონდენციის ხელშეუხებლობა;
- სატელეფონო საუბრების უკანონო მოსმენის აკრძალვა;
- პირადი ცხოვრების შესახებ ინფორმაციის გაცემის აკრძალვა;
- ქორწინების უფლება;
- ოჯახური ცხოვრების უფლება;
- მეუღლეთა თანასწორუფლებიანობა;
- სამოქალაქო ქორწინებაში განიხილი ბაკშვის უფლებები;
- აზრის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლება;
- განათლების უფლება;
- საკუთარი ქონებით სარგებლობის უფლება (საკუთრების უფლება);

II ჯგუფი – სასამართლო გარანტიები.

- დაკავების ან დაპატიმრების შემთხვევაში პირის უფლება დაუყოვნებლივ გადაეცეს სასამართლოს მისი დაკავების ან დაპატიმრების საკითხის განსახილველად;
- უკანონოდ დაპატიმრების შემთხვევაში „პირისათვის“ კომპენსაციის უფლება;

³² საქართველოსათვის ევროპული კონვენცია ძალაში შევიდა 1999 წელს, I დამატებითი ოქმი - 2002წ; მე-4, მე-6 და მე-7 დამატებითი ოქმები-2000წელს; მე-12, მე-13 – 2003 წელს საქართველომ მე-14 ოქმის რატიფიკირება მოახდინა 2004 წელს.

- პატიმრობაში მყოფი „პირის“ არაადამიანური, დამამცირებელი მოპყრობის აკრძალვა;
- მიუკერძოებელი მართლმსაჯულებისადმი ხელმისაწვდომობა;
- სამართლიანი სასამართლოს უფლება;
- სასამართლოს საჯაროობა;
- სასამართლოში საქმის განხილვის გონიერული კადის უფლება;
- სამართალ წარმოების ენის არ ცოდნის შემთხვევაში უფასო თარჯიმნის უფლება;
- უდანაშაულობის პრეზუმფცია;
- ორჯერ ერთი და იგივე დანაშაულისათვის მსჯავრის დადება;
- სისხლის სამართლის კანონის უკუქცევითი ძალა, რომელიც ამძიმებს სასჯელს;
- განაჩენის გადახედვის უფლება ან ზემდგომი სასამართლოს ინსტანციის მიერ, სასჯელის ზომის გადახედვა;
- სასამართლო შეცდომისას კომპენსაციის მიღების უფლება;

III ჯგუფი. პოლიტიკური და სამოქალაქო უფლებები

- აზრის გამოხატვის უფლება (სიტყვის თავისუფლება);
- ინფორმაციის მიღებისა და გავრცელების უფლება;
- მშვიდობიანი შეკრებებისა და მსულებლობების უფლება;
- რასობრივი, სოციალური, ეროვნული, რელიგიური პროპაგანდის აკრძალვა;
- ასოციაციათა, მათ შორის, პროფკავშირების თავისუფლად შექმნის უფლება;
- არჩევნებში მონაწილეობის უფლება;
- გადაადგილებისა და საცხოვრებელი ადგილის არჩევის უფლება;
- საკუთარი მოქალაქეების სახელმწიფოდან გასახლების აკრძალვა;
- საკუთარ სახელმწიფოში საკუთარი მოქალაქის შესვლის უფლების აკრძალვა;

- უცხოელთა კოლექტიური გასახლების აკრძალვა;
- უცხოელთა გასახლების პროცესუალური გარანტიები;
- ექსტრადიციის პროცესუალური გარანტიების უფლება.

ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპული კონვენციის მუხლების ზოგადი მიმოხილვა

სიცოცხლის უფლება (ევროპული კონვენციის მე-2 მუხლი)

სიცოცხლის უფლება გარანტირებულია ევროპული კონვენციის მე-2 მუხლით. სიცოცხლის უფლება ადამიანის ძირითადი უფლებაა, რომელიც არ ექვემდებარება არც ერთ დათქმასა და გადახვევას. სახელმწიფოს მხრიდან მისი შეზღუდვა დაუშვებელია. ერთადერთ გამონაკლისს წარმოადგენს საომარი მოქმედებები, როდესაც შეიძლება მოხდეს სიცოცხლის ხელყოფა. ევროპული კონვენციის მე-2 მუხლი მოიცავს შემდეგ საკითხებს:

- ადამიანის უფლებას სიცოცხლეზე იცავს კანონი;
- პირთა გაუჩინარება და გაურკვეველ ვითარებაში სიკვდილი;
- ნებისმიერი პიროვნების უკანონო ხელყოფისაგან დაცვა;
- სიკვდილით დასჯა;
- სიცოცხლის დასრულების უფლება (ევთანაზია).

ევროპული კონვენცია მიღებულია 1950 წელის 4 ნოემბერს რომში, როდესაც ჯერ კიდევ მოქმედებდა სიკვდილით დასჯა, როგორც სასჯელის სახე. ევროპული კონვენციის მე-6 ოქმის მიღებით, რომელიც ეხებოდა სიკვდილით დასჯის აკრძალვის საკითხებს მე-2 მუხლის 1 პუნქტით ფაქტობრივად შეწყვიტა მოქმედება. მართალია, მე-6 ოქმმა აკრძალა სიკვდილით დასჯა, თუმცა ეს აკრძალვა შეეხებოდა მხოლოდ მშვიდობიან პერიოდს. ომის პერიოდში კი, ამ სასჯელის გამოყენება დასაშვებად მიიჩნეის.

კონვენციის მე-13 ოქმის მიღებით სიკვდილით დასჯის გამოყენება აღარ დაიშვება, არც საომარ და არც საგანგებო მდგომარეობაში;

ევრო საბჭოში გაწევრიანების მსურველი ნებისმიერი კანდიდატი სახელმწიფო ვალდებულია ხელი მოაწეროს მე-13 მუხლის ოქმს.

სახელმწიფოებს, მე-2 მუხლი ავალდებულებს 'შეასრულოს კო'სიტიური ვალდებულებები ანუ დაიცვას მის ოურისდიქციაში მყოფი ნებისმიერი ადამიანი სიცოცხლის ხელყოფისაგან, მიიღოს 'სომები და თავიდან აიცილოს ადამიანის მკვლელობა.

სახელმწიფომ უნდა შექმნას სიცოცხლის დამცავი ეფექტური მექანიზმები, შემოქმედოს დამცავი კანონმდებლობა, რომელიც უსაფრთხოს გახდის და დაიცავს ადამიანის სიცოცხლეს. აქედან გამომდინარე, სახელმწიფოს პასუხისმგებლობა დგება იმ შემთხვევაში, როდესაც მკვლელობა ჩაიდინა ხელისუფლების ორგანოს წარმომადგენელმა და მაშინაც, როცა მან ეერ უსრუნველყო მკვლელობის თავიდან აცილება ან სათანადოდ ვერ ნაატარა გამოძიება, რომელიც ნათელს მოჰყენდა მკვლელობის ფაქტს. მე-2 მუხლის დარღვევად შეიძლება მისწველ იქნას ის ფაქტიც, როდესაც ხელისუფლების მხრიდან გამოყენებული ძალა მიზნად ისახავს დანაშაულის თავიდან აცილებას, თუმცა იგი არ არის საფრთხის თანაზომიერი. ყოველ კონკრეტულ საქმეზე სასამართლო მსჯელობს, თუ რამდენად თანაფარდობაშია გამოყენებული ძალა მიზანთან მიმართებაში, სწორად იქნა თუ არა დაგეგმილი და აკონტროლებდა თუ არა დანაშაულის აღკვეთის დროს ხელისუფლება ძალის გამოყენებას, რათა მინიმუმამდე ყოფილიყო დაყვანილი ძალის გამოყენების შესაძლო სასიკვდილო შედეგი.

მე-2 მუხლის დარღვევა ხშირად უკავშირდება გაუზინარებისა და პატიმრობაში მკვლელობის ფაქტებს.

სახელმწიფო ვალდებულია დაიცვას „პირი“ როდესაც: 1) საფრთხე მომდინარეობს სახელისუფლებო ორგანოებისაგან; 2) საფრთხე მომდინარეობს სხვა ინდივიდისაგან.

მე-2 მუხლი უკავშირდება ადამიანის დაბადების მომენტს. აღნიშნული მუხლი განსაზღვრავს ადამიანის უფლებას თვითონ გადაწყვიტოს საკუთარი სიცოცხლის ხანგრძლივობის პერიოდი ან დასრულება ("პრეტი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ"). თუმცა, ევთანაზიასთან მიმართებაში სასამართლომ მიუთითა, რომ მე-2 მუხლი თავისი ფუნდამენტური ბუნებიდან გამომდინარე, მიზნად ისახავს მხოლოდ სიცოცხლის უფლების დაცვას.

წამების აპრძალვა
(ევროპული კონვენციის მე-3 მუხლი)

ევროპული კონვენციის მე-3 მუხლი მოიცავს შემდეგ საკითხებს:

- წამების, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის მსხვერპლი;
- არაადამიანური და დამამცირებელი სასჯელი;
- წამება;
- უცხოელთა გასახლება;
- წამებასთან დაკავშირებული საკითხები.

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-3 მუხლით გათვალისწინებულია წამების აკრძალვა: “არავინ შეიძლება დაექვემდებაროს წამებას, არაადამიანურ ან ღირსების შემლახავ მოპყრობას ან სასჯელს”³³. წამების აკრძალვის მოთხოვნა გამოხატულია იმპერატიული ფორმით და ის აბსოლუტური ხასიათისაა ანუ არ დაიშვება მისი შეზღუდვა არავითარ შემთხვევაში, არც ომიანობის და არც მშვიდობიანობის პერიოდში, თუნდაც საზოგადოებრივი უსაფრთხოების დაცვის (მაგალითად, ტერორიზმთან ბრძოლისას) მიზნით. (“წაპალი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ”).

წამების აკრძალვის მოთხოვნა მოცემულია სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა საერთაშორისო პაქტში (მე-7 მუხლი), ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციაში (მე-5 მუხლი); გაეროს წამების საწინააღმდეგო კონვენციასა და წამების აკრძალვის ევროპულ კონვენციაში. ასევე, ამერიკათაშორის კონვენციასა და აფრიკულ ქარტიაში.

ევროპული კონვენციის მე-3 მუხლი იმეორებს ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის მე-5 მუხლს, განსხვავებით პაქტის მუხლისაგან. წამების აკრძალვასთან ერთად მოხსენებულია, რომ “არც ერთ პირზე, მისი ნებაყოფლობითი თანხმობის გარეშე, არ შეიძლება სამედიცინო ან სამეცნიერო ცდების ჩატარება”. პაქტში წამების აკრძალვასთან ერთად ამგვარი ქმედების აღნიშვნა მეტყველებს იმაზე, რომ შესაძლებელია სამედიცინო ექსპერიმენტის ჩატარება ადამიანზე მისი ნების საწინააღმდეგოდ, რასაც შეიძლება მიეკვს წამების, არაადამიანური მოპყრობისა ან ღირსების შელახვის კვალიფიკაცია.

³³ წამების აპრძალვის შესახებ იხ. №0860ს III თავი.

ევროპული კონვენციის მე-3 მუხლი არ შეიცავს წამების განსაზღვრებას. ის მოცემულია ევროპული კონვენციის მუხლში. ევროპულმა სასამართლომ საქმეში *“ირლანდია გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ”* ჩამოაყალიბა წამების, არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის ან სასჯელის განსაზღვრება. *“წამება წარმოადგენს განზრახ არაადამიანურ მოპყრობას, რომელიც იწვევს მნიშვნელოვან და სასტიკ ტანჯვას. არაადამიანური მოპყრობა ძლიერი სულიერი ტანჯვის მიყენებაა. დამამცირებელი მოპყრობა მსხვერპლში იწვევს შიშის, არასრულფასოვნების, დათრგუნვის გრძნობას, რაც მიზნად ისახავს პირის შეურაცხყოფას, დამცირებას ან მისი ფიზიკური, თუ მორალური წინააღმდეგობის დაძლევას”*. ამგვარმა მოპყრობამ ან სასჯელმა უნდა მიაღწიოს სისასტიკის მაქსიმალურ დონეს, რომ ჩაითვალოს კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევად. წამების ცნება მოიცავს, როგორც ფიზიკურ, ისე ფსიქიკურ მომენტებს.

ევროსაბჭოს წევრ-სახელმწიფოებს წამების აკრძალვა აკისრებს, როგორც *“პოზიტიურ”* ისე *“ნეგატიურ”* ვალდებულებებს. *“ნეგატიური”* ვალდებულებების დროს, სახელმწიფომ თავი უნდა შეიკავოს მე-3 მუხლით გათვალისწინებული ქმედებებისაგან. სახელმწიფო პასუხისმგებელია ხელისუფლების წარმომადგენლის ქმედებაზე. მიუხედავად ამისა, ხელისუფლების წარმომადგენლები მოქმედებენ ზემდგომი ორგანოს ან თანამდებობის პირის ბრძანებით ან საკუთარი ინიციატივით. სახელმწიფო პასუხს აგებს არა მარტო იმ შემთხვევებზე, რომელიც მისთვის იყო ცნობილი, არამედ იმ ფაქტებზეც, რომელიც მისთვის ცნობილი არ იყო (*საქმეში “ირლანდია გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ”*).

პოზიტიური ვალდებულებების შესრულების დროს, ხელისუფლება იღებს ვალდებულებას არ განახორციელოს წამება, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი დამამცირებელი მოპყრობა. ასევე, გამოსიძოს ამგვარი ფაქტები, მიიღოს ქმედითი ზომები მათ აღსაკვეთად და დასაჯოს დამნაშავეები.

მე-3 მუხლის შემთხვევაში, როდესაც საქმე გვაქვს სახელმწიფოს პოზიტიურ ვალდებულებებთან მნიშვნელოვანია გაირკვეს მე-3 მუხლისა და ევროპული კონვენციის მე-13 მუხლის (*კანონით ეფექტური დაკვის უფლება*) ურთიერთკავშირის საკითხი. „პირს“, რომელიც ამტკიცებს, რომ არის წამების მსხვერპლი უნდა მიენიჭოს ეფექტური დაკვის საშუალება ანუ

მას უნდა გააჩნდეს სასამართლოში მიმართვის უფლება. დაცვის ეფექტური საშუალება, ასევე გულისხმობს სრულყოფილი და ეფექტური გამოძიების წარმართვას, დამნაშავეთა გამოვლენასა და დასჯას. (*“ილპანი თურქეთის წინააღმდეგ”*).

მონობა და იძულებითი შრომის აკრძალვა (კონვენციის მე-4 მუხლი)

- მონობის აკრძალვა;
- იძულებითი შრომა;

მონობა და იძულებითი შრომა აკრძალულია ევროკონვენციის მე-4 მუხლით. ევროპული კონვენცია არ განმარტავს, თუ რა იგულისხმება მონობასა და იძულებით შრომაში. ამის დადგენა, შესაძლებელია ევროსასამართლოს საპრეცედენტო სამართლის მიხედვით.³⁴ მონობაში არ იგულისხმება ისეთი შემთხვევები, როდესაც პირი სასჯელადსრულებით დაწესებულებაში იმყოფება.

მე-4 მუხლით აკრძალულია იძულებითი შრომა, ხოლო მე-3 პუნქტი გულისხმობს ოთხი სხვადასხვა კატეგორიის საკლდეზღო საქმიანობას, რომელიც არ ნაითვლება იძულებით შრომად. პირველი კატეგორია გულისხმობს თავისუფლება აღკვეთილ და პირობით გათავისუფლებულ პირთა შრომას, რომელიც არ ნაითვლება იძულებით შრომად; მეორე კატეგორია შეეხება სამხედრო მოსამსახურეების მიერ შესრულებულ სამუშაოს ან სამხედრო სამსხურის მიერ დაკისრებულ საქმიანობას; საგანგებო, სტიქიური ან უბედური შემთხვევის დროს გარკვეულმა სამსახურებმა შესაძლოა საკლდეზღო ხასიათი მიიღონ; მეოთხე კატეგორიას წარმოადგენს “ნებისმიერი სამუშაო ან სამსახური, რომელიც შეადგენს წვეულებრივ სამოქალაქო ვალდებულებათა ნაწილს” (მე-4 მუხლის მე-3 პუნქტის “დ” ქვეპუნქტი). მაგალითად, მეხანძრეები, პოლიციელები, ავტოკატის მიერ სოციალურად დაუცველი ფენის უფასოდ მომსახურება (*“ვან დერ მუსელე ბელგიის წინააღმდეგ”*).

³⁴ 1926 წელს ერთა ლიგამ მიიღო კონვენცია „მონობისა და მონათუფრობის გაუქმების შესახებ“. მონობის აკრძალვაზე საუბარი ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის მე-4 მუხლში და სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა მე-4 მუხლში

თავისუფლებისა და პირადი ხელშეუხებლობის უფლება
(ევროპული კონვენციის მე-5 მუხლი)

- მსჯავრდების შემდეგ, „პირის“ კანონიერად დაპატიმრება;
- „პირის“ კანონიერად დაკავება ან დაპატიმრება სასამართლოს კანონიერი გათვალისწინების ან კანონით გათვალისწინებული ვალდებულებების შესასრულებლად;
- დაკავება „დასაბუთებული ეჭვის გამო“;
- არასრულწლოვანთა და ფსიქიურად დაავადებულთა დაკავება;
- “პირის” დაკავება დემორტაციამდე ან ექსტრადაციამდე;
- თავისუფლების აღკვეთის პროცესუალური გარანტიები;
- ბრალდების შესახებ ინფორმაციის მიღების უფლება;
- პირის წარდგენა მოსამართლის ან სხვა მოხელის წინაშე, რომელიც უფლებამოსილია განახორციელოს სასამართლო ხელისუფლება;
- გონივრულ ვადაში „საქმის განხილვის უფლება“;
- გირაო;
- დაკავების კანონიერების შემოწმების უფლება;
- კომპენსაციის უფლება.

ევრო კონვენციის მე-5 მუხლი აღიარებს „პირის“ ძირითად უფლებას – თავისუფლებასა და პირად ხელშეუხებლობას. ამ უფლების შეზღუდვა დაიშვება მხოლოდ მე-5 მუხლში მითითებულ შემთხვევებში “კანონით დადგენილი წესით”. ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ ამ მუხლში ჩამოთვლილი შეზღუდვები ამომწურავია.

მე-5 მუხლში, აღწერილი შეზღუდვები უნდა იყოს კანონიერი (*“ასანიძე საქართველოს წინააღმდეგ”*) და განხორციელდეს კანონის შესაბამისად. ის ვერცვლდება, როგორც დაკავების პროცესზე, ისე დაკავების საფუძველზე. თავისუფლების შეზღუდვა არ უნდა იყოს თვითნებური. თავისუფლების და უსაფრთხოების უფლების შეზღუდვა უნდა ემყარებოდეს არა მარტო ეროვნულ კანონმდებლობას, არამედ შესაბამისობაში უნდა იყოს მე-5 მუხლის მიზნებთან. ეროვნული კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვა გულისხმობს იმის გარკვევას, იყო თუ არა შესრულებული ყველა სავალდებულო პროცესუალური პროცედურა. არსებობდა, თუ არა სასამართლო

გადაწყვეტილება, რომელიც ითვალისწინებდა „პირის“ მიმართ აღმკვეთი ღონისძიების გამოყენებას და კონკრეტულ ზომებს.

დაკავების კანონიერი საფუძვლების არსებობა აუცილებელია თავისუფლების აღკვეთის მიუღწეველ პერიოდში. სასამართლომ მე-5 მუხლის დარღვევად მიიხსნია შემთხვევა, როდესაც „პირის“ დაკავება კანონიერი იყო, მაგრამ კანონიერმა საფუძველმა გარკვეული ვადის გასვლის შემდეგ შეწყვიტა არსებობა (*„ზარანოვსკი პოლონეთის წინააღმდეგ“*).

მე-5 მუხლის დარღვევად ჩაითვლება შემთხვევები, როდესაც ეროვნული კანონმდებლობა ფორმალურად შეესაბამება ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის სტანდარტებს, მაგრამ კონკრეტულ ვითარებაში თავისუფლების აღკვეთის გამოყენება შეიძლება ჩაითვალოს თვითნებობად. ეს ხდება იმ შემთხვევებში, როდესაც თავისუფლების შესღუდვის გამოყენება არ იყო აუცილებელი (*„ვიტოლდ ლიტვა პოლონეთის წინააღმდეგ“*). მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, თავისუფლება აღკვეთილი „პირი“ უნდა იყოს ინფორმირებული მისი დაკავების მიზეზებისა და წაყენებული ბრალდების შესახებ. მისთვის გასაკებ ენაზე. ეს უფლება შეეხება, როგორც დაკავებულ „პირს“, ისე ბრალდებულს. განმარტება უნდა იყოს გასაგებად ფორმულირებული. „პირმა“ უნდა გააცნობიეროს მისი დაკავების მიზეზები და ამ ღონისძიების გასაწყობების შესაძლებლობა (*„შამაევი და სხვები საქართველოს წინააღმდეგ“*).

მე-5 მუხლის მე-3 პუნქტი ითხოვს, დაკავებული ან დაპატიმრებული „პირი“ დაუყოვნებლივ იქნას წარდგენილი მოსამართლესთან ან სხვა უფლებამოსილ პირთან, რომელიც ახორციელებს სასამართლო ფუნქციებს (ანუ უნდა განხორციელდეს Habeas Corpus Act-ის გარანტიები). მოსამართლეს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება: გაათავისუფლოს „პირი“ ან გააგრძელოს პატიმრობის ვადა. მე-5 მუხლის მე-3 პუნქტი მოიცავს კიდევ ერთ მომენტს – გადაწყვეტილება მიღებულ უნდა იქნას გონიერულ ვადაში. გონიერული ვადის დადგენა დამოკიდებულია საქმის სიმძიმეზე, გარემოსა და სხვა პირობებზე.

მე-5 მუხლის მე-4 პუნქტი დაკავებულ „პირს“ უფლებას აძლევს სასამართლოში შეიტანოს საწინდარი დაპატიმრების კანონიერების თაობაზე. სასამართლო კი, თავის მხრივ ვალდებულია მიიღოს გადაწყვეტილება „პირის“ გაათავისუფლების შესახებ, თუ დადგინდა, რომ პატიმრობა არის უკანონო.

მე-5 მუხლი მე-4 პუნქტის დარღვევის დადგენის შემთხვევაში „პირს“ აქვს უფლება მოითხოვოს კომპენსაცია (სიანის ანაზღაურება).

სამართლიანი სასამართლოს უფლება

(ევროპული კონვენციის მე-6 მუხლი)

სამართლიანი სასამართლოს უფლება აერთიანებს მთელ რიგ საკითხებს:

- სამოქალაქო უფლებები და მოვალეობები;
- სისხლის სამართლებრივი ბრალდება;
- საქმის საჯარო განხილვის უფლება;
- სასამართლოს დამოუკიდებლობა და მიუკერძოებლობა;
- საქმის სამართლიანი განხილვა;
- მხარის მონაწილეობა საქმის განხილვაში;
- უფლება, საკუთარი თავის წინააღმდეგ არ მისცეს ჩვენება-დემილის უფლება;
- მხარეთა თანასწორობა და შეჯიბრებითობა;
- უფლება დასაბუთებული გადაწყვეტილების მიღებაზე; უდანაშაულობის პრეზუმფცია;
- დეტალური ინფორმირება ბრალდებულის თაობაზე;
- ადეკვატური დრო და საშუალება დაცვის მოსამზადებლად;
- იურიდიული დახმარების უფლება;
- მოწმეების გამოძახებისა და დაკითხვის უფლება; თარჯიმნის გამოყენების უფლება.

მე-6 მუხლის მოქმედების სფერო საკმაოდ ფართოა. ის მოიცავს, როგორც სისხლის სამართლის საქმეებს ისე სამოქალაქო საქმეებსაც, ხოლო მე-6 მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტები შეეხება მხოლოდ სისხლის სამართლის საქმეებს.

მე-6 მუხლით გარანტირებული უფლებები გამოიყენება, როგორც წინასწარი გამოძიების პერიოდში საქმის განხილვის დროს, ისე საქმის სასამართლოში განხილვამდე და განხილვის დამთავრების შემდეგ. მე-6 მუხლი მოითხოვს, დაცულ იქნას გონივრული ვადის პრინციპი, რომელიც ბრალის წაყენების მომენტიდან მოქმედებს (*“იმპროშა შევიცარიის წინააღმდეგ”*). მე-6 მუხლი მოქმედებს საქმის ადმინისტრაციული განხილვის ეტაპზეც, როდესაც საქმე ეხება პირადი და ოჯახური ცხოვრების უფლებას (*“დელკურტი*

ბელგიის წინააღმდეგ"). მე-6 მუხლით არ არის დაცული აპელაციის უფლება.

თავისებურებით ხასიათდება მე-6 მუხლის მოქმედება სააპელაციო უფლებასთან დაკავშირებით. სასამართლომ პრევენციული სამართლით დაადგინა, თუ სახელმწიფოში არსებობს სააპელაციო ინსტანციის ორგანოები მათზე ვრცელდება მე-6 მუხლი. მე-6 მუხლი, ასევე ვრცელდება საკონსტიტუციო სამართალწარმოებაზე, თუ ამგვარი სამართალწარმოების შედეგი "პირდაპირ და გადაამწყვეტ გააღენას ახდენს სამოქალაქო უფლებებსა და ვალდებულებებსზე" (*"კრესკა შვეიცარიის წინააღმდეგ"*). მოგვიანებით ეს ხარვეზი შეესებოდა იქნა მე-7 დამატებითი ოქმის მე-2 მუხლით. (*"დელკურტი ბელგიის წინააღმდეგ"*). მე-6 მუხლი ასევე ვრცელდება სასამართლოს გადაწყვეტილებათა აღსრულებაზე. *სწორედ სასამართლო აღსრულების საკითხთან დაკავშირებით საქართველომ წააგო სტრასბურგში 2 საქმე - "შპს "იზა" საქართველოს წინააღმდეგ"*. და *"amatji" საქართველოს წინააღმდეგ"*.

მე-6 მუხლი, იცავს „პირის“ სამართლიანი სასამართლოს უფლებას, თავისი სამოქალაქო სამართლებრივი უფლებამოვალეობების განსაზღვრისას. ეს ტერმინი უნდა განიმარტოს "უნიფიცირებული ევროპული ხელის საფუძველზე" (*"კონიგი გერმანიის წინააღმდეგ"*). სამოქალაქო სამართლებრივ ურთიერთობებს მიეკუთვნება: ვალდებულებითი ურთიერთობა, სამოქალაქო-სამართლებრივი დელიქტები, კომერციული სამართალი, საოჯახო, შრომითი და საკუთრების სამართალი. (*"მარჩ გელეგი ესპანეთის წინააღმდეგ"*).

მე-6 მუხლი, მოიცავს სამედიცინო დაზღვევის საკითხებს, (*"ლომბარდო იტალიის წინააღმდეგ"*) ინვალიდების დახმარებისა და სახელმწიფო პენსიების დანიშნისა და გაცემის საკითხებს. აქვე უნდა განვმარტოთ, რომ ევროპული კონვენცია, როგორც ვიცით არ იცავს შრომით, სოციალურ და ეკონომიკურ უფლებებს, მაგრამ ევროპულმა სასამართლომ არა ერთი საქმე განიხილა, რომელიც შეეხებოდა პენსიების გა'ეცემლობის საკითხს (*"შულერ ზგრაგენი შვეიცარიის წინააღმდეგ"*,) სწორედ მე-6 მუხლთან მიმართებაში, როდესაც საკითხი ეხებოდა სამოქალაქო უფლებებისა და მოვალეობების საკითხს.

სამოქალაქო სამართლებრივ ურთიერთობებად ითვლება ერთი „პირის“ უფლება, მოითხოვოს სხვა პირისაგან საკუთარი

რეპუტაციის პატივისცემა. მართალია, ევროპელი კონვენციით დაუშვებელია ფიზიკურმა პირმა სტარსბურგის სასამართლოში სარჩელი წარადგინოს ფიზიკური პირის წინააღმდეგ, მაგრამ ამ შემთხვევაში იგულისხმება შემთხვევები, როდესაც დარღვეული იქნა სამართლიანი სასამართლოს უფლება სახელმწიფოს მხრიდან (*“ფაიელი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ”*).

მე-6 მუხლში, მითითებულია “სისხლის სამართლებრივი ბრალდების” შესახებ. ევროპული სასამართლოს მიერ განმარტებული “ბრალდების” არსი ემთხვევა ეროვნული სამართლის განმარტებას. პრეკედენტული სამართლის ანალიზის შედეგად “ბრალის” არსის გარკვევისას, შეიძლება გამოყოფილი იქნას შემდეგი მომენტები:

- გაცემულია “პირის” დაპატიმრების ბრძანება;
- “პირს” ოფიციალურად ეცნობოს, რომ მის წინააღმდეგ გამოცხადებულია სისხლის სამართლებრივი დევნა (*“ფუნკე საფრანგეთის წინააღმდეგ”*).

მე-6 მუხლი, მიუთითებს “სისხლის სამართლებრივი ბრალდების” არსებობაზე. სისხლის სამართლებრივი შინაარსის დადგენისას, უნდა ვიხელმძღვანელოთ შემდეგი კრიტერიუმებით:

- შიდასახელმწიფოებრივი სამართლის სისტემაში არსებული კლასიფიკაციით;
- მართლსაწინააღმდეგო ქმედების ხასიათით;
- სასჯელის სიმკაცრის არსითა და ხარისხით.³⁵

საქმის საჯარო განხილვა, რომელიც სამართლიანი სასამართლოს სავალდებულო ატრიბუტია და დაცულია მე-6 მუხლით, მოიცავს საქმის საჯარო განხილვას ყველა ინსტანციაში, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც “პრესა და საზოგადოება შეიძლება არ ესწრებოდეს სასამართლო პროცესს ან მის გარკვეულ ნაწილს. დემოკრატიულ სახელმწიფოში მორალის, საზოგადოებრივი წესრიგის ან ეროვნული უსაფრთხოების ინტერესებიდან გამომდინარე, როდესაც ამას

³⁵ კორკინია, კურაძე გვ. 158.

მოითხოვს არასრულწლოვანთა ან მხარეთა პირადი ცხოვრების ინტერესების დაცვა სასამართლოს აზრით, განსაზღვრულ გარემოებებში საჯაროობამ შეიძლება ზიანი მიაყენოს მართლმსაჯულების ინტერესებს”.

მე-6 მუხლის 1 პუნქტით სასამართლო გადაწყვეტილება ცხადდება საჯაროდ და რაიმე გამოწვევის არ დაიმყვება, მაგრამ მე-6 მუხლის დარღვევად არ ჩაითვლება სასამართლოს მიერ ტექსტის არ წაკითხვა. (*“პრეტო და სხვები იტალიის წინააღმდეგ”*).

აგრეთვე, მე-6 მუხლის 1 პუნქტი ითვალისწინებს საქმის “გონივრულ ვადაში” განხილვას. ვადის ათვლა იწყება საქმის წარმოების დაწყებიდან, ხოლო სისხლის სამართლის საქმეებზე “ბრალდების” წაყენების მომენტიდან. ვადის დინება მთავრდება საბოლოო ინსტანციის სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების გამოტანისას.

მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტი ითვალისწინებს სასამართლოს დამოუკიდებელობას, მიუკერძოებლობას. ამ საკითხის გარკვევისას სასამართლო მხედველობაში იღებს შემდეგ ფაქტორებს:

- წევრთა დანიშვნის პროცედურას;
- ამ თანამდებობაზე მათი უფლებამოსილების ვადებს;
- მათზე ზეწოლის განხორციელების შეუძლებლობას;
- ამ ორგანოს გააჩნია თუ არა დამოუკიდებლობის შიდა გარანტიები.

მოსამართლის მიუკერძოებლობისას ევროპული სასამართლო გამოყოფს ორ მიმენტს:

- **სუბიექტურ მიუკერძოებლობა** - მოსამართლე შინაგანად არის მიკერძოებული თავისი მსოფლმხედველობით (მაგალითად, რელიგიური შეუწყნარებლობის შემთხვევაში, რასისტული მიდრეკილებებისას);
- **ობიექტური მიუკერძოებლობა** - გარე ფაქტორების ზემოქმედება (საგაზეთო პუბლიკაციები).

სისხლის სამართლებრივი მიმართვის უფლება არ არის აბსოლუტური. არასრულწლოვნებისა და შეურაცხადების მიერ

სასამართლოსათვის მიმართვის უფლება შეზღუდულია კანონის საფუძველზე.

მე-6 მუხლის დარღვევად ჩაითვლება სახელმწიფოს მხრიდან უარი უფასო იურიდიული დახმარების გაწევის უპრობლემაოდ. (*“ეთრი ირლანდიის წინააღმდეგ”*).

მე-6 მუხლით გათვალისწინებულია პირის უფლება არ მისცეს თავის საწინააღმდეგოდ ჩვენება, რაც თავისი არსით ნიშნავს დუმილის უფლებას (*“ჯონ მეიერი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ”*).

მე-6 მუხლით გათვალისწინებულია საქმის განხილვაში მხარეთა მონაწილეობა დასაბუთებული გადაწყვეტილების მიღებაზე თანასწორობისა და შეჯიბრობითობის პრინციპის დაცვის უფლებით.

მე-6 მუხლი, საქმის განხილვის პროცესში იცავს უდანაშაულობის პრეზუმფციას და ნებისმიერი შენიშვნა, რომელიც გააკეთებული იქნება სასამართლოს მსჯელობის დროს, განხილვის დასრულებისა და “პირის” გათავისუფლების მომენტშიც კი, ჩაითვლება უდანაშაულობის პრეზუმფციის დარღვევად და “პირი” მოექცევა მე-6 მუხლის დაცვის ქვეშ. აღკვეთის ადგილებში მაგალითად, უკიდურესი აუცილებლობის შემთხვევაში (მაგალითად, ციხეში არეულობის დროს – (*“ბონზი შვეიცარიის წინააღმდეგ”*)).

მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის “ა” ქვეპუნქტი, ითვალისწინებს ბრალდებულის უფლებას მისთვის გასაგებ ენაზე მიიღოს ინფორმაცია მის წინააღმდეგ წამოყენებული ბრალდების თაობაზე. “ა” ქვეპუნქტის მოთხოვნა, ეხება ბრალდებულისათვის ბრალის წაყენების მომენტში ან სისხლის სამართლის აღძვრის მომენტში წარმოდგენილ ინფორმაციას.

მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის “ბ” ქვეპუნქტით გათვალისწინებულია ბრალდებულისათვის გონივრული ვადის (ადექვატური დროის) მიცემა დაცვის მოსამსახურებლად, როდესაც საუბარია დაცვისათვის გონივრულ ვადის მიცემაზე სასამართლო მხედველობაში იღებს შემდეგ გარემოებებს: საქმის სირთულეს; რომელ ინსტანციაში იხილება საქმე; ბრალდებულის მდგომარეობას; რამდენად კჭონდა საშუალება დამცველს შესაძლებლობა დაცვის ქვეშ მყოფი “პირის” შეუზღუდავი ნახვის უფლება. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ადვოკატს არ სჭირდება

სპეციალური ნებართვა დაკავებულნი "პირის" მოსანახულებლად,³⁶ ხოლო სასჯელადსრულებითი დაწესებულების ადმინისტრაცია ვალდებულია უზრუნველყოს პატიმრობაში მყოფი "პირისა" და ადვოკატის შეხვედრის კონფიდენციალურობა. ამ დროს, ირლვეკა არა მარტო მე-6 მუხლის შესაბამისი პუნქტი, არამედ მთლიანად საქმის სამართლიანი განხილვის უფლება და კონვენციის მე-8 მუხლის მოთხოვნები. ბრალდებულ "პირს" აქვს უფლება გაეცნოს იმ მასალებს, რომელიც არსებობს მის წინააღმდეგ აღძრულ საქმეში. ამ უფლების ხელყოფამ შეიძლება მიგვიყვანოს მე-6 მუხლის დარღვევამდე.

იურიდიული დახმარების უფლება ასევე, წარმოადგენს მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის "გ" ქვეპუნქტის გარანტირებულ უფლებას. ამ პუნქტის მიხედვით ყველა ბრალდებულს აქვს უფლება, თავი დაიცვას პირადად ან საკუთარი არჩევანის საფუძველზე იურიდიული დახმარების საშუალებით. იმ შემთხვევაში, თუ "პირს" არა აქვს საკმარისი სახსრები სამართლებრივი დაცვის ასანაზღაურებლად სახელმწიფოს ეკისრება ვალდებულება დახმარება გაუწიოს უფასოდ, თუ მართმსაჯულების ინტერესები ამას მოითხოვს. მართალია, კონვენცია პირდაპირ არ მიუთითებს, რომ იურიდიული დახმარების გარანტიები სავალდებულოა სამოქალაქო საქმეებზეც, მაგრამ ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებით ეს მოთხოვნა გარკვეულ შემთხვევებში დაკული უნდა იქნას სამოქალაქო საქმეებში. (*"ეთრი ირლანდიის წინააღმდეგ"*). მნიშვნელოვანია, რომ ევროპული კონვენცია იცავს იურიდიული დახმარების უფლებას და არა ადვოკატის დანიშნის უფლებას (*"არტიკო იტალიის წინააღმდეგ"*).

მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის "დ" ქვეპუნქტი, უზრუნველყოფს მოწმეების გამოძახებისა და დაკითხვის უფლებას, რაც იმაში მდგომარეობს, რომ ბრალდებულს უფლება აქვს მოითხოვოს იმ პირთა დაკითხვა, რომელთა ჩვენებას მისი აზრით კავშირი აქვს საქმესთან.

ამავე მუხლში, მოიაზრება ანონიმური მოწმეების ჩვენების საკითხი. მე-6 მუხლის დარღვევად ჩაითვლება შემთხვევები,

³⁶ ამასთან ზოგიერთ საქმეში მე-6 მუხლის დარღვევად არ იქნა მიჩნეული შემთხვევები, როდესაც ადვოკატს აკრძალა კლიენტის მონახულება თავისუფლების შემთხვევაში. ასეთი აკრძალვა და აკრძალვის პირობები გათვალისწინებული უნდა იყოს ეროვნული კანონმდებლობით.

როდესაც სასამართლო გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანისას მთლიანად ეფუძნება ანონიმური მოწმეების ჩვენებებს. საქმის ხასიათიდან გამომდინარე, ევროპული სასამართლო დასაშვებად მიიხსენებს, რომ ეროვნულმა სასამართლომ საქმის განხილვისას გაითვალისწინოს ანონიმური ჩვენებები, მაგრამ არ დაეყრდნოს მას.

მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის “ი” პუნქტით, “ყველას აქვს უფლება ისარგებლოს თარჯიმნის მომსახურებით”. ამავე მუხლით, თარჯიმნის უფასო მომსახურება გარანტირებულია სმენა დაქვეითებული პირებისათვის.

არავითარი სასჯელი კანონის ბარეში (კონვენციის მე-7 მუხლის)

კონვენციის მე-7 მუხლით აკრძალულია უკუქცევითი ძალის გამოყენება სისხლის სამართლის საქმეების მიმართ. ევროპულმა კონვენციამ კიდევ ერთხელ აღიარა კანონის უკუქცევითი ძალა. კერძოდ, “სისხლის სამართლის კანონი არ შეიძლება გამოყენებული იქნას ბრალდებულის საზიანოდ. მაგალითად, ანალოგის სახით (“*კოკინაკისი საბერძნეთის წინააღმდეგ*”).

მე-7 მუხლიდან გადახვევა და მისი შეზღუდვა დაუშვებელია. მე-7 მუხლში გაერთიანებულია რამდენიმე მოთხოვნა:

- ეროვნულ კანონმდებლობაში დანაშაულების სახეები ზუსტად უნდა იქნას ფორმირებული და ასახული;
- კანონში კონკრეტულად უნდა იქნას ასახული, თუ რა ითვლება დანაშაულად;
- ინდივიდს უნდა გააჩნდეს ინფორმაცია იმ საფუძვლებზე და წინაპირობებზე, რამაც გამოიწვია მისი სისხლის სამართლებრივი პასუხისგებაში მიცემა.
- კანონი უნდა იყოს ხელმისაწვდომი, რაც გულისხმობს, რომ „პირს“ უნდა აქონდეს საშუალება გაითვალისწინოს თავისი მოქმედების (უმოქმედების) შედეგები, რათა თავიდან აიცილოს სისხლის სამართლით დადგენილი სასჯელი. მე-7 მუხლი, ვრცელდება იმ შემთხვევებზეც, როდესაც აღძრულია სისხლის სამართლის საქმე, წაყენებულია ბრალდება, გამოტანილია გამამტყუნებელი სასჯელი.

მე-7 მუხლი, საინტერესოა იმითაც, რომ კონვენციით დაშვებულია სისხლის სამართლის საქმეებზე უკუქცევითი ძალის გამოყენება მკაცრად განსაზღვრულ შემთხვევებში. აქ იგულისხმება, საერთაშორისო სისხლის სამართლის დანაშაულებზე პასუხისმგებლობის დაკისრება. როგორც თვით კონვენციის მე-2 ნაწილშია მითითებული „ეს მუხლი ხელს არ შეუშლის ნებისმიერი პიროვნების გასამართლებას ან დასჯას რაიმე ქმედებისა ან დაუდევრობის გამო, რომელიც იმ დროისათვის, როცა ის იქნა ჩადენილი წარმოადგენდა აღიარებას სამართლის ძირითადი პრინციპების მიხედვით“.

პირადი და ოჯახური ცხოვრების კატივისცივის უფლება (ევროპული კონვენციის მე-8 მუხლი)

ევროპული კონვენციის მე-8 მუხლი მოიცავს შემდეგ საკითხებს:

- პირად ცხოვრებას, როგორც პირადად პიროვნების ისე მისი ოჯახის წევრების ცხოვრებას. თითოეული ოჯახის წევრის პირადი უფლებების დაცვას (წარმომავლობა, დაბადების მონაცემები, სახელის ან სქესის შეცვლის საკითხი, სექსუალურ ცხოვრებას, აბორტის დაშვების საკითხებს, ევთანაზიის პრობლემას, სამედიცინო მონაცემები, ქორწინება, განქორწინება, შვილად აყვანა და სხვა); პირადი ხასიათის ინფორმაციის გაცემა (*მარქსი ბელგიის წინააღმდეგ; ფრიედლა ავსტრიის წინააღმდეგ; გასკინი დიდი ბრიტანეთის; „ზ“ ფინეთის წინააღმდეგ*);
- თავისუფალ ცხოვრებას, უკანონო მეთვალყურეობისაგან;
- თავისუფლებას, სატელეფონო საუბრების საიდუმლოებას, კორესპონდენციის ხელშეუხებლობას (*საქმეში „ა“ საფრანგეთის წინააღმდეგ; ჰელფორდი დიდი ბრიტანეთის წინააღმდეგ; ჰელფორდი დიდი ბრიტანეთის წინააღმდეგ*).
- იმიგრაციის, დეპორტაციის, გასახლების საკითხებს;
- მსჯავრდებულთა პირადი ცხოვრების პატივისცემას.

პირადი ცხოვრებისა და საოჯახო ცხოვრების უფლებას გააჩნია მჭიდრო კონცეპტუალური კავშირები, რაც საშუალებას იძლევა გაერთიანდეს მე-8 მუხლთან ერთად. ამასთან, კონვენციის მე-12 მუხლით აღიარებულია ქორწინების უფლება.

მეუღლეთა შორის თანასწორობას შეეხება ევროპის ადამიანის უფლებათა კონვენციის მე-7 დამატებითი ოქმის მე-5

მუხლი, რომლის მიხედვითაც “მუუღლებს გაანიათ კერძო, სამართლებრივი ხასიათის თანაბარი უფლებები და მოკალეობები ერთმანეთთან და თავიანთ ბავშვებთან ერთეერთობებში. ისეთ საკითხებში, რომლებიც ეხება ქორწინებაში შესვლას, ქორწინებაში ყოფნას და განქორწინებას. წინამდებარე მუხლი, ხელს არ უშლის სახელმწიფოებს მიიღონ აუცილებელი ზომები ბავშვების ინტერესების დასაცავად”.³⁷ საქართველოს სამოქალაქო სამართლის კოდექსი, ითვალისწინებს მუუღლეთა თანასწორობის პრინციპებს. მშობლების უფლებებსა და მოკალეობებს შვილების მიმართ და პირიქით.

აღნიშნული საკითხები ანალოგიურად არის მიჩნეული საყოველთაო დეკლარაციის მე-12 მუხლში. “არავინ უნდა განიცადოს მისი პირადი და ოჯახური ცხოვრების, საცხოვრებელი ბინისა და კორესპონდენციის ასევე, მისი პატივისა და ღირსების თვითნებური ხელყოფა. ყველა ადამიანს უფლება აქვს დაცული იყოს კანონის მიერ ასეთი ჩარევისა და ხელყოფისაგან.” სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ, საერთაშორისო პაქტის მე-17 მუხლში აღნიშნულია, რომ: “1. არავინ უნდა განიცადოს თვითნებური და უკანონო ჩარევა თავის პირად და ოჯახურ ცხოვრებაში, მისი საცხოვრებლის შეუვალობის ან კორესპონდენციის საიდუმლოების თვითნებური ან უკანონო ხელყოფა ან მისი ღირსებისა და რეპუტაციის უკანონო ხელყოფა. 2. თითოეული ადამიანის უფლებაა კანონმა დაიცვას ასეთი ჩარევისა თუ ხელყოფისაგან”.

მე-8 მუხლთან მიმართებაში ხშირად იბადება კითხვა - პირადი ცხოვრების დაცვა გულისხმობს, თუ არა მხოლოდ სახელმწიფოს მიერ დაცვას, თუ ეს ნიშნავს სახელმწიფოს მხრიდან პოზიტიურ დაცვას.

იმ სფეროების მიმართ, რომელსაც განსაზღვრავს მე-8 მუხლის 1 ნაწილი, კონვენციის ორგანოებმა განიხილა მე-8 მუხლის მე-2 პუნქტთან ერთად, რომლის თანახმადაც: “2. სახელმწიფო ორგანოების მხრიდან, არავითარ შემთხვევაში ხელი არ უნდა შეეშალოს ამ უფლებების განხორციელებას გარდა, კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა, როცა საფრთხე ემუქრება

³⁷ ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალი. ხელშეკრულებები, პაქტები, კონვენციები. თბილისი 2000წ. გვ. 17.

სახელმწიფოს და საზოგადოების უსაფრთხოებას ან ქვეყნის ეკონომიკურ კეთილდღეობას, როცა საჭიროა უწესრიგობათა ან დანაშაულობათა თავიდან აცილება მოსახლეობის ჯანმრთელობის ან სწიების დაცვა ან სხვა პირთა უფლებათა ან თავისუფლებათა დაცვა”.

პრევენტიულ სამართალში გამოიკვეთა ორი ტიპის პრობლემა:

- 1) სახელმწიფოს მხრიდან ჩაურევლობის საკითხი;
- 2) სახელმწიფოს მხრიდან პოზიტიური მოქმედების მოთხოვნა, რომელიც გამომდინარეობს თვით მე-8 მუხლის კონტექსტიდან.

კონვენციის ორგანოები, როდესაც მსჯელობენ ადგილი ჰქონდა, თუ არა სახელმწიფოს მხრიდან “ჩარევის” ფაქტს მე-8 მუხლის 1 პუნქტით გათვალისწინებულ მატერიალური სამართლის განხორციელებაში ისინი ასკვნიან, რომ ასეთი ჩარევა ხორციელდებოდა “სამართლის (კანონის) შესაბამისად” და “სავალდებულოა, თუ არა ის დემოკრატიულ საზოგადოებაში” ანუ არსებობს, თუ არა ის საფუძვლები, რომლებიც ჩამოთვლილია მე-8 მუხლის 2 პუნქტში.

მე-8 მუხლი, ევროპული კონვენციის პირველი მუხლია, რომელშიც ჩამოყალიბებულია ევრო კონვენციით გარანტირებული უფლების შესლუდებები.

თუ დადგინდა, რომ სარჩელში აღწერილ დარღვევებს მოიცავს მე-8 მუხლის პირველი პუნქტი, სასამართლო გადადის შემდეგი საკითხის განხილვაზე. ხშირად პიროვნება წივის, რომ სახელმწიფომ გამოიყენა ზომები, რომლებიც მომწივანის აწრით არღვევს მე-8 მუხლით გარანტირებულ უფლებებს. ამ შემთხვევაში სასამართლომ უნდა განსაზღვროს ჰქონდა, თუ არა ადგილი მე-8 მუხლით გარანტირებული უფლების დარღვევას და გამოყენებული ზომები იყო, თუ არა მე-8 მუხლის მეორე პუნქტის შესაბამისი. მოსარჩლე მიუთითებს, რომ სახელმწიფომ ან ხელისუფლების ორგანოებმა არ შეასრულა გარკვეული მოქმედებები, რომლებიც მოსარჩლეს აწრით, უნდა განეხორციელებინა ამ სახელმწიფო ორგანოებს, რათა დაცული ყოფილიყო მე-8 მუხლით აღიარებული უფლებები. ამ შემთხვევაში სასამართლომ უნდა დაადგინოს მოქმედების შესრულების ვალდებულება.

I ეტაპი: აქედან გამომდინარე, ისმის კითხვა-სარჩელში მითითებული ქმედება მართლა არღვევს, თუ არა მე-8 მუხლის პირველი პუნქტით გარანტირებულ უფლებებს.

II ეტაპი: იყო, თუ არა მე-8 მუხლის დარღვევა, თუ პასუხი დადებითია, მაშინ არსებობს რამდენიმე ვარიანტი:

1. არის, თუ არა მე-8 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისი უფლება, რომლის დარღვევაც მითითებულია სარჩელში.
2. ადგილი ჰქონდა, თუ არა მე-8 მუხლის დარღვევას.
3. თუ დარღვევას ჰქონდა ადგილი, მაშინ მოხდა, თუ არა დარღვევა კანონის შესაბამისად.
4. დარღვევას ჰქონდა, თუ არა ლეგიტიმური მიზანი.
5. იყო თუ არა ეს დარღვევა აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში.
6. შეესაბამება, თუ არა სარჩელში მითითებული უფლებების დარღვევა ევრო კონვენციის მე-8 მუხლის პირველ პუნქტით გათვალისწინებული უფლების დარღვევას.

ამასთან დაკავშირებით ისმის კითხვა, ვინ უნდა დააღვინოს უქმთ აღნიშნული შესაბამისობის საკითხი.

სასამართლოს მოსაზრება მე-8 მუხლის პირველი პუნქტის გამოყენებისას მეტად მნიშვნელოვანია. სასამართლო იხილავს 4 მომენტს: “პირადი ცხოვრება”, “საჯარო ცხოვრება”, “საცხოვრებელი ადგილის ხელშეუხებლობა” და “მიმოწერის საიდუმლოება”, რომელიც დაცულია მე-8 მუხლის პირველი პუნქტით.

სასამართლოს მოსაზრება, მე-8 მუხლის პირველი პუნქტის გამოყენებისას მეტად მნიშვნელოვანია. სასამართლო იხილავს 4 მომენტს: “პირადი ცხოვრება”, “საჯარო ცხოვრება”, “საცხოვრებელი ადგილის ხელშეუხებლობა” და “მიმოწერის საიდუმლოება”, რომელიც დაცულია მე-8 მუხლის პირველი პუნქტით. უნდა აღინიშნოს, რომ ეს ოთხი ცნება ამომწურავად განსაზღვრული არ არის. ამიტომ სასამართლო თავს არიდებს სპეციფიკური წესების ჩამოყალიბებას. კერძოდ, სასამართლოს მოსაზრებით იმისთვის, რომ განსაზღვრულ იქნეს მე-8 მუხლის გამოყენება კონკრეტულ საქმეზე და ამით დადგინდეს, რამდენად შეესაბამება მე-8 მუხლის პირველ პუნქტს მოსარჩლის პრეტენზია. ამ მუხლით საქმეთა განხილვისას გამოტანილი გადაწყვეტილებები, ქმნიან კონვენციის მუხლის დამოუკიდებელ და მოქნილ ინტერპრეტაციას. მე-8 მუხლის ტექსტის ავტორებს, არც კი შეეძლოთ წარმოედგინათ, თუ რამდენ პრობლემას

გამოიწვევდა თვით "ოჯახის" განსაზღვრება მომავალში. ზოგადად "ოჯახი" წარმოადგენს პეტეროგენულ ოჯახურ წყვილს ბაგშეებთან ერთად, მაგრამ თანამედროვე პირობებში ოჯახის ამგვარი იურიდიული განსაზღვრება არადაამაკმაყოფილებელია.

სოციალურმა და კულტურულმა ცვლილებებმა გამოიწვია "ოჯახური ცხოვრების" განსაზღვრების გაფართოება. განსაკუთრებით პრობლემური აღმოჩნდა "ოჯახის არასტანდარტული მოდელები" და მისმა განენამ გაართულა ოჯახის განსაზღვრება და ინდივიდის უფლებები.

ოჯახური ცხოვრება დაკულია კონვენციის მე-7 დამატებითი ოქმის მე-5 მუხლით.

აზრის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლება

(ევროპული კონვენციის მე-9 მუხლი)

ევროპული კონვენციის მე-9 მუხლით გარანტირებულია აზრის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლება. მიუხედავად იმისა, რომ ეს უფლება არ არის აბსოლუტური ხასიათის და მე-9 მუხლის მე-2 პუნქტი ითვალისწინებს გარკვეულ შეზღუდვებს. ეს შეზღუდვები, უნდა იყოს დემოკრატიულ საზოგადოებაში კანონით განსაზღვრული. გამომდინარე, საზოგადოებრივი უსაფრთხოებისა და წესრიგის დაცვის ინტერესებიდან. ამასთანავე, ჯანმრთელობის, ზნეობის ან სხვა უფლებებისა და თავისუფლებების დასაცავად. მე-9 მუხლის ფარგლებში სახელმწიფოს ეკისრება, როგორც პოზიტიური ისე ნეგატიური უფლებების დაცვა.

ეს სამი ტერმინი ინტელექტუალური და სულიერი ცხოვრების ფართო წრეს ეკუთვნის. იმისთვის, რომ ევროპულმა სასამართლომ დაადგინოს მე-9 მუხლის დარღვევა უნდა გაითვალისწინოს შემდეგი მომენტი: დარღვეულ უნდა იყოს "პირის" სინდისის, აღმსარებლობისა და რელიგიის უფლება. რომელსაც სასამართლო ხშირად ერთ კონტექსტში განიხილავს.

ამასთან, რაიმე რელიგიური იდეის ან ფილოსოფიური მოსაზრებების გაერცვლებაც შეიძლება მოიაზრებოდეს მე-9 მუხლში. ასე მაგალითად, სამხედრო ნაწილებში. პაციფისტური შეხედულებების გაერცვლება ჩაითვალება მე-9 მუხლის დარღვევად. (აეროსმიტი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ).

მიუხედავად იმისა, რომ სასამართლო არ იძლევა თითოეული ტერმინის განმარტებას შემუშავებული კრიტერიუმების საფუძველზე, გუკუხმარება აღნიშნული ტერმინების: „სინდისის“, „აღმსარებლობისა“ და „რელიგიის“ არსის გარკვევაში.

- სახელმწიფოს, არა აქვს უფლება მოქალაქეები აიძულოს მიიღონ ქვეყნის ოფიციალური რელიგია. ევრო სასამართლო ამ შემთხვევებს მიიხსნევს მე-9 მუხლის დარღვევად და ადგენს, რომ წევრი-სახელმწიფოები გამომდინარე ევრო კონვენციის მოთხოვნებიდან ვალდებული არიან შექმნან ისეთი მექანიზმები, რომლებიც ხელს შეუწყობს მოქალაქეს თვითონ, დამოუკიდებლად გადაწყვიტოს და ირწმუნოს მისთვის მისაღები რელიგია. სასამართლომ ცალსახად მიუთითა, რომ სახელმწიფომ მოქალაქე არ უნდა აიძულოს რაიმე მხარდაჭერა გამოუცხადოს იმ რელიგიას, რომლის მიმდევარი თვითონ არ არის. (*„დაბრი შეედეთის წინააღმდეგ“*). სახელმწიფოს ეკრძალება განსაზღვროს „რელიგიის კანონიერება და ის საშუალებები, რომელსაც გამოიყენებენ ამ რელიგიის გამოსახატავად“. ეს არ გამორიცხავს სახელმწიფოს მხრიდან, შემოწმების უფლებას. სახელმწიფო ყოველთვის თვალყურს ადევნებს რელიგიურ საქმიანობას, რათა არ იქნას დარღვეული საზოგადოების სხვა წევრთა უფლებები და თავისუფლებები (*„მანუსაკისი და სხვები საბერძნეთის წინააღმდეგ“*).
- რა ფარგლებში შეუძლია ამა, თუ იმ რელიგიურ მიმდინარეობას იქადაგოს თავისი რელიგიური დოგმები და მოუწოდოს სხვას ამა, თუ იმ რელიგიის აღიარება. რა სახით უნდა იქნას ამ დროს ეს გამოყენებული? ევროპულმა სასამართლომ მე-9 მუხლის შეზღუდვებთან დაკავშირებით მიუთითა, რომ დემოკრატიულ საზოგადოებაში, სადაც რამდენიმე კონფესია არსებობს, შეიძლება დასაშვები იყოს ამ თავისუფლებაზე შეზღუდვის დაწესება, რათა

მოხდეს სხვადასხვა ჯგუფის ინტერესთა შეთავსება და უზრუნველყოფილი იქნას ყველა პირის მრწამსის პატივისცემა (*„კოკინაკის საბერძნეთის წინააღმდეგ“*). სასამართლომ არა ერთხელ აღნიშნა, რომ პირის იძულება ან რაიმე სიკეთის დაპირება, სოციალური უპირატესობის შეთავაზება მიემხროს ამა, თუ იმ რელიგიურ მიმდინარეობას, შეიძლება ჩაითვალოს მე-9 მუხლის დარღვევად. გარდა ამისა, სასამართლომ გამოიჭინა ერთმანეთისაგან კანონიერი და უკანონო პროსელიტიზმი (*„ლარისისი და სხვები საბერძნეთის წინააღმდეგ“*).

- რელიგიისა და მრწამსის თავისუფლება, არ არის მხოლოდ ინდივიდის თავისუფლება. ის შეიძლება განხორციელდებულ იქნას კოლექტიურადაც.
- სამხდრო სამსახურზე უარის თქმა რელიგიური მრწამსის გამო, ექცევა მე-9 მუხლის ფარგლებში. თუმცა მოქალაქეს შეიძლება დაეკისროს ვალდებულება გაიაროს ალტერნატიული სამხედრო სამსახური.

ბამოხატვის თავისუფლება (ევროკონვენციის მე-10 მუხლი)

- აზრის გამოხატვის თავისუფლება;
- პრესა;
- პოლიტიკური პარტიები და იდეოლოგიური შეხედულებები;
- სახელმწიფო სამსახური;
- აუდიო ვიზუალური საშუალებები;
- მორალის ღირებულებისა და რელიგიური შეხედულებათა დაცვა;
- კომერციული ინფორმაცია.

მე-10 მუხლის დებულებები, ვრცელდება ნებისმიერი აზრის, შეხედულების გამოვლინებაზე ნებისმიერი ფორმით. სახელმწიფოს ამ შემთხვევაში აქვს პოზიტიური და ნეგატიური ვალდებულებაც, რაც კარგად ჩანს მე-10 მუხლის მე-2 ნაწილიში.

გამოხატვის უფლების არსი, მდგომარეობს „პირის“ უფლებაში გაანდეს მოსაზრება, ამა თუ იმ თემაზე. მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია თუნდაც, სახელწმიფოსაგან დამოუკიდებლად. სახელწმიფოს აქვს უფლება არეგულიროს რადიომუწეებლობის, ტელევიზიისა და კინომუწეებლობის ლიცენზირების საკითხები. ინფორმაციის მიღება შეიძლება ნებისმიერი ფორმით-პრესით, ტელევიზიით, კომპიუტერული ტექნოლოგიების მეშვეობით და სხვა.

მე-10 მუხლი, შეიცავს რამდენიმე ასპექტს: აზრის თავისუფლება; ინფორმაციისა და იდეების მიღების თავისუფლება; ინფორმაციისა და იდეების გავრცელების თავისუფლება.

მე-10 მუხლით დაკულია „გამოხატვის“ უფლება, რაც გულისხმობს საკუთარი იდეების, საკუთარი აზრის არსებობას. იდეების, შეხედულებების გავრცელებას საჯაროდ (როგორც მოქმედებით, ისე უმოქმედობით. მაგალითად, საპროტესტო მსვლელობა დუმილით), დაწერილ ან ბეჭვდითი სიტყვით, სერათებით, წარმოდგენების მეშვეობით. აზრის არსებობის თავისუფლება შეუზღუდავი უფლებაა მაშინ, როცა აზრის გამოთქმის თავისუფლება შეიძლება შეზღუდული იქნას კანონით და მიზნად ისახავდეს ეროვნული უსაფრთხოების, ტერიტორიული მთლიანობის ან საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას, რაც აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში. (*ლინგენსი ავსტრიის წინააღმდეგ*; *ოტო პრმინგერის ინსტიტუტი ავსტრიის წინააღმდეგ*).

მართალია, მე-10 მუხლი პირდაპირ არ მიუთითებს პრესის თავისუფლებაზე, მაგრამ ევრო სასამართლოს საპრეცედენტო სამართლის გაცნობისას განსაკუთრებული გარემოებებია შექმნილი. მე-10 მუხლით მრავალი საქმე იქნა განხილული. სასამართლომ პირდაპირ მიუთუთა: „პრესა ვალდებულია ხალხს შეატყობინოს საზოგადოებრივი ინფორმაცია და იდეები“.

აგრეთვე, მე-10 მუხლის დაცვის ქვეშ ექცევა კომერციული ინფორმაციის გავრცელების საკითხები (*იაკუბოვსკი გერმანიის წინააღმდეგ*).

მე-10 მუხლი ითვალსიწნებს გარკვეული შეზღუდვების განხორციელებას.

შეკრებისა და გაერთიანების თავისუფლება
(ევროპული კონვენციის მე-11 მუხლი)

- მშვიდობიანი შეკრებების უფლება;
- გაერთიანების უფლება;
- პროფკავშირების შექმნის უფლება და მასში გაერთიანების უფლება

მე-11 მუხლი იცავს შეკრებისა და გაერთიანების თავისუფლებას, რომლის მიზანია საზოგადოების წევრები ერთად შეიკრიბოს, რათა მათ მიეცეთ საშუალება გამოხატონ თავიანთი ინტერესები და დაიცვან საკუთარი უფლებები. გაერთიანების უფლება მოიცავს: ნებაყოფლობით მომენტს საერთო მიზნის მისაღწევად. მშვიდობიანი შეკრების უფლება დემოკრატიული საზოგადოების ერთ-ერთი საფუძველია. იგი მოიცავს შეხვედრებს. მე-11 მუხლის რეალიზაცია მოითხოვს სახელმწიფოსაგან პოზიტიურ ვალდებულებათა შესრულებას. (მაგალითად, დემონსტრაციების დროს.) „დემონსტრაციის მონაწილეებს უნდა შეეძლოთ დემონსტრაციის ჩატარება ყოველგვარი შიშის გარეშე ისე, რომ მათ წინააღმდეგ არ იქნას ოპონენტების მიერ გამოყენებული ძალადობა. დემოკრატიულ საზოგადოებაში კონტრ-დემონსტრაციების ჩატარების უფლება არ შეიძლება გაფართოვდეს იმდენად, რომ დააბრკოლოს შეკრების უფლებით სარგებლობა“. ზოგჯერ, სახელმწიფო კანონით განსაზღვრულ შემთხვევაში, მოითხოვს სპეციალურ ნებართვას დემონსტრაციის ჩატარებლად. („პლატფორმა“ ექიმები სიცოცხლისათვის), რაც არ წარმოადგენს მე-11 მუხლის დარღვევას.

მე-11 მუხლი საერთო პროფესიის ადამიანთა გაერთიანებას საკუთარი ინტერესების დასაცავად პროფკავშირები წარმოადგენს.

მე-11 მუხლი, ხშირად გამოიყენება ევროპული კონვენციის მე-9 და მე-10 მუხლებთან ერთად.

მე-11 მუხლის შეხლეუდვის პირობები მოცემულია მე-11 მუხლის მე-2 ნაწილში. სახელმწიფოს მხრიდან ჩარევა უნდა ხდებოდეს კანონის საფუძველზე და ემსახურებოდეს კანონიერ მიზანს, მაგრამ ეს საკმარისი არ არის. სავალდებულოა, რომ ჩარევა მოხდეს დემოკრატიულ საზოგადოებაში.

მე-11 მუხლი იცავს პიროვნების უფლებას, გაერთიანდეს პროფესიული ნიშნით, რომელთაც საერთო ინტერესები გააჩნიათ. აირჩიოს და პირადად შექმნას რაიმე გაერთიანება ან სხვასთან

გაერთიანდეს. კერძოდ, პოლიტიკურ პარტიებში, პროფკავშირებსა, თუ სხვა ორგანიზაციებში.

მე-11 მუხლის მე-2 პუნქტი, აწესებს კანონიერ შეზღუდვებს შეიარაღებულ ძალების, პოლიციის ან სახელმწიფო ადმინისტრაციის წევრებისათვის.

ძორწინების უფლება

(ევროპული კონვენციის მე-12 მუხლი)

მე-12 მუხლით დაცულია ოჯახის შექმნის უფლება. მე-12 მუხლი მჭიდრო კავშირშია მე-8 მუხლთან. მე-12 მუხლის ინტერპრეტაციით ქორწინების არსი მდგომარეობს სამართლებრივად ერთიერთობის ჩამოყალიბებაში ქალსა და მამაკაცს შორის. სტრასბურგის სასამართლო განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს ერთი სქესის პირთა შორის ქორწინების საკითხს. სასამართლოს გადაწყვეტილებაში აღნიშნულია, რომ მე-12 მუხლით გარანტირებული უფლება მოიცავს „ტრადიციულ ქორწინებას ბიოლოგიურად განსხვავებული სქესის მქონე პირებს შორის.“ ეს ასევე გამომდინარეობს მეხლის ფორმულირებიდან, რომელიც ოჯახის შექმნის საფუძველს სტრასბურგის სასამართლოს გადაწყვეტილებით – მათთვის უარის თქმა ქორწინებაზე არ არის მე-12 მუხლის დარღვევა. ქორწინების უფლების დაცვა არ გამორიცხავს სახელმწიფოს უფლებას კანონით განსაზღვროს გარკვეული მოთხოვნები და ქორწინების პირობები. ანალოგიურად არის მიხნეული საყოველთაო დეკლარაციის მე-12 მუხლში “არაფინ უნდა განიცადოს მისი პირადი და ოჯახური ცხოვრების, საცხოვრებელი ბინისა და კორესპონდენციის, ასევე მისი პატივისა და ღირსების თვითნებური ხელყოფა. ყველა ადამიანს უფლება აქვს დაცული იყოს კანონის მიერ ასეთი წარევისა და ხელყოფისაგან”. სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის მე-17 მუხლში მითითებულია: “1. არაფინ უნდა განიცადოს თვითნებური და უკანონო წარევა პირად და ოჯახურ ცხოვრებაში, მისი საცხოვრებლის შეუქცელობის ან კორესპონდენციის საიდუმლოების თვითნებური ან უკანონო ხელყოფა ან მისი ღირსებისა და რეპუტაციის უკანონო ხელყოფა. 2. თითოეულ ადამიანს უფლება აქვს კანონით იყოს დაცული ასეთი წარევისა თუ ხელყოფისაგან”.

სასამართლო დაცვის უფლება
(ევროპული კონვენციის მე-13 მუხლი)

კონვენციის მე-13 მუხლი და მისი დამატებითი ოქმები აქამდე წამოყალიბებული უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის მექანიზმის მნიშვნელოვანი გარანტიაა.

ყველა ადამიანს, რომელიც თელის, რომ სახელმწიფოს მხრიდან დარღვეულია მისი უფლებები და არ გააჩნია სახელმწიფო ორგანოების წინაშე სამართლებრივი დაცვის საშუალება მაშინ „პირს უფლება აქვს, გამომდინარე მე-13 მუხლის წინაპირობიდან, მოსთხოვოს „სამართლებრივი მისაგებელი ეროვნულ ხელისუფლებას იმისათვის, რომ განიხილოს საწივარი და შესაბამის შემთხვევაში „პირმა“ შესძლოს ზიანის ანაზღაურება“.

მე-13 მუხლით გარანტირებული უფლება მნიშვნელოვანია სტრასბურგის მიერ საქმის წარმოებაში მიღებისათვისაც. კერძოდ, მე-13 მუხლი ითვალისწინებს „პირის“ უფლებას მიიღოს შიდა სახელმწიფოებრივ დონეზე სამართლებრივი დაცვა. ევროპული სასამართლოსათვის მიმართვის უფლება „პირს“ უწინდება მას შემდეგ, რაც ამოწერავს შიდა სახელმწიფოებრივი სამართლებრივი დაცვის ყველა მექანიზმს, რომელიც ევექტურად ითვლება და ხელმისაწვდომია.³⁸

მე-13 მუხლით გათვალისწინებული სამართლებრივი დაცვის უფლება არ გულისხმობს მხოლოდ სასამართლოში უფლების დაცვას. ეს შეიძლება იყოს ორგანო, რომელსაც შეუძლია უზრუნველყოს „პირი“ სამართლებრივი დაცვის მექანიზმებით. ასეთ ორგანოდ ზოგჯერ, შეიძლება გამოვიდეს ადმინისტრაციული ორგანო.

„მსხვერპლს“ უნდა მიეცეს გარკვეული უფლების და ძირითადი თავისუფლებების სრული აღდგენის შესაძლებლობა შიდა

³⁸. გამოჩვენების შემთხვევებში ევროპულ სასამართლოში დაიშვება ისეთი საქმის მიღებაც, როდესაც განმცხადებელს არა აქვს ამოწერული შიდასამართლებრივი საშუალებები მათი არაუფექტურობის გამო. აღნიშნული საკითხს უფრო დეტალურად განვიხილავთ.

სახელმწიფოებრივი სამართლებრივი სისტემის ფარგლებში, თუ ეს შიდასახელმწიფოებრივი პროცედურა ვერ უზრუნველყოფს ამგვარ დაცვას. „პირს“ აქვს უფლება მიმართოს საერთაშორისო მექანიზმებს.

დისკრიმინაციის აპრძალვა (ევროპული კონვენციის მე-14 მუხლი)

ევროპული კონვენციის იურისდიქციის ქვეშ მყოფი „პირი“ დაცულია დისკრიმინაციისაგან. მე-14 მუხლი დისკრიმინაციისაგან იცავს მხოლოდ იმ უფლებებსა და თავისუფლებებს, რომლებიც ევროპული კონვენციითაა გარანტირებული. მე-12 ოქმის მიღებით ევრო საბჭომ გააფართოვა დისკრიმინაციის აპრძალვის უფლება ევროპული კონვენციის იურისდიქციის ქვეშ მყოფ პირთათვის. მე-14 მუხლის მოქმედების სფერო ვრცელდება ნებისმიერ ეროვნულ და საერთაშორისო სამართლით გარანტირებულ უფლებასა და თავისუფლებაზე.

დისკრიმინაცია, მე-14 მუხლის მიხედვით ნიშნავს, ერთი და იგივე სიტუაციაში ერთი „პირის“ მეორე „პირთან“ შედარებით უარეს მდგომარეობაში ჩაყენებას. გარდა ამისა, დისკრიმინაციული მოპყრობის მიზეზი შეიძლება გახდეს სხვადასხვა რელიგიური, პოლიტიკური, ეთნიკური ჯგუფები. დისკრიმინაცია არის შედარებით კატეგორია და ევროპული სასამართლოს მიზანია, გაარკვიოს კონკრეტულ სიტუაციაში ხომ არ განხორციელდა დისკრიმინაცია. სახელმწიფოს აკისრია პოზიტიური ვალდებულება, მიიღოს ყველა ზომები, როგორც საკანონმდებლო, ისე აღმასრულებელ დონეზე, რათა არ დაუშვას დისკრიმინაცია.

საკუთრების უფლება (I დამატებითი ოქმის 1 მუხლი)

საკუთრების უფლება დაცულია I დამატებითი ოქმის 1 მუხლით, რომელიც რამდენიმე მომენტს მოიცავს: კონებით დაუბრკოლებლად სარგებლობის უფლება: „არავის შეუძლია საკუთრების წაართმევა გარდა, „საჯარო ინტერესების შესახებ“ კანონისა და საერთაშორისო სამართლის პრინციპებით

გათვალისწინებული პირობებისა“; სახელმწიფო უფლებამოსილია „გააკონტროლოს საკუთრების გამოყენება საერთო ინტერესების შესაბამისად. ან უზრუნველყოს გადასახადების ან სხვა შენატანების, თუ ჯარიმების გადასინჯვა“. საკუთრებაზე კონტროლისას, გარკვეული უნდა იყოს ემსახურება, თუ არა დადგენილი კონტროლი „საერთო ინტერესების“ დაცვას; დაცულია, თუ არა თანაზომიერება საკანონმდებლო ნორმების რეალიზაციასა და კანონიერ მიზანს შორის.

საკუთრების უფლება გააჩნია, როგორც ფიზიკურ, ისე იურიდიულ პირს: 1. მუხლის მოქმედება ვერცვლდება მოძრავ და უძრავ ქონებაზე, აქციებზე, მატერიალურ და არამატერიალურ ინტერესებზე (პენსიები, ხელფასი და სხვა ქონება), მესაკუთრის უფლებებზე, პროფესიული საქმიანობის განხორციელების უფლებებზე; სახელშეკრულებო უფლებებსა და სასამართლო გადაწყვეტილებით დაკისრებულ ვალებს (ბერძნული ნაეთობ გადაამაშუშავებელი საწარმოები სტრანი და სტრანის ანდრეადირი საბერძნეთის წინააღმდეგ). ევროკონვენციის I ოქმი იცავს რეალურად არსებულ ქონებას და არა ქონების შექმნის უფლებას, მემკვიდრეობით მიღებულ უფლებას ქონებაზე და ხელშეკრულებიდან გამომდინარე სხვა სახის მითხოვნებს.

I დამატებითი ოქმის I მუხლის ფარგლებში საკუთრების უფლებაში ექცევა „რეპუტაციის“ დაცვის უფლება.

ქონების ჩამორთმევის უფლება გააჩნია მხოლოდ სახელმწიფოს კანონით დადგენილი საფუძვლითა და წესით. ჩამორთმეულ ქონებაზე კონფისკაციის გადახდის ვალდებულება ხელს უწყობს საზოგადოებაში სამართლიანობის ბალანსს საზოგადოების წევრებსა და კერძო პირის ინტერესების დაცვას შორის.

I დამატებითი ოქმის I მუხლი იცავს საკუთრების დაუბრკოლებლად სარგებლობის უფლებას. ამ უფლების განხორციელება მოიცავს ქონებით სარგებლობის შესუღვასაც.

ბანათლების უფლება (I დამატებითი ოქმის მე-2 მუხლი)

პირველი დამატებითი ოქმის მეორე მუხლის მიხედვით არ შეიძლება განათლების მიღების აკრძალვა. სახელმწიფო აღიარებს განათლების უფლებას. ამასთანავე, პატივს სცემს მშობელთა უფლებას უზრუნველყოს საკუთარი შეიღვებისათვის

განათლებისა და სწავლების ისეთი ფორმა, რომელიც შესაბამისობაში მოვა მათ რელიგიურ და ფილოსოფიურ მრწამსთან. სახელმწიფოს, პოზიტიური ვალდებულება აკისრია პიროვნებას შეუქმნას ყველა პირობა განათლების მისაღებად. განათლების უფლება ევროკონვენციის კონტექსტში ნიშნავს, საკუთარი ცოდნის სხვისთვის გადაცემას და გაზიარებას ან სხვა პირის ინტელექტუალური დონის ამაღლებას.

ევროკონვენციის I დამატებითი ოქმის მე-2 მუხლის, მე-2 ნაწილი განიხილება რამდენიმე ასპექტში: ერთის მხრივ, სახელმწიფო კისრულობს ვალდებულებას უზრუნველყოს „პირი“ განათლების მიღების უფლებით და შეუქმნას მას ყველა შესაძლო პირობა. მეორეს მხრივ, სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს მშობელთა უფლებები, პატივი სცეს მათ ფილოსოფიურ და რელიგიურ მრწამს. ევროპულმა სასამართლომ განმარტა, თუ რას გულისხმობდა ფილოსოფიურ მრწამსში. სასამართლოს აზრით ეს ისეთი მრწამსია, რომელიც იმსახურებს პატივისცემას „დემოკრატიულ საზოგადოებაში“ და არ არის შეუსაბამო ადამიანის ღირსებასთან. ამგვარი „მრწამსი“ არ უნდა იყოს ბავშვის განათლების ფუნდამენტურ უფლებასთან გაიგივებული. პირველი ოქმის მე-2 მუხლის პირველი წინადადება გულისხმობს, საგანმანათლებლო საშუალებებისადმი ხელმისაწვდომობას. ამასთან, განათლების მიმღებ პირს უნდა აქონდეს შესაძლებლობა მიიღოს ეს განათლება.

თავისუფალი არჩევნების უფლება (I დამატებითი ოქმის მე-3 მუხლი)

არჩევნების უფლებისას სახელმწიფოს გააჩნია პოზიტიური ვალდებულება უზრუნველყოს დემოკრატიული არჩევნების ჩატარება. არჩევნების უფლება შეეხება საკანონმდებლო ხელისუფლების არჩევნებს. ევროპული სასამართლოს პრაქტიკის თანახმად, I დამატებითი ოქმის მე-3 მუხლი ეროვნულად სხვა სახელმწიფო ორგანოთა არჩევნებსაც. საკანონმდებლო ხელისუფლებაში იგულისხმება, როგორც ცენტრალური, ისე ადგილობრივი ორგანოების არჩევნები. არჩევნების უფლება გარანტირებულია I ოქმის მე-3 მუხლით და ეხება, როგორც პასიურ ისე, აქტიურ საარჩევნო უფლებას.

გადაადგილების უფლება (მე-2 მუხლი)

გადაადგილების თავისუფლება ყველა პირის უფლებაა. გადაადგილების უფლება მოიცავს რამდენიმე უფლებას:

- სახელმწიფოს ტერიტორიაზე თავისუფლად მოძრაობის და გადაადგილების უფლებას;
- საცხოვრებელი ადგილის არჩევის უფლებას.
- ქვეყნის დატოვების უფლებას, მათ შორის, საკუთარი ქვეყნის.

ევროპული კონვენციის დამატებითი ოქმი მიუთითებს: უფლება შეიძლება შეიზღუდოს მხოლოდ კანონის საფუძველზე. თუ ეს აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში. ეროვნული უშიშროებისა და საზოგადოებრივი წესრიგის ხელშეწყობის, დანაშაულის აღმოფხვრის, ჯანმრთელობის, სწავლის და სხვათა უფლებების დასაცავად.

გადაწვეტილების უფლება შეიძლება შეიზღუდოს არა მარტო მთელ ტერიტორიაზე, არამედ გარკვეულ ტერიტორიებზეც. სახელმწიფო, ზოგჯერ მიმართავს გადაადგილების უფლების შეზღუდვას. მაგალითად, მაფიასთან და ტერორისტებთან ბრძოლის მიზნით.

მოქალაქეთა ბაძევის უფლება (მე-4 დამატებითი ოქმის მე-3 მუხლი)

აღნიშნული მუხლი მოქალაქეებს იცავს სახელმწიფოდან “პირის გაძევებისა” ან ტერიტორიიდან იძულებით გაყვანის პროცესში. მე-3 მუხლი კრძალავს, როგორც ინდივიდუალური ასევე, კოლექტიური ღონისძიებების გამოყენებას. ამავე მუხლით უზრუნველყოფილია “პირის” საკუთარ სახელმწიფოში დაბრუნება.

ამავე ოქმის მე-4 მუხლით, აკრძალულია უცხოელთა კოლექტიური გაძევება. მოგვიანებით, მე-7 დამატებითი ოქმის მიხედვით დადგინდა გარანტიები უცხოელთა გაძევებისაგან დაცვის მიზნით. მე-7 ოქმის 1 მუხლით უცხოელი, რომელიც კანონიერ საფუძველზე იმყოფება სახელმწიფოს ტერიტორიაზე

არ შეიძლება გაძევებულ იქნას სახელმწიფოდან, თუმცა კონვენციის ოქმი ითვალისწინებს გამონაკლისს, როდესაც გასახლება უნდა აღსრულდეს კანონის შესაბამისად, მაგრამ იქვეა განმარტებული, თუ რისი უფლება აქვს “პირს.” რომელიც გასახლებული უნდა იქნას: 1). წარმოადგინოს არგუმენტი მოსახლეობის წინააღმდეგ; 2). ხელახლა იქნას განხილული მისი საქმე იმ კომპეტენტური ორგანოების მიერ, რომლებიც იღებენ გასახლების შესახებ გადაწყვეტილებას; 3). “პირს” უფლება აქვს, მიიღოს წარდგენა, კომპეტენტური ხელისუფლების წინაშე ან იმ პირის წინაშე, რომელიც იღებს გადაწყვეტილებას მისი გაძევების შესახებ. გაძევება შეიძლება მოხდეს ხეშოთ ჩამოთვლილი პირების გარეშეც, თუ არსებობს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის ინტერესები ან ეს განპირობებულია სახელმწიფო უსაფრთხოების მიზნით.

აპელაციის უფლება სისხლის სამართლის საქმეებზე (მე-7 ოქმის მე-2 მუხლი)

მე-7 ოქმის მე-2 მუხლი იცავს მსჯავრდებულის უფლებას მის მიმართ გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენის ხელახლა განხილვის შესახებ. ამასთან, გასაჩივრების პროცედურა რეგულირდება ეროვნული კანონმდებლობით. დამატებით ოქმში მინიშნებულია რამდენიმე გამონაკლისზე:

1. საქმე ეხება მნიშვნელოვან სამართალდარღვევას;
2. თუ პიროვნება უკვე გამარჯვებული იყო მაღალი ინსტანციის აქტით;
3. გასამართლებულ იქნა მისი „გამართლების წინააღმდეგ აპელაციის განხილვის შემდეგ“.

კომპენსაცია მცდარი ბანაჩენის გამოტანისათვის
(მე-7 დამატებითი ოქმის მე-3 მუხლი)

მე-7 ოქმი იძლევა საშუალებას სასამართლოს მიერ მცდარი განაჩენის გამოტანის შემთხვევაში უდანაშაულოდ მსჯავრდებულმა პირმა მიიღოს კომპენსაცია, მაგრამ ამავდროულად მუხლში ნაღებულია გარკვეული პირობები, რომელთა არსებობის შემთხვევაშიც “პირი” ვერ დაეყრდნობა მე-7 დამატებით ოქმს.

- „პირი“ გამოცხადებული უნდა იყოს მსჯავრდებულად კომპეტენტური სასამართლოს მიერ;
- გაუქმებულ უნდა იქნას გამამტყენებელი განაჩენი;
- „პირი“ შეწყალებული იქნას ახალ ან ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო, რომელიც ადასტურებს სასამართლოს შეცდომას;
- ახალი გარემოებების დაფარვაში „პირს“ არ უნდა მიუძღოდეს ბრალი.

კომპენსაციის გადახდა წარმოებს ეროვნული სასამართლოს მოქმედი კანონის შესაბამისად ან არსებული პრაქტიკის საფუძველზე.

ორჯერ ბასამართლების ან დასჯის აკრძალვა
(მე-7 ოქმის მე-4 მუხლი)

მე-7 დამატებითი ოქმის მე-4 მუხლი ასახავს სამართლის ზოგად პრინციპს - ორჯერ გასამართლების ან დასჯის აკრძალვას. ევროპული კონვენციის დარღვევად ჩაითვლება შემთხვევები, როდესაც “პირი” ერთი სახელმწიფოს იურისდიქციის ფარგლებში ხელმეორედ იქნება გასამართლებული ან დასჯილი დანაშაულისათვის. რისთვისაც:

- შესაბამისი სახელმწიფოს კანონმდებლობის საფუძველზე იქნა გამარჯვებული;
- მსჯავრდებული იქნა შესაბამისი სახელმწიფოს კანონებისა და სისხლის სამართლის საპროცესო სამართლის შესაბამისად;

ამავე მუხლით, გათვალისწინებულია შემთხვევები, როდესაც “პირი” მიეცემა პასუხისმგებლობაში და საქმე გადაისინჯება კანონის საფუძველზე, თუ დადგინდა, რომ:

- საქმის წინა განხილვაში დაშვებულ იქნა ხარჯები;
- ახლად აღმოჩენილი გარემოებების საფუძველზე, ne bis in idan-ის პრინციპიდან გადახვევა დაუშვებელია მე-15 მუხლზე დაყრდნობით.

**თანასწორობა მეუღლეთა შორის
(მე-7ოქმის მე-5 მუხლი).**

მე-7 ოქმის მე-5 მუხლი მკიდრო კავშირშია ევროკონვენციის მე-12 მუხლთან, მე-7 დამატებითი ოქმით: “მეუღლეები თანასწორუფლებიანი არიან ყველა იმ საკითხში, რომელიც შეეხება ოჯახურ ცხოვრებას.”

- ბავშვების აღზრდასა და ბავშვებთან ურთიერთობას;
- ქორწინების საკითხებში (მათ შორის განქორწინების საკითხებშიც).

სახელმწიფოს აქვს უფლება მიიღოს ზომები ბავშვის ინტერესების დასაცავად. (მაგალითად, განქორწინების დროს, ნებართვა ბავშვების აღზრდაზე ერთ-ერთ მეუღლეს ენიჭება).

**სასამართლოს რეორგანიზაციის საკითხები
(მე-11 დამატებითი ოქმი)**

გაუქმდა ადამიანის უფლებათა კომისია, ხოლო ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო გახდა მედამიემოქმედი სასამართლო, რომელიც თვითონ წვევტს სარჩელის მიღების საკითხს. აგრეთვე, მე-11 ოქმმა განსაზღვრა მოსამართლეთა არჩევნების წესი და ვადები, სასამართლოს სტრუქტურა.

დისკრიმინაციის ზოგადი აკრძალვა

მე-12 ოქმი

განსხვავებით ევროპული კონვენციის მე-14 მუხლისაგან, როდესაც დისკრიმინაცია აკრძალულია ევროპული კონვენციით გარანტირებულ მუხლებზე, მე-12 ოქმით აკრძალულია დისკრიმინაციის ყველა გამოვლინება იმ უფლებებთან მიმართებაშიც კი რომელიც “პირს” გააჩნია ეროვნული კანონმდებლობით.

სიკედილით დასჯის აკრძალვა

მე-13 დამატებითი ოქმი

1. მე-13 დამატებითი ოქმით აკრძალულია სიკედილით დასჯა ნებისმიერ დროს.

2. მე-13 დამატებითი ოქმი აესებს ევროკონვენციის მე-2 მუხლს და მე-6 დამატებით ოქმს.

პროცედურული საკითხები

(მე-14 დამატებითი ოქმი)

სასამართლოში საქმეთა „ფილტრაციის“ და სასამართლოს ეფექტურობის გაზრდის მიზნით, 2004 წლის მაისში მიღებულ იქნა მე-14 დამატებითი ოქმი. ოქმის საფუძველზე ცვლილებები შევიდა სასამართლო პროცედურებში საქმეების დაუშვებლად ცნობის შესახებ. ამდენად, გადაწყვეტილებას იღებს ერთი მოსამართლე, 3 მოსამართლის ნაცვლად. ამავე ოქმის მიხედვით, თუ საქმე ეხება ერთი და იგივე სახელმწიფოსთან დაკავშირებულ დარღვევებს, რომლებიც ეროვნულ დონეზე დაშვებულ სტრუქტურულ ხარჯებს ეხება. განაცხადის განხილვას აწარმოებს 3 კაციანი კომიტეტი ნაცვლად პალატისა, რომელშიც 7 მოსამართლე შედის.

მე-14 მუხლით შემოღებულ იქნა დასაშვებადობის ახალი კრიტერიუმები, რომელიც დაემატა არსებულ კრიტერიუმებს. კერძოდ, განმცხადებელმა უნდა მიიღოს მძიმე ზიანი იმისათვის, რომ სარჩელი განიხილოს სასამართლომ. თუმცა, სასამართლოს განხილვაში შედის მცირე ზიანის შემცველი საქმეებიც, თუ

დადგინდა, რომ დარღვეული უფლების აღდგენის საშუალება სახელმწიფოს შიგნით არ არსებობს. მინისტრთა კაბინეტს ეძლევა უფლება, პროცედურები აწარმოოს სასამართლოში, როდესაც სახელმწიფო უარს ამბობს გადაწყვეტილების აღსრულებაზე. მინისტრთა კაბინეტს შეუძლია სასამართლოსგან გამოითხოვოს გადაწყვეტილების განმარტება მისი ეფექტურად აღსრულების მიზნით.

გვ. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო

სასამართლოს სტრუქტურა. ევროპის საბჭოს ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიღწევად ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპულ კონვენციასთან ერთად, ევროპული სასამართლო ითვლება.

1998 წლის 1 ნოემბერს ძალაში შევიდა კონვენციის მე-11 ოქმი, რომელმაც მოახდინა გარკვეული ცვლილებები სასამართლო სტრუქტურაში, რაც იმაში გამოიხატა, რომ არსებული ორი ორგანოს (ადამიანის უფლებათა კომისიისა და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს) ნაცვლად სამოყალიბდა მუდმივ-მოძქმედი ერთიანი სასამართლო.³⁹ ეს განპირობებული იყო იმით, რომ განაცხადთა რაოდენობის მატებამ, საქმეთა სირთულემ და ევროსაბჭოს წევრთა რაოდენობის ზრდამ, დღის წესრიგში დააყენა სასამართლოს მუშაობის დახვეწის საკითხი.

გატარებული რეფორმა მიზნად ისახავს სახელმწიფოში არსებული პროცედურების დანქარებას, მათი ეფექტურობის ზრდას, საზოგადოების ფართო ფენებისათვის სასამართლოს

³⁹ ადამიანის უფლებათა ევროპული კომისია (1954წ)თავისი არსებობის მანძილზე ახორციელებდა „საქმეთა გაფილტურას ფუნქციას. ხოლო ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო (1959წ) განიხილაკდა კომისიის ან მთავრობათა მიერ, მისთვის წარდგენილ საქმეებს. რეორგანიზაციამდე, ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტი (წევრ-სახელმწიფოთა მთავრობების წარმომადგენლებისაგან შემდგარი პოლიტიკური ორგანო), ახორციელებდა შედამხედველობას სასამართლოს განაჩენთა აღსრულებაზე და გამოქონდა გადაწყვეტილებები იმ საქმეებთან დაკავშირებით, რომელიც არ გადაეცა სასამართლოს. თუმცა კომისიამ მათში აღმოაჩინა ადამიანის უფლებათა დარღვევა.

ხელმისაწვდომობასა და ადამიანის უფლებათა დაცვის არსებული მაღალი ხარისხის შენარჩუნებას და განვითარებას.

რეფორმების შემდეგ წვერი-სახელმწიფოს იურისდიქციის დაქვემდებარებაში მეოფ ცალკეულ “პირს” შეუძლია მიმართოს მედმიე მოქმედ ვეროპულ სასამართლოს. სასამართლოს გადაწყვეტილებები სავალდებულო ხასიათს ატარებენ.

სასამართლო წარმოადგენს მედმიე მოქმედ ორგანოს, რომლის კომპეტენციაში შედის საქმეთა წინასწარი განხილვა და საბოლოო გადაწყვეტილებათა გამოტანა.

სასამართლოს მოსამართლეთა რაოდენობა შეესაბამება წვერ-სახელმწიფოთა რაოდენობას. მოსამართლეები, არიან დამოუკიდებელნი, მიუკერძოებელნი და არ მოქმედებენ საკუთარი ქვეყნის სახელით. სასამართლოს სტრუქტურა, ასე გამოიყურება: დიდი პალატა (17 მოსამართლე) – პალატა (7 მოსამართლე) – კომიტეტი (3 მოსამართლე). აღნიშნულ მოსამართლეთა კანდიდატურების წარდგენა ხდება სახელმწიფოების მიერ.

დაუსაბუთებულ საქმეთა განთესვა ხდება, მიღებადობის კრიტერიუმების გათვალისწინებით, ხოლო სასამართლოში განსახილველად შემოსული განაცხადის დასაბუთებული დასკვნა ეგზანენა სასამართლო პალატას, რომლის გადაწყვეტილება საბოლოოა. პალატის ფუნქციებია:

- პალატა, არსებითად განიხილავს კომიტეტის მიერ დამუშეებულ, ინდივიდუალურ განაცხადებს და გამოაქვს გადაწყვეტილება.
- განიხილავს სახელმწიფოთა შორისო საქმეების დაშეებადობის საკითხს;
- განიხილავს საქმეებს და გამოაქვს გადაწყვეტილება, რომელიც საბოლოოა, თუ მხარეები არ გადასცემენ საქმეს დიდ პალატას;
- კომიტეტის მიერ გადაცემული სახელმწიფოთა შორისო საქმეების განხილვა;
- პალატის მიერ დიდი პალატისათვის იურისდიქციის დათმობა;
- მინისტრთა კომიტეტის თხოვნით საკონსულტაციო მოსაზრებების განხილვა;

შესაბამისი ქვეყნისათვის სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და მათი შესრულება სავალდებულო.

სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებაზე
ზედამხედველობას აწარმოებს მინისტრთა კომიტეტი.
ზედამხედველობის ფარგლებში მინისტრთა კომიტეტი
უზრუნველყოფს, რომ წევრმა-სახელმწიფოებმა მიიღოს ყველა
ზომა (საკანონმდებლო და პროცედურული შეცვლა), რათა
მომავალში თავიდან აიცილოს ამგვარი დარღვევები.

დარღვევებს. ამ სფეროში მინისტრთა კომიტეტი უწევს
ზედამხედველობას. ასევე, კონტროლს უწევს ევროპული
სასამართლოს მიერ დაწესებული კომპენსაციის ანაზღაურებას ან
ზოგჯერ, სრული კომპენსაციის უზრუნველსაყოფად სხვა
კონკრეტული ზომების (მაგალითად, საქმის გადახედვა,
კონფისკაციის ბრძანების გაუქმება ან სხვა) განხორციელებას.

კონვენციის 25-ე და 46-ე მუხლების თანახმად,
სასამართლოს გადაწყვეტილებებში ხშირად მითითებულია
მოპასუხე-სახელმწიფოს ნორმატიული აქტები, რომლებიც არ
შეესაბამება კონვენციის მოთხოვნებს. სასამართლოს არა აქვს
უფლება სახელმწიფოს პირდაპირი მითითება მისცეს
კანონმდებლობაში ცვლილებების შეტანის შესახებ.
სასამართლოს, როგორც თვითონ აღნიშნავს, გამოაქვს ზოგადი
ხასიათის იურიდიული შედეგი.

რაც შეეხება კონვენციის 41-ე მუხლს, საუბარია
მოპასუხე სახელმწიფოს მიერ კომპენსაციის გადახდაზე.
სასამართლოს მოთხოვნა იმპერატიულია: თუ სასამართლო
დაადგენს, რომ მოხდა კონვენციისა და მისი აქტების დარღვევა,
თუ მაღალი ხელშემკერული მხარის შიდასახელმწიფოებრივი
სამართალი მხოლოდ ნაწილობრივი დაკმაყოფილების
საშუალებას იძლევა, სასამართლო აუცილებლობის შემთხვევაში
უზრუნველყოფს დაზარალებული მხარის სამართლიან
დაკმაყოფილებას. კომპენსაციის გადახდაზე ზედამხედველობას
მინისტრთა კომიტეტი ახორციელებს.

სტრასბურგის სასამართლოს რეკლამენტი
ითვალისწინებს განმცხადებლისათვის სასამართლო ხარჯების
ანაზღაურებას ევროპული სასამართლოს მხრიდან. სასამართლო
ხარჯების ანაზღაურებისათვის საჭიროა განმცხადებელმა
წარადგინოს სახელმწიფო ორგანოს მიერ დამოწმებული
ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაცია.

1). დანახარჯების ანაზრაურება შესაძლებელია, თუ:

- დანახარჯები გამოწვეულია აუცილებლობით.
- დანახარჯები უკვე გაწეულია.

- დანახარჯების რაოდენობა გონიერულია.
- 2). უფასო იურიდიულ დახმარებას მოიცავს:
- ადვოკატის კონტრარს, რაც გულისხმობს სოციალურად დაუცველი განმცხადებლისათვის საქმის წარმოებასთან დაკავშირებული ხარჯების გაწევას ევროსაბჭოს ბიუჯეტიდან.
 - განმცხადებლისა და მისი ორი წარმომადგენლის მგზავრობის ხარჯების ანაზღაურებას (თუ სასამართლო მიიხსნევს, რომ პროცესზე განმცხადებლის და მისი წარმომადგენლის დასწრება აუცილებელია);
 - დღიური და გაუთვალისწინებელი ხარჯების ანაზღაურება ხდება სასამართლოს გადაწყვეტილებით.

გარდა წმინდა იურიდიული ხასიათის უარყოფითი შედეგებისა, სასამართლოს გადაწყვეტილებების შეუქსრულელობას თან ახლავს სხვა უარყოფითი შედეგებიც:

- სახელმწიფო ხელისუფლებას ექმნება უარყოფითი იმიჯი, როგორც საერთაშორისო დონეზე, ისე შიგნით.
- მოპასუხე სახელმწიფომ უნდა გააატაროს ზომები დემოკრატიული ღირებულებების და ევრო საბჭოს წესდებისა და ევროპული კონვენციის დებულებათა დასანერგად (მაგალითად, კანონმდებლობის ცვლილება, დემოკრატიული ინსტიტუტების დანერგვა და სხვა).

სახელმწიფო, რომელიც ევროპულ სასამართლოში სისტემატურად აგებს საქმეებს ეკისრება ფუნდამენტური კომპენსაცია მოსარჩლისათვის მიყენებული ზიანის ასანაზღაურებლად. ამ დროს, სახელმწიფო ბიუჯეტი შემცირების რისკის ქვეშ დგება, რაც აისახება ამ წევრი-სახელმწიფოს მოქალაქეთა (გადასახადის გადამხდელთა) ჯიბეზე.

ევროპული კონვენციის კიდევ ერთ თავისებურებაზე უნდა მივითითოს. კონვენციის მე-17 მუხლი დაცვის უფლებას ართმევს იმ პირებს ან პირთა ჯგუფს, რომელიც თავისი საქმიანობით კონვენციით დაცულ დემოკრატიულ პრინციპებსა და თავისუფლებებს ხელყოფს. კონვენციის მე-17 მუხლი, გარკვეულწილად იმეორებს ადამიანის უფლებათა საყოველთაო

დეკლარაციის 30-ე მუხლს. ორივე მუხლი გვაგონებს საფრანგეთის რევოლუციის დროინდელ ლოზუნგს „არ არის თავისუფლება თავისუფლების მტერთათვის“.

მიუხედავად ამისა, სასამართლო პრაქტიკის ანალიზი საშუალებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ დემოკრატიულ სა'სოგადოებაში არავინ, მათ შორის მძიმე დანაშაულის ჩამდენი „პირიც“⁴⁰ („ლოვლესი ირლანდიის წინააღმდეგ“), არ შეიძლება დარჩეს მე-5 და მე-6 მუხლის გარანტირების გარეშე ანუ არავინ შეიძლება დარჩეს დაცვის გარეშე წინასწარი გამოძიებისა და სასამართლო განხილვის დროს.

ა) ვის შეუძლია მიმართოს ევროპულ სასამართლოს

კონვენციის 35-ე მუხლი პირდაპირ მიუთითებს, რომ განმცხადებელი ვალდებულია გამოიყენოს მისთვის ხელმისაწვდომი, ეფექტური და დაცვის მიზანშეწონილი შიდასახელმწიფოებრივი საშუალება.

ეფექტური დაცვის მიზანშეწონილობა, გულისხმობს შიდასახელმწიფოებრივი მექანიზმების ამოქმედებას არა თეორიულად, არამედ პრაქტიკულად. განმცხადებელი არ არის ვალდებული მიმართოს ისეთ არაადეკვატურ საშუალებებს, რომლებიც არ გამოიწვევენ სასურველ შედეგს.

არაეფექტურ საშუალებად შეიძლება იქნას აღიარებული სახელმწიფოს დისკრეციულ უფლებამოსილებაზე დამოკიდებული პროკედურა (შეწყალება, ომბუდსმენისათვის მიმართვა, პარლამენტის ადამიანის უფლებათა კომიტეტისათვის მიმართვა და სხვა).

ხელმისაწვდომობა. ეროვნული კანონმდებლობით გათვალისწინებული საშუალების გამოყენება, განმცხადებლის უფლებაა და არა პრივილეგია. კონკრეტული საშუალების

44. საქმეში ლოვლესი ირლანდიის წინააღმდეგ, სასამართლომ უარყო სახელმწიფოს პოზიცია, რომელთაც სახელმწიფო ითხოვდა მე-17 მუხლის ექვმიტანილი პირის მიმართ. სასამართლომ აღნიშნა, რომ იმდენად რამდენადაც მოსარჩელის განაცხადი ეხებოდა კონვენციის მე-5მ. 3.3.დაცული უფლების დარღვევას, (დაკავებული პირის დაუსაბუთებლად ხანგრძლივი დროით დაკავება მოსამართლეს წინაშე წარდგენის გარეშე).

ამორჩევისას განმცხადებელმა უნდა მიუთითოს „გონივრულ და ობიექტურ გარემოებებზე.“ სასამართლომ დაუშვა გამოჩაკლისი, როდესაც საშუალება მისცა სამხრეთ კიპროსში მცხოვრებ ქალბატონ ლეიზიდუს, არ ამოეწერა თურქეთის შიდა სამართლებრივი დაკვეის მექანიზმები, რადგან თურქეთის შიდა სახელმწიფოებრივი დაკვეის მექანიზმები მინეული იქნა არაეფექტურად.⁴¹ ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს, არა სასამართლო პრაქტიკის ხარვეზთან, არამედ შიდა სახელმწიფოებრივი მექანიზმების ამოწურვასთან და სასამართლოს მიდგომასთან.

ევროპულმა სასამართლომ, მოგვცა ტერმინის „მსხვერპლი“-ის ფართო გაგება, სასამართლოს მიერ კი შემეშავებულ იქნა „მსხვერპლის“ შემდეგი კლასიფიკაცია:

- ❖ პირდაპირი მსხვერპლი.
- ❖ ირიბი მსხვერპლი.
- ❖ პოტენციური მსხვერპლი.

- „პირდაპირი მსხვერპლი“ არის „პირი,“ რომელსაც ეფუძვლება და თავისუფლებები უშუალოდ იქნა დარღვეული სახელმწიფოს მხრიდან. „ლოპეს ოსტრა ესპანეთის წინააღმდეგ.“⁴²
- „ირიბი მსხვერპლი“ არის „პირდაპირი მსხვერპლის“ ახლო ნათესავი, პირის „ირიბ მსხვერპლად“ აღიარება ხდება შემდეგ შემთხვევებში:

1) ადგილი ჰქონდა კონვენციის მე-2 მუხლის „სოცოცხლის უფლების“ დარღვევას. „პირდაპირი მსხვერპლი“ გარდაცვლილია და საქმის სასამართლოში წარმართვას მითითხვის გარდაცვლილის ახლობელი (მაგ: მეუღლე).

2). ახლობლები გამოდიან „პირის“ გარდაცვალების, გარემოებათა სასამართლოს წესით. განხილვის ინიციატორებად. „პოტენციური მსხვერპლი“, არის „პირი,“ რომელსაც უშუალოდ არ მიაღვა სიანი და მის მიმართ არ დარღვეულა კონვენციით გარანტირებული უფლებები, მაგრამ

⁴¹. ევროპული სასამართლო ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში წყვეტს ხელმისაწვდომობისა და ეფექტურობის და მიზანდასახულობის საკითხს.

⁴². ლოპეს ოსტრა ცხოვრობდა დასახლებაში, რომლის ახლოსაც ნაგვის გადამამუშავებელი ქარხანა, რომელიც ხმაურისა და გარემოს დაბინძურების გამო აწუხებდა და არ აძლევდა მშვიდად ცხოვრების საშუალებას. Lopes Ostra v Espania.

მომავალში არსებობს ზიანის მიყენების რეალური საფრთხე. კანონის გამოყენება ან სხვა ნორმატიული აქტის მოქმედება, მის პოტენციურ ადრესატს უქმნის გარანტირებული უფლებების დარღვევის შიშს. მაგალითად, სტრასბურგის სასამართლოს მიერ განხილული საქმე „კლაასი და სხვები გერმანიის წინააღმდეგ“ რომელშიც პირველად იქნა გამოყენებული „პოტენციური მსხვერპლის“ ცნება.

გერმანელმა იურისტებმა, ჯერ ეროვნულ სასამართლოში, ხოლო შემდეგ საკონსტიტუციო სასამართლოში გაასაჩივრეს კანონი სატელეფონო მოსმენებისა და ღუსტრაციის შესახებ. აღმოჩნდა, რომ სასამართლოების მიერ გამოიტანილი გადაწყვეტილება აბსტრაქტულ ხასიათს ატარებდა, რის შემდეგაც, კლაასმა და მისმა კოლეგებმა მიმართეს ევროპულ სასამართლოს. გურ სასამართლო ცდილობდა დაემტკიცებინა, რომ მოსარწმელე, კონვენციის მიხედვით არ წარმოადგენდა „მსხვერპლს“, რადგან გასასივრებელი კანონი არ მოქმედებდა უშუალოდ მათ მიმართ. მიუხედავად ამისა, სასამართლომ დაადგინა, რომ არ არღვევდა მათ უფლებებს. სასამართლომ საქმეში „ღია კარი“ და „დუბლინელი მეანები ირლანდიის წინააღმდეგ“ მსხვერპლად აღიარა 2 ქალბატონი, რომლებიც შეიძლება მომავალში გამხდარიყვნენ აბორტის ამკრძალავი კანონების მსხვერპლი.⁴³

საქმეში „დოლბანი რემინეთის წინააღმდეგ“ (1999წ) განმცხადებელი იყო უურნალისტი, რომელიც სასჯელს იხდიდა სენატორის მიმართ ცილისწამებლური სტატიების გამოქვეყნებისათვის. ევროპულ სასამართლოში საქმის განხილვამდე, უურნალისტი გარდაიცვალა. საქმის გაგრძელების თაობაზე სასამართლოს მიმართა უურნალისტის ქვრივმა, რომელიც შემდგომში სასამართლოს მიერ აღიარებული იქნა მსხვერპლად.

⁴³ . „პოტენციურ მსხვერპლად“ განმცხადებლის აღიარება იშვიათია და მისი მინიჭება ხდება ყოველი კონკრეტული საქმის გარემოებებიდან გამომდინარე. ეს განპირობებულია იმიტომაც, რომ მსხვერპლისათვის ამგვარი კატეგორიის მინიჭება ახლოს დგას აბსტრაქტულ ნორმათა კონტროლთან. ამასთან კონტროლზე უარის თქმა, ევროპული სასამართლოს საქმიანობის ფუნქციონირების პრინციპია.

ბ) ევროსასამართლოში საქმის მიღების კრიტერიუმები

ევროპული კონვენცია, თვითონ შეიცავს იმ მოთხოვნების მითითებებს, რომლებიც სავალდებულოა საქმის სასამართლოში მიღებისათვის. ესენია:

- განაცხადი უნდა ეხებოდეს ევროპული კონვენციით გათვალსწინებულ უფლებათა დარღვევას;
- უფლებათა დარღვევას, ადგილი უნდა ჰქონოდა ევროპული კონვენციის წევრი-სახელმწიფოს რატიფიცირებამდე;
- ამოწურული უნდა ყოფილიყო შიდასამართლებრივი დაცვის მექანიზმები;
- გასული არ უნდა იქნას, სასამართლოში განაცხადით მიმართვის 6 თვიანი ვადა;
- განაცხადი არ უნდა იყოს აშკარად უსაფუძვლო;
- განაცხადი არ უნდა იყოს ანონიმური;
- განაცხადის არ უნდა იქნას ბოროტად გამოყენებული;
- განაცხადი არ უნდა იხილებოდეს სხვა საერთაშორისო ორგანოებში.

განვიხილოთ ზოგიერთი კრიტერიუმი. შიდასახელმწიფოებრივი საშუალებების ამოწურვა. საქმის მიღების წინაპირობა და მისი დაუკველობა იქვეს სასამართლოს მიერ საქმის მიღებაზე უარის თქმას. სასამართლო მიუთითებს რა, ამ კრიტერიუმის აუცილებლობაზე აღნიშნავს, რომ ყოველი „პირი“, რომელსაც განზრახული აქვს განაცხადის შეტანა სახელმწიფოს წინააღმდეგ საერთაშორისო სასამართლოსა და საარბიტრაჟო ორგანოში, ვალდებულია გამოიყენოს და ამოწუროს ეროვნულ სახელმწიფოში არსებული ყველა შიდასამართლებრივი მექანიზმი. ამ კრიტერიუმის მნიშვნელობა იმაში მდგომარეობს, რომ სამართლებრივი დაცვის სისტემა, რომელიც მოქმედებს კონვენციის ფარგლებში არის სუბსიდირებული ხასიათის ეროვნული სისტემის მიმართ⁴⁴. აქედან გამომდინარე, ევროპულ სასამართლოში განაცხადის შეტანა დაიშვება იმ შემთხვევაში, თუ განმცხადებელმა ამოწურა ყველა მისთვის ხელმისაწვდომი შიდასახელმწიფოებრივი დაცვის მექანიზმი. ეს განპირობებულია იმით, რომ ადამიანის უფლებათა დაცვის მოვალეობა ეკისრება

⁴⁴. ანალოგიური მოთხოვნა გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტატში ინდივიდუალური განაცხადის შეტანისას.

ეროვნულ სახელმწიფოს, ხოლო დაცვის უზრუნველყოფა უნდა მოხდეს ეროვნული სასამართლოს მიერ. ეროვნული სასამართლოს ხასიათი ელინდება სწორედ იმაში, რომ ეკროპული სასამართლო არ წარმოადგენს შიდასახელმწიფოებრივ უმდგომ ინსტანციას.

გ) შიდასამართლებრივი მექანიზმები:

- ეროვნული სასამართლო ორგანოები და მათი იერარქია თანმიმდევრობით;
- სპეციალური კვაზი სასამართლო ორგანოები;
- პროკურატურა.

სასამართლო ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში მსჯელობს იყო. თუ არა ამოწურული სამართლებრივი პროცედურები. ეკროპის საბჭოს წევრ-სახელმწიფოებში მოქმედი სტანდარტული ეარიანტია სამ საფეხურიანი სისტემის არსებობა. ეს სქემა გართულდება, თუ ამ სახელმწიფოებში მოქმედებს სპეციალისირებული სასამართლო სისტემები, რომელთა გავლა კონკრეტულ საქმეში აუცილებელია (მაგ: საკონსულტაციო სასამართლო-გერმანიაში, ესპანეთში). შემდეგი კრიტერიუმები, რომელსაც ყურადღებას უთმობს სასამართლო, არის შიდასახელმწიფოებრივი დაცვის საშუალებების ეფექტურობა. კონვენციის 33-ე მუხლის თანახმად, ეკროპული სასამართლო განიხილავს, ნებისმიერ მაღალ ხელშემკრელ მხარეს შეუძლია მიმართოს სასამართლოს სხვა მაღალი ხელშემკრელი მხარის მიერ კონვენციისა და მისი დებულებების ნებისმიერი დარღვევის თაობაზე“.

დ) ექვსთვიანი ვადა

კონვენციის 35-ე მუხლის თანახმად, სასამართლოში განაცხადის (სარჩელის) წარდგენის ვადა განისაზღვრება 6 თვით. ეს ერთ-ერთი კრიტერიუმია, რომელიც განიხილება საქმის სასამართლოში მიღების დროს. მიუხედავად იმისა, რომ ეს საკმაოდ მკაცრი მოთხოვნაა სასამართლოს შეუძლია, თუ ექვს თვიანი ვადის გაშვება დაკავშირებულია საპატიო მიზეზთან ადადგინოს ან კონკრეტულ შემთხვევაში იმსჯელოს ექვსთვიანი ვადის ადგენის თაობაზე.

ექვსთვიანი ვადის დინება იწვევს საბოლოო გადაწყვეტილების მიღებიდან“. ეს გულისხმობს, რომ დროის ათვლა იწვევს იმ მომენტიდან (დღიდან), როდესაც განმცხადებლისათვის ცნობილი იყო ან გახდა შიდასახელმწიფოებრივი საშუალების ამოწურვის შესახებ.

ექვსთვიანი ვადის ათვლისას უნდა გაითვალისწინოთ შემდეგი გარემოებები:

1) უკანასკნელი გადაწყვეტილება გამოტანილ იქნა საჯარო სხდომაზე, რომელსაც განმცხადებელიც ესწრებოდა;

2) განმცხადებლისათვის, გადაწყვეტილება გამოტანილ იქნა დახერხულ სხდომაზე, მაგრამ განმცხადებელს გადაეცა მოგვიანებით. ექვსთვიანი ვადის ათვლა იწვევს გადაწყვეტილების ასლის ან თვით გადაწყვეტილების გამოტანის გადაცემის მე-6 დღიდან.

3) პირს ბრალი ედება რამდენიმე დანაშაულში და ერთ-ერთ მათგანზე, სასამართლოს უკვე გამოტანილი აქვს გამამტყუნებელი განაჩენი, ხოლო დანაშაულისათვის ჯერ მხოლოდ ბრალი აქვს წაყენებული. განაცხადი შეტანილი უნდა იქნას პირველი დანაშაულისათვის გამოტანილი გადაწყვეტილებიდან 6 თვის ვადაში და არა უკანასკნელი მსჯავრდების დღიდან, 6 თვის ვადაში.

4) განგრძობითი დანაშაულის შემთხვევაში.

5) კონვენციით გათვალისწინებული უფლებების ხელყოფის დღიდან-ეს ეხება იმ შემთხვევებს, როდესაც ეროვნული კანონმდებლობა არ ითვალისწინებს ხელყოფის გამოსწორების შესაძლებლობას.

6) თუ კონკრეტული აქტი ხელყოფს განმცხადებლის უფლებებს, ვადა ათვლება ამ აქტის ამოქმედების დღიდან.

35-ე მუხლით გათვალისწინებული „უკანასკნელი გადაწყვეტილება“ გულისხმობს, რომ განმცხადებელმა გამოიყენა ეფექტური და ადეკვატური საშუალება. ნორმატიული აქტით დარღვეული უფლების ხელყოფისას შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობა არ ითვალისწინებს აღნიშნულ აქტის გასაჩივრების მექანიზმს. უკანასკნელ გადაწყვეტილებად მიიჩნევა იმ ნორმატიული აქტის ძალაში შესვლის თარიღი, რომელმაც დაარღვია განმცხადებლის უფლება.

უკანასკნელ გადაწყვეტილებად ჩაითვლება შემთხვევები, როდესაც განმცხადებელმა ამოწურა ეფექტური შიდასახელმწიფოებრივი საშუალებები. 6 თვის ათვლისას

მხედველობაში არ იქნება მიღებული ისეთი არაეფექტური შიდასახელმწიფოებრივი საშუალებების ამოწურვა, როგორცაა შეწყალება, პატიება, ზედამხედველობითი საქმის წესით გადასინჯვა.

ექვსთვიანი ვადის დაკვირვების მოთხოვნა შესრულებულად წაითვლება, როდესაც სტრასბურგის სასამართლო მის სახელზე დაარეგისტრირებს ტელექსის ან ფაქსის საშუალებით მიღებულ პირველ წერილს.

ე) განაცხადის აშკარა უსაფუძვლობა და დაუსაბუთებლობა

კონვენციით განსაზღვრულ სხვა უფლებათა შორის, მნიშვნელოვანია 35-ე მუხლის მე-3 პუნქტში მითითებული კრიტერიუმი — „განაცხადის აშკარა უსაფუძვლობა“, ეს კრიტერიუმი შეფასებითია და ამავე დროს, აბსტრაქტული. რაც გულისხმობს სასამართლოს მხრიდან უარის თქმას ისეთ განცხადებაზე, რომელიც არ შეესაბამება კონვენციით დაცულ უსაფრთხოების ზომებს. უფრო ზუსტად, ამგვარ განცხადებაში სასამართლომ ვერ შესძლო კონვენციით გათვალისწინებულ უფლებათა ხელყოფის დადგენა, ხოლო განაცხადში მითითებული ფაქტები მიიჩნია უსაფუძვლოდ.

ე) სასამართლოსათვის მიმართვის უფლების ბოროტად გამოყენება

ეს კრიტერიუმი გულისხმობს შემთხვევებს, როდესაც განმცხადებელი სტრასბურგის სასამართლოში განაცხადის შეტანის შემდეგ უპასუხოდ ტოვებს თავისი განაცხადის განხილვასთან დაკავშირებულ სასამართლო შეტყობინებას ან განმცხადებელი აკეთებს შეურაცხმყოფელ პროვოკაციულ განცხადებებს მოპასუხე სახელმწიფოს წარმომადგენლის მიმართ; განსრახ შეჰყავს სასამართლო შეცდომაში; განაცხადში მოტანილია მცდარი მტკიცებულებები და გაყალბებულია დოკუმენტები.

მიუხედავად იმისა, რომ განაცხადის წარდგენისას განმცხადებელი მოქმედებდა არაკეთილსინდისიერად ეს გარემოება არ ქმნის საკმარის საფუძველს განაცხადის მიუღებლად გამოცხადებისათვის, თუ განაცხადის შეტანისათვის

სავალდებულო კრიტერიუმები და(კულია; ადგილი კქონდა კონვენციით და(კული უფლებების დარღვევას. ხშირად განმცხადებლის მიზანს წარმოადგენს უფლების დარღვევის შესახებ ინფორმაციის გაერცვლება. განაცხადის ეეროპულ სასამართლოში შეტანის მიზანი, პოლიტიკური მოსახრებების პროპაგანდაა.

ზ) არსებითად იგივე საკითხის შემცველი განაცხადები

1. სასამართლო უფლებამოსილია არ განიხილოს სირთულე რომელიც უკვე განიხილა „სასამართლომ ან გადაეცა საერთაშორისო გამოძიების ან მოგვარების სხვა პროცედურას“. მიუხედავად ამგვარი შეზღუდვისა, ეს კრიტერიუმი არ წარმოადგენს განაცხადთა უარყოფის ძირითად საფუძველს.
2. აღნიშნული კრიტერიუმი დამახასიათებელია აგრეთვე ადამიანის უფლებათა კომიტეტში განაცხადების განხილვისას.

ტერმინებში - „საერთაშორისო გამოძიების ან მოგვარების სხვა პროცედურები“ — გაეროს ადამიანის უფლებათა კომისია გაეროს სისტემაში არსებული აღმასრულებელი ორგანოები, გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტი და სხვა.

„სასამართლო არ მიიღებს ინდივიდუალურ განაცხადს, თუ იგი არსებითად იგივე საკითხს წარმოადგენს, რომელიც „35-ე მუხლშია“ მოცემული.

კონვენციაში მითითებულ „სხვა გარემოებაში“ იგულისხმება, გარემოებები ან ინფორმაცია, რომელიც უცნობი იყო განმცხადებლისათვის თავდაპირველი განაცხადის შეტანისას ან რომელიც სასამართლოს პირველი განაცხადის უარყოფისას აღმოცენდა.⁴⁵

თ) განაცხადის ანონიმურობა

სასამართლოში შეტანილი ნებისმიერი განაცხადი, უნდა იქნას ხელმოწერილი.

⁴⁵ ლ. ფალიაშვილის კიტატა. ნ. გვ. 40.

ყველა განაცხადი, რომელიც წარმოდგენილია სტრასბურგის სასამართლოში ხელმოწერილი უნდა იქნეს განმცხადებლის მიერ.⁴⁶

სასამართლოში განაცხადი უნდა იყოს განმცხადებლის მიერ ხელმოწერილი და უნდა შეიცავდეს სათანადო ინფორმაციას. განაცხადი სათანადოდ უნდა იქნას შევსებული.

ანონიმური განაცხადი არ იქნება მიღებული, თუ ვინაობის გამჟღავნების შემთხვევაში განმცხადებლის სიცოცხლე ან უსაფრთხოება საფრთხეშია. ამ შემთხვევაში განმცხადებელს შეუძლია სასამართლოს სთხოვოს მისი უსაფრთხოების დაცვის მიზნით მიიღოს გარკვეული ზომები.

1) პროფკავშირების მიერ თავისი წევრების ინტერესების დასაცავად შეტანილ განაცხადზე მითითებულია პროფკავშირების წარმომადგენლის ვინაობა, ხელმოწერა და თან ერთვის მისი უფლებამოსილების დამადასტურებელი საბუთები;

2) ასევე არ დაიშვება ანონიმური განაცხადის შეტანა იურიდიული „პირის“ ორგანიზაციის მიერ. იურიდიული „პირის“ განაცხადს ხელს აწერს სათანადოდ უფლებამოსილი პირი, ხოლო არა რეგისტრირებული ჯგუფის განაცხადს ჯგუფის ყველა წევრი.

3) თუ უფლების დარღვევა, მიმართული იყო მთლიანად ამ ორგანიზაციის წინააღმდეგ ორგანიზაცია, არ არის ვალდებული მიუთითოს ყველა თავისი წესი.

სასამართლოს განაცხადი შედგება ცხრა ნაწილისაგან და გარკვეულწილად ატებულია იგივე პრინციპებს, როგორც ადამიანის უფლებათა კომიტეტის განაცხადი და ჩვეულებრივი სარსელი.

ი) სახელმწიფოთაშორისო დავები

⁴⁶ სასამართლო საქმეთა საჯაროდ გამოქვეყნებისას ხშირად ის საქმეები, რომელიც უკავშირდება პირად ცხოვრების საკითხებს, მაგალითად, X და Y ნიდერლანდების წინააღმდეგ; ფინეთის წინააღმდეგ და სხვა.

ამ სახის დავის საგანს წარმოადგენს კონვენციით ადამიანის უფლებათა დარღვევა.

- ამგვარი დავის მხარეებს წარმოადგენენ მხოლოდ ევრო საბჭოს წევრები, კონვენციის მონაწილეები;
- დავის საგანი შეიძლება იყოს მხოლოდ ის უფლებები და თავისუფლებები, რომლებიც აღიარებულია კონვენციებისა და ოქმების მიერ;

სახელმწიფოს წინაშე წარდგენა შეიძლება არა მარტო იმ შემთხვევაში, როდესაც ირღვევა მოსარჩლე სახელმწიფოს მოქალაქეთა უფლებები, არამედ ყველა იმ შემთხვევაში, როდესაც მოსარჩლე სახელმწიფოს მიაჩნია, რომ დარღვეულია კონვენციით გარანტირებული უფლებები და თავისუფლებები ანუ ხორციელდება პრეამბულით გათვალისწინებული „ადამიანის უფლებათა კოდექტიური განხორციელება“. სახელმწიფო უნდა მოქმედებდეს არა საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე, არამედ „როგორც მხარე, რომელმაც ევროპაში დააყენა საჯარო წესრიგისათვის მნიშვნელოვანი საკითხი“. 60-იან წლებში, დანიამ, ნორვეგიამ, შვედეთმა და ნიდერლანდებმა ადამიანის უფლებათა მასობრივ დარღვევებთან დაკავშირებით საბერძნეთში სასამართლოს მიმართეს.

სარჩელის ფორმა

სარჩელის ფორმა შედგება რამდენიმე ნაწილისაგან:

I-ლი ნაწილი-ინფორმაცია მოსარჩელეს შესახებ. (განმცხადებლის ვინაობა, საცხოვრებელი ადგილი, საქმიანობა, მოპასუხე-სხელმწიფოს მითითება). ამავე ნაწილში, უნდა აღინიშნოს იმ პირის ვინაობა, რომელიც წარმოადგენს მოსარჩელეს სასამართლოში რამდენიმე მოსარჩელის მიერ სარჩელის შეტანისას, თითოეული პირის ვინაობა ცალ-ცალკე უნდა იქნას მითითებული.

II ნაწილი-ფაქტობრივი მონაცემები. ამ ნაწილში დეტალურადაა აღწერილი ყველა უფლებათა დარღვევის ფაქტი, თუ რამდენიმე დარღვევაა, ფაქტის აღწერისას უნდა მიეთითოს თითოეულ მათგანზე და დაცულ უნდა იქნას ქრონოლოგიური თანმიმდევრობა თარიღების მითითებით;

III ნაწილი-ეხება კონვენციით მინიჭებული უფლებების ხელყოფის აღწერას და შესაბამისი მტკიცებულებების გადმოცემას, რაც მოიცავს ევრო კონვენციის კონკრეტულ მუხლებზე მითითებას.

არგუმენტს, თუ რატომ მიიჩნია "პირს," რომ დარღვეულია კონვენციით მისთვის მინიჭებული უფლებები განმცხადებელმა ამავე ნაწილში უნდა მიუთითოს იმ გარემოებებზე, თუ რატომ შეიძლება მისი უფლებები სახელმწიფოს მხრიდან (მაგ: მე-8, მე-9, მე-10 მეხლი); ასევე, რატომ იყო შეძლებული არამართლწომიერი და სცილდება, თუ არა მისი აზრით ამ უფლების ხელყოფა კონვენციით დადგენილ საფუძველს;

IV ნაწილი-შეეხება სარჩელის მიღების კრიტერიუმებს: მითითებულია ინფორმაცია შიდასახელმწიფოებრივი საშუალებების ამოწურვის შესახებ; ექსტრეიანი ვადის დაცვის მოთხოვნა, თუ რომელიმე შიდასახელმწიფოებრივი დაცვის მექანიზმი არ იქნა ამოწურული ან განმცხადებელმა საერთოდ არ მიმართა შიდასამართლებრივი დაცვის საშუალებებს. განცხადებას ამ ნაწილში უნდა მიუთითოს მიხეცხი. განაცხადს თან უნდა დაერთოს ეროვნული სასამართლო ორგანოების მიერ გამოტანილ გადაწყვეტილებათა ნუსხა;

V ნაწილი-ეხება განცხადის მიზანს. ამ ნაწილში მითითებულ უნდა იქნას განმცხადებლის ევროპულ და ეროვნულ სასამართლოში განაცხადით მიმართვის მიზანი;

VI ნაწილში-უნდა მიუთითოს იყო, თუ არა სარჩელი განხილული სხვა საერთაშორისო ორგანიზაციაში;

VII ნაწილი - მოცემულია იმ დოკუმენტების ჩამონათვალი, რომელსაც მოსარჩელე მნიშვნელოვნად მიიჩნევს ამ კონკრეტული საქმის განხილვისას. ამასთან, აუცილებელია სარჩელზე დართული დოკუმენტები მნიშვნელოვან ინფორმაციას შეიცავდეს და დაკავშირებული იყოს ევრო სასამართლოში განსახილველ საქმესთან;

VIII ნაწილი - მითითებულია რომელ ენას ანიჭებს პრიორიტეტს მოსარჩელე ფრანგულს, თუ ინგლისურს (ფრანგული და ინგლისური ევრო საბჭოს ოფიციალური ენებია).

IX ნაწილი - სასამართლოს მხრიდან კონფიდენციალობის დაცვა და პატივისცემა. ამასთანავე, მოტივირებული მითითება სურს, თუ არა მოსარჩელეს გამჟღავნებელი იქნას მისი ყინაობა ფართო საზოგადოებისათვის. აქვე უნდა განემარტოთ, რომ განმცხადებელი ხელს აწერს განაცხადს, თუმცა საქმის გამოქვეყნებისას მისი გვარი არ არის გამჟღავნებელი.

განაცხადის ფორმის გაგზავნამდე, განმცხადებელი საქმის მოკლე რეზიუმეს უგზავნის სასამართლოს რეგისტრატორს, რომელშიც მითითებულია: კონვენციით და ოქმებით აღიარებული

უფლებების ხელყოფა და ის ფაქტი, რომელსაც განმცხადებლის აზრით ადგილი აქონდა; ეროვნულ შიდასამართლებრივი დაკვეის საშუალებათა ამოწურვა; ეროვნული ორგანოების მიერ გამოტანილი გადაწყვეტილებები.

§4. ადამიანის უფლებათა სფეროში ევროპის საბჭოს ორბანოები

„ევროპის სამართლის“ ის ნაწილი, რომელიც მოიცავს ევრო საბჭოს სამართალს შედგება არა მარტო ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციისაგან, არამედ მასში გაერთიანებული კონვენციებისაგან, რომლებიც მიღებულია ევრო საბჭოს ეგიდით:

- 1) სოციალური ქარტია;
- 2) ევროპული კონვენცია წამებისა და არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის ან სასჯელის აღკვეთის შესახებ;
- 3) ევროპული ქარტია რეგიონალური ენებისა და უმცირესობათა ენების შესახებ;
- 4) ჩარხო კონვენცია ეროვნული უმცირესობათა დაკვეის შესახებ;
- 5) კონვენცია ბიო-ეთიკისა და ადამიანის უფლებათა დაკვეის შესახებ და სხვ.

მაგრამ მხოლოდ ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციას გააჩნია სასამართლო დაკვეისა და სანქციათა გამოყენების მექანიზმი და სწორედ ამიტომ, მას განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ევრო საბჭოს სისტემაში მოქმედ საერთაშორისო სამართლებრივ აქტებს შორის. მხოლოდ ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა კონვენცია განსაზღვრავს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს კომპეტენციის ფარგლებს.

ევროკავშირის ფარგლებში მუშაობს მთელი რიგი ორგანიზაციები, რომელთა ამოცანაა დაიცვან ადამიანის უფლებები.

ეს ორგანიზაციებია:

1. ქალსა და მამაკაცს შორის თანასწორობის საორგანიზაციო კომიტეტი (CDEG) რომლის მიზანია, პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში ქალისა და მამაკაცის თანასწორად წარმოდგენის ხელშეწყობა.

2. 1999 წელს შეიქმნა ადამიანის უფლებათა კომისარის თანამდებობა. კომისრის მოვალეობაა:

- ადამიანის უფლებათა სფეროში სწავლების, ცოდნის ამაღლებისა და ადამიანის უფლებათა პატივისცემის ხელშეწყობა;
- რეზოლუციების მიხედვით, წევრ-სახელმწიფოთა კანონმდებლობისა და ვეროსაბჭოს მიერ მიღებული კონვენციების შესაბამისობის დადგენა.

კომისარს პრევენციული როლი აკისრია, მას არ გააჩნია იერიდიული უფლებამოსილება მიიღოს გადაწყვეტილება, მაგრამ იძლევა რჩევას და გასცემს ინფორმაციას ადამიანის უფლებათა დაცვისა და მათი დარღვევის თავიდან აცილების მიზნით. კომისარი რეაგირებას ახდენს წევრ-სახელმწიფოთა მთავრობების, პარლამენტების, ომბუდსმენებისა და სხვა ინსტიტუტების, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და ცალკეულ პირთა ინფორმაციებზე ადამიანის უფლებათა დარღვევების შესახებ. კომისარს შეუძლია წარუდგინოს მოხსენებები ანგარიშები კონკრეტულ საკითხებზე მინისტრთა კომიტეტს ან საპარლამენტო ასამბლეას. ვეროსაბჭოს ფარგლებში მოქმედებს სხვადასხვა პროგრამები ადამიანის უფლებათა სფეროში.

ა) ევროპული ქარტია რეგიონალური ენებისა და უმცირესობათა ენების შესახებ

ქარტიის მიზანია დაიცვას რეგიონალური ენები და უმცირესობის ენები. რეგიონალური და უმცირესობათა ენების ცნება გამოყენებულია იმ ენების მიმართ, რომელსაც ოფიციალური ენებისაგან განსხვავებით, იყენებენ წევრ-სახელმწიფოებში.⁴⁷

ქარტით დაცულია ის ენები, რომლებიც მოცემულ ტერიტორიებზე ითვლება რეგიონალურ ან უმცირესობათა ენად ანუ საკომუნიკაციო საშუალებად „პირთა“ გარკვეული რაოდენობისათვის, რაც საფუძველს იძლევა ეს ენა რეგიონალურ ენად ჩაითვალოს და მოექცეს ქარტიის დაცვის ქვეშ.

წევრ-სახელმწიფოები ვალდებულია კისრულობენ უზრუნველყონ ქარტიის 35 დებულებიდან „ძირითადი ბირთვი“.

⁴⁷ აქ არ იგულისხმება დიალექტები და მიგრანტთა ენები.

ისევე, როგორც უმცირესობათა ჩარჩო-კონვენციის შემთხვევაში, აქაც შექმნილია ექსპერტთა კომიტეტი, რომელიც შეიმუშავებს რეკომენდაციებს და ახორციელებს მონიტორინგს.⁴⁸

ბ) ჩარჩო-კონვენცია ეროვნულ უმცირესობათა დაცვის შესახებ

1994 წელს ევროპის საბჭომ მიიღო ჩარჩო-კონვენცია ეროვნულ უმცირესობათა დაცვის შესახებ. კონვენცია წარმოადგენს პირველ საკვლავებულო მრავალმხრივ იერიდოულ ინსტრუმენტს. კონვენციის მთავარი მიზანია:

- კანონის წინაშე თანასწორობის უზრუნველყოფა;
- კულტურათა შენარსუნება და განვითარება;
- ინდივიდუალურობის, რელიგიური მრწამსის დაცვა;
- უმცირესობათა ენებისა და ტრადიციების დაცვა;
- მედიასთან თავისუფალი ურთიერთობის გარანტიები;
- სხვა ქვეყნებში მცხოვრებ ადამიანებთან საზღვრების მიღმა თავისუფალი და მშვიდობიანი ურთიერთობების დამყარების შესაძლებლობა.

კონვენცია ძალაში შევიდა 1998 წელს. კონვენცია ითვალისწინებს წევრ-სახელმწიფოთა მიერ ანგარიშის წარდგენის პროცედურას, რომელიც შეიძლება ითქვას იმეორებს გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტის პროცედურებს. ევროსაბჭოს ჩარჩო-კონვენციის მიხედვით, კონვენციის მონაწილე სახელმწიფოები ვალდებულნი არიან ერთი წლის განმავლობაში წარადგინონ თავისი ანგარიშები, ხოლო პერიოდულ ანგარიშების წარდგენა ხდება ყოველ ხუთ წელიწადში ერთხელ. ჩარჩო-კონვენციის შესრულებას ზედამხედველობას უწევს მინისტრთა კომიტეტი და 18 დამოუკიდებელი ექსპერტისაგან შემდგარი საკონსულტაციო კომიტეტი. კომიტეტის ფუნქციაში შედის წევრ-სახელმწიფოთა ანგარიშების განიხილვა და სახელმწიფოთა ნაკისრ ვალდებულებათა შესრულების მდგომარეობის განსაზღვრა. საკონსულტაციო კომიტეტი თავის დასკვნებს გადასცემს მინისტრთა კომიტეტს, რომელიც თავის მხრივ, კონვენციის მონაწილე სახელმწიფოებს ატყობინებს თავის

⁴⁸ . კომიტეტის წევრების რაოდენობა განისაზღვრება ქარტიის მონაწილე სახელმწიფოთა რაოდენობით.

დასკვნებს და რეკომენდაციებს.⁴⁹ არასამთავრობო ორგანიზაციებსა და უმცირესობათა ასოციაციებს გააჩნიათ უფლება წარმოადგინონ ინფორმაცია და ან თავიანთი ანგარიში.

1993 წელს სამიტზე დაარსდა რასიზმისა და შეუწყნარებლობის საწინააღმდეგო ევროპული კომისია (ECRI). კომისია დამოუკიდებელი ორგანიზაციაა, რომლის ძირითადი ამოცანაა ევროპის საბჭოს წევრ-სახელმწიფოებში აღმოფხვრას ქსენოფობია, რასიზმი, ანტისემიტიზმი, შეუწყნარებლობა. კომისიის საქმიანობა მოიცავს ადამიანის ან ადამიანთა ჯგუფების მიმართ რასის, კანის ფერის, ენის, რელიგიის, ეროვნების და ეროვნული თუ ეთნიკური წარმომავლობის გამო ძალადობის და დისკრიმინაციასთან ბრძოლისათვის საჭირო ზომებს. კომისიას შემუშავებული აქვს სამოქმედო პროგრამა, რომელიც რამოდენიმე ასპექტს მოიცავს:

- მიდგომა თითოეული ქვეყნის მიმართ (კომისია შეისწავლის მდგომარეობას, აკეთებს ანალიზს და ამზადებს ანგარიშებს);
- მუშაობა ზოგად საკითხებზე (შემუშავებს რეკომენდაციებს);
- ურთიერთობა სამოქალაქო საზოგადოებასთან (საზოგადოების აქტიური ჩართვა რასიზმისა და შეუწყნარებლობის წინააღმდეგ).

საქმე №1

1. 2004 წლის 14 თებერვალს ღამის 3 საათსა და 50 წუთზე, ეშიშროებისა და რაიონის პოლიციის განყოფილების ოფიცრები სპეც. დანიშნულების რაზმთან ერთად მივიდნენ უცხოელი მოქალაქე „ელ“-ის სახლში და უკანონოდ ნაატარეს ჩხრეკა. (შესაბამისი საბუთები არ ქონდათ). სამართალდამცავებმა ბინაში იპოვეს რამდენიმე მოკლელუღიანი ავტომატი და ასაფეთქებელი ნივთიერება. „ელ“-ი ირწმუნებოდა, რომ ეს იარაღი და

⁴⁹ ევრო საბჭოსა და ევროკომისიის ერთობლივი პროგრამების ფარგლებში, ევროპის საბჭო აყალიბებს კონკრეტულ ეროვნულ ღონისძიებებს სომხეთისათვის, აზერბაიჯანისათვის, საქართველოსა და უკრაინისთვის.

ასაფეთქებელი ნივთიერებები მისი არ იყო. იმის გამო, რომ მას ოჯახში ჰყავდა მოხუცი დედა, ახალგაზრდა მეუღლე და არასრულწლოვანი შვილი, იგი მსგავსი ნივთების სახლში შენახვას ვერ შესძლებდა. ამასთან, „ელ“-ს სახლი ნაქირავები ჰქონდა.

„ელ“-ის ოჯახის წევრები დაჟინებით აცხადებდნენ, რომ აღნიშნული ნივთები თავად პოლიციის თანამშრომლებმა შეიტანეს სახლში და განალაგეს სხვადასხვა ოთახებში. პოლიციელებმა და უშიშროების თანამშრომლებმა „ელ“-ს ტერორისტი უწოდეს, სცემეს, ძალის გამოყენებით ჩასვეს მანქანაში და წაიყვანეს პოლიციის განყოფილებაში.

დაკითხვის დროს „ელ“-ს პოლიციის ოფიცრები სცემდნენ. მისგან მოითხოვდნენ ელიარებინა, რომ ის იყო ერთ-ერთი ტერორისტული დაჯგუფის წევრი. რადგანაც მან არ აღიარა დანაშაული პოლიციელებმა უშიშროების სამსახურის ოფიცრის თანდასწრებით აწამეს სპეციალური ელექტრული მოწყობილობით, შედეგ დაადეს ხელბორკილები და შეაგდეს ციხე-ნესტიან საკანში.

„ელ“-ი ასეთ მდგომარეობაში იმყოფებოდა 3 დღე. ყოველ დღე სცემდნენ და აწამებდნენ, სთხოვდნენ დანაშაულის აღიარებას.

ამ პერიოდის განმავლობაში სანახავად მოსულ ახლობლებს მასთან არ უშვებდნენ, ოფიციალური ბრალი არ წაუყენეს. ხოლო ადვოკატს მხოლოდ მესამე დღეს მისცეს მასთან შეხვედრის უფლება.

ადვოკატმა „ელ“-ის ნახვის შემდეგ განაცხადა, რომ „ელ“-ს ჰქონდა მრავალი ნაკაწრი სხეულზე, სისხლჩაქცევები, ცხვირიდან მოსდიოდა სისხლი, თითებზე აღინიშნებოდა შავი ფერის სისხლჩაქცევები.

3. ადვოკატი აღნიშნავდა, რომ მისი დაჟინებული მოთხოვნის საფუძველზე მას მხოლოდ უჩვენეს მოსამართლის სანქცია „ელ“-ის დაკავების შესახებ, რომელიც დათარიღებული იყო 2004 წლის 15 თებერვლით და გაცემული იყო 18.00 საათსა და 30 წუთზე.

მხოლოდ ადვოკატის დაქინებული მოთხოვნით მოხდა „ელ“-
ოვის სამედიცინო დახმარების აღმოსენა და მისი საავადმყოფოში
გადაყვანა.

ადვოკატისა და ახლობლების მოთხოვნით „ელ“-ი შეამოწმა
დამოუკიდებელმა ექსპერტმა, რომელმაც დაადასტურა სხეულის
სხვადასხვა ადგილზე მოტეხილობები, ტვინის შერყევა და სხვა
მძიმე დაზიანებები.

ადვოკატმა შეიტანა განცხადება პროკურატურაში „ელ“-ის
წამების ფაქტთან დაკავშირებით, რასაც არაერთარი რეაგირება
არ მოჰყვა.

4. ადვოკატი, როგორც მედიისათვის მიცემულ ინტერვიუებში
აღნიშნავდა გამოიკვეთა, რომ “ხელისუფლების მხრიდან არ
ჩანდა საქმის სწორად წარმართვის სურვილი, რასაც შედეგად
მოჰყვა “ელ“-ის მიმართ დაკავების ვადის რამდენჯერმე
გაგრძელება და ერთი წლით გაჭიანურება”; “გამოძიებამ არ
გაითვალისწინა ის გარემოება, რომ “ელ“-ი უცხოეთის მოქალაქე
იყო. დღემდე გაურკვეველია, თუ რაში სდებდნენ მას ბრალს”;
“როგორც სწავს ხელისუფლების მიზანი არ ყოფილა „ელ“-ის
წარდგენა „უფლებამოსილი სასამართლოს წინაშე და აქედან
გამომდინარე, არც მისი დაკავების გონივრული ეჭვი არსებობდა“.

2005 წლის 23 ივნისს, “ელ“-ს წაუყენეს ბრალდება იარაღის
უკანონო შენახვისთვის.

2005 წლის 22 აგვისტოს, პირველი ინსტანციის სასამართლომ
„ელ“-ი აღიარა დამნაშავედ იარაღის უკანონო შენახვის
ბრალდებით. ბრალდება უცვლელი დარჩა საქმის სააპელაციო და
საკასაციო წესით წარმოების დროსაც..

„ელ“-ის ადვოკატმა, საბოლოო გადაწყვეტილების გამოტანის
შემდეგ ანუ 2005 წლის 24 დეკემბერს, სარჩელით მიმართა
აღამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს სტრასბურგში.

დავალება:

- ჯგუფი I. შეადგინეთ სარჩელი ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში წარსადგენად ევროპული კონვენციის მუხლებზე დაყრდნობით. (ბოლოში დართულა ცხრილის მიხედვით)
- ჯგუფი II. მოამზადეთ სახელმწიფოს პასუხი ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში წარდგენილ სარჩელზე.

დამატებითი ინფორმაცია:

ტერმინები: “დაკავება” და “დაპატიმრება” ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მიხედვით ევროკონვენციის მე -5 მუხლის თანახმად, ურთიერთშენაცვლებადი ცნებებია მე-5 მუხლით, განსაზღვრული გარანტია ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთაზე სასამართლოს ზედამხედველობას. რომელიც უნდა განხორციელდეს შეძლებისდაგვარად სწრაფად მას შემდეგ, რაც აღილი ექნება “პირის” თავისუფლების აღკვეთას. ამ საკითხისადმი სხვა მიდგომა გამოიწვევს კონვენციის მოთხოვნათა დარღვევას.

თავისუფლების აღკვეთისათვის სავალდებულო კრიტერიუმები:

- 1) თავისუფლების აღკვეთის მომენტის განსაზღვრა;
- 2) უნდა შემოწმდეს, როგორც თავსუფლება აღკვეთილი “პირის” მოსამართლესთან თავდაპირველად წარდგენამდე გასული დრო ისე სასამართლო განხილვამდე წინასწარ. პატიმრობის საერთო ხანგრძლივობა, რასაც შეიძლება ჰქონოდა აღილი;
- 3) თავისუფლების შეზღუდვის ხასიათი;
- 4) თავისუფლება აღკვეთილი პირის სტატუსი;
- 5) არ უნდა იქნას გადამეტებული სასამართლო განხილვამდე თავისუფლების აღკვეთის მთლიანი ხანგრძლივობა;
- 6) ეჭმიტანილად აღიარების რეალური საფუძველი.

წინასწარი პატიმრობის დასაბუთება და ვადის გაგრძელება - ევროპული სასამართლოს მიერ შემუშავებული 4 კრიტერიუმი:

- 1) პირის მიმალვის საფროხე;
- 2) მართლმსაჯულების განხორციელებაში ჩარევის საფროხე;
- 3) დანაშაულის აღკვეთის აუცილებლობა;
- 4) სასოგადოებრივი წესრიგის დაცვის აუცილებლობა.

პრევენციული სამართლით განმარტებულია:

„თავისუფლება“ – პირის ფიზიკური თავისუფლება. პირადი თავისუფლება დაპატიმრებისა და დაკავებისაგან თავისუფლება.

„უსაფროხოება“ – დაკავებისა და დაპატიმრების განხორციელებისას ხელისუფლების მხრიდან თვითნებობისაგან დაცვის გარანტია.
საქმე №1.

საქმე №2.
I ნაწილი

1. 1988 წელს ცოლ-ქმარმა ლაბაურებმა მიმართეს რეპროდუქციისა და ხელოვნური განაყოფიერების ცენტრს. იმ მიზნით, რომ in vitro -ს მეთოდით გაეჩინათ შვილი. იმავე წელს ცოლ-ქმარ ლაბაურებს ხელოვნური განაყოფიერების მეშვეობით შეეძინათ გოგონა. სააეადმყოფოდან გამოსვლისას ბავშვის დედ-მამამ მიმართეს სააეადმყოფოს ადმინისტრაციას თხოვნით, საიდუმლოდ შეენახათ პატარა გოგონას დაბადების ფაქტი. გარდა ამისა, სააეადმყოფოში ამგვარი მანიპულაციები სამედიცინო საიდუმლოებად ითვლება და პაციენტების გვარები არ ცხადდება.
2. ცოლ-ქმარმა საიდუმლოს შენახვის მიზნით გამოიცვალეს საცხოვრებელი ადგილი და ქალაქის სხვა რაიონში გადასახლდნენ. 2000 წლის 10 დეკემბერს, ლაბაურებმა ტელევიზიით მოისმინეს განცხადება, რომლიდანაც შეიტყვეს, რომ ქვეყანაში გავრცელებული ეპიდემიის გამო ყველა in vitro -ს წესით განენილი ბავშვს უნდა გაეველო სავალდებულო შემოწმება და ვაქცინაცია რაიონის პოლიკლინიკებში. ასეთი ბავშვები და მათი მშობლები სასწრაფოდ უნდა გამოცხადებულყვნენ რაიონის პოლიკლინიკაში, სადაც უკვე შედგენილი იყო ამ

კატეგორიის ბავშვების სიები. აღნიშნული განცხადება ეფუძნებოდა ჯანდაცვის მინისტრის 2000 წლის 5 დეკემბრის №214 ბრძანებას, რომლითაც მკაცრად იქნა მოთხოვნილი ბრძანების საჯაროდ გამოქვეყნება.

3. ლაბაურებმა ეს ფაქტი აღიქვეს პირად ცხოვრებაში ჩარევად და სამედიცინო საიდუმლოების გათქმად, ამიტომ პოლიკლინიკაში არ გამოცხადნენ. ტელევიზიით გამოცხადებული ინფორმაციიდან 2 კვირის შემდეგ ანუ 2000 წლის 24 დეკემბერს ჯანდაცვის სამინისტრომ იმ სკოლის დირექტორს, რომელშიც ნატო ლაბაურს სწავლობდა, გაუგზავნა წერილი, რომელშიც მითითებული იყო, რომ ნატო ლაბაური, როგორც ხელოვნური განაყოფიერების მეშვეობით გაჩენილი ბავშვი, ექვემდებარება სასწრაფო შემოწმებას და ვაკცინაციას. წერილში არ იყო მითითებული, რომ მასში გადმოცემული ინფორმაცია საიდუმლოებას წარმოადგენდა. დირექტორმა წერილის მიღებიდან მეორე დღეს ანუ 25 დეკემბერს ნატოს კლასში საერთო კრებაზე წაიკითხა წერილი. რომელიც ჯანდაცვის სამინისტროდან იყო მიღებული. 2000 წლის 26 დეკემბერიდან ანუ მეორე დღესვე, ბავშვი დაცინვის ობიექტი გახდა და მალე სკოლაში სიარული შეწყვიტა. ამის ნიადაგზე 26 დეკემბერიდან, მძიმე ფორმის დეპრესია განუვითარდა რაც იმაში გამოიხატებოდა, რომ ის გამუდმებით ტიროდა, დაეკარგა მადა და აღარ იღებდა საკვებს, გარდა ამისა, აღარ გამოდიოდა თავისი ოთახიდან და დაეწყო შიშები. ნატო შეეცადა თავის მოკვლას ძლიერმომქმედი სხვადასხვა სახის პრეპარატების დიდი ოდენობის მიღებით და მისი მდგომარეობა იმდენად გართულდა, რომ მითითებულ სამედიცინო ჩარევას და ფსიქიატრიულ საავადმყოფოში მოთავსებას. მას განუვითარდა მძიმე ფსიქიკური დაავადება - რაც სისტემატიურ სამედიცინო დაკვირვების ქვეშ ყოფნას მოითხოვდა. ეს ყოველივე აისახა ექიმების დიაგნოზში.

II ნაწილი

4. 2002 წლის 4 იანვარს კოლ-ქმარმა ლაბაურებმა საჩივრით მიმართეს რაიონის გამომძიებელს სადაც ითხოვედნენ, რომ

აღძრულებით სისხლის სამართლის საქმე ჯანდაცვის სამინისტროსა და სკოლის დირექტორის წინააღმდეგ იმ მოტივით, რომ დაირღვა მათი კონსტიტუციური უფლება - პირადი ცხოვრების უფლება(კონსტიტუციის მე-20 მუხლი) და ოფიციალურ ნაწარმებში მათი ჯანმრთელობის შესახებ ინფორმაციის ხელშეუხებლობა (კონსტიტუციის 41-ე მუხლის II ნაწილი).

5. ღაბაურებმა თავის განცხადებაში აღნიშნეს, რომ ჯანდაცვის სამინისტროს და სკოლის დირექტორის მიერ ჩადენილი ქმედებები ეკუთვნოდა სისხლის სამართლის კოდექსის 157-ე მუხლის “პირადი ან ოჯახური საიდუმლოს ხელყოფა” II და III ნაწილს “გ” და “დ” პუნქტებს, რაც გამოიხატება იმაში, რომ “პირადი ან ოჯახური საიდუმლოს უკანონო გამოყენება ანდა გავრცელება ამა თუ იმ ხერხით გავრცელებულ ნაწარმოებში, მასობრივი მაუწყებლობით, ან სხვა საჯარო გამოსვლისას” (II ნაწილი); ამავე მუხლით გათვალისწინებული ქმედება: “გ) იმის მიერ ვისაც სამსახურებრივი მდგომარეობის პროფესიული საქმიანობის ან სხვა გარემოების გამო ევალებოდა ამ საიდუმლოების დაცვა; დ) რამაც მნიშვნელოვანი ‘ხიანი გამოიწვია’”. გარდა ამისა, ღაბაურებმა განცხადებაში მიუთითეს, რომ მათთვის გაურკვეველი იყო, თუ რა მიზნით ითხოვდა ჯანდაცვის სამინისტრო *in vitro* -ს წესით გაჩენილ ბავშვთა სავალდებულო ეაკქინიზაციას: მათი ჯანმრთელობის დაცვის მიზნით თუ ისინი თვით წარმოადგენდნენ ეპიდემიის წყაროს?

6. პარალელურად ღაბაურებმა მიმართეს სახალხო დამცველს განცხადებით, რომ მას კონკრეტულ საკითხთან დაკავშირებით მოეხდინა სათანადო რეაგირება.

7. 2002 წლის 7 თებერვალს გამომძიებელმა არ დააკმაყოფილა ცოლ-ქმარი ღაბაურების საჩივარი და გამოიტანა დადგენილება სისხლის სამართლის საქმის აღძურაზე უარის თქმის შესახებ იმ მოტივით, რომ ჯანდაცვის სამინისტროს, ასევე სკოლის დირექტორის ქმედებაში არ იყო კანონსაწინააღმდეგო ქმედება (საქ.

ს.ს.პ.კ მუხლი 28-ე მუხლის 1 პუნქტის-ს “ბ“-ე ქვეპუნქტის სისხლის სამართლის საქმე არ შეიძლება აღიძრას, ხოლო აღძრული უნდა შეწყდეს, თუ: ბ) ქმედებაში არ არის დანაშაულის შემადგენლობა ან მართლსაწინააღმდეგო ქმედება ჩადენილია ბრალის გარეშე”).

8. 2002 წლის 17 თებერვალს ცოლ-ქმარმა ლაბაურებმა გაასაჩივრეს გამოძიებლის მიერ მიღებული დადგენილება რაიონის პროკურორთან, რომელმაც 2002 წლის 23 თებერვალს, ასევე არ დააკმაყოფილა ლაბაურების საჩივარი და კანონიერად სჯნო გამოძიებლის დადგენილება იმ საფუძველზე, რომ ჯანდაცვის მინისტრისა და სკოლის დირექტორის მოქმედებაში არ იყო დანაშაულის შემადგენლობა.

9. 2002 წლის 6 მარტს, რაიონულ სასამართლოში ლაბაურებმა გაასაჩივრეს რაიონული პროკურორის 2001 წლის 23 თებერვლის დადგენილება სისხლის სამართლის საქმის აღდგენაზე უარის თქმის შესახებ. 2001 წლის 10 მარტს სასამართლომ იმსჯელა ლაბაურების სარჩელზე და გადაწყვიტა: მოქალაქე ლაბაურებს უარი ეთქვას ჯანდაცვის სამინისტროსა და სკოლის დირექტორის მიმართ 157-ე მუხლით სისხლის სამართლის საქმის აღძვრაზე, იმ მოტივით, რომ 1) სკოლის დირექტორმა მიიღო რა წერილი ჯანდაცვის სამინისტროდან ნატო ლაბაურის შესახებ და წერილის შინაარსი გააცხადა საჯაროდ საერთო კრებაზე მოქმედებდა ყოველგვარი ბრალის გარეშე ანუ მას არ ჰქონდა განზრახვა რაიმე ზიანი მიეყენებინა ნატოსათვის და არ შეძლო და ვერ გაითვალისწინებდა დამდგარ შედეგს – ნატოს რეაქციას და მის ფსიქიკურ დაავადებას. აქედან გამომდინარე, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 28-ე მუხლის I ნაწილის “ბ” პუნქტის თანახმად, სკოლის დირექტორის ქმედებაში არ არის დანაშაულის შემადგენლობა და მის მიერ ჩადენილ ქმედება არ არის ბრალეული; 2) რაც შეეხება ჯანდაცვის სამინისტროს წერილში მითითებულ ინფორმაციას ჯანდაცვის სამინისტრო ეფუძნებოდა 1997 წლის 10 დეკემბრის

საქართველოს კანონს ჯანმრთელობის დაცვის შესახებ, რომლის 42-ე მუხლში მითითებულია: “ მედიცინის მუშაკი და სამედიცინო დაწესებულების ყველა თანამშრომელი ვალდებულია დაიცვას სამედიცინო (საექიმო) საიდუმლო გარდა იმ შემთხვევებისა, როცა კონფიდენციალური ინფორმაციის გამჟღავნებას მოითხოვს გარდაცვლილის ნათესავი, ან კანონიერი წარმომადგენელი, სასამართლო, საგამოძიებო ორგანო ან ეს აუცილებელია საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, სხვათა უფლებებისა და თავისუფლებების დასაცავად”. აქედან გამომდინარე, სასამართლომ უარი უთხრა ლაბაურებს სისხლის სამართლის საქმის არპერაზე.

10. ლაბაურებმა 2002 წლის 18 მარტს, მოსამართლის მიერ მიღებული დადგენილება გაასაჩივრეს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საკასაციო პალატაში, რომელმაც 2002 წლის 25 მარტს ძალაში დატოვა რაიონული სასამართლოს დადგენილება იმავე მოტივით.
11. ლაბაურებმა სარჩელი წარადგინეს ევროპის სასამართლოში მე-8 მუხლის დარღვევით.

III ნაწილი

საქმის გადასაწყვეტად საჭირო საკანონმდებლო მასალა:

საქართველოს კონსტიტუცია;

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი;

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი;

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი;

საქართველოს კანონი ჯანმრთელობის დაცვის შესახებ.

საქართველოს კანონი პაციენტის უფლებების შესახებ

საქართველოს კონსტიტუციის მე-20 მუხლი:

1.ყოველი ადამიანის პირადი ცხოვრება, პირადი საქმიანობის ადგილი, პირადი წანაწერი, მიმოწერა, საუბარი სატელეფონო და სხვა სახის ტექნიკური საშუალებებით, აგრეთვე, ტექნიკური საშუალებებით მიღებული შეტყობინებები ხელშეუხლებელია. ღნიშნული უფლებების შეზღუდვა დაიშვება სასამართლოს

გადაწყვეტილებით ან მის გარეშე(კანონით გათვალისწინებული გადაუდებელი აუცილებლობისას).

2. არაეის არა აქვს უფლება შევიდეს საცხოვრებელ ბინაში და სხვა მფლობელობაში მფლობელ პირთა ნებართვის საწინააღმდეგოდ. აგრეთვე, ჩაატაროს ჩხრეკა, თუ არ არის სასამართლოს გადაწყვეტილება ან კანონით გათვალისწინებული გადაუდებელი აუცილებლობა“.

საქართველოს კონსტიტუციის 41-ე მუხლი:

1. საქართველოს ყოველ მოქალაქეს უფლება აქვს კანონით დადგენილი წესით გაეცნოს სახელმწიფო დაწესებულებებში მასზე არსებულ ინფორმაციას. აგრეთვე, იქ არსებულ ოფიციალურ დოკუმენტებს, თუ ისინი არ შეიცავენ სახელმწიფო, პროფესიულ ან კომერციულ საიდუმლოებას.
2. ოფიციალურ ჩანაწერებში არსებული ინფორმაცია, რომელიც დაკავშირებულია ადამიანის ჯანმრთელობასთან მის ფინანსებთან ან სხვა კერძო საკითხებთან არაეისთვის არ უნდა იყოს ხელმისაწვდომი თვით ამ ადამიანის თანხმობის გარეშე, გარდა კანონით დადგენილი შემთხვევებისა, როდესაც ეს აუცილებელია სახელმწიფო უშიშროების ან სასოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, ჯანმრთელობის, სხვათა უფლებებისა და თავისუფლებების დასაცავად.

საქართველოს კანონი ჯანმრთელობის დაცვის შესახებ - მე-3 მუხლის „ჩ“ პუნქტი:

საქართველოს (საექიმო) საიდუმლო - ექიმის და სხვა სამედიცინო პერსონალის მიერ პროფესიული საქმიანობის პროცესში პაციენტის ფიზიკური, ფსიქიკური მდგომარეობის, მისი სასოგადოებრივი ან სამსახურებრივი საქმიანობის, ოჯახური ან პირადი ცხოვრების შესახებ მიღებული ინფორმაცია, რომელიც მოიცავს ექიმისათვის მიმართვის ფაქტებს, აგრეთვე, სიკვდილის გარემოებებსაც კონფიდენციალურია.

საქართველოს კანონი ჯანმრთელობის დაცვის შესახებ - 42-ე მუხლი: მედიცინის მუშაკი და სამედიცინო დაწესებულების ყველა თანამშრომელი ვალდებულია დაიცვას სამედიცინო (საექიმო) საიდუმლო, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა

კონფიდენციალური ინფორმაციის გამჟღავნებას მოითხოვს გარდაცვლილი ნათესავი ან კანონიერი წარმომადგენელი, სასამართლო, საგამომცემო ორგანოები, ან ეს აუცილებელია საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, სხვათა უფლებებისა და თავისუფლებების დასაცავად.

საქართველოს კანონი პაციენტის უფლებების შესახებ - 27-ე მუხლი.

სამედიცინო მომსახურების გამწვევი ვალდებულია პაციენტის შესახებ მის ხელთ არსებული ინფორმაციის კონფიდენციალობა დაიცავას, როგორც პაციენტის სიცოცხლეში, ისე მისი სიკვდილის შემდეგ.

საქართველოს კანონი პაციენტის უფლებების შესახებ - 28-ე მუხლი.

1.სამედიცინო მომსახურების გამწვევის მიერ კონფიდენციალური ინფორმაციის გამჟღავნება დასაშვებია, თუ:

- ა) მიღებულია პაციენტის თანხმობა;
- ბ) ინფორმაციის გაუმჟღავნებლობა საფრთხეს უქმნის მესამე პირის (რომლის ენაობაც (კნობილია) სიცოცხლეს ან/და ჯანმრთელობას;
- გ) სასწავლო ან სამედიცინო მიზნით პაციენტის შესახებ ინფორმაციის გამოყენებისას მონაცემები ისეა წარმოდგენილი, რომ შეუძლებელია პირთა ცნობის იდენტიფიკაცია;
- დ) ამას ითვალისწინებს საქართველოს კანონმდებლობა.

2. სამედიცინო მომსახურების გამწვევის მიერ სამედიცინო მომსახურებაში მონაწილე სხვა პირებისათვის პაციენტის ჯანმრთელობის მდგომარეობასთან დაკავშირებული კონფიდენციალური ინფორმაციის გამჟღავნებაზე პაციენტის თანხმობა ნაგულისხმევად შეიძლება ჩაითვალოს.

საქართველოს კანონი პაციენტის უფლებების შესახებ - 29-ე მუხლი.

პაციენტის ოჯახურ და პირად ცხოვრებაში სამედიცინო მომსახურების გამწვევის ჩარევა აკრძალულია, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა:

- ა) ნარევა აუცილებელია პაციენტის დაავადების დიაგნოსტიკის, მისი მკურნალობისა და მოვლისათვის. ამ შემთხვევებში პაციენტის თანხმობა აუცილებელი პირობაა;
- ბ) საფრთხე ექმნება პაციენტის ოჯახის წევრობა განმრთვლობას ან/და სიცოცხლეს.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 157-ე მუხლი:

„პირადი ან ოჯახური საიდუმლოს ხელყოფა“.

“1. პირადი ან ოჯახური საიდუმლოს უკანონოდ მოპოვება, შენახვა ან გავრცელება,-

ისჯება ჯარიმით ანდა გამასწორებელი სამუშაოთი ვადით ერთ წლამდე ანდა თავისუფლების აღკვეთით იმავე ვადით.

2. პირადი ან ოჯახური საიდუმლოს უკანონოდ გამოყენება, ამა თუ იმ ხერხით წარმოებაში, მასობრივი მაუწყებლობით ან სხვა საჯარო გამოსვლებით გავრცელება.

ისჯება ჯარიმით ან გამასწორებელი სამუშაოებით ვადით ორ წლამდე ან თავისუფლების აღკვეთით იმავე ვადით.

3. ამ მუხლის პირველი ან მე-2 ნაწილით გათვალისწინებულია ქმედება:

ა) ანგარებით;

ბ) არაერთგზის;

გ) იმის მიერ ვისაც სამსახურებრივი მდგომარეობის, პროფესიული საქმიანობის ან სხვა გარემოების გამო ევალებოდა ამ საიდუმლოს დაცვა;

დ) რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია;

ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების შეზღუდვით ვადით სამ წლამდე ან ტუსალობით ვადით სამ თვემდე ანდა თავისუფლების აღკვეთით ვადით სამ წლამდე, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ვადით სამ წლამდე ან უამისოდ”.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 28-ე მუხლის “ბ” პუნქტი:

“სისხლის სამართლის საქმე არ შეიძლება აღიძრას, ხოლო აღიძრული უნდა შეწყდეს, თუ:

ბ) ქმედებაში არ არის დანაშაულის შემადგენლობა ან მართლსაწინააღმდეგო ქმედება ჩადენილია ბრალის გარეშე”.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 242-ე მუხლის „ბ“ პუნქტი - „მომკვლევის, მოკვლევის ორგანოს, გამომძიებლისა და პროკურორის მოქმედებისა და გადაწყვეტილების გასაჩივრება სასამართლოში“.

სამ კოდექსით დადგენილი წესით სასამართლოში შეიძლება გასაჩივრდეს მომკვლევის, მომკვლევის ორგანოს, გამომძიებლისა და პროკურორის მოქმედება და გადაწყვეტილება, რომლებიც მომჩივნის აზრით უკანონო ან დაუსაბუთებელია, კერძოდ:

ბ) სისხლის სამართლის საქმის აღძვრაზე უარის თქმის შესახებ მოკვლევის ორგანოს, გამომძიებლის ან პროკურორის დადგენილება (269-ე მუხლი).

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 269-ე მუხლი – სისხლის სამართლის საქმის აღძვრის ან სისხლის სამართლის საქმის აღძვრაზე უარის თქმის შესახებ დადგენილების გასაჩივრება

„დადგენილება სისხლის სამართლის საქმის აღძვრის შესახებ დადგენილების ასლის მიღებიდან 10 დღის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს პროკურორთან. ხოლო დადგენილება სისხლის სამართლის საქმის აღძვრაზე უარის თქმის შესახებ იმავე ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს პროკურორთან ან სასამართლოში დაინტერესებული პირის მიერ“.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 27' მუხლი;
„პერსონალური მონაცემების პირად საიდუმლოებად მიჩნევის საკითხს გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა, წყვეტს პირი რომლის შესახებაც არსებობს ეს ინფორმაცია“.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 43-ე მუხლი.
პერსონალური მონაცემების დამუშავების წესი;

საჯარო დაწესებულება ვალდებულია:

- ა) შეაგროვოს, დაამუშაოს და შეინახოს მხოლოდ ის მონაცემები, რომელთა შეგროვების უფლებას მას პირდაპირ ან უშუალოდ ანიჭებს კანონი და რომლებიც

აუცილებელია ამ საჯარო დაწესებულების მიერ საკუთარ უფლებამოსილებათა განსახორციელებლად;

ბ) არ დაუშვას საჯარო დაწესებულების მიერ ისეთი სახის პერსონალური მონაცემების შეგროვება, დამუშავება, შენახვა ან გაცემა, რომელიც დაკავშირებულია პირის რელიგიურ, სექსუალურ ან ეთიკურ კუთვნილებასთან, პოლიტიკურ ან მსოფმხედველურ შეხედულებასთან;

თ) დაუყოვნებლივ აცნობოს შესაბამის პირს მის უკანასკნელ ცნობილ მისამართზე მესამე პირის ან საჯარო დაწესებულების მიერ მისი პერსონალური მონაცემების შესახებ, გარდა ამ კოდექსის 28-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა;

ი) პერსონალური მონაცემების სხვისთვის გადაცემამდე კიდევ ერთხელ მიიღოს ყველა გონივრული ზომა იმის გადასამოწმებლად არის, თუ არა ისინი ზუსტი, სამესთან კავშირში მყოფი, დროული და სრული;

კ) პერსონალური მონაცემების შეგროვების, დამუშავებისა და შენახვისას აცნობოს შესაბამის პირს პერსონალურ მონაცემთა დამუშავების მიზნები და სამართლებრივი საფუძვლები; სავალდებულოა, თუ არა ნებაყოფლობითი მისთვის პერსონალური მონაცემების მიცემა; პერსონალურ მონაცემთა წყაროები და შემადგენლობა; აგრეთვე, იმ მესამე პირის შესახებ, რომელსაც შეიძლება პერსონალური მონაცემები გადაეცეს.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მუხლი 44-ე. პერსონალური მონაცემების საიდუმლოება.

1. საჯარო დაწესებულება ვალდებულია არ გაახიზაუროს პირად საიდუმლოებას მიკუთვნიებული ინფორმაცია თვით იმ პირის თანხმობისა ან კანონით გათვალისწინებული შემთხვევაში – სასამართლოს დასაბუთებული გადაწყვეტილების გარეშე. (თანამდებობის პირთა აგრეთვე, თანამდებობაზე წარდგენილ კანდიდატთა) პერსონალური მონაცემების გარდა”.

დავალება: შეადგინეთ ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში წარსადგენი განაცხადი და სახელმწიფოს პოზიცია ამ საქმესთან დაკავშირებით.

Voir Note explicative
See Explanatory Note
იხ. განმარტებითი ბარათი

COUR EUROPÉENNE DES DROITS DE L'HOMME
EUROPEAN COURT OF HUMAN RIGHTS
ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო

Conceil de l'Europe - Council of Europe - ევროპის საბჭო
Strasbourg, France - სტრასბურგის საფრანგეთი

REQUÊTE
APPLICATION
საჩივარი

présentée en application de l'article 34 de la Convention européenne des Droits de l'Homme,
ainsi que des articles 45 et 47 du Règlement de la Cour

*under Article 34 of the European Convention on Human Rights
and Rules 45 and 47 of the Rules of Court*

ადასმინის უფლებათა ევროპული კონვენციის 34-ე მუხლისა და სასამართლოს რეგლამენტის
45-ე და 47-ე მუხლების შესაბამისად

IMPORTANT:

La présente requête est un document juridique et peut affecter vos droits et obligations.

This application is a formal legal document and may affect your rights and obligations.

შეწყვეტილია

წარმდგენარე ხარკთან წარმადგენს იუროპული ურდული დოკუმენტი და გავლენა შეიძლება იქონიას
იქნება უფლებებისა და მოვალეობების.

II. EXPOSÉ DES FAITS
STATEMENT OF THE FACTS

ფაქტების გადმოცემა

(Voir chapitre II de la note explicative)
(See part II of the Explanatory Notes)
(სმ. განმარტების ბარათი II ნაწილი)

ჩ.

Si nécessaire, continuer sur une feuille séparée
Continue on a separate sheet if necessary
საჭიროების შემთხვევაში, გააგრძელეთ ცალკე ფურცელზე

III. EXPOSÉ DE LA OU DES VIOLATION(S) DE LA CONVENTION ET / OU DES PROTOCOLES ALLÉGUÉE(S), AINSI QUE DES ARGUMENTS À L'APPUI

STATEMENT OF ALLEGED VIOLATION(S) OF THE CONVENTION AND / OR PROTOCOLS AND OF RELEVANT ARGUMENTS

კონვენციის და/ან მისი დამატებითი ოქმების ნაწილზე დაარღვევა (დარღვევები) და უნებაშია არგუმენტების გადახილვა

(Voir chapitre III de la note explicative)

(See Part III of the Explanatory Note)

(ხედავით განმარტების ნაწილს III ნუსა)

II.

V. EXPOSÉ DE L'OBJET DE LA REQUÊTE ET PRÉTENTIONS PROVISOIRES POUR UNE SATISFACTION ÉQUITABLE
STATEMENT OF THE OBJECT OF THE APPLICATION AND PROVISIONAL CLAIMS FOR JUST SATISFACTION

Դան հայտնի ենթադրումը բողոքելու և Դան բողոքելու այս ժամանակ համարվում են քննարկվող գործընթացի նկատ

(Voir chapitre V de la note explicative)
Մտ. Բաժ. V of the Explanatory Note
ԵՊ գործընթացի նկատ V-ում

B.

VI. AUTRES INSTANCES INTERNATIONALES TRAITANT OU AYANT TRAITÉ L'AFFAIRE
STATEMENT CONCERNING OTHER INTERNATIONAL PROCEEDINGS

Նկատ հարաբերակցություն ենթակայության հարցը դառնալու և/կամ դառնալու ժամանակահատվածում

(Voir chapitre VI de la explicative)
Մտ. Բաժ. VI of the Explanatory Note
ԵՊ գործընթացի նկատ VI-ում

20. Avez-vous soumis à une autre instance internationale d'enquête ou de règlement les griefs énoncés dans la présente requête? Si oui, fournir des indications détaillées à ce sujet.

Have you submitted the above complaints to any other procedure of international investigation or settlement? If so, give full details

Մտ. հարցումում այս պահանջարկը ներառելու համարվում են միջազգային մեղադրանքի և/կամ մեղադրանքի նկատ հարաբերակցություն ենթակայության ժամանակահատվածում և/կամ դառնալու ժամանակահատվածում հարցը և/կամ մեղադրանքը և/կամ մեղադրանքը

**VIII. DÉCLARATION ET SIGNATURE
DECLARATION AND SIGNATURE**

იღიქმს და ხელმოწერს

*(Voir chapitre VIII de la note explicative)
(See Part VIII of the Explanatory Notes
(სმ. ექვანდეტეზო ბარობი VIII თეო))*

Je déclare en toute conscience et loyauté que les renseignements qui figurent sur la présente formule de requête sont exacts.

I hereby declare that, to the best of my knowledge and belief, the information I have given in the present application form is correct.

შეხადამსადა მთელს ხუზს ცოცხლობა და რწმუნობა, ამით ვადაცხუენებ, რაო წინამდებარე სარეკრბა ფორმისა მოწოდებულა იქველა ცხობის რაბედავლია.

Lieu / Place / ადგილი

Date / Date / თარიღი

**(Signature du / de la requérant(e) ou du / de la représentante)
(Signature of the applicant or of the representative)
(მომხიერის ან მისი წარმომადგენლის ხელმოწერა)**

ცოდნის შემოწმება: 1) შეაესეთ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განაცხადის ფორმა.
2) რა პროცედურები არსებობს განაცხადის ევროპულ სასამართლოში მიღებასთან დაკავშირებით?
3) ჩამოთვალეთ მიღების კრიტერიუმები.
განიხილეთ ჰიპოთეტური საქმე და მოამზადეთ სარჩელი ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში წარსადგენად.

სასწავლო-მეთოდოკა: 1) აღნიშნული თემის შესწავლისას რეკომენდირებულია ჰიპოტეტური საქმეების გათამაშება. ევროპული სასამართლოში საქმის განხილვის მიდევლირება. ლექტორის ხელმძღვანელობით. სტუდენტები ადგენენ სასამართლოში განხილული კონკრეტული საქმის სკენარს ან იგონებენ ჰიპოთეტურ საქმს. ლექტორს შეუძლია სტუდენტების გაყოფა სამ ჯგუფად: I ჯგუფი-ევროპულ სასამართლოში განმცხადებელი და მისი ადვოკატები; II ჯგუფი-სახელმწიფოს წარმომადგენლები; III ჯგუფი-ევროპული სასამართლოს მოსამართლეები.

2) ევროპული კონვენციისა და ევროპული სასამართლოს პროცედურების შესწავლისას რეკომენდირებულია ლექტორმა დააეალოს სტუდენტებს სემინარებისათვის მოამზადონ კონკრეტული საქმეები და განიხილონ ისინი (სტუდენტის ინდივიდუალური მუშაობა შეადგენს 40%). ამავე თემებზე სტუდენტს შეუძლიათ მოამზადოს რეფერატი ან საკონფერენციო თემა.

3) დისკუსია თემაზე: “ევროპული კონვენციის დებულებათა იმპლემენტაცია საქართველოს კანონმდებლობაში.”

4) კურსის სწავლება სტუდენტებს მისცემს საშუალებას დაეუფლონ ადამიანის უფლებათა სფეროში მთავარ ტერმინოლოგიას, რისთვისაც მისანშეწონილად ითვლება ერთი საათი დაეთმოს სპეციალური ტერმინების გაცნობას და შესწავლას, რაც თავისთავად ხელს შეუწყობს სტუდენტის ლექსიკონებთან, ცნობარებთან და ენციკლოპედიებთან მუშაობის ჩვევების გამომუშავებას.

ბამოყენებული ლიტერატურა:

- ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო. რჩეული გადაწყვეტილებები. ტ.1 გვ. თბილისი 2001წ. ლ.ბოძაშვილის რედაქტორობით. გვ. 296. (88).
- ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო და თექვნი ფენდამენტური უფლებები. მ. კობახიძისა და ვ.მკერვალიშვილის რედაქტორობით. თბილისი 2005 წ. გვ. 34-76.62-71;82-97.
- ავ.დემეტრაშვილი, მ.კვაჭაძე, კ.კებლაშვილი, დ.ლოსაბერიძე, ზ.რუხაძე, ვ.ხმალაძე, ზ.ჯიბლაშვილი. კონსტიტუციური სამართალი. თბილისი 2005 წ. 81-96.
- კ.კორკელია. ირ.ქურდაძე. ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალი ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მიხედვით. თბილისი 2004 წ.გვ. 102-134.; 134-193; 158.
- კორკელია კ. ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის გამოყენება საქართველოში. თბილისი 2004. გვ. 16-40.
- კორკელია კ. ადამიანის უფლებათა ევროპის კონვენციის განმარტების პრინციპები, (ქართულ და ინგლისურ ენებზე), "ქართული სამართლის მიმოხილვა", 5, №4, 2002 წელი; ლ. ფაფიაშვილი. ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლო. თბილისი 2001 წ. გვ. 8-13;
- ბოძაშვილი. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები. თბილისი 1998 წ. საქმეები: კლაასი და სხვები გვრ წინააღმდეგ; კოკინაქისი საბერძნეთის წინააღმდეგ. საქმეები: სიორინგი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ; მარქსი ბელგიის წინააღმდეგ; ლუი'სიდუ თურქეთის წინააღმდეგ და სხვ.
- ვ. ბერიძე. ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია, თბილისი. ევროპის საბჭო. თბილისი. 2004.
- გ. დომენი. ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია. თბილისი. 1996 წ. ბიურგენტალი. ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალი. აღმა-ატა. 1999 წ. გვ. 106-229.
- მიქაბერიძე ა. ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლო, თბილისი, 2000 წელი. უფლებათა დაცვის რენე კასენის ინსტიტუტის მასალათა კრებული.2004წ. გვ.320-340.
- ლ.ფაფიაშვილი. როგორ მივემართოთ ადამიანის უფლებათა

დაკვის ევროპულ სასამართლოს. თბილისი 1999წ. გვ. 26-33.
37-40.

- Т. Бюргенталь. Международное право прав человека. А-А. 1999г. ст. 26-32.100-101
- Д. Гомьен, Д. Харрис, Л. Зваак. Европейская Конвенция о правах человека и Европейская Социальная Хартия. М., 1998г. ст. 27-37;
• 31-71.
- А. М. Эрдслевский. Обращение в Европейск Суд. М. 1999.
- Решение европейского суда по правам человека. Будапешт. 1998 г. В.А.Туманов. Европейский Суд по правам человека. М. 2001. ст. 246-260. Hurris D.J., O'Boyle M., Warbrick C., Law of the European Convention on Human Rights. Butterworths, London,
- Gillbert Guillume. Dictionnaire de droit international public. Bruxelles 2001.
- Dublin, Edinburgh 1995).pp.443-516; 516-570.
- Committee of Ministers-Texts adopted 1989-1999/Strasbourg 2000
- A decade which made history-The Council of Europe 1989-1999 1999
- Hurris D.J., O'Boyle M., Warbrick C., Law of the European Convention on Human Rights. Butterworths, London, Dublin, Edinburgh 1995).pp.443-516; 516-570.
- R.Hanski, M.Siksi. An Introduction to the International Protection of Human Rights. A textbook.Institute of Human Rights. 1999.
- Bloed,Arie. The conference on Security and Co-operation in Europe: Analysis and Basic Documents. 1972-1993. kleuer acaolemie Publishers. 1993.

ინტერნეტგვერდი

www.coe.int

www.coe.ge

www.echr.coe.int

www.cpt.coe.int

www.coe.int.

§5. ევროპის სოციალური ძარბოა

1961 წლის 18 ოქტომბერს მიღებულ ევროპის სოციალურ ქარტიაში წვერი-სახელმწიფოების მიერ აღიარებული და ნამოყალიბებულა სოციალურ-ეკონომიკური უფლებები და ამ უფლებათა შესრულების სახედამხედველო მექანიზმი. 1988 წელს, მიღებულ იქნა დამატებითი ოქმი. 1992 წელს დამატებითი ოქმის ძალაში შესვლის შემდეგ გაფართოვდა სოციალურ-ეკონომიკურ უფლებათა ნუსხა.

ქარტიაში აღმსწინილი მთელი რიგი ხარვესები ხელს უშლიდა ქარტიის რეალიზაციას, რაც აისახებოდა ქარტიის წვერი-სახელმწიფოების ვალდებულებათა კონტროლის სისტემაზე.

დღეისათვის, ძალაშია შესული და მოქმედებს ქარტიის ორი ვარიანტი: ძველი რედაქცია (1961წ) და ახალი გადასინჯული ვარიანტი (1999წ.). ასეთი მდგომარეობა შენარსენდა ყველა წვერი-სახელმწიფოში ქარტიის ახალი ვარიანტის რატიფიცირებამდე. ქარტიით გარანტირებული უფლებები ატარებენ „ეკოლუციურ“ ხასიათს. ეს უფლებები ზოგადია და აქედან გამომდინარე, შესაძლებელია მათი ინტერპრეტაცია სახელმწიფოთა ეკონომიკური დონის ზრდის გათვალისწინებით. მთავარია დადებითი დინამიკის მიღწევა და არა კონკრეტული მანკენებლების სწრაფი პროგრესი. საუკლდებულო არ არის მაღალი მანკენებლების არსებობა. სახელმწიფომ უნდა შეიმუშაოს და განახორციელოს სამოქმედო პროგრამა რომლის შედეგითც მომავალში დადგება, ხოლო მოსალოდნელი პროგრესი დამოკიდებულია კონკრეტული სახელმწიფოს ეკონომიკურ მდგომარეობაზე. 90-იანი წლების ბოლოს სოციალურ ქარტიას აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებიც შეუერთდა, რომელთა სოციალურ-ეკონომიკური პირობები განსხვავდებოდა ევროპის სხვა ქვეყნების სოციალურ-ეკონომიური პირობებისაგან.

ქარტიით აღიარებული უფლებები:

1 მუხლი: შრომის უფლება.

მე-2 მუხლი: შრომის სამართლიანი პირობების უფლება.

მე-3 მუხლი: შრომის უსაფრთხო და ჯანსაღ პირობებით სარგებლობის უფლება.

მე-4 მუხლი: სამართლიანი ანაზღაურების უფლება.

- მე-5 მუხლი: გაერთიანების უფლება.
- მე-6 მუხლი: კოლექტიური შეთანხმების უფლება.
- მე-7 მუხლი: ბავშვისა და ახალგაზრდის დაცვის უფლება.
- მე-8 მუხლი: მუშა-მოსამსახურე ქალების უფლებების დაცვა.
- მე-9 მუხლი: პროფესიული ორიენტაციის უფლება.
- მე-10 მუხლი: პროფესიული წვრთნის უფლება.
- მე-11 მუხლი: ჯანმრთელობის დაცვის უფლება.
- მე-12 მუხლი: სოციალური უზრუნველყოფის უფლება.
- მე-13 მუხლი: სოციალური და სამედიცინო დახმარების უფლება.
- მე-14 მუხლი: სოციალური მომსახურებით სარგებლობის უფლება.
- მე-15 მუხლი: ფისიკურად და გონებრივად არასრულფასოვანი პირების პროფესიული წვრთნის რეაბილიტაციისა და სოციალური ადაპტაციის უფლება.
- მე-16 მუხლი: ოჯახის სოციალური, სამართლებრივი და ეკონომიკური დაცვის უფლება.
- მე-17 მუხლი: დედათა და ბავშვთა სოციალური და ეკონომიკური დაცვის უფლება.
- მე-18 მუხლი: ანაზღაურებადი შრომითი საქმიანობის უფლება ხელშეკრულების მონაწილე სხვა მხარის ტერიტორიაზე.
- მე-19 მუხლი: მიგრანტი მუშებისა და მათი ოჯახების დაცვისა და დახმარების უფლება.

აღსანიშნავია, რომ ქარტიაში ჩამოყალიბებული მუხლები არ არის დეტალური ხასიათის. უფლებათა დეტალურ განსაზღვრებას შეიძლება გავეცნოთ „ევროპულ სოციალური ქარტიის დამოუკიდებელ ექსპერტთა კომიტეტის დასკვნებში“, რომელშიც მოცემულია ქარტიის მოთხოვნათა შესაბამისად, წევრ-სახელმწიფოთა მხრიდან გატარებული ღონისძიებების შესრულება.

აღამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია არ შეიცავს სოციალურ და ეკონომიკურ უფლებათა ჩამონათვალს. აქედან გამომდინარე, ევროსაბჭომ შეიმუშავა ახალი დოკუმენტი – ქარტიის ახალი რედაქციის სახით და მასში გააერთიანა აღამიანის სოციალურ-ეკონომიკური უფლებების დამცავი მექანიზმი.

1961 წელს მიღებული ქარტია, ძალაში შევიდა 1965 წელს. 1988 წელს ხელი მოეწერა დამატებით ოქმს, ხოლო 1992 წელს ძალაში შევიდა დამატებითი ოქმი, რომელშიც გასარდა ევროპულ ქარტიაში ჩამოთვლილი უფლებები. დროთა განმავლობაში ქარტიით გარანტირებულ უფლებათა გაზრდასთან ერთად, საჭირო გახდა ქარტიით გათვალისწინებული საკონტროლო მექანიზმების რეალიზაცია და შინაარსის დახვეწა. ამ მიზნით, 1991 წელს, შემუშავებული დამატებითი ოქმით ცვლილებები შევიდა ქარტიაში, ხოლო 1996 წელს, ხელმისაწვრად გაიხსნა ევროპულ სოციალური ქარტიის გადასინჯული ვარიანტი, რომელიც 1999 წელს შევიდა ძალაში.

1999 წელს ძალაში შესული ქარტია შედგება ექვსი ნაწილისა და დანართისაგან.

I ნაწილი განსაზღვრავს ქარტიის მიზნებსა და იმ უფლებათა ჩამონათვალს, რომელიც შემდგომ კონკრეტულად არის განხილული II ნაწილში. ქარტიის პირველი ნაწილი პროგრამული ხასიათისაა და იურიდიულ ვალდებულებებს არ შეიცავს.

II ნაწილი შედგება 31 მუხლისა და ქვეპუნქტისაგან. მუხლებში ჩამოთვლილი უფლებები იურიდიულად სავალდებულო ხასიათისაა და განმარტავს მის შინაარსს წევრი-სახელმწიფოებისათვის.

III ნაწილში განმარტებულია წევრ-სახელმწიფოთა მიერ ვალდებულებათა აღების წესები და ურთიერთდამოკიდებულება.

IV ნაწილი (ძველი რედაქცია) ადგენს ქარტიით გარანტირებულ უფლებათა კონტროლის მექანიზმს.

V ნაწილი განსაზღვრავს კოლექტიური განცხადების განხილვის უფლებამოსილებას, დებულებებს დისკრიმინაციის აკრძალვის შესახებ, საომარი ან საგანგებო მდგომარეობის დროს უფლებათა შეზღუდვის წესებს.

VI ნაწილში განხილულია პროცედურული საკითხები, ქარტიის ძალაში შესვლა, დენონსაცია და სხვ.

ქარტიით გათვალისწინებული უფლებებით სარგებლობს ევროპის ყველა მოქალაქე.

სოციალური ქარტიის ვალდებულების შესრულების თავისებურება.

1966 წელს მიღებული ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტისაგან განსხვავებით, სოციალური ქარტით ნაკისრი ვალდებულებები დაუყოვნებლივ უნდა იქნას შესრულებული სახელმწიფოების მიერ. ამასთანავე, წევრი-სახელმწიფოები ვალდებულნი არიან ქარტით გათვალისწინებული 9 უფლებიდან აღიარონ 2/3 ანუ 6 მაინც. ამ უფლებებს „ძირითად ბირთვის“ უწოდებენ. ეს უფლებებია: თავისუფალი შრომის უფლება (1 მუხლი); გაერთიანების უფლება (მე-5 მუხლი), კოლექტიური შეთანხმების უფლება (მე-6 მუხლი), ბავშვებისა და ახალგაზრდების დაცვის უფლება (მე-7 მუხლი); სოციალური უზრუნველყოფა (მე-12 მუხლი); სოციალური და სამედიცინო დახმარების უფლება (მე-13 მუხლი); ოჯახის სოციალური, სამართლებრივი და ეკონომიკური დაცვის უფლება (მე-16 მუხლი); მიგრანტ მუშათა უფლებები (მე-20 მუხლი). დანარჩენ 16-ს 31-დან ან 63-ს 83-დან სახელმწიფო თვითონ ირჩევს.

სოციალური ქარტიის კონტროლის მექანიზმი. სოციალური ქარტიის კონტროლის ძირითად მექანიზმს წარმოადგენს ევროპული კომიტეტის 13 დამოუკიდებელი ექსპერტი. მათი არჩევა ხდება 6 წლის ვადით, ხელახალი გადარჩევის უფლებით. კომიტეტის ფუნქციებში შედის ქარტიის მონაწილე სახელმწიფოთა მოხსენებების განხილვა და იმის დადგენა შეესაბამება, თუ არა ქარტიის ხელმომწერი სახელმწიფოს კანონმდებლობა და პრაქტიკა ამ დოკუმენტის მოთხოვნებს კოლექტიური განცხადების განხილვის შესახებ, რომელიც შეიცავს ქარტით გარანტირებული უფლებების დარღვევის ფაქტებს.

ქარტია განსაზღვრავს ევროპული კომიტეტის მიზნებსა და ამოცანებს (24-ე მუხლი). ყოველი წევრი-სახელმწიფო ვალდებულია კომიტეტს წარუდგინოს ანგარიში ორწლიანი ინტერვალით ეროვნულ კანონმდებლობაში ქარტიის დებულებათა იმპლემენტაციის შესახებ. აგრეთვე, უფლებათა „ძირითადი ბირთვის“ დებულებების პრაქტიკაში დანერგვისა და გამოყენების თაობაზე. კომიტეტი განიხილავს ანგარიშებს და აქვეყნებს დასკვნებს წევრი-სახელმწიფოების ქარტიასთან მიმართებაში არსებული მდგომარეობის შესახებ.

კომიტეტის საქმიანობას ზედამხედველობას ეწვეს მინისტრთა კომიტეტი, რომელიც აკონტროლებს გადაწყვეტილებების შესრულებას. ევროპული კომიტეტის მიერ შემუშავებული გადაწყვეტილებებისა და რეკომენდაციების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მინისტრთა კომიტეტი სახელმწიფოს მიმართავს რეკომენდაციით გაატაროს ცვლილებები კანონდებლობასა და პრაქტიკაში. მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაციებს ამზადებს სამთავრობო კომიტეტი რომლის შემადგენლობაშიც ქარტიის ხელმძღვერი სახელმწიფოების მთავრობის წარმომადგენლები შედიან. ევროპის კომიტეტში დამკვირვებლის სტატუსით სარგებლობს ევროპის შრომის ორგანიზაცია და პროფკავშირი.

კოლექტიური განცხადებების პროცედურა შემოღებულ იქნა 1995 წელს, ხოლო ძალაში შევიდა 1998 წელს. ევროპული კომიტეტი განსხვავდება ადამიანის უფლებათა გაეროს კომიტეტისაგან და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოსაგან, რომელიც ინდივიდუალურ განცხადებას იღებს. ქარტიის თანახმად, სოციალურ უფლებათა ევროპული კომიტეტი განიხილავს ისეთი ორგანიზაციების კოლექტიურ განცხადებებს, როგორიცაა:

- ევროპის პროფესიულ კავშირთა კონფედერაცია (ETUC), ევროპის სამრეწველო და დამსაქმებელთა კავშირი (UTICE) და დამქირავებელთა საერთაშორისო ორგანიზაცია (IOE);
- არასამთავრობო ორგანიზაციები, რომელთაც ევროპის საბჭოში საკონსულტაციო სტატუსი გააჩნიათ და სამთავრობო კომიტეტის მიერ არიან სიაში შეტანილნი;
- შესაბამის ქვეყანაში არსებული დამსაქმებელთა ორგანიზაციები და პროფესიული კავშირები.
- ევროპული არასამთავრობო ორგანიზაციები.

კომიტეტი თავდაპირველად იხილავს დაშვებადობის საკითხს. განაცხადი უნდა შეიცავდეს შემდეგ მონაცემებს:

- 1) მონაცემები განმცხადებელი ორგანიზაციის შესახებ;
- 2) ორგანიზაციის მიერ განაცხადის კომიტეტში შეტანის მოტივაცია (დასაბუთება);
- 3) მოპასუხე სახელმწიფოს მითითება;
- 4) მითითება ქარტიით გარანტირებული კონკრეტული უფლებების დარღვევის შესახებ;
- 5) სადაო საგანი;

თუ განაცხადი მისაღებად გამოცხადდება, განხილვის პროცედურა 2 ეტაპად იყოფა: წერილობითი პროცედურა და საჯარო მოსმენა. წერილობითი პროცედურა ითვალისწინებს მხარეებს შორის მემორანდუმის გაცვლას. სოციალურ უფლებათა ევროპულ კომიტეტს კი შეუძლია მოაწიოს საჯარო მოსმენა.

მემორანდუმი შეიცავს: 1) მონაცემებს განმცხადებელი ორგანიზაციის შესახებ; 2) ორგანიზაციის მიერ განაცხადის შეტანის მოტივაციას (დასაბუთება); 3) მოპასუხე სახელმწიფოს დასახელებას; 4) ქარტიით გარანტირებულ კონკრეტულ უფლებათა დარღვევის მითითებას; 5) სადაო საგანს.

მემორანდუმის განხილვის შემდეგ, მინისტრთა კომიტეტი იღებს გადაწყვეტილებას საქმის არსებითი განხილვის საფუძველზე. ამჟამად დროს კომიტეტი გადაწყვეტს დაინიშნოს, თუ არა საჯარო მოსმენა, ხოლო შემდგომ ეტაპზე გადაწყვეტილებას უგზავნის დაინტერესებულ მხარეებს. მინისტრთა კომიტეტი მოხსენების სახით მხარეებს აწვდის ინფორმაციას, რომელიც 4 თვის განმავლობაში უნდა გამოქვეყნდეს. ამასთანავე, შეიმუშავენ და გამოსცემს რეზოლუციას, რეკომენდაციებსა და მიმართულებებს წევრი-სახელმწიფოებისათვის სახელმძღვანელოდ.

აღნიშნულიდან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ, რომ სოციალურ ქარტიას გააჩნია მთელი რიგი დადებითი და უარყოფითი მხარეები. დადებითია ის, რომ მოხდა სოციალურ-ეკონომიკური უფლებების ერთიანი კატალოგის შექმნა და ამ უფლებათა შესრულებაზე ზედამხედველობის მექანიზმის დაწესება. თუმცა, აქვე უნდა ითქვას, რომ ის გარკვეული ცვლილებები, რომელიც გაინცადა საზედამხედველო პროცედურამ თავისი ეფექტურობით ჩამოუვარდება ევროპულ სასამართლოს; ქარტია იცავს არა ერთი ინდივიდის უფლებას და ინტერესს, არამედ ინდივიდთა ჯგუფის, კოლექტივის უფლებებს. კონტროლის მექანიზმები მრავალსაფეხურიანია. გადაწყვეტილება სარეკომენდაციო ხასიათისაა და ამდენად, ნაკლებ ეფექტურობით გამოირჩევა. მიუხედავად ამისა, საზედამხედველო სისტემის მეშვეობით წევრ-სახელმწიფოებს მთელი რიგი ცვლილებები აქვს შეტანილი ეროვნულ

კანონმდებლობასა და პრაქტიკაში ქარტიასთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით.⁵⁰

ტერმინთა განმარტება:

ქარტია – ჩვეულებრივი პოლიტიკური დოკუმენტია, რომელიც გამოხატავს სახალხო მოძრაობის ძირითად მოთხოვნებს (მაგალითად, “თავისუფლების დიდი ქარტია”). *საერთაშორისო სამართალში* ქ. გამოიყენება ადამიანთა და ხალხთა ინტერესების ამსახველი პოლიტიკური და სამართლებრივი დოკუმენტის კომპონენტად (მაგალითად, ევროპის საბჭოს სოციალური ქარტია). ქ. ეწოდება აგრეთვე, ზოგიერთი საერთაშორისო ორგანიზაციის წესდებას (მაგალითად: ინგლისურ ენაზე გაეროს წესდებას ეწოდება “CHARTER OF UNITED NATIONS”). *(თანამედროვე საერთაშორისო სამართლის ლექსიკონი-ცნობარი. თბილისი 2005წ. გვ.374).*

ლინბურგის პრინციპები – ლინბურგის (პოლანდია) უნივერსიტეტში ჩატარებულ ევროსაბჭოს წევრ-სახელმწიფოს მეთაურთა შეხვედრაზე მიღებული პრინციპები: ყველა უფლება და თავისუფლება სოციალურ-ეკონომიკურის ჩათვლით, ურთიერთდამოკიდებული და საერთაშორისო სამართლის განუყოფელი ნაწილია; ეკონომიკურ-სოციალურ და კულტურულ უფლებათა საერთაშორისო პაქტი წევრი-სახელმწიფოებისათვის სავალდებულოა.

- პითხვები:**
- 1) რომელი უფლებებია აღიარებული ევროპის სოციალური ქარტით;
 - 2) რა განსხვავებაა ევროპის სოციალურ ქარტიასა და ევროკავშირის ძირითადი უფლებათა ქარტიას შორის;
 - 3) როგორია განაცხადის წარდგენის პროცედურა სოციალური ქარტიის მიხედვით;

⁵⁰ საქართველოში 2005 წლის 1 ივლისს მოახდინა სოციალური ქარტიის რატიფიცირება (№1876)

სასწავლო-მეთოდოლოგია:

დისკუსია თემაზე: *“უნდა შეუერთდეს, თუ არა საქართველო ევროპის სოციალურ ქარტიას?”*.

ბამოყენებული ლიტერატურა:

- ი.ქურდაძე, კ.კორკელია. ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალი ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მიხედვით. თბილისი 2004წ.გვ. 121-124.
- Социальная Хартия. Совет Европы. 1999 г. Д. Гомьен, Д. Харрис. Л. Зваак. Европейская Конвенция о правах человека и Европейская Социальная Хартия. М., 1998г. ст. 343 – 400.
- Harris D.J. A fresh impetus for the European Social Charter. International and Comparative Law Quarterly. 1992 (Vol.41) pp. 659-676.
- O’Higgins. The European Charter. London 1991. pp. 120-128..

§ 6. ადამიანის უფლებები ევროკავშირის სამართალში

ევროპის გაერთიანების დამფუძნებელ ხელშეკრულებაში ადამიანის უფლებათა კატალოგი არ არის მოცემული. მიუხედავად ამისა, ევროკავშირის ხელშეკრულებებში მითითებულია, რომ ევროკავშირი პატივს სცემს იმ ძირითად უფლებებსა და თავისუფლებებს, რაც აღიარებულია 1950 წლის ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა კონვენციაში. ეს ტენდენცია შეიმჩნეოდა განსაკუთრებით პარიზის 1951 წლის და რომის 1957 წლის ხელშეკრულებებში, რომლებიც არ შეიცავდნენ ადამიანის უფლებათა შესახებ დებულებებს. ეს გარკვეული ნაკლი გახლდათ, რომელსაც ევროკავშირი (ვდილობდა გამოეწეწორებინა 90-იანი წლებიდან მოყოლებული.

მიუხედავად იმისა, რომ ევროკავშირის პირველ დამფუძნებელ ხელშეკრულებებში არაფერი არ თქმულა ადამიანის ძირითად უფლებებზე ევროგაერთიანების სასამართლომ 1969 წელს აღიარა ადამიანის ძირითადი

ეფლებებისა და თავისუფლებების დაცვა ევროგაერთიანების ერთ-ერთ ზოგად პრინციპად.

ევროკავშირის ფარგლებში ადამიანის უფლებათა აქტიურად დაცვის პრობლემა მას შემდეგ წარმოიშვა, რაც ევროკავშირის ინსტიტუტების მხრიდან იმატა ხელისუფლების ბოროტად გამოყენების ფაქტებმა და ევროკავშირის მოქალაქეთა უფლებების დარღვევამ. ამასთან არ არსებობდა ქმედითი მექანიზმი ამ უფლებათა დასაცავად.

ევროკავშირის წევრ-სახელმწიფოთა დამსახურებლად უნდა ჩაითვალოს ადამიანის უფლებათა მთელი სისტემის ჩამოყალიბება.

ტრადიციულად სახელმწიფოში ადამიანის უფლებათა სამართლებრივი დაცვის საფუძველია ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა ჩამონათვალის კონსტიტუციაში მოთავსება. ამ მიმართულებით ევროკავშირმა გადადგა გარკვეული ნაბიჯები და განახორციელა მთელი რიგი ღონისძიებები.

ევროპარლამენტის მიერ 1989 წელს მიღებული იქნა ევროპის გაერთიანების სოციალური უფლებების ქარტია და ევროგაერთიანების დამფუძნებელი ხელშეკრულების დებულებები კავშირის მოქალაქეობის, ძირითადი თავისუფლებებისა და სოციალური უფლებების შესახებ. რომელშიც თავმოყრილი იყო ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა კომპლექსი.

ძირითადი უფლებების ქარტია, შემუშავებული და ნიცაში მიღებულ იქნა 2000 წლის 7 დეკემბერს, როგორც ადამიანის ძირითად უფლებათა დაცვის სფეროში მაკონტროლებელი ინსტიტუტი. მისი მიზანია ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვა ევროკავშირისა და წევრი-სახელმწიფოების არამართლზომიერი ქმედებისაგან. ქარტია ატარებს სუბსიდირებულ ხასიათს (ქარტიის 51-ე მუხლის §1). ქარტიაზე მუშაობა დაიწყო 1999 წლის 15-16 ოქტომბერს ტემპერეში (ფინეთი) ევროკავშირის რიგგარეშე სამიტზე შექმნილმა კომისიამ. ქარტიის საფუძველი უნდა ყოფილიყო ყველა საერთაშორისო სამართლის დოკუმენტი ადამიანის უფლებათა სფეროში. ქარტია უნდა განხდარიყო „თავისუფლების, უსაფრთხოების და კანონიერების ევროპული სივრცის . . . ფილოსოფიური და პოლიტიკური საფუძველი“. ქარტია შედგება პრეამბულისა და 54 მუხლისაგან, რომლებიც განაწილებულია 7 თავში. მიუხედავად იმისა, რომ ქარტიაში მითითებული არ არის მისი ძალაში შესვლის თარიღი ის ძალაში შევიდა მისი

ქარტიაში შემავალი უფლებები დაიყო შემდეგ ჯგუფებად: თავისუფლებისა და თანასწორობის უფლებები; პროცესუალური უფლებები (რომლებიც გარანტირებულია ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპულ კონვენციით); ევროკავშირის წევრ-სახელმწიფოების მოქალაქეთა უფლებ-მოვალეობები; ეკონომიკური და სოციალური უფლებები, რომლებიც აღიარებულია სოციალური ქარტიითა და ევროკავშირის ძირითად სოციალურ უფლებათა ქარტიით და მხოლოდ იმ მოცულობით, რომლებიც ეხება ევროკავშირის საქმიანობის ძირითად მიმართულებებს.

როგორც აღენიშნეთ ქარტიაში შევიდა ევროპელი კონვენციით აღიარებული უფლებები. ეს გარკვეულწილად იყო მცდელობა ქარტიით აღიარებული უფლებების კლასიფიკაციისა. ამ ღონისძიებას სხვა მიზანიც აქონდა, ქარტიის შემქმნელები შეეცადნენ აღიარებული უფლებები უფრო ხელმისაწვდომი და გასაგები მუხლით.

ქარტიაში უფლებები წამოთვლილია ძალიან შეკუმშულად. ქარტიით აღიარებულ უფლებათა და თავისუფლებათა შეზღუდვა გათვალისწინებულ უნდა იქნას კანონით. შეზღუდვების გამოყენება ხდება მხოლოდ პროპორციულობის პრინციპით და მხოლოდ იმ შემთხვევებში, თუ ეს პრინციპები პასუხობს ევროკავშირის მიერ აღიარებულ მიზნებს ან სავალდებულოა სხვა პირთა უფლებათა და თავისუფლებათა დასაცავად.

ქარტია უნივერსალური ხასიათისაა. ის აერთიანებს ძირითად უფლებათა და თავისუფლებათა სამივე თაობას პოლიტიკურ, სოციალურ-ეკონომიკური და კულტურულ უფლებებს.

ქარტიის თავისებურება ისაა, რომ მასში დარღვეულია ადამიანის უფლებათა კლასიფიკაციის გამოყენებული ტრადიციული მიდგომა. ქარტიის სტრუქტურაში ყველა უფლებები განლაგებულია რამდენიმე ძირითადი პრინციპის გარშემო: ადამიანის ღირსება, ძირითადი უფლებები, თანასწორუფლებიანობა, სოლიდარობა, მოქალაქეობა და მართლმსაჯულება.

ქარტია იცავს არა მარტო ევროკავშირის წევრ-სახელმწიფოების მოქალაქეთა უფლებებს, არამედ იმ ფიზიკურ პირთა უფლებებსაც, რომლებიც არიან წევრ-სახელმწიფოების

მოქალაქეები, მაგრამ იმყოფებიან ევროკავშირის სახელმწიფოების ტერიტორიაზე. ამ უფლებებში გაერთიანებულია პირადი და სოციალურ ეკონომიკური უფლებები. უნდა ითქვას, რომ ამ უფლებების დაცვის ქვეშ შეიძლება მოხდნენ სხვადასხვა ქვეყნის, წევრი-სახელმწიფოების მოქალაქეები, მათ შორის საქართველოს. მთავარია ისინი უნდა იმყოფებოდნენ ევროკავშირის რომელიმე ქვეყანაში.

ქარტია გარკვეულ უფლებებს ანიჭებს, როგორც ფიზიკურ, ასევე იურიდიულ პირებს. ქარტიის მიხედვით მოვალეობათა აღრესატები არიან ევროკავშირის ინსტიტუტები და ორგანოები. ეროვნული ორგანოები შებოჭილნი არიან ევროკავშირის ძირითადი უფლებებით. ახალი ქარტია მხოლოდ სისტემატიზაციას აკეთებს და ქმნის უფლებათა დაცვის სისტემას ცხოვრების იმ სფეროში, რომელშიც მოქმედებს ეროვნული სამართალი და ევროკავშირის ინსტიტუტები.

ქარტიის ძირითად დანიშნულებას ასევე წარმოადგენდა იმ ძირითად უფლებათა სრულფასოვანი „კატალოგიზაცია“, რომელიც გაბნეული იყო აღნიშნული ორგანიზაციის დამფუძნებელ აქტებში.

მიუხედავად იმისა, რომ ქარტიის მიღება წინგადადგმულ ნაბიჯად შეიძლება ჩაითვალოს, მას გააჩნია პოლიტიკური და იურიდიული ხასიათის პრობლემები. პოლიტიკური პრობლემა იმაში მდგომარეობს, რომ ქარტია არ ატარებს საკალდებულო ხასიათს. ის მხოლოდ დეკლარაციაა.

იურიდიული ხასიათის პრობლემა კი ქარტიასა და იურიდიული კონვენციის ურთიერთობაში მდგომარეობს, უფრო ზუსტად რომ ეთქვას, ევროსასამართლოსა და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს კოორდინაციაში. კოორდინაცია საჭიროა, რათა თავიდან იქნას აცილებული ამ ორ სასამართლოს მიერ უფლებათა სხვადასხვაგვარი ინტერპრეტაცია.

ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ ევროპის გაერთიანების სასამართლო ზოგჯერ მიმართავს ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციას.

აქვე უნდა აღვნიშნოთ კიდევ ერთი ფაქტორი. გაერთიანების ორგანოებმა, ჯერ კიდევ 1977 წლის 5 აპრილს, ძირითადი უფლებათა დაცვის შესახებ ერთობლივი განცხადებით აღიარეს ევროგაერთიანების სასამართლოს კომპეტენცია და

მიიღოს ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებები.⁵¹

აღსანიშნავია ისიც, რომ ევროპის გაერთიანების სასამართლომ კონკრეტული საქმეების განხილვის საფუძველზე ჩამოაყალიბა გაერთიანების ძირითადი უფლებების შინაარსი და შეიმუშავა უფლებათა „კატალოგი“:

- ადამიანის ღირსება;
- პირადი სფეროს, საცხოვრებლისა და მიმოწერის პატივისცემა;
- თანასწორობის პრინციპი;
- გაერთიანების თავისუფლება;
- სქესობრივი დისკრიმინაციის აკრძალვა;
- რწმენის თავისუფლება;
- სიტყვის თავისუფლება;
- ბეჭდვითი სიტყვის თავისუფლება;
- პროფესიის არჩევის თავისუფლება;
- საკუთრების უფლება;
- სასამართლო პროცესთან დაკავშირებული უფლებები;

გაერთიანების ძირითადი უფლებების ადრესატები არიან გაერთიანების ორგანოები, თუმცა წევრ-სახელმწიფოებსაც ეკისრებათ შესაბამისი ვალდებულებები იმ შემთხვევაში, თუ მათი ქმედება გაერთიანების სამართლის მოქმედების სფეროში ხორციელდება.⁵²

აქედან გამომდინარე, ევროკომიისა და ევროპარლამენტის მიერ მიღებული სამართლებრივი აქტი, რომელიც არღვევს ადამიანის უფლებებსა და თავისუფლებებს შეიძლება გაუქმებულ იქნას ევროსასამართლოს მიერ. ამასთან სასამართლომ ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის პრობლემა გადაწყვიტა პრეცედენტული სამართლის მეშვეობით. სასამართლო ეფუძნებოდა, როგორც წყაროების და წევრ-სახელმწიფოთა

⁵¹ ეს განაცხადი ეფუძნებოდა საერთაშორისო ხელშეკრულების შესახებ ვენის 1969 წლის კონვენციის 31- მუხლის მე-3 პუნქტს

⁵² უნდა გვახსოვდეს ის ფაქტიც, რომ ადამიანის უფლებები ევროკავშირის წევრ-ქვეყნებში ხორციელდება პირველ რიგში ეროვნულ სასამართლო დაწესებულებებში. მოქალაქეები ბრიუსელის მხრიდან მათი უფლებების დარღვევისას უფლებამოსილნი არიან მიმართონ ლუქსემბურგის I ინსტანციის სასამართლოს და შემდეგ ევროგაერთიანების სასამართლოს.

საერთო კონსტიტუციურ ტრადიციებს ასევე ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ხელშეკრულებებს, რომელშიც მონაწილეობდნენ ევროკავშირის წევრ-სახელმწიფოები (მაგალითად, 1966 წ.საერთაშორისო პაქტები; 1950 წ. ევროპული კონვენცია და სხვა). შემდეგი რასაც ეყრდნობა ევროპული სასამართლო არის საერთაშორისო სამართლის ზოგადი პრინციპები. (პირველ რიგში, ადამიანის უფლებათა საყოველთაო პატივისცემის პრინციპი).

2004 წლის საკონსტიტუციო ხელშეკრულებაში, ადამიანის უფლებებს სპეციალურად დაეთმო 1-7-ე მუხლები „ძირითადი (ფუნდამენტალური) უფლებები“-ს შესახებ.

1. ევროკავშირი აღიარებს უფლებებს, თავისუფლებებს და პრინციპებს, რომლებიც ჩამოთვლილია ძირითად უფლებათა ქარტიაში, რომელიც შეადგენს კონსტიტუციის II ნაწილს.
2. კავშირი იღვწის მიუერთდეს ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპულ კონვენციას. ამგვარი მიერთება არ შეცვლის კავშირის უფლებამოსილებას, როგორც ის არის განსაზღვრული კონსტიტუციით.
3. ძირითადი უფლებები გარანტირებული ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპული კონვენციის მიერ და გამომდინარეობს წევრ-სახელმწიფოთა კონსტიტუციების ზოგადი ტრადიციებიდან და წარმოადგენენ კავშირის სამართლის ნაწილის ზოგადი პრინციპებს წარმოადგენს.

ამ მუხლის მნიშვნელოვანი მომენტია, პირველი ის, რომ კონსტიტუციური ხელისუფლების ტექსტში ჩართულია ევროკავშირის ადამიანის ძირითად უფლებათა ქარტიის ტექსტი და მეორე ევროკავშირის სურვილი მიუერთდეს ადამიანის ევროპულ კონვენციას.

„ევროკავშირი უზრუნველყოფს საერთო ღირებულებების შენარჩუნებას და განვითარებას გამოხატავს რა, ევროპის ხალხთა კულტურულ და ტრადიციულ მრავალფეროვნებას, აგრეთვე, წევრი-სახელმწიფოების ეროვნული თვითნყოფადობის და მათი საჯარო ხელისუფლების ორგანიზაციას ეროვნულ, რეგიონალურ და ადგილობრივ დონეზე. . .“.

„ქარტია, პატივს სცემს კავშირის უფლებამოსილებას და ამოცანებს. აგრეთვე, სუფსიდიარობის პრინციპს. ხელმოკრულად გენს სამართალს, რომელიც გამომდინარეობს წვერის-სახელმწიფოების საკონსტიტუციო ტრადიციებიდან და საერთაშორისო ვალდებულებებიდან, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპული კონვენციებიდან, ევროსაბჭოსა და ევროკავშირის მიერ მიღებული, სოციალური ქარტიიდან. აგრეთვე, ევროგაერთიანების სასამართლოს პრაქტიკიდან და ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციიდან”.

ამ მიმართულებით გადადგმულ ნაბიჯად ითვლება 2000 წლის ევროპის საბჭოს მიერ ევროპის კავშირის ადამიანის ძირითად უფლებათა ქარტიის მიღება. ქარტიის ძირითადი მიზანია დაიცვას ადამიანი ევროკავშირში მოქმედი ზესახელმწიფოებრივი ინსტიტუტებიდან მაშინ, როცა სხვა საერთაშორისო დეკლარაციები, ქარტიები, უფლებადაცვითი საერთაშორისო სამართლებრივი ხელშეკრულებების მიზანი და დანიშნულება იყო დაეცვათ ადამიანი ეროვნული, სახელმწიფო ხელისუფლების მხრიდან ხელისუფლების ბოროტად გამოყენებისაგან.

ევროკავშირის ქარტია, უნდა ამოქმედდეს 2004 წელს კონსტიტუციური ხელშეკრულების ძალაში შესვლის შემდეგ. ევროკავშირის სასამართლოს იურისდიქციის თანახმად. ქარტია წარმოადგენს ევროსასამართლოს პრაქტიკის სისტემატიზაციისა და ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა სფეროში წვერის-სახელმწიფოების კონსტიტუციური ტრადიციების შერწყმის შედეგს. აღნიშნული დოკუმენტი ასევე ასახავს ამ სფეროში ევროკავშირის მიღწევებს და აღიარებს იმ უფლებებს, რომელიც დეკლარირებულია 1950 წლის ევროპული კონვენციის მიერ. ქარტიაში ასახვა ჰპოვა ევროპული კონვენციის დებულებებმა და დამატებული იქნა უფლებები პოლიტიკურ, სოციალურ და ბიოეთიკის სფეროში და სხვა.

ქარტიის უარყოფით მხარედ უნდა ჩაითვალოს ის, რომ მას არ გააჩნია იურიდიულად სავალდებულო ძალა. ქარტიის ტექსტი არ ატარებს ნორმატიული აქტის ფორმას. ქარტიისათვის სამართლის წყაროს ძალა მიენიჭა მეორე კონვენციის შედეგად, როდესაც ქარტიის 1-7-ე მუხლები ინკორპირებული იქნა კონსტიტუციური ხელშეკრულებების II ნაწილში.

უნდა აღვნიშნოთ, რომ 2000 წლის 7 დეკემბრის შემდეგ ქარტიაში არაფერია შეცვლილი და დამატებული.

ისიც აღსანიშნავია, რომ ქარტია სავალდებულო იურიდიული ძალის მატარებელია მას შემდეგ, რაც ძალაში შევა კონსტიტუციური ხელშეკრულება- “ევროპის კონსტიტუცია”.

კონსტიტუციურ ხელშეკრულებაში ქარტიის სახით ჩართვა ხელს უწყობს კონსტიტუციური ხელშეკრულების ეროვნულ კონსტიტუციებთან დაახლოებას.

ქარტიის მეშვეობით ევროკავშირმა და წევრ-სახელმწიფოებმა შეავსეს არსებული არსენალი ადამიანის უფლებათა სფეროში. ადამიანის უფლებათა ეს კატალოგი ეფუძნება ეროვნულ კონსტიტუციებს და წევრ-სახელმწიფოთა ძირითად კანონებს. აგრეთვე, საერთაშორისო ვალდებულებებს. კერძოდ იმას, რომ ყოველი ევროკავშირის წევრი-სახელმწიფოები არიან ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპული კონვენციის მონაწილენი.

უნდა გავითვალისწინოთ ის ფაქტი, რომ ქარტია არის ყველაზე „ახალგაზრდა“ დოკუმენტი ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში. ამიტომ მასში გათვალისწინებულ იქნა ყველა ის დადებითი და უარყოფითი მომენტები, რომლებიც არსებობდა აქამდე მოქმედ სხვადასხვა საერთაშორისო ხელშეკრულებებსა და დეკლარაციაში. სპეციალურ ლიტერატურაში აღინიშნა კიდევ, რომ ქარტია წარმოადგენს სანიმუშო დოკუმენტს - ადამიანის ძირითად უფლებათა კატალოგს.

“ევროპის კონსტიტუცია”. ევროკავშირის წევრ-სახელმწიფოთა კონსტიტუციებსა და ევროკავშირის ფუძემდებლურ ხელშეკრულებებს შორის შედარების დროს გაირკვა, რომ ხელშეკრულებებს გააჩნიათ ისეთივე ნიშნები, როგორც სახელმწიფოთა კონსტიტუციებს.

2004 წელს ევროკავშირში არსებულ ხელშეკრულებათა თავმოყრა შესაძლებელი გახდა ერთ სამართლებრივ აქტში - ე.წ. “ევროპის კონსტიტუციაში

თავი I. ადამიანის ღირსება

- სიცოცხლის უფლება;
- პიროვნების ხელშეუხებლობა;
- წამების, არადამიანური ან უხეშად მოპყრობის და დასჯის აკრძალვა;

-მონობისა და იძულებითი შრომის აკრძალვა.

თავი II. თავისუფლებები:

- თავისუფლებისა და უსაფრთხოების უფლება;
- პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემა;
- პიროვნების პირად მონაცემთა დაცვა;
- ქორწინებისა და ოჯახის შექმნის უფლება;
- აზრის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლება;
- გამოხატვისა და ინფორმაციის თავისუფლება;
- შეკრებისა და გაერთიანების თავისუფლება;
- ხელოვნებისა და მეცნიერების თავისუფლება;
- განათლების უფლება;
- სამუშაო ადგილის არჩევის თავისუფლება და მუშაობის უფლება;
- ბიზნესის წარმოების თავისუფლება;
- საკუთრების უფლება;
- თავშესაფრის უფლება;
- საცხოვრებელი ადგილის შეცვლის, გადასახლების ან ექსტრადიციის შემთხვევაში დაცვა.

თავი III. თანასწორობა:

- კანონის წინაშე თანასწორობა;
- დისკრიმინაციის აკრძალვა;
- კულტურული, რელიგიური და ენობრივი სხვაობა;
- ქალსა და მამაკაცს შორის თანასწორობა;
- ბავშვთა უფლებები;
- ხანშიშესულთა უფლებები;
- უუნაროთა ხალხთან ინტეგრაცია

თავი IV. სოლიდარობა:

- მომუშავეთა უფლებები საწარმოს მიერ ინფორმაციის მიცემასა და კონსულტაციაზე;
- კოლექტიური შეთანხმებებისა და მოქმედების უფლება;
- სამსახურიდან უსამართლოდ გათავისუფლების დაცვა;
- სამართლიანი და კანონიერი სამუშაო პირობები;
- ბავშვთა შრომის აკრძალვა და ახალგაზრდების შრომის დაცვა;

- ოჯახი და პროფესიული ცხოვრება;
- სოციალური დაცვა და სოციალური თანადგომა;
- ჯანმრთელობის დაცვა;
- საერთო ეკონომიკური ინტერესებისაგან სარგებლის მიღების უფლება;
- გარემოს დაცვა;
- მომხმარებლის დაცვა.

თავი V. მოქალაქეთა უფლებები:

- ხმის მიცემისა და ევროპის პარლამენტში არჩევნების დროს კანდიდატად დასახელების უფლება;
- ხმის მიცემისა და ადგილობრივ არჩევნებში კანდიდატად დასახელების უფლება;
- კარგი ადმინისტრაციის ყოლის უფლება;
- დოკუმენტაციასთან დაშვების უფლება;
- ევროპის გაერთიანების ომბუდსმენი;
- სარჩელის უფლება;
- გადაადგილებისა და საცხოვრებლის ადგილის უფლება;
- დიპლომატიური და საკონსულო დაცვა;
- ეფექტური კომპენსაციისა და სამართლიანი სასამართლოს უფლება;
- უდანაშაულობის პრეზუმფცია და დაცვის უფლება;
- კანონიერების პრინციპები და სასჯელის დანაშაულთან შესაბამისობა;
- უფლება, არ იქნას გასამართლებული ან დასჯილი სისხლის სამართლის წესით ერთი და იმავე დანაშაულისთვის ორჯერ.

კონსტიტუციის ამოქმედებისათვის სავალდებულოა მისი რატიფიცირება წევრი-სახელმწიფოების მიერ რაც დღეს დიდ სირთულეს წარმოადგენს. კერძოდ, ისეთმა ქვეყანამ, როგორცაა საფრანგეთი, უარი განაცხადა “ევროპის კონსტიტუციის” მიღებაზე.

კიდევ ერთი მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს ადამიანის უფლებათა დაცვას ევროკავშირის სიერცეში არის ევროკავშირის ომბუდსმენი. თანამდებობა შემოღებული იქნა ევროკავშირის მიერ 1992 წელს მაასტრიხტის ხელშეკრულების საფუძველზე. ომბუდსმენი არის შუამავალი მოქალაქეთა და ევროკავშირის ხელისუფლებას შორის. მას აქვს უფლება მიიღოს და განიხილოს საჩივრები ევროკავშირის მოქალაქეებისაგან,

კონპანიებისა და დაწესებულებებისაგან, ყველა იმ ადამიანისაგან, რომელიც ცხოვრობენ ევროკავშირის წევრ-ქვეყნებში. ის ხელს უწყობს ევროპულ ინსტიტუტებში და ევროკავშირის უწყებებში “არასათანადო ადმინისტრირების” შემთხვევათა გამოვლენას. ომბუდსმენი განიხილავს საჩივრებს საკუთარი ინიციატივით ან საჩივრის საფუძველზე. მისი რეკომენდაციები მიეწოდება შესაბამის ინსტიტუტებს (ადრესატებს რომლებმაც დაარღვიეს ფიზიკური ან იურიდიული პირის უფლებები), რომლებმაც სამი თვის განმავლობაში უნდა წარადგინონ თავისი დასკვნა. ამის შემდეგ ომბუდსმენი ანგარიშს წარუდგენს ევროპარლამენტს და შესაბამის ინსტიტუტებს და მომჩივანს ატყობინებს განხილვის შედეგებს.

ტირმინთა ბანმარტება:

ადამიანის უფლებები ევროპულ სამართალში – ევროპის გაერთიანების სასამართლოს პრეცედენტული სამართალი აღიარებს ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის პრინციპებს. წევრი სახელმწიფოების მიერ ადამიანის უფლებების პატივისცემა 1986 წლის ერთიანი ევროპული აქტის პრეამბულაში დადასტურდა და მოგვიანებით ევროკავშირის ხელშეკრულების მე-6 მუხლში აისახა. ეს მუხლი ეფუძნება ევროპულ კონვენციასა და წევრ-სახელმწიფოთა საერთო კონსტიტუციურ ტრადიციებს. ძირითადი უფლებების დაცვის გარანტიები შემდგომში გამყარდა ამსტერდამის ხელშეკრულებით, რომელმაც განაგრძო სასამართლოს იურისდიქცია მე-6 მუხლით გათვალისწინებულ უფლებებზე. ახალი დებულება განსაზღვრავს ზომებს, რომელიც უნდა გამოიყენონ იმ შემთხვევაში, როცა წევრი სახელმწიფო არღვევს ევროკავშირის ფუძემდებლურ პრინციპებს.

ევროპის კავშირი: პოლიტიკა და მმართველი ორგანოები (სიტყვარი). *თბილისი 2003 წ. გვ. 35.*

რატიფიცირება საერთაშორისო ხელშეკრულების - საერთაშორისო ხელშეკრულების საყალბეებზე აღიარების ფორმა. სხვადასხვა ქვეყნებში რატიფიცირება სხვადასხვა წესით ხდება. რატიფიცირება 3 სახით შეიძლება განხორციელდეს: 1) რას ახდენს სახელმწიფოს მეთაური; 2) რის ახდენს სახელმწიფოს მეთაური საკანონმდებლო ხელისუფლების თანხმობის

საფუძველზე; 3) რ-ას ახდენს საკანონმდებლო ხელისუფლება (ვენის 1969 წლის კონვენცია „საერთაშორისო ხელშეკრულებათა სამართლის შესახებ“ 81-ე მუხ). ეს უკანასკნელი წესი მოქმედებს საქართველოში (საქართველოს კონსტიტუციის 65-ე მუხ., „საქართველოს კანონი საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ“ მე-14 მუხ).

დენონსაცია საერთაშორისო ხელშეკრულების – ხელშეკრულების შეწყვეტის ფორმა, რომელიც შეიძლება მოხდეს თვით ხელშეკრულების გათვალისწინებული პირობებისა და ვადების მიხედვით. ზოგჯერ დენონსაცია აკრძალულია. მრავალმხრივი ხელშეკრულებებისას დენონსაცია მოქმედებს მხოლოდ იმ სახელმწიფოს მიმართ, რომელიც ახორციელებს მის დენონსაციას. დენონსაციის წესი განსაზღვრულია არა მარტო საერთაშორისო სამართლის ნორმებითა (ვენის 1969 წლის კონვენცია „საერთაშორისო ხელშეკრულებათა სამართლის შესახებ“ 56-ე მუხ. 57-ე მუხ., 58-ე მუხ.) და ხელშეკრულებებით, არამედ ეროვნული კანონმდებლობითაც. მაგალითად, „საქართველოს კანონი საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ“ (37-ე მუხ).

ბათილობა საერთაშორისო ხელშეკრულების – საერთაშორისო ხელშეკრულება შეიძლება ბათილად გამოცხადდეს, თუ აშკარად დაირღვა მისი დადებით კონვენსაციასთან დაკავშირებული შიდასახელმწიფოებრივი სამართალი სპეციალურად იქნა შეზღუდული ხელშეკრულების სავალდებულოდ აღიარებაზე სახელმწიფოს წარმომადგენლის თანხმობის გამოხატვის უფლებამოსილება, ხელშეკრულებაში დაშვებული იქნა შეცდომა, ხელშეკრულება დაიდო მოტყუებით, სახელმწიფოს წარმომადგენლის მოსყიდვით ან იძულებით ან მუქარით, ხელშეკრულება ეწინააღმდეგება საერთაშორისო სამართლის იმპერატიულ ნორმებს (ვენის 1969 წლის კონვენცია „საერთაშორისო ხელშეკრულებათა სამართლის შესახებ“ 45-ე, 67-ე, 69-ე, 70-ე მუხ.). საერთაშორისო ხელშეკრულების ბათილობა გათვალისწინებულია ეროვნული კანონმდებლობებით („საქართველოს კანონი საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ“).

„თანამედროვე საერთაშორისო სამართლის ლექსიკონი-ცნობარი“ გვ. 38,88,234.

ევროპის კავშირის 2001 წლის ჩარჩო გადაწყვეტილება დანაშაულის მსხვერპლთა პროცესუალური უზღებავუნარიანობის შესახებ – ყოველი წერი სახელმწიფო ვალდებულია, შემოიღოს თავის ქვეყანაში სისხლის სამართლის საქმეთა წარმოებაში დაზარალებულთა უფლებებისა და ინტერესების დამცველი კანონები, დებულებები და ადმინისტრაციული წესები. ამ შეთანხმების თანახმად სისხლის სამართლის საქმეში დაზარალებულებს ეძლევათ შესაძლებლობა მსჯავრდებულის მსგავსად მონაწილეობა მიიღონ სისხლის სამართლის საქმის წარმოებაში (მე-5 მუხლი), აუცილებლობის შემთხვევაში სახელმწიფოს ხარჯზე მიიღონ იურისტის კონსულტაციები (მე-6 მუხლი). აღნიშნულ დოკუმენტში დაზარალებული განისაზღვრება როგორც პირი, რომელმაც სახელმწიფოში მოქმედი სისხლის სამართლის კანონმდებლობის დარღვევის შედეგად მიიღო ფიზიკური ან მორალური ზიანი. ხელშეკრულების თანახმად, დაცული უნდა იქნეს დაზარალებულის უფლებები, ღირსება და ინტერესები სისხლის სამართლის საქმის წარმოებაში. ისინი მოსმენილნი უნდა იქნენ სასამართლოში და მათ უნდა წარუდგინონ მტკიცებულებები (მე-2 და მე-3 მუხლები); მიიღონ სრული ინფორმაცია მათ შორის, იურიდიული კონსულტაციისა და დახმარების შესახებ, ასევე საშიშ დამნაშავეთა გათავისუფლების შესახებ (მე-4 მუხლი), მათ უნდა ჰქონდეთ საკუთარი უსაფრთხოებისა და პირადი ცხოვრების დაცვის უფლება, უფლება – მოითხოვონ კომპენსაცია სამართალდამრღვევისაგან, თუ კანონით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. შეთანხმების თანახმად, პოლიციის მუშაკები და იურისტები უნდა გადიოდნენ სპეციალურ მომზადებას დაზარალებულებთან კონტაქტის მიზნით.

„ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალი“ გვ. 79.

ცოდნის უმეოფმება: რა ძირითად უფლებებს იცავს ევროპის კონსტიტუცია?

სასწავლო-მეთოდოლოგია:

აღნიშნული თემის დასაუფლებლად სტუდენტს უნდა გავლილი ჰქონდეს ევროპის კავშირის სამართალი და კარგად იცნობდეს ამ ორგანიზაციის ინსტიტუციონალურ მხარეს.

დისკუსია თემაზე: საქართველო და ევროკავშირი.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. გ. გაბრიჩიძე. ადამიანის უფლებათა დაცვა და ევროპის სამართალი. ჟ. “ადამიანის უფლებათა დაცვა ეროვნულ და საერთაშორისო სამართალში”. საერთაშორისო სამართალი. 2002წ. გვ. 26-33.
2. გ. გაბრიჩიძე. ევროპული გაერთიანებისა და ევროპული კავშირის დამფუძნებელი ხელშეკრულებები – ევროპის კონსტიტუცია? ჟ. ქართული სამართლის მიმოხილვა. თბილისი 2003წ. №2-3. გვ.248-266.
3. როდნი ლიჩი. ევროპა. ევროკავშირის მოკლე ენციკლოპედია. თბილისი 2002წ. გვ. 2-8.
4. თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის უფლება. თბილისი 2003 წ. გვ. 196-198; 260-261.
5. ევროპის კავშირი: პოლიტიკა და მმართველო ორგანოები (სიტყუარი). თბილისი 2003წ.
6. Yiri Pribom. European Union Constitution-Maring, Political Identity and Central European Reflections. European Law Journal Vol.11 №2. March 2005. p.p135-153.
7. John Erik Fossum and agustin Jose Menengar. A Deliberative Democratic analysis of Constitution Making in the EU. ELJ. Vol.11, №4 July 2005. p.p. 380-410.

*§ 7. ადამიანის უფლებათა დაცვა ევროკავშირში
უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის
(ეუთო) შარბლებში*

ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციას ე.წ. ეუთო-ს მნიშვნელოვანი ფუნქცია აკისრია ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო სამართლის განვითარების საქმეში. ეუთო რეგიონალურ ხასიათს ატარებს და აერთიანებს ევროპის 55 სახელმწიფოს.

ეუთო შეიქმნა *გაეროს წესდების საფუძველზე ორგანიზაციის ძირითადი ფუნქცია მდგომარეობს კონფლიქტების თავიდან აცილებასა და კრიზისების მართვაში, კონფლიქტის შემდგომ რეაბილიტაციაში.* ეუთო ზედამხედველობას უწევს ისეთ სფეროებს, როგორიცაა: შეიარაღების კონტროლი, *გაეროს პრევენციული დიპლომატია*, ნდობისა და უსაფრთხოების მიღწევის ზომების გატარება, *ადამიანის უფლებები*, არჩევნების მონიტორინგი, ეკონომიკური და გარემოს დაცვის უსაფრთხოება.

1975 წელს პელსინკში, ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის საკითხებზე გამართულ თათბირზე, დასკვნით აქტს ხელი მოაწერა 35-მა სახელმწიფომ.⁵³ ამ დოკუმენტში განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხებს (აზრის, სინდისის, რელიგიისა და რწმენის, თავისუფლების პატივისცემის და სხვა პრინციპებს). დოკუმენტში აღნიშნულია, რომ სახელმწიფოები თავის საქმიანობას წარმართავენ და ხელმძღვანელობენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციების წესდებითა და ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციით, საერთაშორისო პაქტებით. პელსინკის თათბირის დასკვნითი აქტი არ წარმოადგენს საერთაშორისო სამართლებრივ აქტს, “მაგრამ იგი მნიშვნელოვანი პოლიტიკური დეკლარაციაა, რომელიც შეიცავს საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებს, მითითებებს და მათ ინტერპრეტაციას ევროპის სინამდვილესთან შეფარდებით”.⁵⁴

აღნიშნული პროცესის ფარგლებში ჩატარებულ იქნა მთელი რიგი შეხვედრები. კერძოდ, მადრიდში (1983 წელს), ვენაში (1986 წელს), პელსინკში (1992 წელს), რომელთა შედეგად მიღებულ იქნა სათანადო დოკუმენტები. ვენაში მიღებული დოკუმენტის საფუძველზე სახელმწიფოებმა დაადგინეს შეექმნათ სპეციალური ორგანო, რომელიც განიხილავდა საკითხებს ადამიანის უფლებათა დაცვის შესახებ. მსგავსი თათბირები-

⁵³ ეს აქტი, თუმცა არ არის *საერთაშორისო ხელშეკრულება*, მაგრამ უდავლესი მნიშვნელობის პოლიტიკური შეთანხმებაა, რომლის მიზანი იყო შეესუსტებინა „ცივი ომით“ გამოწვეული დაძაბულობა აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის.

⁵⁴ ლ.ალექსიძე. თანამედროვე საერთაშორისო სამართალი. თბილისი. 2002წ. გვ.210-212.

ჩატარდა პარიზში (1989 წელს), კოპენჰაგენში (1990 წელს) და მოსკოვში (1991 წელს).

ეუთოს მიერ მიღებული აქტები წარმოადგენს ორგანიზაციული, პოლიტიკური, მორალური და იურიდიული ხასიათის ცალკეული დოკუმენტების ერთობლიობას.

1994 წელს ბუდაპეშტში, გამართულ სამიტზე უშიშროების და თანამშრომლობის თათბირმა შეცვალა ორგანიზაციული ფორმა და დასახელება. მას უშიშროების და თანამშრომლობის ორგანიზაცია (ეუთო) ეწოდა.

ეუთომ მიიღო მნიშვნელოვანი დოკუმენტები ადამიანის უფლებების დაცვასთან დაკავშირებით. მიღებული აქტების ანალიზი გვიჩვენებს, რომ ადამიანის უფლებათა დაცვა ეფუძნება, როგორც 1948 წელს მიღებულ ადამიანის უფლებათა დაცვის საყოველთაო დეკლარაციას, ასევე 1966 წელს მიღებულ პაქტებს ადამიანის უფლებათა შესახებ და ამ სფეროში არსებულ სხვა საერთაშორისო ხელშეკრულებებს.

1990 წელს პარიზში ეუთოს კონფერენციაზე მიღებული იქნა “პარიზის ქარტია ახალი ევროპისათვის”. ამავე კონფერენციაზე ევროპაში არსებული პრობლემების გადასაჭრელად დაისახა მთელი რიგი ღონისძიებები.

1996 წელს ლისაბონში, ჩატარებულ სამიტზე ეუთო-ს, როგორც საკვანძო რგოლს მიენიჭა უსაფრთხოებისა და სტაბილურობის ხელშეწყობის ფუნქცია. ლისაბონის შეხვედრამ, განაპირობა 1999 წელს სტამბოლში. ეუთო-ს მიერ ქარტია შეიმუშავა ევროპული უსაფრთხოების შესახებ, რომელიც მიზნად ისახავს ეუთო-ს ქმედით უნარიანობის გაუმჯობესებას. სტამბოლშივე ეუთო-ს მონაწილე 30-მა სახელმწიფომ ხელი მოაწერა ხელშეკრულების გადასინჯულ ვარიანტს ევროპაში ჩვეულებრივი შეიარაღებისა და შეიარაღებული ძალების შემცირების შესახებ. მათ მხარი დაუჭირეს არასაერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტების მოგვარების საქმეში ეუთო-ს უფრო აქტიურ ჩარევას.

ეუთო თავისი საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, მოწოდებულია დაიცვას ევროპაში მშვიდობა და უშიშროება. ამასთანავე, იღებს საერთაშორისო აქტებს ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში. კერძოდ,

1. აღნიშნულ გადაწყვეტილებებში შერწყმულია ადამიანის ძირითად უფლებათა და თავისუფლებათა საკითხები და კუმანიტარული ხასიათის საკითხები;
2. კონფლიქტების დარეგულირების მექანიზმები; კონფლიქტში დაზარალებული მხარეების დახმარება; კონფლიქტურ ზონებში მონიტორინგის განხორციელება და სხვა;
3. ეუთო-ს ფარგლებში შეთანხმებები შეიცავს კონტაქტების დამყარებას და რეგულარული შეხვედრების მოწყობას ლტოლვილთა და ადგილ-მონაცვალე პირთა უსაფრთხოდ გადაადგილების მიზნით. დებულებები იმ მოვალეობების შესახებ, რომელსაც ითვალისწინებს სახელმწიფო "ადამიანური განზომილების შესახებ" აქტით არ ეხება ეუთო-ს სახელმწიფოების პირად საქმეს.
4. წვერი-სახელმწიფოები ვალდებული არიან დაიცვან პატიმართა და მათ შორის, თანამდებობის პირთა მიმართ სტანდარტული წესები მართლწესრიგის დაცვის კოდექსით, რომელიც მიღებულია გაეროს გენერალური ასამბლეის მიერ 1979 წლის 17 დეკემბრის № 34/169 რეზოლუცია.
5. კოპენჰაგენის თათბირზე მიღებულ დოკუმენტში "ადამიანის განზომილების შესახებ" განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო აზრის გამოხატვის თავისუფლებას და აღინიშნა, რომ წვერმა-სახელმწიფოებმა ხელი უნდა შეუწყოს მოქალაქეებს ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე კანონით დადგენილი წესით, სახელმწიფო ორგანოებისაგან შეუხლუდავად მიიღოს და გააერცვლოს ინფორმაცია; ამასთან, დაცული უნდა იქნას ინტელექტუალური და საავტორო საკუთრების უფლება.
6. ეუთო-ს ფარგლებში მიღებულ დოკუმენტებში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა თავისუფალი არჩევნების პრინციპებსა და არჩევნების მიმდინარეობის დროს კანდიდატთა თანასწორუფლებიანობას.
7. ეუთო-ს მიერ მიღებულ დოკუმენტებში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა მოსახლეობის გარკვეული ჯგუფების დაცვას. კერძოდ, მიგრანტი მუშებისა და ეროვნული უმცირესობების უფლებების დაცვა წვერი-სახელმწიფოების უშუალო ინტერესს წარმოადგენს და აღიარებს მათ უფლებას გამოხატონ თავისი ეროვნული, კულტურული, რელიგიური და ენობრივი თავისებურებები.

8. ეუთო, განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს ეროვნული უმცირესობების საკითხს. სახელმწიფოები, ვალდებული არიან დაიცვან თავის ტერიტორიაზე ეროვნულ უმცირესობათა ეთნიკური, კულტურული, ენობრივი და რელიგიური თვითმყოფადობა.

9. ეუთო იღწვის იმისათვის, რომ ცალკეულ რეგიონებში არ მოხდეს ეროვნულ უმცირესობათა მასობრივი გადაადგილებები. ეროვნული უმცირესობის წარმომადგენლებს შეუძლიათ თავისი უფლებები განახორციელონ, როგორც ცალკე ასევე თავისი ჯგუფის სხვა წევრებთან ერთად.

ეუთოს შემადგენლობაში შედის რამდენიმე ორგანიზაცია, რომელიც უშუალოდაა დაკავშირებული ადამიანის უფლებათა დაცვით. ესენია:

დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ბიურო, რომელიც აქტიური "დამკვირვებლის" როლს ასრულებს არჩევნების ჩატარების დროს და ხელს უწყობს ეროვნული საარჩევნო ორგანოებისა და ინსტიტუტების ჩამოყალიბებას. მხარს უჭერს არასამთავრობო ორგანიზაციების ფორმირებას და სამოქალაქო საზოგადოების მშენებლობას. ამზადებს ეუთოს "დამკვირვებლებს" და ჟურნალისტებს არჩევნებში მონაწილეობის მისაღებად. ადამიანის უფლებათა სფეროში უზრუნველყოფს სპეციალური სემინარების მომზადებასა და ჩატარებას.

ეროვნულ უმცირესობათა ეუთოს უმაღლესი კომისარი – მნიშვნელოვან როლს თამაშობს კონფლიქტების თავიდან აცილებისა და აღმოფხვრის საკითხში. აღნიშნული სამსახური შეიქმნა 1992 წელს ჰელსინკში. უმაღლესი კომისარი განიხილავს და აანალიზებს ეროვნულ უმცირესობებთან დაკავშირებულ სიტუაციებს. საწყის ეტაპზე ამ სფეროში წარმოშობილი გართულებების თავიდან ასაცილებლად მიმართავს გარკვეულ ღონისძიებებს ატარებს კონსულტაციებს და გასცემს რეკომენდაციებს. აგროვებს ინფორმაციას, შეფასებას აძლევს სიტუაციას, ორგანიზაციას უკეთებს კონფლიქტში მონაწილე მხარეებს შორის მოლაპარაკებებს. ამავე დროს, კონფლიქტში მონაწილე უმცირესობათა უფლებების დაცვის მიზნით ახორციელებს მონიტორინგს.

წარმომადგენელი მასობრივი ინფორმაციის საკითხებში - 1997 წელს, ეუთოს ფარგლებში შეიქმნა აღნიშნული თანამდებობა. სამსახურის მიზანია თვალყური ადევნოს არსებულ სიტუაციას და ოპერატიული რეაგირება მოახდინოს წვერი-სახელმწიფოების მიერ ამ სფეროში ჩადენილი დარღვევების ფაქტებზე. წარმომადგენლობის ბიურო განთავსებულია ვენაში (ავსტრია).

ზოგიერთ ქვეყანაში (საქართველო, ბოსნია, კერცოგოვინა, ლიტვა, მოლდოვა, ტაჯიკეთი, ხორვატია და ესტონეთი) ეუთოს მისიები და ბიუროები განთავსებულია საქართველოში, რუსეთში, უზბეკეთში, ყირგიზეთში, ერევანში, ბაქოში.

სასწავლო-მეთოდოლოგია:

ლექტორმა ლექციის ახსნისას გარდა სპეციალური ლიტერატურისა სტუდენტებს უნდა მიუთითოს კვებ-საიტებზეც, რომლიდანაც ისინი მიიღებენ უახლეს ინფორმაციას ევროკავშირისა და ეუთოს შესახებ. ლექტორმა უნდა გააცნოს სტუდენტებს ინფორმაცია “ODIR”-ის შესახებ და ეუთოს როლი დემოკრატიული არჩევნების ჩატარებისას.

დისკუსია თემაზე: ეუთოს მისიის მოღვაწეობა საქართველოში.

ბამოყენებული ლიტერატურა:

- ლ. ლექსიძე. თანამედროვე საერთაშორისო სამართალი. თბილისი 2001წ. გვ.134-135.
- თანამედროვე საერთაშორისო სამართლის ლექსიკონი-ცნობარი. თბილისი 2003წ.
- Т. Бюргенталь. Международное право прав человека. А-А. 1999г. ст. 26-32.100-101.
- ОБСЕ. Хельсинский заключительный акт. 1975-2000г. ст.88-99.
- А. Heraclides. Security and Cooperation in Europe: The Human Dimension, 1972-1992. London.1993. pp.56-67.
- R.Hanski, M.Suksi. An Introduction to the International Protection of Human Rights. A textbook. Institute for Human Rights. Turku 2000. pp.329-347.

II. §8. ადამიანის უფლებათა დაცვის ამერიკული სისტემა

ადამიანის უფლებათა დაცვის ამერიკული (ამერიკათაშორისი, ინტერამერიკული) სისტემა ჩამოყალიბდა ამერიკის სახელმწიფოთა ორგანიზაციამ (OAS) ადამიანის უფლებათა დაცვისა და რეგიონალური სისტემის განვითარების ხელშესაწყობად. ამერიკის სახელმწიფოთა ორგანიზაცია წარმოადგენს რეგიონალურ სამთავრობათაშორისო ორგანიზაციას, რომელიც აერთიანებს ამერიკის 35 წევრ-სახელმწიფოს.

ორგანიზაცია (OAS) თავის ფუნქციებს არეგულირებს ამერიკის სახელმწიფო გენერალური ასამბლეისა და მუდმივმოქმედი საბჭოს საშუალებით. საბჭო გენერალური ასამბლეის ორგანიზაციის უმაღლესი ორგანოა, რომელიც განსაზღვრავს მის პოლიტიკას. მუდმივმოქმედი საბჭო ასამბლეის სხდომათა შორის შუალედში იღებს გადაწყვეტილებებს. ამასთანავე, მონაწილეობას იღებს მშვიდობის დამყარებისა და დაეხმარება დაკავშირებული საკითხების დარეგულირებაში. გარდა ამისა, გააჩნია კომპეტენცია გადაწყვიტოს ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხები.

ადამიანის უფლებათა ინტერამერიკულ სისტემას გააჩნია ორი დამოუკიდებელი სამართლებრივი წყარო ერთის მხრივ, ის ეფუძნება OAS-ის წესდებს და მეორეს მხრივ, ადამიანის უფლებათა დაცვის ამერიკულ კონვენციას.

OAS-ის წესდების საფუძველზე ჩამოყალიბებული სისტემა მოქმედებს 35 წევრ-სახელმწიფოში, ხოლო კონვენციის საფუძველზე შექმნილი სისტემა მხოლოდ იმ წევრ-სახელმწიფოებში, რომლებმაც მოახდინეს მისი რატიფიცირება.

OAS-ის წესდების საფუძველზე შექმნილი ადამიანის უფლებათა დაცვის სისტემა.

ადამიანის უფლებათა დაცვის ინტერამერიკული სისტემის ნორმებისა და ინსტიტუტების განვითარებას 50 წელზე მეტი დასჭირდა.

1948 წელს ადამიანის უფლებათა ამერიკული დეკლარაციის მიღებამ საფუძველი ჩაუყარა ადამიანის უფლებათა ინტერამერიკული სისტემის ჩამოყალიბებას.

OAS-ის წესდება. აღნიშნული წესდება მრავალმხრივი ხელშეკრულებაა და ფაქტობრივად OAS-ის კონსტიტუციას წარმოადგენს. ის ხელმოწერილი იქნა ბოგოტაში (კოლუმბია) 1948 წელს, ხოლო ძალაში შევიდა 1951 წელს. წესდება რამდენიმე იქნა შესწორებული: კერძოდ, 1967 წელს ბუენოს-აირესის ოქმით და 1985 წელს კარტახენის ოქმით. (კარტახენა-დე-ინდიაგუაში, კოლუმბია). OAS-ს დაემატა კიდევ 2 ოქმი (ვაშინგტონის და მანაგუას ოქმები). 1948 წელს, შემუშავებულ წესდებაში პირდაპირ იქნა აღნიშნული, რომ “ამერიკის სახელმწიფოები აღიარებენ ადამიანის ძირითად უფლებებს რასის, ეროვნული კუთვნილების, მრწამსის ან სქესის განურჩევლად”. წესდების მე-6 მუხლში მითითებულ იქნა, რომ „ყოველ სახელმწიფოს გააჩნია უფლება თავისუფლად და ბუნებრივად განავითაროს თავისი კულტურა, პოლიტიკური-ეკონომიკური ცხოვრება... თავისუფალ განვითარებაში სახელმწიფო პატივს სცემს ცალკეულ პირთა უფლებებს და საყოველთაო მორალის პრინციპებს“. წესდებაში არაფერია ნათქვამი ცალკეულ უფლებებსა და თავისუფლებებსზე, თუმცა 1948 წელს მიღებულმა ამერიკულმა დეკლარაციამ ადამიანის უფლებათა და მოვალეობათა შესახებ აღიარა ადამიანის უფლებათა ფართო სპექტრი.

ბუენოს-აირესის ოქმით OAS-ის წესდებაში შევიდა ცვლილებები მათ შორის, ყველაზე მნიშვნელოვანია ადამიანის უფლებათა ამერიკათაშორისო კომისიის ჩამოყალიბება, რომელიც OAS-ის წესდების ორგანოა და მისი მთავარი ამოცანა მდგომარეობს „ადამიანის უფლებათა დაცვისა და ხელშეწყობის უზრუნველყოფაში“ (OAS-ის წესდების 52-ე მუხლი).

ადამიანის უფლებათა და მოვალეობათა ამერიკული დეკლარაცია. 1948 წლის 2 მაისს ამერიკის სახელმწიფოთა საერთაშორისო კონფერენციაზე მოხდა აღნიშნული დეკლარაციის გამოცხადება. აღსანიშნავია, რომ ამერიკული დეკლარაცია გაეროს ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციაზე რამდენიმე თვით ადრე გამოქვეყნდა. ამერიკული დეკლარაციის პრეამბულაში მითითებულია: „ადამიანის უფლებათა საერთაშორისო დაცვა უნდა გახდეს განვითარებადი, ამერიკული კანონმდებლობის მთავარი სახელმძღვანელო პრინციპი“.

დეკლარაციაში ჩამოთვლილია ადამიანის 27 უფლება და თავისუფლება, რომელიც მოიცავს სამოქალაქო, პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებებს. ამასთანავე, ადამიანის სიცოცხლის უფლებას, თავისუფლების

და უსაფრთხოების, კანონის წინაშე თანასწორობის, ბინადრობის და გადაადგილების უფლებას, უფლებას სამართლიან სასამართლოზე, თვითნებური დაკავებისაგან დაცვის უფლებას, შესაბამისი სასამართლო პროცესის უფლებას, მოქალაქეობის უფლებასა და პოლიტიკურ თავშესაფრის უფლებას, მრწამისის თავისუფლება, აზრის გამოხატვის თავისუფლება, შეკრებებისა და ასოციაციების შექმნის უფლება, პირადი ცხოვრების ხელ შეუხებლობის უფლება, საკუთრების უფლება, ჯანდაცვის უფლება, განათლების უფლება, იმ სიკეთეთა დაცვის უფლება, რომელიც სოციალურ სფეროს განეკუთვნება. ამ ჩამონათვალში მითითებულია ადამიანის მოვალეობა საზოგადოების, ოჯახის მიმართ, მოვალეობა მიიღოს განათლება, მონაწილეობდეს არჩევნებში, იცავდეს კანონს, ემსახუროს საზოგადოებას და ერს, გადაიხადოს გადასახადები და იშრომოს. დეკლარაციაში გაცხადებულია ადამიანის ვალდებულება დაიცვას საზოგადოებრივი უსაფრთხოება და კეთილდღეობა. აგრეთვე, თავი შეიკავოს პოლიტიკურ საქმიანობისაგან უცხო სახელმწიფოში. იმ პერიოდში დეკლარაცია წარმოადგენდა კონფერენციაზე მიღებულ აქტს, რომელსაც არ გააჩნდა რაიმე სავალდებულო ძალა, მაგრამ თანდათანობით სტატუსი შეიცვალა და დღეს განიხილება, როგორც ნორმატიული დოკუმენტი, რომელშიც მოცემულია OAS-ის წესდებაში აღიარებულ უფლებათა აუთენტური ახსნა-განმარტება. ამერიკათა შორისმა სასამართლომ ამ საკითხთან დაკავშირებით გამოიტანა გადაწყვეტილება, რომლითაც OAS-ის წევრი-სახელმწიფოებისათვის დეკლარაცია გამოცხადდა საერთაშორისო ვალდებულებად, რომელიც დაკავშირებულია OAS-ის წესდებასთან.

ამერიკის სახელმწიფოთა ორგანიზაციის წესდების საფუძველზე შექმნილი კომისია. ადამიანის უფლებათა ამერიკათაშორისო კომისია ჩამოყალიბდა 1959 წელს საგარეო საქმეთა მინისტრების შეხვედრაზე და განისაზღვრა კომისიის მანდატი. 1960 წელს, OAS-TUR შ-ის საბჭომ მიიღო კომისიის წესდება. საბჭომ კომისიას უწოდა OAS-ის ავტონომიური ორგანო, რომლის მიზანია ხელი შეუწყოს ადამიანის უფლებათა დაცვას.

კომისიას გააჩნია უფლება გამოკვლევები ჩაატაროს OAS-ის ქვეყნებში ადამიანის უფლებათა მდგომარეობის შესახებ მოამზადოს მოხსენებები, მისცეს რეკომენდაციები OAS-ის წევრ-

ქვეყნებს ადამიანის უფლებათა დაცვის განვითარებისა და ხელშეწყობის საქმეში ეროვნული კანონმდებლობის გათვალისწინებით...“. კომისიას გააჩნია წევრ-ქვეყნებთან თანამშრომლობის მდიდარი გამოცდილება.

კომისიას 1965 წლიდან, გააჩნია უფლება მიიღოს ინდივიდუალური განცხადებები OAS-ის რომელიმე წევრ-სახელმწიფოს მიერ დეკლარაციით აღიარებულ ზოგიერთი (მაგრამ არა ყველა) უფლების დარღვევის შესახებ. ასე მაგალითად, კომისიამ განიხილა ისეთი უფლებების დარღვევის ფაქტი, როგორცაა სიცოცხლის უფლება, უსაფრთხოებისა და თავისუფლების უფლება, კანონის წინაშე თანასწორობის უფლება, მრწამსის, თავისუფლების, აზრისა და შეხედულების გამოხატვის უფლება სამართლიან სასამართლოზე. კომისიამ ამით შექმნა ინდივიდუალური განაცხადების მიღებისა და განხილვის შეზღუდული სისტემა.

1970 წელს ბუენოს-აირესის ოქმის თანახმად, კომისიას სტატუსი შეეცვალა. მან კომისია OAS-სი ძირითად ორგანოდ აღიარა, რომლის ფუნქციაც მდგომარეობს „ხელი შეუწყოს ადამიანის უფლებათა დაცვას და ამ საქმეში იყოს ორგანიზაციის საკონსულტაციო ორგანო“. ამავე ოქმში მითითებულ იქნა, რომ ადამიანის უფლებათა ამერიკათაშორისო კონვენციამ უნდა განსაზღვროს კომისიის სტრუქტურა, კომპეტენცია და პროცედურები“.

ამერიკათაშორისო კონვენცია მიღებული იქნა 1969 წელს, ხოლო ძალაში შევიდა 1978 წელს. მაშინ, როდესაც OAS-ის წესდების ცვლილებები შემუშავებული იქნა 1967 წელს. კონვენციის შემქმნელებმა იცოდნენ რა, OAS-ის წესდების ცვლილებების შესახებ ადამიანის უფლებათა ამერიკათაშორისო კომისიას მიანიჭეს ორი განსაკუთრებული ფუნქცია:

- 1) ამ ფუნქციას კომისია ასრულებს ყველა OAS-ის წევრ-სახელმწიფოს მიმართ; 2) ფუნქცია, რომელსაც კომისია იყენებს მხოლოდ კონვენციის წევრ-სახელმწიფოების მიმართ.

1979 წელს მიღებული ახალი წესდება ძალაშია და მოქმედებს. კომისია, წესდებაში ჩამოთვლილ უფლებამოსილებებს დღესაც იყენებს: ა) OAS-ის წევრ-სახელმწიფოების მიმართ; ბ) კონვენციის წევრ-სახელმწიფოთა მიმართ; გ) OAS-ის წევრ-სახელმწიფოთა მიმართ, რომლებიც არ არიან კონვენციის წევრები.

კომისია, როგორც ამერიკის სახელმწიფოთა ორგანიზაციის წესდების საფუძველზე შექმნილი ორგანო მისი მუშაობის პრაქტიკა. ამ ორგანიზაციის საფუძველზე შექმნილი ორგანო—კომისია ასრულებს სხვადასხვა ფუნქციებს. კერძოდ, ხელს უწყობს ადამიანის უფლებათა დაცვას და აწარმოებს საკონსულტაციო საქმიანობას. აქტიურად მონაწილეობს ადამიანის უფლებათა დაცვაში, ხშირად გამოდის შუამავლად სამოქალაქო ომების დროს, საერთაშორისო შეიარაღებულ კონფლიქტებსა და მძევალთა გათავისუფლებაში.

აგრეთვე, კომისია შეისწავლის OAS-ის წევრ-სახელმწიფოებში ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხებს, როგორც წესი კომისია ახდენს ასეთი გამოკვლევის ინიცირებას, როდესაც იღებს ინდივიდუალურ განაცხადს ან გააჩნია სხვა სანდო წყაროდან მიღებული ინფორმაცია (უმეტესად ადამიანის უფლებათა დამცავი არასამთავრობო ორგანიზაციებისგან). იგი იწვებს თავის საქმიანობას ამ სფეროში, თუ აქვს საფუძველი ჩათვალოს, რომ რომელიმე კონკრეტული ქვეყნის მთავრობა მასიურად არღვევს ადამიანის უფლებებს.

კომისიამ, პირველად კუბაში შექმნილ ვითარებასთან დაკავშირებით ჩატარებული საგამოძიებო საქმიანობისას დანერგა მოწმეთა ჩვენებების, მოსმენის და მტკიცებულებათა მიღების პრეცედენტი.

1960 წელს კომისიამ დომინიკის რესპუბლიკაში ჩატარებული საგამოძიებო საქმიანობისას მოიარა ყველა რაიონი, მოუსმინა ასობით მოწმეს, შეხვდა და ესაუბრა საზოგადოების ფენებს (პროფკავშირებს, ეკლესიის წარმომადგენლებს, საქმიან წრეებს, კერძო პირებს). ქვეყანაში შეიქმნა წერილობითი და ზეპირი საჩივრების მიმღები წარმომადგენლობები. დომინიკის რესპუბლიკაში ჩატარებული საქმიანობა კომისიის შემდგომი საქმიანობის მოდელი გახდა.

ადგილზე გამოძიების ჩატარება ძირითადად კომისიასა და მთავრობას შორის წერილობითი ინფორმაციის გაცვლით ხდება იმ ქვეყნის თანხმობის საფუძველზე, სადაც მიმდინარეობს გამოძიება. თუმცა, ზოგიერთი სახელმწიფო თავისი ინიციატივით იწვევს კომისიას. წესდება მოითხოვს, რომ სახელმწიფო რომლის ტერიტორიაზეც კომისია აწარმოებს გამოძიებას კომისიას ამომწურავად მიაწოდოს ყველა საჭირო ინფორმაცია. გარდა ამისა, მთავრობა კისრულობს ვალდებულებას არ გამოიყენოს დამსჯელი სანქციები იმ პირთა მიმართ, ვინც კომისიას მისცემს

ჩვენებს. კომისიის წევრებს უფლება აქვთ თავისუფლად გადაადგილდნენ ქვეყანაში, გაესაუბრონ ნებისმიერ ადამიანს, მოინახულონ საპყრობილები. სახელმწიფო ვალდებულია წესდების თანახმად დაიცვას კომისიის წევრთა უსაფრთხოება.

დღეისათვის, ადგილზე გამოძიებას აწარმოებს ე.წ. ადამიანის უფლებათა ამერიკათაშორისო სპეციალური კომისია. კონფლიქტის თავიდან აცილების მიზნით წესდების 56-ე მუხლში საუბარია კომისიის წევრებზე, რომლებიც არიან იმ ქვეყნის მოქალაქეები, სადაც ტარდება საგამოძიებო მოქმედებები. მათ ეკრძალებათ კომისიაში მუშაობა.

აღნიშნული კომისიის მუშაობა რამდენიმე ეტაპისაგან შედგება. პირველი ეტაპი: კომისია ინფორმაციის მომზადების შემდეგ მუშაობს მოხსენების პროექტზე. მოხსენებაში დეკლარაციებისა და ამერიკული კონვენციის ანალიზის საფუძველზე მონაწილე ქვეყნებში აღწერს ადამიანის უფლებათა მდგომარეობას. აღნიშნული პროცედურის დასასრულებისთანავე პროექტს წარუდგენს მთავრობას კომენტარისათვის მიღებული პასუხის საფუძველზე. ახალი ფაქტების გაცნობისთანავე იღებს გადაწყვეტილებას მოხსენების პროექტში ცვლილებების შეტანის თაობაზე. მოხსენების განხილვის შედეგად გამოტანილ დასკვნებზე დაყრდნობით, კომისია წესდების საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას და აქვეყნებს მოხსენებას. იმ შემთხვევაში, თუ მთავრობა არ იძლევა შენიშვნებს და ეთანხმება კომისიას ან აღნიშნავს, რომ მის ქვეყანაში არავითარი დარღვევები არ არსებობს, მაშინ კომისია არ აქვეყნებს მოხსენებას. კომისიას შეუძლია მოხსენება გადასცეს OAS-ის გენერალურ ასამბლეას განსახილველად, ხოლო გენერალურ ასამბლეას შეუძლია განიხილოს კომისიის მოხსენება და გამოიტანოს რეზოლუცია. მიუხედავად იმისა, რომ გენერალური ასამბლეის აქტებს მხოლოდ მორალურ-პოლიტიკური მნიშვნელობა გააჩნიათ და არ არის იურიდიულად სავალდებულო.

ინდივიდუალური განაცხადები. ამერიკული კონვენციის მიღებამდე კომისია განიხილავდა მხოლოდ “პრივილეგირებულ” უფლებების დარღვევის ფაქტებს. ახალი წესდების თანახმად, კომისია დღეისათვის განიხილავს ყველა იმ უფლებათა დარღვევის ფაქტს, რომელიც აღიარებულია დეკლარაციითა და კონვენციით. კომისია რეაგირებს ყველა იმ ინდივიდუალურ განაცხადზე, რომელშიც საუბარია ადამიანის უფლებათა ამერიკული დეკლარაციით აღიარებულ უფლებათა დარღვევაზე.

კომისია იღებს ორი ტიპის განაცხადს: ინდივიდუალურს და კერძო შეტყობინებას. მიუხედავად იმისა, რომ კომისია ორივე განაცხადზე რეაგირებს ერთნაირად, განსხვავებას მაინც უხედვით მეორე შემთხვევაში. კერძოდ, განცხადება იმ სახელმწიფოთა მიმართ, რომლებიც არ არიან კონვენციის წევრები მთავრდება მოხსენების ანუ „საბოლოო გადაწყვეტილების“ მომზადებით. ამ გადაწყვეტილებაში ასახულია კომისიის მიერ გამოვლენილი ფაქტები, დასკვნები და რეკომენდაციები იმ სახელმწიფოების შესახებ, რომლებიც არ ასრულებენ რეკომენდაციებს. მსგავს სიტუაციაში კომისია ვალდებულია გამოაქვეყნოს მოხსენება.

ინდივიდუალურ განაცხადთა მიღებას გააჩნია 2 სუსტი წერტილი: განაცხადი, თუ ეხება იმ სახელმწიფოს, რომელიც არ არის კონვენციის მონაწილე, მაშინ სასამართლოს არ გააჩნია იურისდიქცია განიხილოს ეს საქმე. მეორეც, მიუხედავად იმისა, რომ კომისია გადასცემს თავის გადაწყვეტილებას გენერალურ ასამბლეას ეს ორგანო ნაკლებადაა არის დაინტერესებული ინდივიდუალური განაცხადების განხილვით.

კონვენციის საფუძველზე შექმნილი ადამიანის უფლებათა დაცვის სისტემა.

ადამიანის უფლებათა ამერიკული კონვენცია მიღებული იქნა 1969 წელს სან-ხორეში (კოსტა-რიკა) ორგანიზაციის დიპლომატიურ კონფერენციაზე. ის ძალაში შევიდა 1978 წელს. აღნიშნული ორგანიზაციის წევრია 35 სახელმწიფო.

კონვენციით აღიარებულია 20-ზე მეტი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებები ესენია: სამართლის სუბიექტად აღიარების უფლება, სიცოცხლის უფლება, უფლება ჰუმანურ მოპყრობაზე, მონობიდან თავისუფლება; პირადი თავისუფლების უფლება და სხვა. ამერიკული კონვენცია განმარტავს, რომ ტერმინი „პირი“ ნიშნავს „ადამიანს“ და აქედან გამომდინარე, კორპორაციები, ფირმები და იურიდიული პირები არ სარგებლობენ კონვენციით აღიარებული უფლებებით. კონვენციის მიხედვით, სახელმწიფო არა მარტო აღიარებს ამ უფლებებს, არამედ კისრულობს მათი შესრულებას. ე.ი. სახელმწიფოს გააჩნია პოზიტიური და ნეგატიური ვალდებულებები.

კონვენციის 27-ე მუხლი სახელმწიფოს აძლევს უფლებას „საომარ, საზოგადოებისათვის საშიშ პირობებში ან სხვა საგანგებო მდგომარეობის დროს“ თავი შეიკავოს ვალდებულებებისაგან, თუმცა ეს არ ეხება კონვენციით

გარანტირებულ ძირითად უფლებებს. იმ უფლებათა ჩამონათვალში რომელიც ექვემდებარება დროებით შეზღუდვას უფრო ფართო მასშტაბიანია, ვიდრე ეს მოცემულია ევროპულ კონვენციასა და სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა საერთაშორისო პაქტში.

კონვენციის ორგანოები. კონვენცია ითვალისწინებს აღამიანის უფლებათა კომისიისა და ამერიკათაშორისო სასამართლოს ჩამოყალიბებას.

ყოველი ინსტიტუტი შედგება 7 წევრისაგან, რომლებსაც ირჩევენ დამოუკიდებელ, კერძო პირებად. კომისიის წევრებს არჩევა ხდება OAS-ის ყველა წევრის მიერ მაშინ, როცა სასამართლოს წევრთა არჩევის უფლება გააჩნია მხოლოდ კონვენციის მონაწილე წევრ-სახელმწიფოებს და მხოლოდ მათ შეუძლიათ კანდიდატების წარადგენა.

კომისია განლაგებულია OAS-ის შტაბ-ბინაში ვაშინგტონში (კოლუმბიის ოლქი), სასამართლო კი, სან-ჰორეში (კოსტა-რიკა).

კომისია, როგორც კონვენციის საფუძველზე შექმნილი ორგანო. კომისიას ეძლევა უფლება მიიღოს ზომები შეტყობინებებისა და განაცხადების საფუძველზე თავისი უფლებამოსილების ფარგლებში, რომელიც განსაზღვრულია კონვენციით (41-ე მუხლი „წ“). ეს ეხება მხოლოდ განაცხადთა განხილვას, თუმცა ეს არ უნდა აგვერიოს განაცხადთა განხილვის OAS-ის წესდების სისტემაში.

განაცხადთა განხილვა. კონვენცია უფლებას აძლევს კომისიას განიხილოს ინდივიდუალური და სახელმწიფოთაშორისო განაცხადები კონვენციის წევრ-სახელმწიფოდ შესვლისთანავე სახელმწიფო კომისიის უფლებამოსილებას ავტომატურად აღიარებს და უფლებას აძლევს განიხილოს კერძო საჩივრები.

ევროპული სისტემისაგან განსხვავებით ამერიკული სისტემა საშუალებას იძლევა უფლების დარღვევის თაობაზე მსხვერპლის გარდა, განაცხადით მიმართოს ნებისმიერმა პირმა ან პირთა წრემ. ასევე, არასამთავრობო ორგანიზაციებმა.

განაცხადის მიღების კრიტერიუმებია:

- 1). ყველა შიდა სახელმწიფოებრივი სამართლებრივი დაცვის მექანიზმების ამოწურვა;
- 2). კომისიაში განაცხადი წარდგენილი უნდა იქნას არაუგვიანეს 6 თვისა. მას შემდეგ, რაც განმცხადებელს სასამართლოს გადაწყვეტილება ჩაბარდება;
- 3) დარღვეული უნდა იქნას კონვენციით აღიარებული უფლება; არსებობს გამონაკლისი, როდესაც:

1). სახელმწიფოში არ არსებობს სამართლებრივი დაცვის მექანიზმები.

2). ადგილი ჰქონდა სასამართლო დაცვის მისაწვდომობაზე უარის თქმას სახელმწიფოს შიგნით ან ადგილი ჰქონდა მის მუშაობაში ჩარევის ფაქტს.

3) რაც შეეხება სახელმწიფოთაშორის დავებს სახელმწიფოები უნდა იყვნენ არა მარტო კონვენციის წევრები, არამედ მათ აღიარებული უნდა ჰქონდეთ კომისიის იურისდიქცია სახელმწიფოთაშორისო დავების განხილვაზე.

ეს არის განმასხვავებელი ნიშანი ევროპული სისტემისაგან, რომლის დროსაც იქმნება ინდივიდუალური განაცხადების ფაქულტატიური სისტემა. კომისიის პროცედურა მიხედვით მოპასუხე სახელმწიფო უნდა ეცადოს დაამტკიცოს, რომ ყველა შიდა სამართლებრივი მექანიზმი არ იქნა ამოქმედებული. სახელმწიფო უფლებამოსილია მიიღოს განაცხადი, თუ ამ მოთხოვნის შესრულება შეუძლებელია.

4) სარჩელი გამოცხადდება მიუღებლად, თუ მასში არ არის ფაქტი *prima facie*, რომელიც კონვენციის მოქმედების ქვეშაა ან თუ „აშკარად დაუსაბუთებელია“ (47 მუხლი. (b) და (c)). 47-ე და 46-ე მუხლის თანახმად, კომისია არ განიხილავს საქმეს, თუ ის უკმმ განხილულია ან იხილება სხვა საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ, რომელიც არეგულირებს ამგვარ საკითხებს ან იმ საქმეებს, რომელიც არსებითად იყო კომისიის მიერ განხილული. საინტერესოა ის ფაქტი, რომ ამგვარი შეზღუდვა არსებობს ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლო პროცედურაშიც, მაგრამ ინტერამერიკული კომისიის მიდგომა გამოირჩევა თავისებურებით. კერძოდ, კომისია თვლის, რომ სარჩელი მისაღებია, თუ ის განხილულია იმ საერთაშორისო ორგანიზაციაში, რომელსაც არ ძალუძს კონკრეტული დახმარება გაუწიოს მოსარჩელეს, რომელსაც ელოდება კომისიისაგან. (იხ. ველასკეს როდრიგესის საქმე; ნეირა ალეგრას საქმე; კალაბერის დელგადოს საქმე). სარჩელის განხილვისას კომისია ამოწმებს ყველა საკითხს და ამისათვის მიმართავს სახელმწიფოს ინფორმაციის მისაღებად. კომისიას შეუძლია კონკრეტულ საქმესთან დაკავშირებით მოაწყოს განხილვა (მოსმენა), რომელშიც მონაწილეობს, როგორც სახელმწიფო წარმომადგენელი ისე განმცხადებელი. კომისია გარკვეულ როლს თამაშობს მხარეთა შორის დავის მეგობრულ დარეგულირების ღროს, თუ მხარეთა შორის კონფლიქტი მეგობრულად მოგვარდა

კომისია ამზადებს მოხსენებას, სადაც აღწერს ფაქტებს და იძლევა ინფორმაციას, თუ როგორ უნდა დარღვეულიდეს ეს საკითხი, თუ მხარეები ვერ შეთანხმდებიან, მაშინ კომისია ამზადებს მოხსენებას, რომელშიც აღწერს ფაქტებს და დასკვნებს, რომელიც მან გააკეთა ამ საქმესთან დაკავშირებით.

მოხსენება, რომელშიც მითითებულია კონვენციით გარანტირებული უფლებების დარღვევის შესახებ თან ეროვის კომისიის მიერ გაკეთებული რეკომენდაციები. აღნიშნული დოკუმენტი გადაეგზავნება დაინტერესებულ სახელმწიფოებს. მათ ეძლევათ 3 თვე რათა გაითვალისწინონ კომისიის რეკომენდაციები და მათზე მოახდინონ რეაგირება. ამ დროს საქმე ასევე შეიძლება გადაეცეს ინტერამერიკული სასამართლოს კომისიისა ან დაინტერესებული მხარისაგან. ცალკეულ პირებს უფლება არა აქვთ გადასცენ საქმე ადამიანის უფლებათა ინტერამერიკულ სასამართლოს.

კომისია, თუ დაადგენს, რომ ადგილი ჰქონდა დარღვევას მან უნდა წარადგინოს თავისი რეკომენდაციები. სახელმწიფოს ეძლევა დრო ზომების მისაღებად და შექმნილი ვითარების გამოსასწორებლად. აღნიშნული დროის ამოწურვისას კომისიამ ხმათა აბსოლუტური უმრავლესობით უნდა გადაწყვიტოს მიიღოს, თუ არა სახელმწიფომ ზომები და უნდა გამოაქვეყნოს, თუ არა კომისიის მოხსენება. მოხსენება განიხილება OAS-ს გენერალურ ასამბლეაზე, რაც საშუალებას იძლევა OAS-მ გარკვეული რეაგირება მოახდინოს კონკრეტულ უფლებათა დამრღვევი სახელმწიფოს მიმართ, რომელიც არ ასრულებს კომისიის რეკომენდაციებს.

კომისია უფლებამოსილია განიხილოს სახელმწიფოთაშორისი დაკავშირება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ორივე მხარე აღიარებს კომისიის კომპეტენციას მიიღოს ამგვარი განცხადება. სახელმწიფოთაშორისო დაკავშირება გამოტანილი კომისიის გადაწყვეტილება საბოლოოა და გასაჩივრებას არ ექვემდებარება.

კომისიის როლი სასამართლოში. კონვენცია კომისიას აძლევს უფლებას გადასცეს სასამართლოში საქმე. ამასთან, ის აუცილებლად უნდა ესწრებოდეს სასამართლო განხილვას იქნება ეს ინდივიდუალური სარჩელი, თუ სახელმწიფო-სახელმწიფოს წინააღმდეგ. აქედან ნათლად სჩანს, რომ კომისია უფრო მეტს ნიშნავს, ვიდრე სასამართლოში მხარე. უფრო მეტიც, კომისია საქმეს გადასცემს სასამართლოს არა თავისი სახელით არამედ

ცალკეული, კონკრეტული მოსარჩლის ან მოსარჩელე სახელმწიფოს სახელით, როდესაც კომისია ესწრება სასამართლოს ის გამოდის არა, როგორც დაცვის მხარე არამედ, როგორც ინტერამერიკული სისტემის ნაწილი ანუ „კონვენციით დადგენილ სამართლებრივი წესრიგის დამცველი“. მისი ფუნქციაა სასამართლოში ხელი შეუწყოს ადამიანის უფლებათა დაცვის სამართლებრივ და ინსტიტუციონალურ სისტემების მოღვივებას, რომელიც ჩამოყალიბებულია კონვენციის საფუძველზე.

კომისიას შეუძლია მიმართოს სასამართლოს თხოვნით, რათა სასამართლომ გამოიტანოს საკონსულტაციო გადაწყვეტილება; ასევე, მხოლოდ კომისიის თხოვნით შეუძლია სასამართლოს გამოსცეს დროებითი აღმკვეთი ბრძანებები.

ადამიანის უფლებათა ამერიკათაშორისო სასამართლო, სასამართლოს იურისდიქცია. სასამართლო განიხილავს განაცხადებს (სარჩელებს), რომელშიც მითითებულია სახელმწიფოს მხრიდან კონვენციით გარანტირებულ უფლებათა დარღვევების შესახებ. სასამართლოს ასევე, გამოაქვს საკონსულტაციო გადაწყვეტილებები, რომელიც იძლევა კონვენციასა და სხვა ადამიანის უფლებათა შესახებ ხელშეკრულებათა განმარტებას.

განსხვავებით ევროპული სისტემისაგან, ამერიკათაშორისო სასამართლოს იურისდიქცია ითვალისწინებს არა მარტო კონვენციის წევრ-სახელმწიფოთა მიერ რატიფიცირებას, არამედ სახელმწიფოს მხრიდან სასამართლოს იურისდიქციის ან სპეციალური შეთანხმების აღიარების.

სასამართლოში საქმის გადაცემის უფლება მხოლოდ სახელმწიფოს და კომისიას გააჩნია. იმისათვის, რომ საქმე სასამართლოში იქნას გადაცემული აუცილებელია საქმის განხილვა და კომისიაში ყველა პროცედურის დასრულება.

სასამართლოს უფლებამოსილება სადაო საკითხთა გადაწყვეტისას. სასამართლოში საქმის შეცვლისას, სასამართლო უფლებამოსილია მთლიანად გადასინჯოს კომისიის დასკვნა. სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილება საბოლოოა და გასაჩივრებას არ ექვემდებარება. წევრი-სახელმწიფოები და მხარეები იღებენ ვალდებულებას შეასრულონ სასამართლოს გადაწყვეტილება. გოლარდოს საქმესთან დაკავშირებით კოსტა-რიკის მთავრობა ცდილობდა საქმე გადაეცა პირდაპირ სასამართლოში კომისიაზე განხილვის გვერდის ავლით.

სასამართლომ კი კომისიის გადაწყვეტილების გარეშე საქმე არ მიიღო განსახილველად.

სასამართლოს გამოაქვს 2 ტიპის გადაწყვეტილება:

1). ფულადი კომპენსაციის შესახებ; 2). დეკლარაციული გადაწყვეტილებები.

ამ უკანასკნელში მითითებულია არა მარტო უფლებების დარღვევები, არამედ დასახულია სახელმწიფოში შექმნილი ვითარების გამოსწორების გზებიც.

კონვენცია არ ქმნის რაიმე სპეციალურ მექანიზმს სასამართლო გადაწყვეტილებათა შესრულების საზედამხედველოდ, მაგრამ სასამართლო OAS-ის გენერალურ ასამბლეას აძლევს ინფორმაციას სასამართლოს გადაწყვეტილებათა შეუსრულებლობის შესახებ. ასამბლეა განიხილავს აღნიშნულ საკითხს და იღებს პოლიტიკურ ზომებს. მიუხედავად ამისა, ასამბლეას არ გააჩნია უფლებამოსილება მიიღოს ისეთი რეზოლუციები, რომლებიც წევრ-სახელმწიფოებს აიძულებს სასამართლო გადაწყვეტილებების შესრულებას.

§ 9. ადამიანის და ხალხთა უფლებების დაცვის აშრიკული სისტემა

ადამიანის უფლებათა აფრიკული სისტემა ეყრდნობა „ადამიანის და ხალხთა უფლებების შესახებ აფრიკულ ქარტიას“, რომელიც ძალაში შევიდა 1986 წლის 21 ოქტომბერს. ქარტია მიღებულ იქნა აფრიკის ერთიანობის ორგანიზაციის მიერ 1981 წელს, ხოლო (OAG) 1963 წელს, რეგიონალური ორგანიზაცია ჩამოყალიბდა.

აფრიკულ ქარტიას, ზოგჯერ „ხალხთა უფლებების“ გამოცხადების გამო, „მესამე თაობის“ უფლებების ქარტიას უწოდებენ. ქარტიით აღიარებულია ხალხთა უფლებები თვითგამორკვევაზე, მშვიდობაზე, „სუფთა გარემოზე“.

ამერიკული და ევროპული სისტემებისაგან განსხვავებით, აფრიკული სისტემა მთელი რიგი თავისებურებებით გამოირჩევა:

1) მასში მოცემულია, როგორც ადამიანის უფლებები ისე ხალხთა უფლებები; 2) აფრიკული ქარტია აღიარებს, როგორც უფლებებს ისე მოვალეობებს. 3) ქარტიით აღიარებულია, როგორც სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებები ისე სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული უფლებები.

იმდენად, რამდენადაც ქარტიაზე ძალიან დიდია გაეროს დოკუმენტების ზეგავლენა ის წააგავს სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა პაქტს და სოციალურ, ეკონომიურ და ადამიანის უფლებათა საერთაშორისო პაქტს. ქარტიას ეფუძნება აფრიკული ტრადიციები.

პიროვნების უფლებები. ქარტია დიდ ყურადღებას უთმობს დისკრიმინაციის დაუშვებლობას. ძირითადად გარანტირებულია სიცოცხლის უფლება, აკრძალულია მონობა, წამება, სასტიკი მოპყრობა, უკანონოდ დაკავება კანონისათვის უკუძალის მინიჭება. ქარტია აღიარებს უფლებას, გამოხატვის თავისუფლებას, ასოციაციისა და შეკრებების თავისუფლებას. ქარტიით აკრძალულია მოსახლეობის მასობრივი გასახლება, რომელიც მიმართულია ეროვნული, რასობრივი, ეთნიკური და რელიგიური ჯგუფების წინააღმდეგ.

ქარტიით გარანტირებულია შრომის, საკუთრების, განათლების უფლება. ქარტიაში მითითებულია, რომ სახელმწიფო კისრულობს ვალდებულებას აღმოფხვრას ყველა ფორმის დისკრიმინაცია. დაიცვას ქალისა და ბავშვის უფლებები გარანტირებულ-საერთაშორისო დეკლარაციებითა და კონვენციებით. ეს არის სისტემის განმასხვავებელი ნიშანი, რადგან თითქმის არ მოიპოვება ადამიანის უფლებათა სფეროში სხვა ხელშეკრულებები, რომელშიც ასე პირდაპირ არის ინკორპორირებული და მითითებული საერთაშორისო დოკუმენტებზე.

მთავალეობები. ქარტიით აღიარებული უფლებები იყოფა 2 ნაწილად: 1). კორელატიური უფლებები; 2). უფლებათა შეზღუდვა;

მოვალეობებში მითითებულია ისეთ ვალდებულებებზე, როგორიცაა „მშობლების პატივისცემა და მათი დახმარება, ეროვნული სოლიდარობის დაცვა და შენარჩუნება“ და სხვა.

ადამიანისა და ხალხთა უფლებების აფრიკული კომისია. კომისიას ორი ფუნქცია გააჩნია. ეს არის – კვაზი სასამართლო, რომელიც საგანმანათლებლო ფუნქციას ასრულებს. ამავე დროს კომისიას საკონსულტაციო უფლება და დავების გადაწყვეტის უფლებაც გააჩნია.

კვაზი სასამართლოს უფლებამოსილება. ადამიანის უფლებათა დარღვევის ფაქტებს იხილავს ადამიანისა და ხალხთა უფლებათა დაცვის აფრიკული კომისია, რომელიც კვაზი

სასამართლოს ფუნქციებს ახორციელებს. ასევე, ეყრდნობა ქარტიისა და ხალხთა უფლებების საფუძველებს.

ინდივიდუალური განაცხადები. განაცხადები შეიძლება იყოს ინდივიდუალური, არასამთავრობო ორგანიზაციებისაგან ან სხვადასხვა საინფორმაციო წყაროებისაგან მოწოდებული.

განაცხადის მიღების კრიტერიუმები ჩამოთვლილია ქარტიის 56-ე მუხლში. კერძოდ, ამოწურული უნდა იქნას ყველა შიდა დაცვის საშუალება და განაცხადი არ უნდა ეყრდნობოდეს მასმედიაში გაერკველებულ ინფორმაციას. აფრიკულ სისტემას ისიც გამოარჩევს, რომ აქ ინდივიდის ცალკეული დარღვევის საკითხი არ განიხილება. კომისია განიხილავს მხოლოდ ადამიანის და ხალხთა უფლებათა სერიოზულ და მასობრივ დარღვევებს.

მასობრივ დარღვევად ჩაითვლება ფართო-მასშტაბიანი ხასიათის დარღვევები, (58-ე მუხლი(1)) როგორც კი, კომისია ჩათვლის განაცხადს მისაღებად მან ეს განაცხადი უნდა გადასცეს სახელმწიფოს მეთაურს და მთავრობათა ასამბლეას განსახილველად. ამის შემდეგ ასამბლეა, თუ ჩათვლის, რომ დარღვევა მისაღებია განსახილველად გადასცემს კომისიას რათა კომისიამ დეტალურად განიხილოს საქმე და გამოიკვლიოს ფაქტები. გამოკვლევათა შედეგები ფორმდება კომისიის მიხსენებაში, რომელიც გადაეცემა ასამბლეას. მოხსენება კონფიდენციალურია მანამდე, ვიდრე ასამბლეა არ მიიღებს მისი გამოქვეყნების შესახებ გადაწყვეტილებას. კომისიის წლიური ანგარიში შეიძლება გამოქვეყნდეს მხოლოდ ასამბლეაზე განხილვის შემდეგ.

კომისიის საგანმანათლებლო მანდატი ძალიან ფართოა. კომისიას უფლება აქვს ჩაატაროს გამოკვლევები. მოიწვიოს კონფერენციები, გამოაქვეყნოს ადამიანის უფლებათა დაცვაზე პუბლიკაციები, ურთიერთობა ჰქონდეს ეროვნულ ინსტიტუტებთან და გააერკველოს ინფორმაცია. კომისიას შეუძლია მისცეს რეკომენდაციები მთავრობას.

ცოდნის შემოწმება:

1. დაახასიათეთ რეგიონალური ორგანიზაციები, რა საერთო და განმასხვავებელი ნიშანები გააჩნიათ მათ?
2. რა ფუნქციებს ასრულებს ეუთოს მისია საქართველოში?
3. რა უფლებებს არეგულირებს ე.წ. ევრო კავშირის ფარგლებში მიღებული ევროპის კონსტიტუცია?

4. რა უფლებებია დაცული ადამიანის უფლებათა ამერიკულ დეკლარაციაში და კონვენციაში?

3. რა უფლებებია დაცული ადამიანისა და ხალხის უფლებათა აფრიკულ ქარტიაში?

სასწავლო-მეთოდოლოგია:

წინამდებარე მასალის ასათვისებლად საჭიროა სტუდენტი გაეცნოს ადამიანის უფლებათა ამერიკულ კონვენციისა და აფრიკული ქარტიის ტექსტებს.

ბამოყენებული ლიტერატურა:

- Т. Бюргенталь. Международное право прав человека. А-А. 1999г. ст 298-303.
- A.Cancado Trindade. Inter-American system of protection of Human Rights (1948-2002). Documentary (Vol.2). 33 session d'enseignement Strasbourg. 2002.pp.119-165.
- The American Human Rights protection system. Christof Huns. Strasbourg. 2003.pp.240-243.
- Maary R. Documents of the African Commission on Human and People's Rights: Hurt Publishing. 2001. p.20-23.

თავი IV. ადამიანის უფლებათა დაცვა შეიარაღებულ კონფლიქტებში

§1. ადამიანის უფლებათა დაცვა და ქენევის სამართალი

ადამიანის უფლებათა სამართალი, როგორც საერთაშორისო სამართლის დარგი შედგება პრინციპებისა და ნორმებისაგან, რომლებიც გამოხატულებას პოულობენ საერთაშორისო დოკუმენტებში. ყველა ეს პრინციპი და ნორმა დაცულია, როგორც მშვიდობიან ისე შეიარაღებული კონფლიქტების პერიოდში. ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალში მიღებულია სპეციალური ტერმინი – „განუსხვისებელი უფლებები“, ეს არის უფლება რომლის შეზღუდვა არ დაიშვება საომარი მოქმედების დროს, ხოლო საგანგებო მდგომარეობაში მყოფი სახელმწიფოს მხრიდან, გარკვეულ შეზღუდვებს მიხლოდ ზოგიერთი უფლება ექვემდებარება.

საერთაშორისო პუმიანიტარული სამართალი ადამიანის უფლებათა დაცვის სისტემის ნაწილს წარმოადგენს.

საერთაშორისო პუმიანიტარული სამართალი, როგორც საერთაშორისო სამართლის შემადგენელი ნაწილი და დამოუკიდებელი დარგი არეგულირებს ადამიანის ბედს შეიარაღებულ კონფლიქტებში და ომის წარმოების წესებსა და მეთოდებს. საერთაშორისო პუმიანიტარული სამართალი (ჟენევის სამართალი) კრძალავს შეიარაღებული კონფლიქტის ზონაში მოხვედრილი პირების უფლებათა დარღვევას. შეიარაღებულ კონფლიქტების მსხვერპლთა დაცვა რეგულირდება ჟენევის 1949 წელს, მიღებული 4 კონვენციითა და 1977 წელს მიღებული ორი დამატებითი ოქმით:

- 1949 წლის ჟენევის I კონვენცია - მოქმედ არმიებში დაჭრილებისა და ავადმყოფების მდგომარეობის გაუმჯობესების შესახებ;
- 1949 წლის ჟენევის II კონვენცია -საზღვაო შეიარაღებული ძალების შემადგენლობაში შემავალი დაჭრილებისა და ავადმყოფების და ხომაღდების კატასტროფაში მოყოლილ პირთა მდგომარეობის გაუმჯობესების შესახებ;

- 1949 წლის ენევის III კონვენცია - სამხედრო ტყვეებისადმი მოპყრობის შესახებ;
- 1949 წლის ენევის IV კონვენცია - სამოქალაქო მოსახლეობის დაცვა შეიარაღებული კონფლიქტების დროს.;
- 1949 წლის ენევის კონვენციების I დამატებითი ოქმი საერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტების მსხვერპლთა დაცვის შესახებ;
- 1949 წლის ენევის კონვენციების II დამატებითი ოქმი არასაერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტების მსხვერპლთა დაცვის შესახებ;

კონვენციით აკრძალულია:

- 1). პირის სიცოცხლის ხელყოფა და მისი ფიზიკური ხელშეუხებლობა; (მკვლელობა, დასახიჩრება, წამება, სასტიკი მოპყრობა).
- 2). მძევლად აყვანა;
- 3) პიროვნული ღირსების ხელყოფა, დამამცირებელი მოპყრობა;
- 4) სასამართლოს განხილვის გარეშე სასჯელის გამოყენება.

სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა პაქტში ასახულია თანამედროვე საერთაშორისო სამართლის პრინციპები ადამიანის ფუნდამენტური უფლებებისა და თავისუფლებების შესახებ. ეს პრინციპები მოქმედებენ ნებისმიერ პერიოდში მათ შორის, შეიარაღებული კონფლიქტების დროსაც. გაეროს გენერალური ასამბლეის რეზოლუციებში არა ერთხელ იქნა აღნიშნული, რომ შეიარაღებული კონფლიქტების პერიოდში სახელმწიფომ უნდა შეასრულოს ვალდებულებები და დაიცვას ადამიანის ძირითადი უფლებები.

ადამიანის უფლებები, როგორც თანამედროვე საერთაშორისო სამართლის დარგი შედგება პრინციპებისა და ნორმებისაგან, რომლითაც განისაზღვრება სახელმწიფოთა ვალდებულებები დაიცვან ადამიანის უფლებები და ძირითადი თავისუფლებები ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე მშვიდობიან, თუ საომარ მდგომარეობაში.

ეს დარგი განსაკუთრებულ ადგილს იკავებს საერთაშორისო სამართლის სხვა დარგთა შორის. მას გარკვეული სპეციალური რეგულირების ობიექტი გააჩნია. საერთაშორისო პუმანიტარული სამართლის დამახასიათებელი ნიშანია-საერთაშორისო მექანიზმების შექმნა და ფუნქციონირება, რომლებიც

ახორციელებენ კონტროლს სახელმწიფოს მიერ აღებული საერთაშორისო ვალდებულებათა შესრულებაზე.

მიუხედავად იმისა, რომ ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალი და საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი ორივე საერთაშორისო საჯარო სამართლის შემადგენელი დარგებია და მათი მიზანიც ერთია - დაიცვან ადამიანის უფლებები, თუმცა სპეციფიური ხასიათიდან გამომდინარე, ისინი ერთმანეთისაგან საგრძნობლად განსხვავდებიან.

განსხვავებები ადამიანის უფლებათა სამართლისა და საერთაშორისო ჰუმანიტარულ სამართალს შორის შემდეგში მდგომარეობს:

1) საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი ადამიანის უფლებათა სამართლის შემადგენელი ნაწილია, რომელიც მოქმედებს საერთაშორისო და არასაერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტების დროს. ადამიანის უფლებების სფეროში მშვიდობიან პერიოდში არსებული შეთანხმებებისაგან განსხვავებით, (რომელიც უშვებს ადამიანის გარკვეულ უფლებათა შესღუდვას.) საგანგებო მდგომარეობაში სახელმწიფო მხრიდან, რაიმე შეზღუდვის დაშვება ჰუმანიტარული სამართლისათვის უცხოა. საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი თავისი დებულებებიდან გამომდინარე, არ უშვებს არც ერთ ვითარებაში გადახვევას. „ეინიდან ეს დებულებები სპეციალურადაა გათვალისწინებული ომის პერიოდისათვის“.

2). საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლით წესრიგდება ურთიერთობები შეიარაღებული კონფლიქტის მხარესთან. მოწინააღმდეგე მხრის მეომრები ტყვედ ჩავარდნის შემთხვევაში სარგებლობენ დაცვის უფლებით. მოწინააღმდეგე სახელმწიფოს ტერიტორიაზე დარჩენილი სამოქალაქო მოსახლეობის უფლებები დაცულია ჟენევის IV კონვენციით.

ადამიანის უფლებათა სფეროში დადებული შეთანხმებები კი პირიქით, აწესრიგებენ ურთიერთობებს ერთი და იმავე სახელმწიფოს ხელისუფლებასა და მოქალაქეთა შორის.

3) ადამიანის უფლებათა სამართლით გარანტირებული ყველა ძირითადი უფლება და თავისუფლება არ გამოიყენება ომის დროს. კერძოდ, თავისუფლება აღკვეთილი პირის წამებისაგან, სასტიკი, არაადამიანური მოპყრობისაგან დაცვა. ადამიანის უფლებათა სამართლსა და საერთაშორისო ჰუმანიტარულ სამართალში ანალოგიურადაა დაცული, მაგრამ

საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი არ უზრუნველყოფს საგანგებო მდგომარეობიდან გამომდინარე სიტყვის ან თავისუფლად გადაადგილების უფლების დაცვას. ამასთან, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალი კრძალავს ყოველგვარ ძალადობას მაშინ, როცა საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი არეგულირებს ომის წარმოების მეთოდებსა და შეიარაღებულ კონფლიქტში იარაღის გამოყენების წესებს.

4). საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლისაგან განსხვავებით მოითხოვს უფრო მეტ ძალისხმევას არა მარტო სახელმწიფოსაგან, არამედ საზოგადოებისაგანაც. მაშინ, როდესაც საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი მოითხოვს სახელმწიფოსაგან პოზიტიურ ვალდებულებათა შესრულებას და გამორიცხავს ნეგატიურ ვალდებულებებს, ადამიანის უფლებათა სამართალი მოითხოვს სახელმწიფოებისაგან, როგორც პოზიტიურ ასევე, საერთაშორისო ნეგატიურ ვალდებულებათა განხორციელებას.

ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალით დაცულია “პირის” შესაძლებლობები განვითარდეს, როგორც პიროვნება, განახორციელოს თავისი პოლოტიკური, ეკონომიკური, რელიგიური და კულტურული უფლებები. სამართლის ეს დარგი იცავს პიროვნებას სახელმწიფოს მხრიდან ყოველგვარი განუკითხაობისაგან. საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ამოცანაა ინდივიდის დაცვა სამხედრო კონფლიქტების პერიოდში.

საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი კავშირშია ლტოლვილთა საერთაშორისო სამართალთან. ლტოლვილებს ომის დროს განსაკუთრებულ სტატუსს ანიჭებს. შეიარაღებული კონფლიქტების დროს, ლტოლვილებს იცავენ ისევე, როგორც სხვა სამოქალაქო პირებს.

უენევის კონვენციები და დამატებითი ოქმები განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობენ „კომბენდანტების“ და „მფარველობის ქვეშ მყოფ პირთა“ დაცვას.

კომბატანტები — არიან შეიარაღებულ კონფლიქტში მონაწილე მხარის შეიარაღებულ ძალებში შემავალი პირები (სამეურნეო, სამედიცინო და სასულიერო პერსონალი), რომლებსაც უფლება აქვთ უშუალო მონაწილეობა მიიღონ საომარ მოქმედებებში. ჰააგის 1899 და 1907 წლების

კონვენციებში, ჟენევის, 1949 წლის კონვენციასა და 1977 წლის დამატებით ოქმებში "ომის მსხვერპლთა დაცვის შესახებ", განსაზღვრულია კომბატანტთა წრე. ესენია: სახმელეთო, სამხედრო-საზღვაო და სამხედრო-საჰაერო ძალების პირადი შემადგენლობა, პარტიზანები და მოხალისეები, რომლებიც ღიად ატარებენ იარაღს, იცავენ ომის კანონებსა და ჩვეულებებს, აყავთ პასუხისმგებელი სამხედრო ხელმძღვანელი; მოსახლეობა, რომელიც იარაღით ხელში იცავს თავს დამპყრობლებისაგან, სამხედრო ხომალდების ეკიპაჟები. კომბატანტები უნდა განსხვავდებოდნენ სამოქალაქო მოსახლეობისაგან. კერძოდ, ღიად უნდა ატარებდნენ ფორმას, აქონდეთ შორი მანძილიდან ამოსაცნობი განმასხვავებელი ნიშანი. მოწინააღმდეგე მხარის ხელისუფლების ხელში მოხვედრილი "პირი," რომელიც სამხედრო მოქმედებაში მონაწილეობდა ითვლება სამხედრო ტყვედ და შესაბამისად სარგებლობს დაცვის უფლებით (1977 წლის I დამატებითი ოქმის 45-ე მუხლი). საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ნორმებით კომბატანტისათვის გათვალისწინებულია დაცვის სპეციალური მექანიზმი. აღნიშნული პირები ტყვეობაში ჩაყვარდნისას სარგებლობენ სამხედრო ტყვის სტატუსით. კომბატანტის სტატუსით არ სარგებლობენ ჯაშუშები და დაქირავებული პირები.

მფარველობაში მყოფი პირები - არიან, საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლით გათვალისწინებული ისეთი პირები, რომლებიც ომის მსხვერპლთა დაცვის შესახებ 1949 წლის ჟენევის კონვენციების მიხედვით და ამ კონვენციების 1977 წელს მიღებული ორი დამატებითი ოქმით, შეიარაღებული კონფლიქტების დროს განსაკუთრებული დაცვით სარგებლობენ. მათი სტატუსი დადგენილია ჟენევის 1949 წლის კონვენციებითა და 1977 წლის დამატებითი ოქმებით ომის მსხვერპლთა დაცვის შესახებ. განასხვავებენ მფარველობაში მყოფ პირთა რამდენიმე კატეგორიას, როგორც შეიარაღებულ ძალებში, ისე სამოქალაქო მოსახლეობაში. ესენია: დაჭრილები, ავადმყოფები და ხომალდის კატასტროფაში მოყოლილი პირები, სამხედრო ტყვეები, ინტერნირებული სამოქალაქო პირები, მოწინააღმდეგის ტერიტორიაზე მყოფი სამოქალაქო პირები, ოკუპირებულ ტერიტორიაზე მყოფი სამოქალაქო პირები. 1949 წლის ჟენევის კონვენციის მეორე დამატებითი ოქმი არასაერთაშორისო შეიარაღებულ კონფლიქტებს ეხება და არ სცნობს იმ პირთა განსაკუთრებულ

სტატუსს, რომლებიც მონაწილეობენ საომარ მოქმედებებში. აღნიშნულ ოქმში საუბარია მხოლოდ იმ პირებზე, რომლებიც ძალას იყენებენ არასაერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტის დროს აგრეთვე, იმ პირებზე, რომლებიც არ იყენებენ ან ვეღარ იყენებენ ასეთ ძალას. მაგალითად, დაჭრილები, ავადმყოფები, ტყვეები, მოსახლეობა, რომელიც საომარ მოქმედებებში არ მონაწილეობს.

ბავშვები. ბავშვების კეთილდღეობა, უფლებებისა და ინტერესების დაცვა ყოველთვის იყო საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ყურადღების ცენტრში.

საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი თანაბრად იცავს შეიარაღებული კონფლიქტის ყველა მონაწილეს მიუხედავად რასისა, კანის ფერისა, რელიგიისა, რწმენისა და სქესისა. საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ნორმებში განსაკუთრებულადაა გამახვილებული ყურადღება შეიარაღებულ კონფლიქტში საზოგადოების ყველაზე სუსტ და დაუცველ ფენაზე—ბავშვებზე.

საერთაშორისო ჰუმანიტარულ სამართალში ბავშვების იურიდიული დაცვის შესახებ საკითხი წამოიჭრა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ. ჟენევის IV კონვენციაში შემდგომ კი, 1977 წლის I და II დამატებით ოქმებში ყურადღება იქნა გამახვილებული ბავშვის უფლებების დაცვაზე.⁵⁵

ბავშვის დაცვის საკითხი საერთაშორისო ჰუმანიტარულ სამართალში შეიძლება განვიხილოთ ორ კონტექსტში: 1). საერთო დაცვა, როდესაც ბავშვები წარმოადგენენ ისეთივე ომის მსხვერპლს, როგორც მშვიდობიანი მოსახლეობა; 2). განსაკუთრებული დაცვა-ბავშვები, როგორც მოსახლეობის ყველაზე სუსტი ნაწილი.

საერთაშორისო ხასიათის კონფლიქტებში ბავშვები დაცულნი არიან ჟენევის კონვენციებით, როგორც სამოქალაქო მოსახლეობა

⁵⁵ ბავშვთა უფლებების დაცვა ყურადღებას ამახვილებს არა მარტო საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ნორმები, 1959 წელს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა ანსამბლემ მიიღო ბავშვის უფლებების დეკლარაცია, ხოლო 1989 წელს მიღებული იქნა ბავშვის უფლებების კონვენცია, რომელიც ადამიანთა უფლებების მთელ სპექტრს მოიცავს. მასში ცალკე მუხლადაა განხილული ბავშვის უფლებების დაცვა შეიარაღებულ კონფლიქტებში.

და ისინი მფარველობის ქვეშ მყოფ პირებად ცხადდებიან. გარდა ამისა, ბავშვებზე, როგორც მოსახლეობის ნაწილზე ვრცელდება საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ნორმები, რომლებიც ომის წარმოების წესებს შეეხება.

საერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტების პერიოდში ბავშვები შედიან სამოქალაქო მოსახლეობის კატეგორიაში და დაცული არიან ენევის IV კონვენციის მე-3 მუხლით, რომელიც საერთოა ოთხივე კონვენციისათვის. მიუხედავად ამისა, მესამე მუხლში საუბარია ზოგადად მოსახლეობაზე და ცალკე არ არის მოხსენებული ბავშვები. ბავშვების დაცვის შესახებ მითითებულია I-ლი დამატებითი ოქმის 77-ე მუხლში. ამ მუხლის ძალით, ბავშვები სარგებლობენ განსაკუთრებული პატივისცემით და დაცულნი არიან ნებისმიერი სახის ხელყოფისაგან. „ბავშვები სარგებლობენ განსაკუთრებული პატივისცემით და უზრუნველყოფილნი არიან ნებისმიერი სახის უღირსი ხელყოფისაგან. კონფლიქტში მყოფი მხარეები უზრუნველყოფენ მათ დაცვას და დახმარების გაწევას მათი ასაკის და სხვა გარემოებათა გათვალისწინებით“. როგორც კონვენციის მუხლის ტექსტიდან სჩანს, ბავშვები სარგებლობენ განსაკუთრებული დაცვის უფლებითაც.

ასევე, გარანტირებულია ბავშვთა სპეციალური დაცვა არასაერთაშორისო ხასიათის შეიარაღებულ კონფლიქტებში. II დამატებითი ოქმის მე-4 მუხლის III პუნქტის მიხედვით, „ბავშვები უზრუნველყოფილნი არიან აუცილებელი მზრუნველობით და დახმარებით“.

თანამედროვე შეიარაღებულ კონფლიქტებში ხშირად შეუძლებელია მკაფიო გამოიჯენა სამოქალაქო მოსახლეობის იმ პირთაგან, რომლებიც იარაღით ხელში იბრძვიან მტრის წინააღმდეგ. არც ისე იშვიათია შემთხვევები, როდესაც საომარ მოქმედებებში ბავშვებიც არიან ჩართულნი. მათი მონაწილეობა შეიძლება გამოიხატოს სხვადასხვა ფორმით: სამხედრო ნაწილებისათვის დახმარება; ინფორმაციის მოგროვება; პარტიზანების მიერ განხორციელებულ აქციებში მონაწილეობის მიღება, ამა თუ იმ სახით და სხვა. ხშირია შემთხვევები, როდესაც ბავშვები უშუალოდ იღებენ მონაწილეობას სამხედრო მოქმედებებში, იბრძვიან რეგულარულ სამხედრო ფორმირებებში ან მოხალისეთა რაზმებში და იყენებენ იარაღს.

კონვენციის თანახმად, კონფლიქტის მხარეებმა თავი უნდა შეიკაფონ შეიარაღებულ ძალებში არასრულწლოვანი ბავშვების

გაწვევისაგან. ამის შესახებ, კატეგორიული მოთხოვნაა II დამატებითი ოქმის მე-4 მუხლში: „არ შეიძლება შეიარაღებულ ძალებსა, თუ ჯგუფებში ოხუთმეტ წლამდე ასაკის ბავშვთა შეკრება. მათ ეკრძალებათ საომარ მოქმედებებში მონაწილეობის მიღება“, თუ მოხდა 15-დან 18 წლამდე ასაკის პირთა შეიარაღებულ ძალებში გაწვევა უპირატესობა უნდა მიენიჭოს უფროსი ასაკის პირებს (I დამატებითი ოქმის 77-ე მუხლი). დამატებითი ოქმებით, ასევე აკრძალულია არასრულწლოვანთა მოხალისედ გაყვანა. კონფლიქტში მონაწილე მხარეებმა უნდა მიიღონ ყველა ზომა რათა 15 წლამდე ბავშვებმა არ მიიღონ მონაწილეობა საომარ მოქმედებებში. კონფლიქტის მხარეებმა თავი უნდა შეიკავონ შეიარაღებულ ძალებში სამუშაოდ ბავშვების დაბეგრისათვის (I დამატებითი ოქმის 77-ე მუხლის მე-2 პუნქტი).

მიუხედავად აკრძალვებისა I და II დამატებითი ოქმები შეიცავს სპეციალურ მითითებებს იმ შემთხვევებისთვის, როდესაც ბავშვები იარაღით ხელში ებრძვიან მოწინააღმდეგეს. ამგვარმა რეალობამ დღის წესრიგში დააყენა მეომარი ბავშვების სპეციალური დაცვის საკითხი.

მიუხედავად იმისა, რომ არასრულწლოვანთა გაწვევა I და II დამატებითი ოქმების მიხედვით კატეგორიულად აკრძალულია, აღნიშნული პრობლემა გარკვეულწილად დარეგულირებას მოითხოვს, რადგან უნევის IV კონვენციაში კომბადანტი ბავშვების შესახებ არაფერი იყო ნათქვამი. 1977 წლის I (77-ე მუხლის, მე-2 პუნქტი) და II დამატებით ოქმებში (მე-4 მუხლის, მე-3 „დ“ პუნქტი) ამ საკითხს განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო. კერძოდ, I დამატებითი ოქმის 77-ე მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით საერთაშორისო ხასიათის შეიარაღებული კონფლიქტების დროს ბავშვები, რომლებიც მონაწილეობას იღებენ კონფლიქტში და ჩავარდნენ ტყვედ ითვლებიან კომბატანტებად და მათ სამხედრო ტყვეთა სტატუსი გააჩნიათ. ამავე მუხლის თანახმად, მოწინააღმდეგე მხარის ხელში მოხვედრილი კომბატანტი ბავშვები უნდა იყვნენ. მიუხედავად იმისა არიან, თუ არა ისინი სამხედრო ტყვეები. ასეთივე დაცვას უზრუნველყოფს II დამატებითი ოქმის მე-4 მუხლი. განსაკუთრებული დაცვით სარგებლობენ კომბატანტი ბავშვები. საკითხისდამი ასეთი მიდგომა განპირობებულია იმით, რომ ბავშვები დაცული უნდა იყვნენ ტყვეობაშიც. ეს ფაქტორი ამართლებს მის მიმართ პრივილეგიურ მოპყრობას. მაგალითად,

ბავშვები არ შეიძლება დაისაჯონ იარაღის ტარებისათვის (I დამატებითი ოქმის 77-ე მუხლი). პასუხისმგებლობა უნდა დაეკისროს არა მარტო არასრულწლოვანს, არამედ კონფლიქტის მხარეს, რომელმაც ბავშვი ჯარში გაიწვია ხელში იარაღი მისცა და ჩარიცხა მოქმედ არმიაში.

1977 წლის I დამატებითი ოქმის 78-ე მუხლი ადგენს: ბავშვთა ევაკუაციის პირობებსა და წესებს. მაგალითად, ბავშვის ევაკუაციისათვის საჭიროა მშობლის ან კანონიერი მზრუნველის წერილობითი თანხმობა, თუ ასეთი პირები არ აღმოჩნდნენ მაშინ, თანხმობა მიღებულ უნდა იქნას იმ პირებისაგან, რომლებიც კანონით ან ადათის მიხედვით პასუხს აგებენ ბავშვებზე.

ევაკუაციის დროს მიმღები ქვეყანა ყოველი ბავშვის სახელზე ავსებს პირადობის ბარათს, რომელსაც თან ერთვის ბავშვის ფოტოსურათი.

ბავშვები უზრუნველყოფილნი არიან აუცილებელი მზრუნველობითა და დახმარებით. ამ ტერმინებში იგულისხმება, რომ ისინი იღებენ განათლებას, რელიგიური და ზნეობრივი აღზრდის ჩათვლით. მათ ეკრძალებათ საომარ მოქმედებებში მონაწილეობის მიღება და სხვა. დამტყვევებელმა მხარემ და მიუმხრობელმა ორგანიზაციებმა უნდა უზრუნველყონ საომარი მოქმედების შედეგად დაცალკაებული ოჯახების წევრთა შეერთება.

ქალები. საერთაშორისო კუმანიტარული სამართალი შეიარაღებულ კონფლიქტებში თანაბრად იცავს ქალისა და მამაკაცის უფლებებს. მიუხედავად ამისა, კონფლიქტის მსვლელობისას ნათლად იკვეთება ის კატეგორიები, რომლებიც განსაკუთრებულ დაცვას მოითხოვენ. უნევის II კონვენციის მე-12 მუხლში აღნიშნულია: „ქალებს უნდა მოეპყრან მათი სქესისადმი შესაბამისი განსაკუთრებული პატივისცემით“.⁵⁶ მართალია, სპეციალურ ლიტერატურაში არ არსებობს ერთმნიშვნელოვანი განმარტება „შესაბამისი განსაკუთრებული პატივისცემისა“, მაგრამ მასში მოიაზრება გარკვეული თავისებურებანი თუნდაც, ქალის ფიზიოლოგიური მდგომარეობიდან გამომდინარე მოითხოვს განსაკუთრებულ მოპყრობას.

⁵⁶ . ქალთა სპეციალურ დაცვაზე საუბარია აგრეთვე I და II კ. მე-12 მუხლი. II კ. მე-16 მ. IV კ. 27 მუხლი, I დამატებითი ოქმის 75 მუხლში, II დ. ოქმის მე-4 მ.

შეიარაღებულ კონფლიქტებში ქალები სამოქალაქო საზოგადოებას ეკუთვნიან და ჟენევის IV კონვენციის დაცვის ქვეშ ექცევიან.

გარდა საერთო დაცვისა, რომელიც კონფლიქტში მონაწილე ყველა პირზე თანაბრად ვრცელდება ქალების მიმართ გამოიყენება სპეციალური დაცვის მექანიზმიც. ასე მაგალითად, ქალები უნდა დაიცვან ყოველგვარი თავდასხმებისაგან, გაუპატიურებისაგან, ძალდატანებით პროსტიტუციისაგან ან მათ ღირსებაზე სხვა ნებისმიერი ფორმის თავდასხმებისაგან (ჟენევის IV კონვენცია, 27-ე მუხლი).

კონვენციით გათვალისწინებულია ქალებთან მოპყრობის განსაკუთრებული წესები: 1). შეიარაღებული კონფლიქტების დროს დაკავებული დაპატიმრებული ან ინტერნირებული ფეხმძიმე ქალების, მცირეწლოვანი შვილების დედების საქმეები განიხილება პირველ რიგში; 2). შეიარაღებულ კონფლიქტებთან დაკავშირებული სამართალდარღვევების დროს, რომელიც ჩადენილია, ორსული ქალების ან მცირეწლოვანი ბავშვების დედების მიერ სასიკედილო განაჩენი სისრულეში არ მოიპყაეთ; 3). თავისუფლება აღკვეთილი ქალები უნდა მოთავსდნენ მამაკაცებისაგან განცალკევებულ შენობაში. მათზე უშუალო ზედამხედველობას უნდა ახორციელებდეს მხოლოდ ქალთა პერსონალი. თუ დაკავებული ან ინტერნირებულია ოჯახი, მისი წევრები მოთავსებულნი უნდა იყვნენ ერთ ადგილზე.

ჟურნალისტები. შეიარაღებულ კონფლიქტებში სამოქალაქო მოსახლეობის სტატუსი გააჩნიათ ჟურნალისტებსაც. ჟურნალისტების დაცვის მექანიზმს ვხვდებით I დამატებითი ოქმის, 79-ე მუხლში. I დამატებითი ოქმის მიხედვით, შეიარაღებული კონფლიქტების ზონაში სახიფათო პროფესიულ მივლინებაში მყოფი ჟურნალისტები ითვლებიან სამოქალაქო პირებად. ისინი სარგებლობენ სამოქალაქო პირის დაცვის უფლებით მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ჟურნალისტის საქმიანობა შეუფერებელია სამოქალაქო პირის საქმიანობასთან და „არ აზარალებს“ მესამე კონვენციის, მე-4 მუხლის /4 პუნქტში მითითებულ შეიარაღებულ ძალებში აკრედიტებულ, სამხედრო კორესპოდენტების უფლებებს. ჟენევის III კონვენციის მე-4 მუხლში, საუბარია სამხედრო კორესპოდენტებზე, რომლებიც მართალია უშუალოდ არ შედიან შეიარაღებული ძალების შემადგენლობაში, მაგრამ მიჰყვებიან მას. კონფლიქტში მონაწილე მოწინააღმდეგე მხარის ხელში სამხედრო ჟურნალისტები

უტოლდებიან სამხედრო ტყვეებს და მათზე სამხედრო ტყვეების სტატუსი ვრცელდება.⁵⁷

განსხვავებით სამხედრო კორესპონდენტებისაგან, რომელთა უფლებებიც დაცულია კონვენციების შესაბამისი მუხლებით და სპეციალური სტატუსი გააჩნიათ ჟურნალისტები, რომლებიც არიან შეიარაღებულ ძალებში და არ არიან აკრედიტირებული სამხედრო ხელისუფლების მიერ ახორციელებენ საკუთარი ინიციატივით თავის პროფესიულ მოვალეობას. თუმცა, არ ეკუთვნიან შეიარაღებულ კონფლიქტში მონაწილე არც ერთ მხარეს. I დამატებითი ოქმის 79-ე მუხლით, ჟურნალისტს, რომელიც სამხედრო კორესპონდენტად არ ითვლება სპეციალური სტატუსი არ გააჩნია და გათანაბრებულია სამოქალაქო მოსახლეობასთან.

I დამატებითი ოქმის 79-ე მუხლის მიხედვით, ჟურნალისტები, რომლებიც სამოქალაქო პირებად ითვლებიან მათზე განსაკუთრებული უფლებები არ ვრცელდება. ისინი უნდა დაექვემდებარონ იმ შესაზღვეებს, რომლებიც განსაზღვრულია და

⁵⁷ 1907 წლის ჰააგის მე-4 კონვენციაში მითითებული იყო „გაზეთის კორესპონდენტები და რეპორტიორები“ უფლებამოსილი არიან ტყვედ აკეანის შემთხვევაში წაითვალონ სამხედრო ტყვეებად, თუკი მათ გააჩნია სამხედრო ხელისუფლების მიერ გაცემული სერტიფიკატი. ეს დებულება აღსახება 1929 წლის ჟენევის კონვენციაშიც, რომელიც ეხება სამხედრო ტყვეთა მოპყრობას. I დამატებით ოქმში ჟურნალისტის დაცვის საკითხის შეტანის წინ უძღოდა 1970 წლის 9 დეკემბრის გაეროს XXV გენერალური ასამბლეის 2673-ე რეზოლუცია, რომელიც შეეხება ამ ორგანოს მიერ კონფლიქტის ზონებში ჟურნალისტების საქმიანობის შესწავლის საკითხებს. ასამბლეამ აღნიშნა, რომ კონფლიქტის ზონებში ჟურნალისტები თავისი პროფესიული მოვალეობის შესრულებისას ზიგჯერ თვითონ ზარალდებიან. ანსამბლეამ მიუთითა რომ 1949 წლის ჟენევის კონვენციაში, მართალია საუბარია სამხედრო კორესპონდენტების შესახებ, მაგრამ კონვენციის დებულებები არ ეხება ყველა კატეგორიის ჟურნალისტს და ეს დაცვა საკმარისი არ არის. ასამბლეამ შესთავაზა ეკონომიკურ და სოციალურ საკითხთა საბჭოს, მიემართა ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიისათვის თხოვნით, შესწავლილი და შემუშავებული ყოფილიყო აღნიშნულ საკითხზე საერთაშორისო სამართლის ნორმები. იხ. Commentary on the Additional Protocols of International Humanitarian Law. Geneva, 1987. p.921,922.

მოქმედებენ სამოქალაქო პირებისათვის. უერნალისტებმა არ უნდა მიიღონ მონაწილეობა საომარ მოქმედებებში.

უერნალისტს, შეიარაღებული კონფლიქტების ზონაში მუშაობისას ეძლევა სპეციალური პირადობის მოწიბობა, რომელსაც გასცემს სახელმწიფო და ადასტურებს მის მოქალაქეობასა და უერნალისტის სტატუსს. ამასთანავე, პირადობის მოწიბობის გაცემა შესაძლებელია იმ ტერიტორიაზეც, რომელზეც ფუნქციონირებს უერნალისტის საინფორმაციო სააგენტო.

უცხოელები. შეიარაღებული კონფლიქტების დროს ხშირია შემთხვევები, როდესაც ერთი მეომარი მხარის მოქალაქეები იმყოფებიან მოწინააღმდეგე მხარის ტერიტორიაზე. უენევის IV კონვენციის 43-ე და 46-ე მუხლებით, განსაზღვრულია უცხოელ პირთა დაცვის მექანიზმი. აღნიშნული „პირები“ შეიარაღებული კონფლიქტის არა მხოლოდ მსხვერპლნი, არამედ მფარველობის ქვეშ მყოფ პირებად ცხადდებიან. მოწინააღმდეგე მხარემ უნდა მისცეს უცხოელებს უფლება დაბრუნდნენ საკუთარ სახელმწიფოებში, თუ მათი დაბრუნება არ ეწინააღმდეგება დამკავებელი მხარის ინტერესებს. უცხოელებს შეიარაღებული კონფლიქტების დროს ისევე უნდა მოექცნენ, როგორც მშვიდობიან პერიოდში. მოწინააღმდეგე მხარემ უნდა უზრუნველყოს უცხოელებისათვის დაცვის მინიმალური გარანტიები.

მონობა. მონობის აკრძალვა ემყარება საერთაშორისო სამართლის ჩვეულებით ნორმას. თვით პუმანიტარული სამართალი მონობის აკრძალვის მკაფიო განსაზღვრებას იძლევა. ამავდროულად, მონობა გამოირიცხება გამომდინარე უენევის კონვენციების სხვა ნორმებიდან და ღიბერის კოდექსის თანახმად, ტყვედ ჩავარდნილები დამტყვევებლის საკუთრებად არ ითვლებიან.

ბავშვებისა და ოჯახის უფლებები.

ზემო აღნიშნულიდან გამომდინარე ნათელია, რომ საერთაშორისო პუმანიტარული სამართლის ჩამოყალიბება არ მომხდარა საერთაშორისო საჯარო სამართლის გაკლენის გარეშე. თუმცა, საერთაშორისო პუმანიტარული სამართალი სპეციფიკური დარგია, რომელიც მხოლოდ საერთაშორისო, თუ

არასაერთაშორისო ხასიათის მართლწესრიგის დარღვევისას გამოიყენება.

საერთაშორისო კუმანიტარული სამართლის გამოყენების საკითხი პირთა წრის მიხედვით მჭიდრო კავშირშია მსხვერპლის ცნებასთან. ამ ცნებას კუმანიტარული სამართლის მიხედვით ფართო გაგება აქვს. მსხვერპლი არის ნებისმიერი პირი, რომელსაც პოტენციურად შეიძლება შეეხოთ ან რეალურად შეეხოთ შეიარაღებული კონფლიქტი. ეს შეიძლება იყოს სამოქალაქო პირი ანუ პირი, რომელიც არ ეკუთვნის შეიარაღებულ ძალებს. დაჭრილი კომბატანტი ავადმყოფობის ან ტყვედ აყვანის შემთხვევაში საომარ მოქმედებებში არ მონაწილეობს.

უენევის დოკუმენტები წარმოადგენს ნორმათა ერთობლიობას, რომელიც ინდივიდს სამართლებრივად იცავს, თუმცა საერთაშორისო საჯარო სამართლის ადამიანის უფლებათა დაცვის სისტემისაგან განსხვავებით არ აძლევს საშუალებას მსხვერპლს თვითონ იმოქმედოს თავის დასაცავად.

მხარეები ვალდებული არიან შექმნისდაგვარად დაიცვან ომის მსხვერპლნი ისეთი ზეწოლისაგან, რომელიც მათ უფლებებს შელახავს. ამიტომ, დაცვის ქვეშ მყოფმა პირებმა „არაერთაშორისო შემთხვევაში არ უნდა თქვან უარი მოლიანად ან ნაწილობრივ იმ უფლებებზე, რომლითაც უზრუნველყოფილნი არიან მოკვდილი კონვენციით და სხვა სპეციალური შეთანხმებით. „(უენევის კონვენცია, მეხტი მე-7).

განუსხვისებელი უფლებები. განუსხვისებლობის პრინციპი ეძლევა ადამიანის უფლებათა ყველა კატეგორიას, რომელიც შეიარაღებული კონფლიქტის მსხვერპლს ეხება და ამავე დროს, ამ პირთა დაცვის საერთაშორისო სისტემის ძირითად ელემენტს წარმოადგენს.

უენევის ყოველი კონვენცია განსაზღვრავს დაცვის ქვეშ მყოფ პირთა ძირითად კატეგორიებს, რაზეც თვით კონვენციების სახელწოდებები მიგვანიშნებენ. კერძოდ, უენევის I-ლი კონვენცია, მოქმედ არმიაში დაჭრილთა და ავადმყოფთა, გემის კატასტროფაში მოყოლილ პირთა ხვედრის გაუმჯობესების შესახებ; უენევის III კონვენცია—სამხედრო ტყვეების შესახებ; უენევის IV კონვენცია—ომის დროს, სამოქალაქო მოსახლეობის დაცვის შესახებ;

გარდა ამისა, კონვენციური ნორმები განსაზღვრავენ მაქსიმალური და მინიმალური დაცვის მექანიზმებს. მაქსიმალური

დაცვა ამ შემთხვევაში ნიშნავს გაძლიერებული დაცვის მექანიზმს. ამგვარი დაცვით სარგებლობენ სამედიცინო პერსონალი, სასულიერო პირები, არასრულწლოვანები, ქალები აპატრიდები და ლტოლვილები. მინიმალური დაცვა ნიშნავს, რომ პირს არ გააჩნია სრული დაცვის უფლება, მაგრამ შეუძლია გარკვეული გარანტიების მიღება. ეს ეხება ჯაშუშებს, დაქირავებულ პირებს. კონვენციური ნორმა ხაზს უსვამს, რომ ჯაშუში, რომელიც ტყვედ ჩაუყარდა მოწინააღმდეგეს, სამხედრო ტყვის სტატუსით არ სარგებლობს. ასევე, დაქირავებულ მეომარს არა აქვს კომბატანტისა და სამხედრო ტყვის უფლებები. რაც ნიშნავს, რომ მათ არ გააჩნიათ სრული დაცვის უფლება.

'ხემო აღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი მართლაც, საერთაშორისო საჯარო სამართლის სისტემის განუყოფელი შემადგენელი ნაწილია და ამ უკანასკნელზე არის აგებული.

თუმცა, საერთაშორისო ჰუმანიტარულ სამართალსა და ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალს შორის არსებული განსხვავებები, ასე გამოისახება: 1. ფორმირებისა და განვითარების ეტაპები; 2. მოქმედების სფერო; 3. სამართლებრივი დაცვის მიზნები.

§2. ადამიანის უფლებათა დაცვა და საერთაშორისო სამხედრო ტრიბუნალი

მეორე მსოფლიო ომის დასრულებისთანავე, დღის წესრიგში დადგა საკითხი სამხედრო დამნაშავეთა სისხლის სამართლის პასუხისმგებლობაში მიცემის აუცილებლობის შესახებ განსაკუთრებით ომით დაზარალებულ ქვეყნებში. დაიწყო გერმანელი სამხედრო დამნაშავეების გასამართლება და სამართლებრივი დევნა.

1945 წლის 20 ოქტომბერს ქ. ნიურნბერგში სამხედრო დამნაშავეთა გასასამართლებლად შეიქმნა სამხედრო ტრიბუნალი, რომელშიც შედიოდნენ ომში გამარჯვებულ ქვეყნების ყოფილ საბჭოთა კავშირის, აშშ-ის, დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის წარმომადგენლები. პროცესი, რომელზეც უაშისტოა 24 ლიდერი გასასამართლეს ისტორიაში ნიურნბერგის

პროცესის სახელით შევიდა. საერთაშორისო სასამართლომ თავისი მუშაობა დაამთავრა 1946 წლის 1 ოქტომბერს. ნაცისტები დაიდერები ამხილეს აგრესიული ომის მომზადებისა და ქაჟენების პოლონეთის, ავსტრიის, ბელგიის, დანიის, საბერძნეთის და სხვა სახელმწიფოების წინააღმდეგ საომარი მოქმედებების წარმოებაში, ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა ჩადენაში, სამხედრო ტყვეების, ოკუპირებულ ტერიტორიაზე სამოქალაქო მოსახლეობის წამებასა და მასობრივ განადგურებაში, სამოქალაქო მოსახლეობის, გერმანიაში ოკულებითი სამუშაოს შესასრულებლად გადაყვანაში, მიკვალთა მიკვლელობაში, სახელმწიფო და კერძო საკუთრების გაძარცვაში, სამოქალაქო ობიექტების, ქალაქებისა და დასახლებული პუნქტების არასამსახურებრივი მიზნით განადგურებაში; სამხედრო დანაშაულებები, პოლიტიკური, რასობრივი და რელიგიური მოტივით სამოქალაქო მოსახლეობის მასობრივ განადგურებაში და სხვა. ამგვარად, პირველად იქნა აღიარებული აგრესია, როგორც უმძიმესი საერთაშორისო დანაშაული აგრესიული ომის განადგებისათვის. ამასთან, ინდივიდუალური პასუხისმგებლობა დაეკისრა, როგორც რიგით ფიზიკურ პირებს ასევე, სახელმწიფოს ხელმძღვანელებს. ნიურნბერგის პროცესზე პირველად იქნა გამოყენებული პრინციპი—“პასუხისმგებლობიდან არ თავისუფლდება პირი, რომელიც დანაშაულებრივ ბრძანებებს ასრულებდა.“ აღნიშნულმა პრინციპმა თავისი ასახვა ჰპოვა სხვა სამხედრო ტრიბუნალების წესდებებსა და ტრიბუნალების მიერ გამოტანილ განაჩენებში. ამავ პრინციპს, როგორც საერთაშორისო სამართლებრივ პრინციპს აღიარებს გაეროს კენერალური ასამბლეის ორი რეზოლუცია, რომლებიც მიღებული იქნა 1946 წლის 11 დეკემბერს და 1947 წლის 27 ნოემბერს ნიურნბერგის პროცესზე. აღნიშნული პრინციპი საფუძვლად დაედო 1968 წელს მიღებულ კონვენციას „სამხედრო დანაშაულთა და კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილ დამნაშავეთა მიმართ ხანდაზმულობის ვადის გამოუყენებლობის შესახებ“.

ნიურნბერგის პროცესი. კაცობრიობის ისტორიაში პირველი გამართული ფართომასშტაბიანი საერთაშორისო სასამართლო პროცესი იყო გერმანელი ნაცისტების მთავარ სამხედრო დამნაშავეთა გასასამართლებლად, რომელიც ქ. ნიურნბერგში

მიმდინარეობდა. ნიურნბერგის პროცესზე გერმანიის ხელმძღვანელობას ბრალს სდებენ შეთქმულებაში აგრესიული ომის მომზადებისათვის და ამ ომის წარმოებაში პოლონეთის, ავსტრიის, დანიის, ნორვეგიის, ბელგიის, საბერძნეთის და სხვა სახელმწიფოების წინააღმდეგ, ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა ჩადენაში, სამხედრო ტყვეების ოკუპირებულ ტერიტორიებზე სამოქალაქო მოსახლეობის წამებასა და მასობრივ განადგურებაში, სამოქალაქო მოსახლეობის გერმანიაში იძულებითი სამუშაოების შესასრულებლად, მიყვალთა მკვლელობაში, სახელმწიფო და კერძო საკუთრების ძარცვაში, სამოქალაქო ობიექტების, ქალაქებისა და დასახლებული პუნქტების განადგურებაში, სამხედრო დანაშაულებებში, პოლიტიკური, რასობრივი და რელიგიური მოტივებით სამოქალაქო მოსახლეობის მასობრივ განადგურებაში და სხვა. ამგვარად, პირველად იქნა აღიარებული აგრესია, როგორც უმძიმესი საერთაშორისო დანაშაული და პასუხისმგებლობა აგრესიული ომის განადგობისათვის. ამასთან, ინდივიდუალური პასუხისმგებლობა დაეკისრა, როგორც რიგით პირებს, ასევე სახელმწიფოს ხელმძღვანელებს. ნიურნბერგის პროცესზე ასევე, პირველად იქნა გამოყენებული პრინციპი, რომ პასუხისმგებლობისაგან არ თავისუფლდება პირი, რომელიც ასრულებდა უფროსის დანაშაულებრივ ბრძანებას. აღნიშნულმა პრინციპმა ასახვა კპოვა სამხედრო ტრიბუნალების წესდებებში და ამ ტრიბუნალების მიერ გამოტანილ განაჩენებში.

ასევე II მსოფლიო ომის შედეგებს ეხება ტოკიოს პროცესი – იაპონიის მთავარ სამხედრო დამნაშავეთა სასამართლო პროცესი, რომლებმაც საერთაშორისო დანაშაული ჩაიდინეს მშვიდობის, ადამიანურობისა და ომის კანონებისა და ჩვეულებათა წინააღმდეგ. ეს იყო საერთაშორისო სამხედრო ტრიბუნალი, რომელიც იაპონიის დედაქალაქში მიმდინარეობდა 1946 წლის 3 მაისიდან, დეკემბრამდე. 1948 წლის 12 ნოემბერს, ტოკიოს სამხედრო ტრიბუნალი ისევე, როგორც ნიურნბერგის სამხედრო ტრიბუნალი ჩამოყალიბდა მეორე მსოფლიო ომში გამარჯვებულ სახელმწიფოთა საერთაშორისო შეთანხმების საფუძველზე და მოქმედებდა სისხლის სამართლის პროცესის დემოკრატიული პრინციპების შესაბამისად.

იაპონელ სამხედრო დამნაშავეთა გასამართლება მოხდა 1945 წელს, ბერლინის კონფერენციისა და 1945 წლის მოსკოვის თათბირის გადაწყვეტილებათა საფუძველზე, რომელშიც იაპონიის

კაპიტულაციის ერთ-ერთ პირობად გათვალისწინებული იყო სამხედრო დამნაშავეთა დასჯა. საერთაშორისო ტრიბუნალს განსახილველად გადაეცა 28 ადამიანის საქმე. განაჩენი გამოტანილი იქნა 25 პირის მიმართ. აქედან, ტრიბუნალის განაჩენით 7 მთავარ სამხედრო დამნაშავეს მიესაჯა სიკვდილით დასჯა, 16-ს მსჯავრდებულს სამუდამო პატიმრობა, ხოლო დანარჩენ ორს 20-ით და 7 წლით თავისუფლების აღკვეთა. საერთაშორისო სამხედრო ტრიბუნალის განაჩენში აღინიშნა, რომ აგრესიული ომების საწარმოებლად იაპონელი მილიტარისტები პიტივრული გერმანიის მთავრობასთან ერთად მსოფლიო ჰეგემონიას ესწრაფოდნენ. "სოციალური იაპონელი სამხედრო დამნაშავეის სასამართლო პროცესი 1948 წელს სსრკ-ში ქ. ხაბაროვსკში გაიმართა და იგი „ხაბაროვსკის პროცესის“ სახელწოდებით არის ცნობილი.

ტოკიოსა და ნიურნბერგის ტრიბუნალების შემდეგ, დღის წესრიგში ისევ დადგა სამხედრო ტრიბუნალის ჩამოყალიბების საკითხი. ტრიბუნალი შედგება შემდეგი ორგანოებისაგან: 1) კამერები (ორი სასამართლო და ერთი სააპელაციო კამერა); 2) ბრალმდებელი (პროკურორის ოფისი); 3) ომის სასამართლო კამერები შედგება 3 მოსამართლისაგან, სააპელაციო - 5 მოსამართლისაგან. მოსამართლეები ირჩევენ თავმჯდომარეს, რომელიც ყოველწლიურ მოხსენებას წარუდგენს გაეროს უშიშროების საბჭოსა და გაეროს გენერალურ ასამბლეას. სასჯელის ფორმაა: თავისუფლების აღკვეთა საპრობილემო მითაქსებით. ტრიბუნალის სამუშაო ენებია: ინგლისური და ფრანგული. ტრიბუნალის ადგილმდებარეობა ქ. არუშა (ტიანხანია). უფლებათა უჩეში დარღვევებისათვის და საერთაშორისო დანაშაულებებისათვის პასუხიღმებლობის დაკისრების მიზნით; 1993 წელს გაეროს უშიშროების საბჭოს მიერ გაეროს წესდების VII თავის შესაბამისად, დაფუძნდა რუანდის თაობაზე საერთაშორისო ტრიბუნალი. ტრიბუნალი უფლებამოსილია, განახორციელოს სასამართლო დევნა იმ პირთა მიმართ, რომლებმაც საერთაშორისო კუმანიტარული სამართლის სერისოზული დანაშაული ჩაიდინეს რუანდის ტერიტორიაზე. ასევე, რუანდის მოქალაქეების მიმართ, რომლებმაც ამგვარი დანაშაული ჩაიდინეს მეზობელი ქვეყნების ტერიტორიაზე. 1994 წლის 1 იანვრიდან 1994 წლის 31 დეკემბრამდე. წესდების

შესაბამისად, ტრიბუნალი განახორციელებს დევნას შემდეგი დანაშაულების ჩადენისათვის: 1) გენოციდი, 2) მშვიდობისა და კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაული, 3) 1949 წლის ენევის კონვენციებისა და დამატებითი ოქმების საერთო მე-3 მუხლის დარღვევა. ტრიბუნალთან ერთად პარალელური იურისდიქცია, პროკურატურისა - ქ. კიგალი (რუანდა). ყოველი ტრიბუნალი განიხილავდა და განიხილავს საერთაშორისო დანაშაულებს.⁵⁸ საერთაშორისო დანაშაულთა რიცხვს განეკუთვნება: მშვიდობისა და კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულობანი (აგრესია, აგრესიული ომის დაგეგმვა, მომზადება, განადგობა და წარმოება); ომის დანაშაულობანი (ომის კანონებისა და ჩვეულებათა დარღვევა - ოკუპირებული ტერიტორიის მოსახლეობის განადგურება, წამება, სამხედრო ტყვეთა წამება და მკვლელობა, დამონება, მიყვალთა მკვლელობა, სახელმწიფო ან კერძო საკუთრების ძარცვა, სამოქალაქო მოსახლეობით დასახლებული პუნქტების განადგურება და სხვ.); დანაშაული ადამიანურობის წინააღმდეგ (სამოქალაქო მოსახლეობის მასობრივი განადგურება, წამება და სხვ.) აგრეთვე საერთაშორისო დანაშაულს მიეკუთვნება ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის წინააღმდეგ (ვინც ინტერვენცია, რასობრივი დისკრიმინაციის (იხ.: კონვენცია რასობრივი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ; ევროპული კონვენცია ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის შესახებ) უსასტიკესი ფორმები - გენოციდი და აპარტეიდი, მონობა და მონებით ვაჭრობა; ჰააგის სისხლის სამართლის ტრიბუნალის (იხ. ჰააგის ყოფილი იუგოსლავიის თაობაზე სისხლის სამართლის საერთაშორისო ტრიბუნალი) პრაქტიკამ ამ დანაშაულთა რიცხვს ეთნიკური წმენდაც მიაკუთვნა. საერთაშორისო დანაშაულთა თითქმის სრული კოდიფიცირება გვექვინება სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს სტატუსში.

გახშირებულმა სისხლისმღერელმა შეიარაღებულმა საერთაშორისო და არასაერთაშორისო ხასიათის კონფლიქტებმა დღის წესრიგში დააყენა ახალი მუმიფიკირებული სისხლის

⁵⁸ ერთმანეთისაგან განარჩევენ საერთაშორისო დანაშაულებსა და საერთაშორისო ხასიათის დანაშაულებს. საერთაშორისო დანაშაულების ცნება იხ. ტერიმინოგანსახლდერებაში.

სამართლის საერთაშორისო სასამართლოს შექმნის აუცილებლობა. საერთაშორისო მართლმსაჯულების მუდმივმოქმედი ორგანო. იგი შეიქმნა 1998 წელს რომის სტატუტით და ძალაში შევიდა 2002 წლის 1 ივლისს.⁵⁹ სასამართლოს ადგილსამყოფელია ქ. აააგა. ახალი სასამართლო იმით განსხვავდება ტრიბუნალისაგან, რომ იგი მუდმივმოქმედი და არ არის შეზღუდული გარკვეული ტერიტორიალური პრინციპით. სასამართლო უფლებამოსილია, განახორციელოს სისხლის სამართლებრივი დევნა იმ დანაშაულებისათვის, რომლებიც დაფიქსირებულია სტატუტში მშვიდობისა და კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულების კოდექსსა და სხვა საერთაშორისო ხელშეკრულებებში. აგრეთვე, სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლო წყაროებად იყენებენ საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებულ ნორმებს. მათ შორის, შეიარაღებული კონფლიქტების ნორმებს. მსოფლიო სამართლებრივ სისტემებზე დაყრდნობით, სამართლის ზოგად პრინციპებს; სასამართლოს პრეცედენტებს. სტატუტის მიხედვით სასამართლო უფლებამოსილია განახორციელოს დევნა შემდეგი დანაშაულების ჩადენისათვის: 1) გენოციდი; 2) დანაშაულებანი ადამიანურობის წინააღმდეგ; 3) ომის დანაშაულები. სასამართლოს იურისდიქცია ვრცელდება მხოლოდ იმ დანაშაულებზე, რომლებიც ჩადენილია სტატუტის ძალაში შესვლის შემდეგ. სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლო ახორციელებს პარალელურ იურისდიქციას ეროვნულ სასამართლოებთან ერთად. „პირი“ არ შეიძლება პასუხისმგებლობაში მიეცეს ორივე სასამართლო ორგანოს მიერ გარდა, შემდეგი შემთხვევებისა: 1) სასამართლო პროცესი, თუ არ იყო მიუკერძოებელი; 2) სასამართლო პროცესი მისნად, თუ ისახავდა ბრალდებულისათვის საერთაშორისო პასუხისმგებლობის თავიდან აცილებას ან თუ საქმე არ იყო სათანადოდ გამოძიებული. იმ დანაშაულების მიმართ, რომლებიც სსსს-ს იურისდიქციას ექვემდებარება, ხანდაზმულობის ვადა არ ვრცელდება.

⁵⁹ საქართველომ სტატუტის რატიფიკაცია მოახდინა 2003 წლის 5 სექტემბერს და სამი თვის შემდეგ გახდა ამ ორგანიზაციის სრულუფლებიანი წევრი.

ტერმინთა განმარტება:

საერთაშორისო ხასიათის დანაშაული – ქმედება, რომელიც საერთაშორისო დანაშაულისაგან განსხვავებით, არ არის მიმართული საერთაშორისო მართლწესრიგის, მშვიდობისა და კაცობრიობის წინააღმდეგ, ადამიანურობის წინააღმდეგ (აგრესია, გენოციდი, ეთნიკური წმენდა და სხვ.), მაგრამ თავისი მნიშვნელობით სცილდება ერთი სახელმწიფოს ფარგლებს. ხელყოფს ცალკეული კატეგორიების ადამიანთა უფლებებს, მათ თავისუფლებასა და სიცოცხლეს (თვითმფრინავის გატაცება. მაგ. შააგის 1970 წლის კონვენცია საქაერო ხომალდების გატაცებასთან ბრძოლის შესახებ და მონრეალის 1971 წლის კონვენცია სამოქალაქო ავიაციის უსაფრთხოების წინააღმდეგ მიმართულ უკანონო აქტებთან ბრძოლის შესახებ), საერთაშორისო დაცვის ქვეშ მყოფ პირთა, მათ შორის, დიპლომატიურ აგენტთა უსაფრთხოების დარღვევა, ნარკოტიკების გადაზიდვა და გავრცელება, მონობა და მონობით ვაჭრობა, პორნოგრაფიული პროდუქციის დამზადება-გაერცელება, ყალბი ფულისა და ქვითრების დამზადება-გაერცელება და სხვ.). ამ სახის დანაშაულთან ბრძოლა რეგულირდება შიდასახელმწიფოებრივი სამართლით და საერთაშორისო ხელშეკრულებებით, რომლებიც ადგენენ ეჭვმიტანილთა ძებნის, დაკავებისა და გადაცემის წესებს (იხ. ექსტრადიცია, ინტერპოლი).

საერთაშორისო დანაშაული – სახელმწიფოს ან ინდივიდის მიერ განხორციელებული მართლსაწინააღმდეგო ქმედება (მოქმედება ან უმოქმედობა), რომლის შედეგად ირღვევა საერთაშორისო მშვიდობა ან ხალხთა უშიშროება. რომლებიც მთავარ სამხედრო დამნაშაეებს შეეხება. საერთაშორისო სისხლის სამართლის ძირითადი პრინციპები ჩამოყალიბებულია აგრესორი სახელმწიფოების, მათ მეთაურთა და ქმედების უშუალო ჩამდენთა პასუხისმგებლობის დასაადგენად. სდ-ის საგანია, გამოიკვლიოს სახელმწიფოთა ქმედება (მოქმედება ან უმოქმედობა), რომელიც წარმოიშობა სახელმწიფოს მიერ საერთაშორისო მართლწესრიგის ფუძემდებლური პრინციპების დარღვევის შემთხვევაში.

სისხლის სამართლის საერთაშორისო ტრიბუნალები – დროებითი საერთაშორისო სასამართლოების ნაირსახეობა, რომელიც

იქმნება საერთაშორისო სისხლის სამართლის დამრღვევთა ღვენიისა და გასამართლების მიზნით. ასეთი სახის სასამართლოები იქმნება სახელმწიფოთა სპეციალური შეთანხმებით, მათ გააჩნიათ თავისი წესდება. სასამართლო პროცესი შეიძლება ხანმოკლე იყოს. 2002 წლის ივლისიდან შევიდა ძალაში პირველი მუდმივი სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს სტატუსი, რომელიც მომავალში გადაიქცევა ერთადერთ სისხლის სამართლის საერთაშორისო მართლმსაჯულების ორგანოდ.

„თანამედროვე საერთაშორისო სამართლის ლექციკონი-ცნობარი“

კონკრეტული შეკითხვები:

1. რა განსხვავებაა უენეის 1949 წლის 4 კონვენციას შორის?
2. რა განსხვავებაა უენეის 1977 წლის ორ დამატებით ოქმებს შორის?
3. ვინ არიან კომბატანტები?

სასწავლო-მეთოდოლოგია:

აღნიშნული თემის შესასწავლად სტუდენტებს უნდა გააჩნდეთ საბაზისო ცოდნა საერთაშორისო საჯარო სამართალში, ისინი უნდა იცნობდნენ საერთაშორისო კუმანიტარული სამართლისა და საერთაშორისო სისხლის სამართლის საფუძვლებს. ლექტორი უნდა ეცვალოს დაანახოს სტუდენტებს, თუ როგორ ხდება რომის სტატუტის დებულებათა ეროვნულ კანონმდებლობაში ასახვა.

დისკუსია თემაზე: სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს წესდების (რომის სტატუტის) დებულებათა იმპლემენტაცია საქართველოს კანონმდებლობაში.

ბამოყენებული ლიტერატურა:

1. უენეის 1949 წლის კონვენციები და დამატებითი ოქმები. თბილისი 2003წ.
2. პ.პ. პასერი საერთაშორისო კუმანიტარული სამართალი. თბილისი 1999წ.
3. თანამედროვე საერთაშორისო სამართლის ლექსიკონი-ცნობარი. თბილისი 2003 წ. 242,412.

4. ლ.ალექსიძე, ზ.ბურდუელი, მ.კვაჭაძე, დ.პატარაია. ირ.ქურდაძე. საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი. ლექციათა კურსი. თბილისი 1998წ. გვ.144-148.
5. О.И. Тнунов. Международное гуманитарное право. М.,1999. ст.135-168
6. Права человека и вооруженный конфликты. М.2001.ст.10-20. 105-132.
7. F.Lattanzi, W.A.Shabas. Essay on the Rome Statute of International Crminal Law. vol.I.Oxford University Press. 1978,pp.113-114.
8. Bassiouni Ch. International Crimes Against Humanity. 2004. pp. 13-30.
9. The ICTY Statute. www.icc-cpi.int
10. Numberg Warns: from Nazism to Terrorism. 2002.
11. The ICC Statute. www.icc-cpi.int

თავი V. ადამიანის უფლებათა დაცვა და პრასამთავრობო ორბანიზაციები

§1. ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნული დაწესებულებები

ეროვნული დაწესებულება—როელი სისტემის ერთ-ერთ რგოლს წარმოადგენს, რომლიც შეიქმნა ადამიანის უფლებათა დაცვისა და წახალისების მიზნით.

უკანასკნელი 20 წლის მანძილზე ადამიანის ძირითადი უფლებების დაცვისა და წახალისების პრობლემატიკაზე მძიმდნარე მთავარაკებებს შეუერთდნენ სხვადასხვა სახელმწიფოები, რამაც განაპირობა საკითხის ეროვნულ დონეზე აკანა და სახელმწიფოების მიერ ადამიანის უფლებების პიორიტეტად ცნობა. ამასთანავე, აღნიშნული საკითხების მძიმდნარეობაზე, პასუხისმგებლობა თითოეულ მონაწილე სახელმწიფოს დაეკისრა.

ადამიანის უფლებათა ეროვნულ დონეზე დაცვა, შეიძლება უზრუნველყოფილი იქნას შესაბამისი კანონმდებლობის, დამოუკიდებელი სასამართლო რეფორმის, ინდივიდუალური ხასიათის დაცვის გარანტიებით და დემოკრატიული ინსტიტუტების შექმნით. გარდა ამისა, განსაკუთრებით ეყენება ფართო-მასშტაბიანი საგანმანათლებლო-საინფორმაციო ხასიათის კომპანიების წარმართვა, რომლებიც უნდა მომხადდეს და განხორციელდეს, როგორც ეროვნულ, ასევე ადგილობრივ კულტურასა და ცრადიციებზე დაყრდნობით.

ამდენად, გადაუდებლ ამოცანად გვესახება ადამიანის უფლებათა დაცვისა და წახალისებისათვის ეროვნული ინფრასტრუქტურის შექმნა. უკანასკნელ პერიოდში, აქტიურად ფართოვდება ადამიანის უფლებათა დაცვის დაწესებულებათა ქსელი. მიუხედავად ამისა, მათი კონკრეტული ამოცანები საკმნობლად განსხვავდება ერთმანეთისაგან, თუმცა ყველა მათგანი მიმართულია საერთო მიზნისაკენ - ადამიანის უფლებათა დაცვისა და წახალისებისაკენ.

1946 წელს, გეროს ეკონომიკურმა და სოციალურმა საბჭომ მეორე სესიაზე წევრ-სახელმწიფოებს მიმართა წინადადებით, განეხილათ საკითხი ინფორმაციული ჯგუფებისა ან ადამიანის

უფლებათა ადგილობრივი კომისიების დაფუძნების
აუცილებლობის თაობაზე და ამით სხვადასხვა
სახელმწიფოებში, ადამიანის უფლებათა კომისიების შექმნის
საფუძველი წაეყარათ.

XX საუკუნის 60-70-იან წლებში, ადამიანის უფლებათა დაცვის
ირგელივ, გამართულმა პოლემიკამ ასახვას პოპუ-
საერთაშორისო ნორმებში. ამასთან დაკავშირებით, ეროვნულ და
ადგილობრივ დაწესებულებების მონაწილეობით 1978 წლის 18-
29 სექტემბერს უენევაში გაიმართა სემინარი, რომელიც
ეძღვნებოდა ადამიანის უფლებათა დაცვისა და წახალისების
პრობლემებს. სემინარზე განხილული იქნა რიგი
სახელმძღვანელო პრინციპებისა, რომლითაც ეროვნულ
დაწესებულებებს დაეკალა შემდეგი ფუნქციების შესრულება:

- ❖ სახელმწიფოსა და საზოგადოების ფართო
ფენებისათვის ადამიანის უფლებების შესახებ.
ინფორმაციის მიწოდება;
- ❖ საზოგადოებისათვის ადამიანის უფლებათა
პატივისცემის განმარტება;
- ❖ განხილონ, იმსჯელონ და გასცენ რეკომენდაციები
იმ კანკრეტულ საქმეზე, რომელიც განსახილველად
მათ, ქვეყნის მთავრობამ გადასცა;
- ❖ შეისწავლონ და თვალყური ადევნონ
კანონმდებლობას, სასამართლოსა და
ადმინისტრაციულ გადაწყვეტილებებს, რომლებიც
ადამიანის უფლებათა დაცვასა და წახალისებას
ეხება, ასევე მოამზადონ ამ საკითხებზე შესაბამისი
მოხსენებები და გადაუგზავნონ შესაბამის
ორგანოებს;
- ❖ შეასრულონ სხვა ფუნქციები, რომლებსაც
სახელმწიფოები მათ გადასცემენ, ადამიანის
უფლებების სფეროში იმ საერთაშორისო
ვალდებულებების შესრულების მიზნით, რომელიც
ნაკისრი აქვთ სახელწმიფოებს;

სახელმძღვანელო პრინციპებით გათვალისწინებულია
რეკომენდაციები, რომელთა საფუძველზეც ასეთი
დაწესებულებები ვალდებული არიან:

- ❖ გამოავლინონ საზოგადოების ყვართო წრე, ადამიანის უფლებების პრობლემური საკითხების განხილვისა და გადაწყვეტილებების მიღებისას, წართონ მოსახლეობის სხვადასხვა ფენები;
- ❖ საქმის განხილვის დროს უზრუნველყონ, საზოგადოების ნებისმიერი წევრისა და სახელმწიფო ორგანოს წარმომადგენლის დაუბრკოლებელი დაშვება;
- ❖ შექმნან ადგილობრივი და რეგიონალური საკონსულტაციო ორგანოები, რათა მათგან მიიღონ შესაბამისი დახმარებები.

1990 წელს ადამიანის უფლებათა კომისიამ დღის წესრიგში დააყენა საკითხი ეროვნული და რეგიონალური დაწესებულებების მონაწილეობით თათბირის წატარების შესახებ დაწესებულებების უყვექტურობის ზრდისა და თანამშრომლობის ფორმატის განსაზღვრის მიზნით, ისეთ საერთაშორისო ორგანიზაციებთან, როგორცაა: გაერო და მისი სპეციალიზირებული დაწესებულებები. იდეა განხორციელდა 1991 წლის 7-9 ოქტომბერს, პარიზში წატარდა პირველი საერთაშორისო შეკრება, რომლის დასკვნებიც მოწონებულ იქნა გაეროს ადამიანის უფლებათა კომისიის მიერ. 1992/54 რეზოლუციით აღიარებულ იქნა მიენიჭა ეროვნული დაწესებულებების პრინციპების სტატუსი. თავის მხრივ, გაეროს გენერალურმა ასამბლეამ 1993 წლის 20 დეკემბრის 48/134 რეზოლუციით აღნიშნული დაწესებულებები კიდევ ერთხელ აღიარა ადამიანის უფლებათა დაცვის და ხელშეწყობის ორგანოდ და სცნო მისი მანდატი.

აღნიშნული პრინციპების შესაბამისად, რომლებმაც გაარკვია და გაზარდა 1978 წელს მიღებული სახელმძღვანელო პრინციპები. ეროვნულმა დაწესებულებებმა შეიძინა შემდეგი ფუნქციები:

- ❖ სახელმწიფოს, პარლამენტს და ნებისმიერ სხვა კომპეტენტურ ორგანოებს, რომლებიც დაკავშირებული არიან ადამიანის უფლებების დაცვითა და წახალისებით წარუდგინოს რეკომენდაციები, წინადადებები და მოხსენებები;

- ❖ წახალისონ, ეროვნული კანონმდებლობა-პრაქტიკისთან და ადამიანის უფლებების საერთაშორისო დოკუმენტებთან შესაბამისობაში;
- ❖ ხელი შეუწეონ საერთაშორისო დოკუმენტების რატიფიკირებას და ყურადღება მიაქციონ საერთაშორისო სტანდარტების განხორციელებას;
- ❖ ხელი შეუწეონ საერთაშორისო დოკუმენტების შესაბამისად დოკუმენტების შედგენას;
- ❖ მონაწილეობა მიიღონ პროგრამების შედგენაში, რომლებიც ადამიანის უფლებების საკითხების შესწავლასა და კვლევებს ეხება, ასევე გაავრცელონ ინფორმაციები ადამიანის უფლებების შესახებ და ეს ღონისძიებები გამოიყენონ საგანმანათლებლო საქმიანობის გასააქტიურებლად.

1991 წლის შემდეგ გაერო განსაკუთრებით დაინტერესდა ეროვნული დაწესებულებების საქმიანობით, რასაც შედეგად მოჰყვა საკმაოდ მნიშვნელოვანი თათბირების მოწვევა მათ შორის აღსანიშნავია. 1993 წლის ჯაკარტის აზია-წყნაროკეანის რეგიონის ადამიანის უფლებათა დაცვის მეორე სამუშაო თათბირი, რომელზეც განხილული იქნა საკითხი აზია-წყნაროკეანის რეგიონში ეროვნული დაწესებულებების შექმნის შესახებ; 1993 წლის სიღნეის ეროვნულ დაწესებულებებისა და ორგანიზაციების თათბირი იმ გენოციდსა და რასობრივ დისკრიმინაციასთან მებრძოლ პირთა უფლებების დაცვისა და ხელშეწყობის შესახებ; 1993 წლის ტენისის მეორე საერთაშორისო თათბირი ეროვნული დაწესებულებების ეფექტურად ფუნქციონირების და ადამიანის უფლებების დაცვის შესახებ.

1993 წელს ვენაში, ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო კონფერენციასზე, მიღებულ „ვენის დეკლარაციასა და საპროგრამო მოქმედებებში“ ჩამოყალიბებული იქნა მთელი რიგი პრინციპები, კერძოდ, ადამიანის უფლებათა განუყოფლობა და ურთიერთდამოკიდებულება. ამასთანავე, შემუშავებული იქნა ადამიანის უფლებათა საკითხებისადმი მიძღვნილი ღონისძიებები XXI საუკუნისათვის. ვენის კონფერენციამ მოუწოდა სახელმწიფოებს: „გააძლიერონ ეროვნული დაწესებულებების მუშაობა, ხელი შეუწეონ ეროვნული დაწესებულებების ურთიერთობას, ინფორმაციის გაცვლას რეგიონალურ

ორგანიზაციებსა და გაეროს შორის“. ანალოგიური ღონისძიებები იქნა დასახული 1993 წელს ტუნისში.

ტერმინში „ეროვნული დაწესებულებები“ იგულისხმება ორგანო, რომელიც იქმნება სახელმწიფო კონსტიტუციის ან შიდაკანონმდებლობის საფუძველზე და რომლის ფუნქციებშიც შედის ადამიანის უფლებათა დაცვა და ხელშეწყობა.

„ეროვნულ დაწესებულებათა“ პრაქტიკულ საქმიანობას გააჩნია „ადმინისტრაციული ხასიათი“ უფრო ზუსტად, რომ ვთქვათ ისინი არ წარმოადგენენ, არც მართმსაჯულების და არც ნორმაშემოქმედებითი ორგანოებს. მათი საქმიანობა გამოიხატება ადამიანის უფლებათა სფეროში საერთაშორისო და/ან ეროვნულ დონეზე, მთავრობის წარმომადგენლებს, ყოველწლიურად გაეწიონ საკონსულტაციო მისმსახურება. ამგვარი დაწესებულებები ამა, თუ იმ ფორმით დამოკიდებულნი არიან და ერთიერთობა აქვთ აღმასრულებელ ხელისუფლებასთან. რომელიც განპირობებულია მთელი რიგი ფაქტორებით - შემადგენლობა (პერსონალი), ფინანსური, დაწესებულებების ფუნქციონირების მეთოდი და ა. შ..

კომისიას, უფლება აქვს არსებულ დარღვევებთან დაკავშირებით მიიღოს ინფორმაცია, მტკიცებულებები. კომისიები, ძირითადად გამოიყენებენ მორიგებასა და/ან არბიტრაჟის პროცედურებს.

კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები არ ატარებენ სავალდებულო ხასიათს. ზოგიერთ შემთხვევაში, კომისიის მიერ განხილული სადაო საკითხები განსახილველად გადაეცემა სპეციალურ სასამართლოებს ან ამგვარი სასამართლოს არ არსებობისას, მას განიხილავს საერთო სასამართლო, რომელის გადაწყვეტილება სავალდებულოა.

კომისიის კიდევ ერთ მნიშვნელოვანი ფუნქციაა ადამიანის უფლებათა სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის შესწავლა და ანალიზი. ამ საქმიანობაში არსებული ხარვეზების აღმოფხვრის მიზნით, კომისია უფლებამოსილია თვალყური ადევნოს სახელმწიფოს მხრიდან, ადამიანის უფლებების სფეროში საერთაშორისო ნორმებისა და აღებული ვალდებულებების პირნათლად შესრულებას. კომისიას შეუძლია წამოიწიოს გამოძიება თავისი სახელის (განსაკუთრებით ეხება სიტუაციებს, როდესაც ირღვევა სოციალურად დაუცველი ფენების უფლებები).

ეროვნული დაწესებულებები სახვდასხვა ქვეყნებში შეიძლება სახვადასხვა ფორმით არსებობდნენ:

- სპეციალიზირებული დაწესებულებები;
- ადამიანის უფლებათა კომისია;
- ომბუდსმენი

სპეციალიზირებული დაწესებულებები. სპეციალიზირებული დაწესებულებები სახელმწიფო და სოციალური პოლიტიკის ხელშესაწყობად იგივე ფუნქციას ასრულებენ, რასაც ზემო აღნიშნული არასპეციალიზირებული დაწესებულებები და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიები.

სპეციალიზირებული დაწესებულებები იქმნება მისწობრივი ჯგუფების, უფლებებისა და ინტერესების დასაცავად. კერძოდ, ეთნიკური და ენობრივი უმცირესობების, ექსოვლების, მიგრანტების, ლტოლვილებისა და სხვა.

ადამიანის უფლებათა კომისია ასრულებს რამდენიმე ფუნქციას, რომელიც უშუალოდ უკავშირდება ადამიანის უფლებათა დაცვასა და ხელშეწყობას. კერძოდ, მას აკისრია საკონსულტაციო მომსახურების გაწევის ფუნქცია. (მთავრობებისთვის ადამიანის უფლებათა სფეროში, სამართლის საკითხებში) სასოგადოების ფართო ფენებისათვის საგანმანათლებლო საქმიანობაში და მიუკერძოებელი გამოძიების სწორად წარმართვაში. კომისიის მოღვაწეობა შეიძლება იყოს ძალიან ფართო, და მოიცავდეს ადამიანის უფლებათა მთელ სპექტრს. ამასთანავე, მხოლოდ კონკრეტული, მისწობრივი ჯგუფების დაცვას.

„ეროვნული დაწესებულებები“ სხვადასხვა ქვეყნებში სხვადასხვაგვარი სახით ფუნქციონირებენ.

ადამიანის უფლებათა კომისია. მთელ რიგ ქვეყნებში შექმნილია ადამიანის უფლებათა დაცვასთან დაკავშირებული კანონმდებლობისა და დებულებათა ეფექტურად გამოყენების მიზნით. უმეტესად ეს კომისიები მოქმედებენ სახელმწიფოსაგან დამოუკიდებლად. თუმცა, პასუხისმგებელი არიან საკანონმდებლო ორგანოების წინაშე. კომისიების მიზანია, მოქალაქეების სამოქალაქო, პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების დაცვა. ასევე, მათი დაცვა ყველა ფორმის დისკრიმინაციისაგან. ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის შექმნისა და ფუნქციონირების წესი, განსაზღვრულია ეროვნული კანონმდებლობით.

კომოსიები უფლებამოსილი არიან განიხილონ ცალკეულ პირთა საჩივრები ადამიანის უფლებათა დარღვევის სფეროში, რომელთაც დარღვეულია ამ სფეროში ეროვნული კანონმდებლობა.

ომბუდსმენის ინსტიტუტი. ომბუდსმენის ინსტიტუტი პირველად შექდეთში 1809 წელს დაარსდა. სახელმწიფო-სამართლებრივი გაგებით ომბუდსმენი განისაზღვრება, როგორც ნდობის ღირსი დამოუკიდებელი პირი, რომელიც პარლამენტის მიერ უფლებამოსილია დაიცვას ცალკეულ მოქალაქეთა უფლებები და განახორციელოს საპარლამენტო კონტროლი სახელმწიფო თანამდებობის პირებზე, მაგრამ მათ მიერ მიღებული გადაწყვეტილებების შეცვლის უფლების გარეშე. 1919 წლიდან მოყოლებული მსგავსი ორგანოები მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებშიც დაიხერგა და სამართლებრივი კონტროლის სისტემაში შევიდა. ომბუდსმენის ინსტიტუტი საზღვარგარეთის სამართალში ხასიათდება, როგორც საპარლამენტო და სასამართლო კონტროლი და აგრეთვე, თვით ადმინისტრაციულ ორგანოთა კონტროლი.

ომბუდსმენის ქართული დასახელება „სახალხო დამცველი“ შემთხვევითობას არ წარმოადგენს. საჭირო იყო ისეთი დასახელების მოძებნა, რომელიც მოქალაქეებში ნდობას დანერგავდა და შორს იდგებოდა ბიუროკრატიული აპარატის წარმომადგენლისაგან. ამდენად, შეირჩა ქართული ვარიანტი „სახალხო დამცველი“, რომელიც გულისხმობს დაიცვას ხალხის ანუ ყოველი ადამიანის უფლება.

საქართველოში სახალხო დამცველის თანამდებობა 1995 წლის 24 აგვისტოს კონსტიტუციის 43-ე მუხლის საფუძველზე დაარსდა და დღესაც ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვას ეწვეს ზედამხედველობას. სახალხო საქართველოს სახალხო დამცველი ირჩევა 5 წლის ვადით (შეუდეთში, დანიაში, ფინეთსა და პორტუგალიაში ეს ვადა 4 წელია, ესპანეთში – 5 წელი, ავსტრალიასა და საფრანგეთში – 6 წელი). მას ირჩევენ საქართველოს პარლამენტის სრული შემადგენლობა ხმების უმრავლესობით. საერთოდ, უმეტეს ქვეყნებში ომბუდსმენს პარლამენტი ირჩევენ. ასე მაგალითად, დანიის ომბუდსმენს პარლამენტი ირჩევენ პირდაპირი არჩევის წესით ხმათა უმრავლესობით, პორტუგალიის იუსტიციის პროვედორის (იგივე ომბუდსმენი) ასარჩევად საჭიროა პარლამენტის ხმათა ორი მესამედი, საფრანგეთში მედიატორი ინიშნება მინისტრთა საბჭოს

დეკრეტით, დიდ ბრიტანეთში საპარლამენტო რწმუნებულს პრემიერ-მინისტრის რეკომენდაციის საფუძველზე ნიშნავს დედოფალი. ავსტრალიაში ომბუდსმენის დანიშვნის საქმეში დიდ როლს თამაშობს მთავრობა, ტანზანიაში მოქმედებს ომბუდსმენთა კოლექტიური ორგანო— „მუდმივი საგამომიებო კომისია“, რომლის წევრებსაც 2 წლიანი ვადით ნიშნავენ.

მიუხედავად იმისა, რომ მთელს მსოფლიოში ომბუდსმენები ცდილობენ განამტკიცონ ნდობა ადმინისტრაციასა და მოქალაქეს შორის, ყოველ ცალკეულ სახელმწიფოში არსებობს მისი ქვეყნისათვის დამახასიათებელი თავისებურებები. ამიტომ, ომბუდსმენის ინსტიტუტებს საერთო ნიშნების მიუხედავად გააჩნიათ ის სპეციფიკური თავისებურებები, რომელიც განპირობებულია ეროვნული ტრადიციებით, მოქმედი კონტროლისა და შედამხედველობის ორგანოთა სისტემით და მათ შორის კომპეტენციათა განაწილებით და ა. შ.

§2. არასამთავრობო (არაწარმო) ორგანიზაციები

ადამიანის უფლებათა დაცვის საქმეში არასამთავრობო ორგანიზაციების საქმიანობის განხილვამდე უნდა აღვნიშნოთ, რომ არასამთავრობო საერთაშორისო ორგანიზაცია წარმოადგენს რამოდენიმე საზოგადოებრივი ჯგუფის, კავშირის ან კერძო პირთა მიერ შექმნილი გაერთიანებას პოლიტიკურ, ეკონომიკურ, კულტურულ თუ სხვა სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის დამყარებისა და განვითარების მიზნით. არასამთავრობო საერთაშორისო ორგანიზაცია უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ კრიტერიუმებს: მოღვაწეობდეს ორზე მეტ სახელმწიფოში, თავისი მიზნებითა და ფინანსური მხარდაჭერით საერთაშორისო ხასიათი უნდა ქონდეს. ასეთ ორგანიზაციებს ენიჭებათ სამეთვალყურეო სტატუსი გაეროში, ევროსაბჭოში და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებში.

არასამთავრობო ორგანიზაციები, ატარებენ ისინი საერთაშორისო თუ არასაერთაშორისო ხასიათს, ფასდაუდებელ როლს თამაშობენ ადამიანის უფლებათა დაცვის საქმეში, როგორც საერთაშორისო, ისე ეროვნულ დონეზე.

არასამთავრობო ორგანიზაცია, კერძო სამართლის არასამეწარმეო (არაკომერციულ) ორგანიზაციას წარმოადგენს.

მას მესამე სექტორსაც უწოდებენ. სახელმწიფო პოლიტიკა მესამე სექტორის მიმართ გარკვეულ ცვლილებებს და დახვეწას საჭიროებს, რასაც შედეგად უნდა მოჰყვეს არასამთავრობო ორგანიზაციების გააქტიურება საზოგადოების წინაშე მდგომი პრობლემების მოგვარებაში და შესაბამისად მისი წონისა და მნიშვნელობის გაზრდაც საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ეს ერთის მხრივ, დამოკიდებულია ხელისუფლების პოლიტიკურ ნებაზე - უფრო მეტი საშუალება მისცეს დემოკრატიულ და აქტიური ინსტიტუტებს, მეორეს მხრივ, საზოგადოების მზადყოფნაზე, რათა უფრო მეტი პასუხისმგებლობა აიღოს თავის თავზე და სრულად და უპირობოდ არ მიანდოს ხელისუფლებას გადაწყვეტილებების მიღების პროცესი. არასამთავრობო ორგანიზაციების, საქმიანობა წარმართება არა მარტო სახელმწიფოს შიგნით, არამედ მის გარეთაც: არაკომერციული სამართლის სუბსექტის ფარგლებში ექვევა: ასოციაციები, ფონდები, კავშირები ან სხვა ფორმის ორგანიზაციები, რომელთა საქმიანობა რეგულირდება შიდასახელმწიფოებრივი სამართლის საფუძველზე. არასამთავრობო ორგანიზაცია თავის სტრუქტურას, გამგეობის წევრების შერჩევას, მათი ფუნქციების და საქმიანობის განაწილებას განსაზღვრავს წესდების მიხედვით. ამდენად, არასამთავრობო ორგანიზაციები თვითონ განსაზღვრავენ მოქმედების მანდატს.

არასამთავრობო ორგანიზაციების საქმიანობა შეიძლება მრავალმხრივი იყოს. კერძოდ, ჰუმანიტარული, კულტურული, საგანმანათლებლო, რელიგიური, ადამიანის უფლებათა დამცავი. სწორედ ამ უკანასკნელზე შეეხებოდა თქვენს ყურადღებას.

როგორც უკვე მიუთითეთ, ადამიანის ძირითად უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის საკითხების განხილვისას მნიშვნელოვანი ადგილი ენიჭება მესამე სექტორის საქმიანობას. ხშირად აღნიშნულ ორგანიზაციებს ადამიანის უფლებადამცავ ორგანიზაციებსაც უწოდებენ. ამ ორგანიზაციათა ეფექტური საქმიანობა ბევრად არის დამოკიდებული შემდეგ ფაქტორებზე:

- ადამიანის უფლებათა დამცავი ორგანიზაციების, როგორც არასამთავრობო ორგანიზაციების სამართლებრივი ბუნების გარკვევა;
- ამ ორგანიზაციების შინაარსის დადგენა;
- არასამთავრობო ორგანიზაციების ხელისუფლებაზე შემოქმედების ფორმების გამოვლენა;

- ამ ტიპის არასამთავრობო ორგანიზაციების ზეგავლენა ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში საერთაშორისო და არასაერთაშორისო მაკონტროლებელი მექანიზმების საქმიანობაზე.

არასამთავრობო ორგანიზაციებმა უდიდესი როლი ითამაშეს თვით გაერთიანებული ერების ორგანიზაციის (გაერო) ჩამოყალიბების საქმეში. ზოგიერთი მათგანი გვევლინებოდა გაეროს “თანადამფუძნებლად”, ასე 1945 წელს სან-ფრანცისკოში 200 არასამთავრობო ორგანიზაცია იღებდა მონაწილეობას გაეროს დამფუძნებელ კონფერენციაზე. გაეროს წესდებაში. სწორედ ამ ორგანიზაციების მიერ იქნა შეთავაზებული ისეთი დემოკრატიული პრინციპები, როგორცაა სახელმწიფოთა ვალდებულება დაიცვან ადამიანის უფლებები, ადამიანის ღირსება და მისი სიცოცხლე. გაეროს შექმნის დღიდან, არასამთავრობო ორგანიზაციების ყურადღების ცენტრშია სახელმწიფოთა საქმიანობა ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში. ამავე ორგანიზაციების ინიციატივით ხდება გაეროს ფარგლებში დამატებითი მაკონტროლებელი მექანიზმების და ორგანოების შექმნა, ასევე უკვე არსებული კომისიებისა და კომიტეტების საქმიანობის ეფექტურობის ამაღლება. ესამე სექტორის წარმომადგენლები განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობენ ქალთა, ბავშვთა, ლტოლვილთა, ინვალიდთა და სხვა პირთა უფლებების დაცვის საკითხებს.

მასობრივი გაუჩინარებების ფაქტების დადგენისას არასამთავრობო სექტორის როლი ძალიან გაიზარდა. მაგალითად, გონდურასსა და ნიკარაგუაში სწორედ ადამიანის უფლებათა დამცავმა ორგანიზაციებმა შეაგროვეს მონაცემები და მიმართეს ინტერამერიკულ სასამართლოს სარჩელით. არასამთავრობო ორგანიზაციების მეშვეობით გამოვლინდა და დისკრიმინაციის საწინააღმდეგო ქვეკომისიის სხდომაზე წარმოდგენილ იქნა ინფორმაცია იმ 2000 კორეელი ქალის ბედის შესახებ, რომლებიც II მსოფლიო ომის შემდგომ “ემსახურებოდნენ” იაპონელი სამხედროებს. არასამთავრობო ორგანიზაციათა დაუინებელი მოთხოვნით ქვეკომისიის ექსპერტებმა ერთმნიშვნელოვნად გადაწყვეტეს, რომ იაპონიის მთავრობას ბოდიში უნდა მოეხადა მსხვერპლთათვის და ეს სამარცხვინო ფაქტი შეეტანათ ისტორიის სახელმძღვანელოებში. ასევე, გადაეხადათ მსხვერპლთათვის კომპენსაცია.

არასამთავრობო ორგანიზაციის საქმიანობის მნიშვნელოვან მხარეს წარმოადგენს ნორმაშემოქმედებით საქმიანობაში მონაწილეობის მიღება. ზოგიერთი მათგანი შეიქმნა სწორედ ამ მიზნით. ამის დასტურია გაეროს წესდების 69-ე მეხლი: *“ეკონომიკური და სოციალური საბჭო, იწვევს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ნებისმიერ წევრს ხმის უფლების გარაშე მონაწილეობის მისაღებად, საბჭოს მიერ ნებისმიერი ისეთი საკითხის განხილვაში, რომელიც განსაკუთრებული ინტერესის საგანია ორგანიზაციის მოკუმული წევრისათვის”* და 71-ე მეხლი, სადაც განმარტებულია, რომ *“ეკონომიკური და სოციალური საბჭო უფლებამოსილია, გააჩაროს სათანადო ღონისძიებები მის კომპეტენციაში შემავალი საკითხებით დაინტერესებულ არასამთავრობო ორგანიზაციებთან ერთად. ასეთი ღონისძიებები, შეიძლება შეუთანხმდეს საერთაშორისო ორგანიზაციებს, საჭიროების შემთხვევაში კი - ეროვნულ ორგანიზაციებს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის დაინტერესებულ წევრთან კონსულტაციის შემდეგ”*.

1993 წელს ეენაში ადამიანის უფლებათა საერთაშორისო კონფერენციაზე აღინიშნა, რომ *“ათვითცნობიერებს რა, იმ ფაქტს, რომ ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში სტანდარტების გამოვლენა და შემუშავება სახელმწიფოს მოვალეობაა, კონფერენცია მაღალ შეფასებას აძლევს ამ პროცესში არასამთავრობო ორგანიზაციების როლს”*.

არანაკლებ მნიშვნელოვანია არასამთავრობო ორგანიზაციის საქმიანობა ადამიანის უფლებათა დაცვის კონტროლის მექანიზმების მუშაობაში. ზოგიერთ მათგანს დიდი გამოცდილება აქვს თავის ქვეყნაში ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში ორიენტირებული კანონპროექტების დობირების საქმეში.

ზოგიერთი არასამთავრობო ორგანიზაციას გააჩნია დამკვირვებლის სტატუსი სხვახადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციებში, რომელთა მოღვაწეობა ახლოა არასამთავრობო ორგანიზაციის საქმიანობის სფეროსთან. მათ საშუალება ეძლევათ ინფორმაცია მიიღონ საერთაშორისო ორგანიზაციების მუშაობის შესახებ, მიაწოდონ ინფორმაცია ამ ორგანიზაციებს და სახელმწიფოსთან ერთად, განიხილონ საკითხები, რომლებიც მათ გამგებლობაშია.

არასამთავრობო ორგანიზაციები, რომელთაც გააჩნიათ ეკონომიკური და სოციალური საბჭოს მიერ მინიჭებული

სტატუსი, ესწრებიან კომიტეტისა და კომისიების სხდომებს და აქვთ საშუალება თვითონ გააკონტროლონ, თუ როგორ ახდენ სახელმწიფოები ადამიანის უფლებათა დაცვას. არასამთავრობო ორგანიზაციები სხვა ორგანიზაციებთან შედარებით უკუ ფლობენ ინფორმაციას ადამიანის უფლებათა დარღვევის ფაქტებზე და შესწევთ უნარი გააკონტროლონ სახელმწიფოები, თუ როგორ იცავენ ისინი კონკრეტულ შემთხვევაში ადამიანის უფლებებს. საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ წარგზავნილ ოფიციალური პირები, ვერ იღებენ ამომწურავ ინფორმაციას და ვერ წარმოაჩენენ ადამიანის უფლებათა დარღვევებზე რეალურ სურათს. მაშინ, როდესაც ამ ქვეყნებში მოქმედ არასამთავრობო ორგანიზაციებს უფრო მეტი საშუალება აქვთ შეკრიბონ ინფორმაცია, მიაწოდონ სახელმწიფო სტრუქტურებს, საერთაშორისო ორგანიზაციებსა და საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციებს.

წამების საწინააღმდეგო კომიტეტის მუშაობაში ძალიან მნიშვნელოვანია მესამე სექტორის როლი. განსაკუთრებით სასამართლოს გარეშე, სიკვდილით დასჯისა და სიკვდილის დასჯის თვითნებურად გამოყენების ფაქტების დადგენისას. ახე მაგალითად, ამ პრობლემისადმი მიძღვნილ მოხსენებას გაეროს ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიისას წარუდგენს სპეციალური მომხსენებელი, რომელიც თავის ანგარიშში, გარდა სახელმწიფოს მიერ მიწოდებული მონაცემებისა, ეყრდნობა არასამთავრობო ორგანიზაციის კვალიფიციურ ინფორმაციას.

იმ არასამთავრობო ორგანიზაციებს, რომლებსაც არ გააჩნია საკონსულტაციო სტატუსი, უფლება ეძლევა გაეროს მიმართოს შეტყობინებით ამა, თუ იმ ქვეყანაში ადამიანის უფლებათა დარღვევის შემთხვევების შესახებ. ეს პროცედურები ეფუძნება გაეროს ეკონომიურ და სოციალური საბჭოს 1503-ე პროცედურას, რომლის საფუძველზე, ადამიანის უფლებათა კომისისა და შესაბამისი ქვეკომისიები უფლებამოსილი არიან მიიღონ არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ მიწოდებული შეტყობინებები.

არასამთავრობო ორგანიზაციების მონაწილეობას გაეროს საქმიანობაში განსაზღვრავდა №1296-ე რეზოლუცია, რომელიც მიღებულ იქნა ეკონომიური და სოციალური საბჭოს მიერ 1968 წელს. ამ რეზოლუციით განისაზღვრა იმ არასამთავრობო ორგანიზაციების ადგილი, რომლებსაც “საკონსულტაციო” სტატუსი აქვთ გაეროში, თუმცა ამგვარი საქმიანობის

განხორციელების უფლება, არ ეძლევა ყველა არასამთავრობო ორგანიზაციას. ეკონომიკურმა და სოციალურმა საბჭომ გამოიმუშავეს კრიტერიუმები, რომლის მიხედვითაც არასამთავრობო ორგანიზაციები მიიღებენ „საკონსულტაციო“ სტატუსს (დღევანდელი მონაცემებით 1000-მდე ორგანიზაციას გააჩნია აღნიშნული სტატუსი).

რა უფლებებს აძლევს “საკონსულტაციო სტატუსი არასამთავრობო ორგანიზაციას”? გაეროს ეკოსოსის №1296-ე რეზოლუცია საკმაოდ მკაცრია და ითვალისწინებს მთელ რიგ პირობებს. იმისათვის, რომ არასამთავრობო ორგანიზაციას გააჩნდეს გაეროში “საკონსულტაციო” სტატუსი. მას, უნდა ახასიათებდეს შემდეგი ნიშნები:

- სტატუსი ენიჭება არა ეროვნულ ან ლოკალურ არასამთავრობო ორგანიზაციას, არამედ მათ ვისაც გააჩნია მკვეთრად გამოხატული საერთაშორისო სტრუქტურა და მუშაობენ მთელ რიგ ქვეყნებზე.
- ორგანიზაციები საკმაოდ პროფესიონალი და ავტორიტეტული არიან საერთაშორისო არენაზე.
- 1996 წლის 15 ივლისს ეკონომიკურმა და სოციალურმა საბჭომ თავის 49-ე პლენარულ სხდომაზე შეიმუშავა, განაახლა და შეცვალა არასამთავრობო ორგანიზაციებისათვის „საკონსულტაციო სტატუსის“ მინიჭების კრიტერიუმები, რომელიც ნამოაყალიბა თავის რეზოლუციაში სახელწოდებით: „გაეროსა და არასამთავრობო ორგანიზაციებს შორის კონსულტაციური ურთიერთდამოკიდებულების შესახებ“. გაერომ ჩამოაყალიბა საკონსულტაციო სტატუსის კატეგორიები -I, II (ამ კატეგორიის არასამთავრობო ორგანიზაციებს შეუძლიათ დაესწონენ ეკოსოსის ღია სხდომებს, მისი კომიტეტებისა და სასესიო ორგანოების სხდომებს) და “სია” (ესწრებიან მხოლოდ იმ სხდომებს, რომლებიც განიხილავენ ამ ორგანიზაციის კომპეტენციაში შემავალ საკითხებს). არასამთავრობო ორგანიზაციები გაეროს შესაბამის სტრუქტურებს აძლევენ ჭეშმარიტ ინფორმაციას საქმეთა რეალური მდგომარეობისა და გადაუდებელი ღონისძიებების განხორციელების აუცილებლობის შესახებ. გაიზარდა არასამთავრობო ორგანიზაციათა რაოდენობა, გაფართოვდა მათი საქმიანობის სფერო.

- არასამთავრობო ორგანიზაციებს შეუძლია წარმოადგინონ ყოველსამომკველი მოხსენებები, რომელიც იქნება სახელმწიფო მოხსენების ალტერნატივა.

ორივე შემთხვევაში, არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ მიწოდებულ ინფორმაციას ეწოდება ალტერნატიული ანუ პარალელური მოხსენებები.

ალტერნატიული მოხსენებები არ შედის გაეროს დოკუმენტებში და არ ითვლება მის ინსტრუმენტად, მაგრამ მათ ოფიციალურ დოკუმენტებში მოთხსენებენ სპეციალური ტერმინით. როგორც “სხვადასხვა წყაროებიდან მიღებულ ინფორმაციას” (მათ შორის არასამთავრობო ორგანიზაციებიდან).

არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ წარმოდგენილი მოხსენებები მიზნად არ ისახავს სახელმწიფოსათვის ბრალდებების წაყენებას. ეს, არის ანალიტიკური, კრიტიკული სახის მოხსენებები, რომელშიც ასახულია სამოქალაქო საზოგადოების შეხედულება სახელმწიფოს მხრიდან ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხებზე.

გაეროს სახელშეკრულებო ორგანოთა წინაშე ეროვნული არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ წარდგენილი ალტერნატიული მოხსენება მიზნად ისახავს:

- გაეროს სახელშეკრულებო ორგანოთა ხელშეწყობას მიიღონ ამომწურავი, დამოუკიდებელი ინფორმაცია სახელმწიფოს მიერ ადამიანის უფლებათა დაცვის შესახებ;
- ხელი შეუწყონ, ამ ორგანოთა შენიშვნებისა და რეკომენდაციების შემუშავებას; რეკომენდაციები უკან უბრუნდება იმ სახელმწიფოს, რომელმაც უნდა შეასრულოს ეს რეკომენდაციები.
- სახელმწიფოებმა იციან რა, რომ შესაძლებელია გაეროს სახელშეკრულებო ორგანოებში წარდგენილი იქნას არასამთავრობო ორგანიზაციების ალტერნატიული მოხსენება, ისინი მომდევნო მოხსენების წარდგენისას იჩენენ უფრო მეტ მონდომებას და კდილობენ უფრო ეფექტური ზომები გაატარონ ადამიანის უფლებების დასაცავად.

არასამთავრობო ორგანიზაციათა საკონსულტაციო სტატუსი, მოქმედებს არა მარტო გაეროში. ამ მიმართულებით, 1952 წლიდან, მუშაობის გარკვეული გამოცდილება გააჩნია

ევროპის საბჭოსა (კ. ვრო საბჭოში მოქმედებს არასამთავრობო ორგანიზაციების თანამშრომლობის უფრო მოქნილი მექანიზმები, რომლითაც არასამთავრობო სექტორს ევრო საბჭოში საკონსულტაციო სტატუსი ენიჭება. ამ ორგანიზაციის ეგიდით მოქმედებს ადამიანის უფლებათა მთელი რიგი ინსტიტუტები. მათ რიცხვს მიეკუთვნება: ევროსაბჭოს წესდება (1949); ევროკონვენცია (1950) და მისი დამატებითი ოქმები; ევროპის სოციალური ქარტია (1961) ევროსაბჭოს კონვენცია წამებისა და სხვა (1989). გარდა ამ კონვენციებისა, არასამთავრობო ორგანიზაციების ყურადღების ცენტრში ექცევიან ევროსაბჭოს ეგიდით მიღებული სხვადასხვა შეთანხმებები, რეკომენდაციები და რეზოლუციები.

არასამთავრობო ორგანიზაციების ამოცანაა, ხელი შეუწყოს სახელმწიფოებს მათ მიერ ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებაში და ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის სფეროში მოქმედი სტანდარტების მაქსიმალურ დამკვიდრებაში.

ევრო საბჭოში 400-ზე მეტ არასამთავრობო ორგანიზაციას გააჩნია საკონსულტაციო სტატუსი. მათგან ორი მესამედის საქმიანობის სფერო უკავშირდება ადამიანის უფლებათა დამცავ საქმიანობას. ისინი წელიწადში სამჯერ მიწვეულნი არიან საპარლამენტო ასამბლეის სხდომებზე, რომელზეც იხილება ადამიანის ძირითად უფლებათა და თავისუფლებათა სფეროში უკანასკნელი მიღწევები და მიმდინარე პრობლემები. არასამთავრობო ორგანიზაციებსა და ევრო საბჭოს შორის ურთიერთობები რეგულირდება ევროსაბჭოს მინისტრთა კომიტეტის (93)-ე რეზოლუციის საფუძველზე, რომელიც მიღებული იქნა 1952 წელს.

რეზოლუციის თანახმად, საკონსულტაციო სტატუსი ენიჭება იმ, საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციებს, რომლებსაც გააჩნიათ წარმომადგენლობითი ხასიათი თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში და არსებითი წვლილი მიუძღვით ევროკონვენციის რეალიზაციის საქმეში, რომელიც კარგად არის ცნობილი ევროპული საზოგადოებისათვის.

ადამიანის უფლებათა დამცავმა სამმა საერთაშორისო ორგანიზაციამ *საერთაშორისო ამიანიტია*, *იურისტთა საერთაშორისო კომისიამ* და *ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ფედერაციამ* ევროსაბჭოში მიიღო საპეციალურ დამკვირვებელის სტატუსი. ეს მათ უფლებას აძლევს

მონაწილეობა მიიღონ სტრასბურგში გამართულ ადამიანის უფლებათა დაცვის პრობლემებთან დაკავშირებულ დისკუსიებში.

სხვა არასამთავრობო ორგანიზაციებს ეძლევათ დროებითი დამკვირვებლის სტატუსი (ad hoc) ისინი, სპეციფიკიდან გამომდინარე, თავის საქმიანობას წარმართავენ ექსპერტთა კომიტეტებში. ევროსაბჭომ, თავისი მოღვაწეობის განმავლობაში, შეიმუშავა არასამთავრობო სექტორთან მუშაობის სხვადასხვა ფორმები:

- ადამიანის ძირითად უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის სფეროში სტანდარტების დამკვიდრების ხელშეწყობა. ევროსაბჭო განსაკუთრებით აფასებს არსამთავრობო ორგანიზაციათა მოღვაწეობის ამ ფორმას, რომელიც გამოიხატება ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში დადებულ ხელშეკრულებათა პატივისცემაში, საზოგადოების ფართო მასებისა და მოქალაქეთა ცალკეულ ჯგუფების მხრიდან. ეს გამოიხატება ფართო პროფილის იურისტებთან, მოსამართლეებთან, სახელმწიფო ორგანოების წარმომადგენლებთან მუშაობაში, საერთაშორისო სამართლის მოთხოვნათა დანერგვის მიზანით და ადამიანის უფლებათა დარღვევების მიმართ შეშფოთების გამოხატვაში.
- მაკონტროლებელ ორგანოებთან თანამშრომლობა რეგიონალურ დონეზე. ნებისმიერი არასამთავრობო ორგანიზაცია უფლებამოსილია შეატყობინოს ევროსაბჭოს ევროპული კონვენციით გარანტირებული უფლებების დარღვევის შესახებ, თუ არის ამგვარი დარღვევის მსხვერპლი, მიმართოს ევროპულ სასამართლოს დარღვეული უფლებების აღსადგენად.⁶⁰
- არასამთავრობო ორგანიზაციას შეუძლია, წარუდგინოს ევროპულ სასამართლოს დამატებითი ინფორმაცია, რომელიც სასამართლოს გამოადგება კონკრეტული საქმის განხილვისას. ასე მაგალითად, პროფკავშირები, ინფორმაციას აწვდიან სოციალური ქარტიის მაკონტროლებელ ორგანოებს ქარტიის მოთხოვნათა შესრულებაზე სახედამხედველოდ. არასამთავრობო

⁶⁰ უფრო დეტალურად ამ საკითხს განვიხილავთ წიგნის III თავში.

ორგანიზაციას აქვს უფლება გაუწიოს კონსულტაციები იმ პირებს, რომლებსაც გადაწყვეტილი აქვთ ხარხელით

- არასამთავრობო ორგანიზაციები სისტემატიურად აწვდიან ინფორმაციას ევროსაბჭოს წამების საწინააღმდეგო კომიტეტს პატიმართა და დაკავებულ პირთა მდგომარების შესახებ.
- ევროსაბჭო ახალი სახელმწიფოს წევრად მიღებისას, ატარებს პრევენდენტი სახელმწიფოს “რევიზიას”. არკვევს, თუ რამდენად პასუხობს ევროსაბჭოს მოთხოვნებს კანდიდატი სახელმწიფო. ამ მიზნით, სახელმწიფოში იგზავნება დამკვირვებლებთა ჯგუფები, რომელთაც ევალებათ “ფაქტების მოგროვება”. ისინი ინფორმაციას აგროვებენ და ხვდებიან არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებს, პროფკავშირების, სხვადასხვა რელიგიური მიმდინარეობების და სამოქალაქო საზოგადოების სხვა წარმომადგენლებს. ასევე სახელმწიფო სტრუქტურების ოფიციალურ პირებს.
- ევროსაბჭოს საქმიანობის სხვადასხვა ასპექტების შესახებ ინფორმაციის გავრცელება.

საკონსულტაციო სტატუსის მქონე არასამთავრობო ორგანიზაციები ყოველწლიურად იკრიბებიან პლენარულ სხდოებზე, მათი მიზანია, ევროსაბჭოსთან თანამშრომლობის განვითარება.

არსებობს 10 ჯგუფი, რომლებიც ევროსაბჭოში საპარლამენტო სესიებზე წელიწადში 2-3 ჯერ იკრიბებიან. ეს ჯგუფებია:

- სოციალური უფლება, ევროპული სოციალური ქარტია, შრომა და სოციალური პოლიტიკა;
- ადამიანის უფლებები; განათლება და კულტურა;
- ჩრდილოეთსა და სამხრეთ შორის დიალოგი და სოლიდარობა;
- სამოქალაქო საზოგადოება ახალ ევროპაში;
- სოფლის ტერიტორია და გარემო;
- ჯანდაცვა;
- ქალაქში მოღვაწე არასამთავრობო ორგანიზაციები;
- სქესთა თანაფარდობა;
- უკიდურესი სიღუბეტი და სოციალური თანადგომა.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, არასამთავრობო ორგანიზაციების როლი სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკაში. მაგალითად, მესამე სექტორის წარმომადგენლები აქტიურად ღებულობენ მონაწილეობას საერთაშორისო აქტების მიერთების საქმეში, რომელიც ადამიანის უფლებათა დაცვას ეხება. გარდა ამისა, არასამთავრობო ორგანიზაციები პარლამენტში ხშირად წარადგენენ ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხებთან დაკავშირებულ საკანონმდებლო წინადადებებს (მაგალითად, არასამთავრობო ორგანიზაციის ხელშეწყობით საქართველომ მოახდინა სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს წესდების (რომის სტატუსტის) რატიფიცირება. 1991 წელს არასამთავრობო ორგანიზაციებმა აშშ სენატის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტში წარადგინეს განაცხადები პოლიტიკური და სამოქალაქო საერთაშორისო პაქტის რატიფიცირების საკითხთან დაკავშირებით.

ტირმინთა ბანსაზღვრება:

არასამთავრობო საერთაშორისო ორგანიზაცია – არის რამდენიმე სახელმწიფოს საზოგადოებრივი ჯგუფის, კავშირის ან კერძო პირის მიერ ჩამოყალიბებული პოლიტიკური, ეკონომიკური კულტურული, სამეცნიერო, რელიგიური, პროფესიული და ა. შ. არაკომერციული ორგანიზაცია, რომელიც თანამშრომლობს საერთაშორისო ორგანიზაციებთან.

სამოქალაქო საზოგადოება (Civil society) – სამოქალაქო საზოგადოების ცნება, საზოგადოების არასახელმწიფოებრივი ურთიერთობების მთელ ერთობლიობას მოიცავს – ეკონომიკურს, სოციალურს, კულტურულს, რელიგიურს და ქმნიან სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუციონალურ საფუძველს. არამომგებიანი, არასამთავრობო ორგანიზაციების ინტერესთა ჯგუფები (მათ შორის პროფესიული კავშირები თუ ფერმერული ჯგუფები), ცალკეული ინდივიდები, რომლებსაც შესწევთ საზოგადოებასა და ხელისუფლებაზე ზემოქმედების და სახელმწიფოსაგან დამოუკიდებლად საკუთარი სასიცოცხლო პრობლემების გადაჭრის უნარი. ეს ორგანიზაციები და ინდივიდები ნათლად აჩვენებენ პიროვნებისა და საზოგადოების ინტერესების თანაბარ უფლებებს, რაც სამოქალაქო საზოგადოების საფუძველია. დემოკრატიული სახელმწიფოს იდეა თავის თავში გულისხმობს

სამოქალაქო საზოგადოებას, როგორც დემოკრატიულობის უფრო მაღალ საფეხურს.

ადამიანის უფლებათა ლექსიკონი. თბილისი. 1999წ.

ცოდნის შემოწმება:

1. რა როლი აკისრიათ საქართველოში მოქმედ არასამთავრობო ორგანიზაციებს საქართველოში?
2. რამდენად მნიშვნელოვნად მიგაჩნიათ ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში მოქმედი არასამთავრობო სექტორის აქტიურობა სახელმწიფოში? თუ პასუხი დადებითია დაასაბუთეთ რატომ?

სასწავლო-მეთოდობა:

რეკომენდირებულია ლექციაზე მოწვეული იქნას რომელიმე ადამიანის უფლებათა დამცავი წარმატებული არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი, რომელიც დაწერილებით გააცნობს სტუდენტებს თავისი ორგანიზაციის საქმიანობას.

ბამოყენებული ლიტერატურა:

UN DOC.A/Conf./157/23. June 12, 1993, h.38.

1. *H.Hannum Guide to Int'l HR Practice. Unive.uf Pennsylvania Press Philadelphia, 1986. P. 48-49; 50-55.*

2. *Y.G. Herrills. A.H.Roberlson. Human Right in the World.*

3. Joseph T. Eldridge. Domestic Human Rights aduocacy: Strategies for Intlucening Governmental Policy in Influencing Government Policy. H.Hannum.

4. Susan Marks, International Human Rights. Lexicon. Oxford 2005.

5. თანამედროვე საერთაშორისო სამართალი. თბილისი. 2005.

6. J.A.Andrews; W. D. Hines. International Protection of HR. London, Monsell Public limited. 1987.

თავი VI. ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალი და საქართველო

§1. ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის ნორმათა აღბლილი საქართველოს კანონმდებლობაში

საქართველომ დამოუკიდებლობის მოპოვების დღიდან მიზნად დაისახა ქვეყნის სამართლებრივ სახელმწიფოდ ჩამოყალიბება. აქედან გამომდინარე, დღის წესრიგში დადგა საქართველოს კანონმდებლობის საერთაშორისო სამართლის სტანდარტებთან გათანაბრების აუცილებლობა. მიუხედავად მზარდი პოლიტიკურ-ეკონომიკური განვითარებისა, საკითხის საერთაშორისო პრიორიტეტის რანგში აყვანისა და ქვეყანაში ადამიანის უფლებათა დამცავი სხვადასხვა მექანიზმების არსებობისა, ბევრი პრობლემა ხშირ შემთხვევაში კვლავ გადაუჭრელია და სამწუხაროდ, მოქალაქე დაუცველი რჩება არსებული ბიუროკრატიზმის წინაშე. ცნობილია, როდესაც სახელმწიფო იმყოფება რეფორმების პროცესში, ხოლო ქვეყანაში მიმდევრობითი სოციალურ-ეკონომიკური ფონია მცირე კანონისადმი პატივისცემა, დაბალია მოსახლეობის სამართლებრივი და სამოქალაქო განათლების დონე. ამდენად, ქვეყანაში საერთაშორისო სტანდარტების დანერგვა გულისხმობს არა მარტო მათ დეკლარირებას კონსტიტუციებსა და ეროვნულ კანონმდებლობაში, არამედ სახელმწიფოში ქმედითი მექანიზმების ამოქმედებას, რომელიც უზრუნველყოფს ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების დაცვას ეროვნულ დონეზე. საერთაშორისო სამართლებრივი ნორმები ცალკე არსებული ღირებულებებია. ისინი შიდასახელმწიფოებრივ სამართალში აღწევენ და ამყარებენ ეროვნულ დონეზე სახელმწიფოს მიერ შექმნილ უფლებადამცავ მექანიზმებს.

ზოგადად, საერთაშორისო სამართალი იმპერატულიად არ მოითხოვს ეროვნულ კანონმდებლობაში საერთაშორისო ხელშეკრულებების ასახვას. ⁶¹ეს პრეროგატივა ეროვნულ კანონმდებლობას ეკუთვნის. მიუხედავად ამისა, სახელმწიფოები

⁶¹ .საერთაშორისო ხელშეკრულებათა ტერმინის ხმარებისას ჩვენ ვგულისხმობთ აგრეთვე იმ ხელშეკრულებებს, რომელიც დადებულია ადამიანის უფლებათა სფეროში.

აღიარებენ საერთაშორისო ხელშეკრულებებს თავისი კანონმდებლობის ნაწილად. უფრო მეტიც, სახელმწიფოები, როგორც წესი საერთაშორისო ხელშეკრულებებს გარკვეულ ადგილს უნენენ შიდასახელმწიფოებრივ კანონმდებლობაში.

საქართველოში, ადამიანის უფლებათა დაცვა განისაზღვრება: საქართველოს კონსტიტუციის (მე-6 მუხლის მე-2 პუნქტით); საქართველოს კანონით “ნორმატიული აქტების შესახებ” და საქართველოს კანონით “საერთაშორისო ხელშეკრულებათა შესახებ”. საქართველოს კანონმდებლობა შეესაბამება საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებსა და ნორმებს. საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებას ან შეთანხმებას, თუ იგი არ ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციას აქვს უპირატესი იურიდიული ძალა შიდასახელმწიფოებრივი ნორმატიული აქტების მიმართ. კონსტიტუციის მე-2 თავის თანახმად, საქართველოს სახელმწიფო ცნობს და იცავს ადამიანის საყოველთაოდ აღიარებულ უფლებებსა და თავისუფლებებს, როგორც წარუვალ და უზუნაეს ადამიანურ ღირებულებებს. ხელისუფლების განხორციელებისას ხალხი და სახელმწიფო შეზღუდულნი არიან ამ უფლებებითა და თავისუფლებებით, როგორც უშუალოდ მოქმედი სამართლით (კონსტიტუციის მე-7 მუხლი).

საქართველოს კონსტიტუცია, როგორც ქვეყნის უზუნაესი კანონი უზრუნველყოფს ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვას (საქართველოს 1995 წელს კონსტიტუციის პრეამბულა). კონსტიტუციის საერთო კონცეფცია ეფუძნება თანამედროვე დემოკრატიული სახელმწიფოს ძირითად პრინციპებს და ისწრაფის სამართლებრივი სახელმწიფოს დამკვიდრებისაკენ. სახელმწიფოში დემოკრატიული პრინციპების დანერგვა და ფუნქციონირება უზრუნველყოფილია კონსტიტუციითა და სხვა საკანონმდებლო აქტებით.

სახელმწიფოს ძირითად კანონს - კონსტიტუცია წარმოადგენს. სწორედ კონსტიტუციით არის გარანტირებული ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა აღიარება და დაცვა, რაც შემდგომში ქვეყნის კანონმდებლობაში აისახება.

საქართველოს მოქმედი კონსტიტუცია 1921 წელს მიღებული კონსტიტუციის ტრადიციებზე აღმოცენდა. იმ პერიოდის კონსტიტუციათა შორის, დამოუკიდებელი

საქართველოს კონსტიტუცია გამოირჩეოდა ადამიანის უფლებათა დაცვის მწყობრი სისტემით.

1995 წლის 24 აგვისტოს მიღებული მოქმედი კონსტიტუციის მე-2 თავი ეძღვნება ადამიანისა და მოქალაქის უფლებებს. მასში მოცემულია ის უფლებები და თავისუფლებები, რომელთა დაცვა იკისრა სახელმწიფომ ნებისმიერ დონეზე, ნებისმიერ კითარებაში.

კონსტიტუცია აღიარებს ადამიანის ძირითად უფლებებს, როგორც კონკრეტული კანონმდებლობისაგან დამოუკიდებლად არსებულ ადამიანისა და მოქალაქის ბუნებით უფლებებს.

კონსტიტუციის მე-2 თავში მოცემულია ძირითადი უფლებების ფართო სპექტრი. საქართველოს კონსტიტუციის დადებით მხარედ ითვლება ის, რომ II თავში ჩამოთვლილი უფლებები არ არის ამომწურავი. „საქართველოს კონსტიტუცია არ ეარყოფს ადამიანისა და მოქალაქის საყოველთაოდ აღიარებულ უფლებებს. თავისუფლებებსა და გარანტიებს, რომელიც აქ არ არის მოხსენებული. თუმცა, გამომდინარეობს კონსტიტუციის პრინციპებიდან“ (კონსტიტუციის 39-ე მუხლი).

აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს კონსტიტუცია განასხვავებს ადამიანის უფლებებსა და მოქალაქის უფლებებს. მოქალაქის უფლებები ისეთი ძირითადი უფლებებია, რომელიც ეკუთვნის მხოლოდ სახელმწიფოს მოქალაქეებს. საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით, ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები ურცვლდება იურიდიულ პირებსაც (კონსტიტუციის 45-ე მუხლი).⁶²

საქართველომ საერთაშორისო ორგანიზაციებში გაწევრიანების შემდეგ აიღო ვალდებულება საერთაშორისო სტანდარტებით უზრუნველყოს მის ოქრისდიქციაში მყოფი მოქალაქეების უფლებების დაცვა; მოახდინოს ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის ნორმების იმპლემენტაცია ეროვნულ კანონმდებლობაში; იკისროს ვალდებულებები ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში და ეროვნულ დონეზე შექმნას ქმედითი ინსტრუმენტები მათ დასაცავად; სახელმწიფო ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხებში ანგარიშ ვალდებულია იმ საერთაშორისო ორგანიზაციების წინაშე, რომლის წევრიც თვითონ არის.

საერთაშორისო ხელშეკრულებები ცხადდება საქართველოს კანონმდებლობის ნაწილად. საქართველოს კანონი ნორმატიული

⁶² .უკვლა იურიდიულ პირს არ შეუძლია გაანდეს ძირითადი უფლებები.

აქტების შესახებ აკონკრეტებს კონსტიტუციის მე-6 მუხლის დებულებას და მიუთითებს, შიდასახელმწიფოებრივ საკანონმდებლო სისტემაში საერთაშორისო ხელშეკრულების როლის შესახებ. კერძოდ, კონსტიტუციის შემდეგ საერთაშორისო ხელშეკრულება ორგანულ კანონზე მაღლა დგას. კანონი საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ ადგენს, რომ „საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულება საქართველოს კანონმდებლობის განუყოფელი ნაწილია“. (მუხლი მე-6).

§2. ადამიანის უფლებათა დაცვის შიდასახელმწიფოებრივი მექანიზმები

პირიუნიების სამართლებრივი სტატუსის პრინციპთა შორის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესია მისი ძირითადი უფლებების დაცვის გარანტია. სახელმწიფო ვალდებულია, ყველა მისთვის ხელმისაწვდომი საშუალებებით უზრუნველყოს ამ უფლებათა რეალური განხორციელება. საჭიროა ყოველი ადამიანისათვის ამ უფლებებით სარგებლობის შესაძლებლობის უზრუნველყოფა, თუნდაც ადამიანის უფლებათა კონსტიტუციური დეკლარირების საფუძველზე.

მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში ადამიანის უფლებათა კონსტიტუციური რეგულირებისა და მისი დაცვის მექანიზმები წამოყალიბდა სხვადასხვა ფაქტორის შეგავლენით და სახელმწიფო მოწყობის კონკრეტული თავისებურების გათვალისწინებით. ამასთან, ადამიანის უფლებათა დაცვის კონკრეტული იურიდიული ინსტიტუტების საქმიანობაზე მნიშვნელოვანი შეგავლენა მოახდინა ადამიანის უფლებათა დაცვის საქმეში საერთაშორისო კონტროლის მექანიზმების არსებობამ. ადამიანის უფლებათა სფეროში უნივერსალური და რეგიონალური ორგანოების მიერ მიღებულმა საერთაშორისო სამართლებრივმა აქტებმა და სპეციალური ორგანოების შექმნამ ადამიანის უფლებათა დაცვის შიდამექანიზმები შედგება სასამართლო, აღმასრულებელი და საკანონმდებლო ორგანოებისაგან. აქედან გამომდინარე, ადამიანის უფლებათა დაცვის შიდასახელმწიფოებრივ ინსტიტუტთა შორის განასხვავებენ სასამართლო და არასასამართლო მექანიზმებს. თუმცა, ყველაზე მნიშვნელოვანი მაინც სასამართლო გარანტიებია. “ყველა ადამიანს აქვს უფლება თავის უფლებათა

და თავისუფლებათა დასაცავად მიმართოს სასამართლოს” (კონსტიტუციის 42-ე მუხლის 1 პუნქტი).

კონსტიტუცია მოქალაქეებს აძლევს გარანტიას სასამართლო დაცვაზე განსაკუთრებით აღსანიშნავია კანონმდებელი სასამართლოს როლი ადამიანის უფლებათა დაცვაში.

მოქალაქეს, უფლება აქვს მიმართოს სასამართლოს, ხოლო სასამართლომ არაკანონიერად სცნოს სამართლებრივი აქტი, რომელიც სლუდავს მოქალაქის უფლებას. სასამართლოს მიერ ასეთი სახის სარჩელის მიღება არის კანონიერების გარანტიად აღიარების საფუძველი და კანონის უზენაესობისა და სამართლებრივი სახელმწიფოს კონცეფციის ჩამოყალიბების საფუძველი.

კონსტიტუციური უფლება, შეიძლება დაცულ იქნას უფლება დარღვეული “პირის” მიერ. მაგალითად, სანივარი ადმინისტრაციულ ორგანოში, კონსტიტუციური სარჩელი საკონსტიტუციო სასამართლოში. დარღვეული უფლებების დაცვა შეიძლება მოითხოვოს სასოგადოებრივმა ორგანიზაციებმა და მოქალაქეთა გაერთიანებებმა, (მაგალითად, პროფკავშირები). ასევე, სხვადასხვა სახელმწიფო ორგანომ (მაგალითად, პროკურატურა).

ადამიანის უფლებათა დაცვის ინსტიტუციონალურ გარანტს, როგორც აღვნიშნეთ წარმოადგენს სასამართლო. ყოველ ადამიანს საკუთარი უფლებების და თავისუფლებების დასაცავად შეუძლია მიმართოს სასამართლოს პირადად ან წარმომადგენლის საშუალებით. ყოველი “პირი” უნდა განსაჯოს იმ სასამართლომ, რომლის იურისდიქციასაც ექვემდებარება მისი საქმე. ადამიანის უფლებათა მოითხოვოს, რომ მისი საქმე განხილულ იქნას კომპეტენტური, დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლოს მიერ. (კონსტიტუციის 42-ე მუხლის II პუნქტი)

საერთო სასამართლოების სისტემა საშუალებას იძლევა “პირის” მიერ სააპელაციო და საკასაციო წესით გასაჩივრებულ იქნას სასამართლო გადაწყვეტილება. გარდა ამისა, “პირს” აქვს უფლება სასამართლოში გაასაჩივროს სახელმწიფო ორგანოების, სასოგადოებრივი ორგანიზაციებისა და თანამდებობის პირების ქმედებები.

სასამართლო საერთაშორისო სამართლისა და საერთაშორისო ხელშეკრულების სახელმწიფო კანონმდებლობის

ნაწილად აღიარებით, “პირს” საშუალებას აძლევს სახელმწიფოს მხრიდან მისი უფლებების დარღვევის შემთხვევაში საკუთარი უფლებების დასაცავად იმოქმედოს საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. ასევე, მიმართოს საერთაშორისო ორგანიზაციებს პეტიციით (განაცხადი, სარჩელი) თავისი უფლებებისა და თავისუფლებების დასაცავად. ამდენად, ინტერესმოკლებული არ იქნება განვიხილოთ, თუ როგორ ხდება საერთაშორისო ხელშეკრულების ეროვნული სასამართლოების მიერ გამოყენება. სასამართლო ყოველ კონკრეტულ საქმესთან დაკავშირებით ადგენს:

საერთაშორისო ხელშეკრულების ნორმები იმდენად ზოგადია, რომ ეროვნული სასამართლო დამაკონკრეტებელი ნორმის გარეშე მას ვერ იყენებს ანუ შესაბამისი ნორმა „არათვითშესრულებადია“, ხოლო „თვითშესრულებად“ ნორმებში ზუსტად და სრულყოფილადაა ჩამოყალიბებული, რომ სასამართლო⁶³ ორივე შემთხვევაში არკვევს ნორმის შესრულების ხარისხს. ერთი და იგივე ნორმა ხშირად შეიძლება შეიცავდეს. როგორც „თვითშესრულებად“, ისე “არათვითშესრულებად” ნორმებს. მაგალითად, „ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ“ საერთაშორისო პაქტის ნორმა, რომელიც დისკრიმინაციის აკრძალვას შეეხება „თვითშესრულებადია“ (მე-2 მუხლი), მიუხედავად იმისა, რომ საერთაშორისო ხელშეკრულების ნორმათა უმეტესობა ზოგადია ის მაინც რჩება საქართველოს კანონმდებლობის შემადგენელ ნაწილად.

საერთაშორისო ხელშეკრულებათა ნორმის ამგვარ ხასიათზე მიუთითებს საქართველოს კანონი „საერთაშორისო ხელშეკრულებათა შესახებ“. ამავე კანონის მე-19 მუხლით, განსაზღვრულია “არათვითშესრულებადი” ნორმების დაზუსტების მეთოდი. საქართველოს პრეზიდენტი და პარლამენტი საერთაშორისო ხელშეკრულებების სავალდებულოდ აღიარებამდე იღებს გადაწყვეტილებას საქართველოს ნორმატიულ აქტებში ცვლილების შეტანის თაობაზე.

- უნდა დადგინდეს, თუ რამდენად პასუხობს ხელშეკრულების ნორმა ფიზიკური და იურიდიული პირისათვის ისეთი უფლებების და თავისუფლებების დაცვას, რომელიც შეიძლება სასამართლო და

⁶³. ასევე იგულისხმება ადმინისტრაციული ნორმები.

ადმინისტრაციულმა ორგანოებმა გამოიყენოს საქმის გადაწყვეტის სამართლებრივი საფუძველად.

- საერთაშორისო ხელშეკრულება უნდა იქნას გამოქვეყნებული.

ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის ნორმების გამოყენება ეროვნული სასამართლოების მიერ განსახილველია საერთო სასამართლოების შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლში. „მოსამართლე თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია და ემორჩილება მხოლოდ საქართველოს კონსტიტუციას, საერთაშორისო ხელშეკრულებას, შეთანხმებას და კანონს“.

საქართველოს სასამართლოებში 2004 წელს, განხილული საქმეების ანალიზმა გვიჩვენა, რომ საქართველოს სასამართლოებმა საერთაშორისო ხელშეკრულებებით იხელმძღვანელეს მხოლოდ 30-მდე შემთხვევის დროს, ხოლო ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში 10-ზე მეტი შემთხვევის დროს. სასამართლოები ძირითადად ეყრდნობიან ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციას. ამასთანავე, გამოყენებული აქვთ, როგორც სავალდებულო ასევე, სარეკომენდაციო ხასიათის აქტებიც - ადამიანის უფლებათა დეკლარაცია და ა. შ.

ადამიანის საერთაშორისო ხელშეკრულებებით ხელმძღვანელობს საკონსტიტუციო სასამართლო. კერძოდ, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო საქმეებს წარმართავს ეროვნულ კანონმდებლობაზე და საერთაშორისო აქტებზე დაყრდნობით. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება სავალდებულოა მხოლოდ იმ სახელმწიფოსათვის, რომელიც კონკრეტული სასამართლო პროცესის მხარეა კონკრეტულ საქმეში.

ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ხელშეკრულების გამოყენება ხელს უწყობს საქართველოში არსებული სამართლებრივი ხარვეზების აღმოფხვრას. ამის ნათელი მაგალითია, სისხლის სამართლის ნორმა (მუხლი მე-6), რომელიც დამნაშავეს გადაცემას ითვალისწინებს. საქართველოში, სასამართლოს წინაშე ამგვარი პრობლემის არსებობის შემთხვევაში გამოყენებული უნდა იქნას საერთაშორისო ხელშეკრულების დებულება (უფრო ზუსტად ევროპული სასამართლო პრეცედენტული სამართალი). საქართველოს სასამართლოს ევროპული კანონმდებლობასთან ერთად, შეიძლება გამოიყენოს ევროპული კონვენცია და ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი.

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის სასამართლო პრევენტული სამართალი, პრაქტიკულად საკაცაციო და სააკელაციო სასამართლოებში გამოიყენება. იშვიათად, I ინსტანციის სასამართლოში.

საკონსტიტუციო სასამართლო. საკონსტიტუციო სასამართლო უზრუნველყოფს საკანონმდებლო და სასამართლო პრაქტიკის ერთიანობას ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის სფეროში. საკონსტიტუციო კონტროლის ეს ორგანო ფუნქცია – კონსტიტუციისა და ადამიანის ძირითად უფლებათა და თავისუფლებათა დაცვა განუყოფელია.

იმ ქვეყნებში, სადაც ფუნქციონირებს საკონსტიტუციო სასამართლოები ადამიანის კონსტიტუციური უფლებების დაცვის მიზნით, შესაძლებელია საკონსტიტუციო სარჩელის წარდგენა. მაგალითად, საქართველოს ორგანულ კანონში საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ პირდაპირაა აღნიშნული: I. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო არის საკონსტიტუციო კონტროლის სასამართლო ორგანო, რომელიც უზრუნველყოფს საქართველოს კონსტიტუციის უზენაესობას, კონსტიტუციურ კანონიერებას და ადამიანის კონსტიტუციური უფლებებისა და თავისუფლებების დაცვას (I მუხლის I პუნქტი). საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო უფლებამოსილია განიხილოს საქართველოს კონსტიტუციის მეორე თავის (საქართველოს მოქალაქეობა. ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი) საკითხთან მიმართებაში, მიღებული ნორმატიული აქტების კონსტიტუციურობის საკითხი (მე-19 მუხლი 2-ე პუნქტი).

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში მიმართვის უფლება გააჩნია საქართველოს მოქალაქესა და საქართველოში მცხოვრებ სხვა ფიზიკურ და იურიდიულ პირს, თუ მათ მიმართ ნორმატიული აქტით დაირღვა საქართველოს კონსტიტუციის II თავით გათვალისწინებული უფლებები და თავისუფლებები. ეს სუბიექტები პირადად მიმართავენ საკონსტიტუციო სასამართლოს ნორმატიული აქტის დარღვევის კონსტიტუციურობის დადგენის მოთხოვნით. არსებობს ადამიანის უფლებათა დაცვის პირდაპირი და ირიბი პროცედურა. საერთო სასამართლოს უფლება აქვს, თუ საქმის განხილვისას აღმოაჩენს, რომ არსებობს ეჭვი საკანონმდებლო ნორმის კონსტიტუციურობის დარღვევასთან დაკავშირებით ის მიმართავს საკონსტიტუციო სასამართლოს

(საქართველოს კანონი “საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ” მე-19 მუხლი).

საქართველოს კანონით საკონსტიტუციო სასამართლოს შეიძლება პირადად მიმართოს საქართველოს მოქალაქემ, რომლის უფლებებიც იქნა დარღვეული. ასეთივე წესი მოქმედებს გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში, შვეიცარიაში და ესპანეთში. ხოლო უნგრეთში საკონსტიტუციო სარჩელი ატარებს **actio popularis** –ის ხასიათს.

საქართველოს კანონმდებლობით საკონსტიტუციო სასამართლოში სარჩელის შეტანის უფლება გააანხია საქართველოს სახალხო დამცველს, თუ ის ჩათვლის, რომ ნორმატიული აქტები ან ცალკეული საკანონმდებლო ნორმები არღვევენ ადამიანის კონსტიტუციურ უფლებებსა და თავისუფლებებს.

ადამიანის უფლებათა დაცვის საქმეში მნიშვნელოვანი როლი ენიჭება პროკურატურას, რომელიც დაკავშირებულია სასამართლოში სამართალწარმოებასთან.

სახალხო დამცველი. უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მექანიზმს ეკუთვნის ომბუდსმენის ინსტიტუტი. “ომბუდსმენი” შვედური სიტყვაა და სხვა პირის ინტერესების წარმომადგენელს ნიშნავს.

საქართველოს 1995 წელს მიღებული კონსტიტუციის თანახმად, საქართველოს ტერიტორიაზე ადამიანის უფლებათა დაცვას ზედამხედველობას უწევს საქართველოს სახალხო დამცველი. საქართველოს სახალხო დამცველის საქმიანობას არეგულირებს 1996 წლის 16 მაისს, მიღებული ორგანული კანონი „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“.

საქართველოს სახალხო დამცველი ხელს უწყობს ადამიანის დარღვეული უფლებების აღდგენას და საქართველოს კანონმდებლობის სრულყოფის ხელშეწყობას ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში. ნებისმიერ ადამიანს თავისი უფლებების დარღვევის შემთხვევაში შეუძლია მიმართოს ომბუდსმენს, რომელიც უფლებამოსილია მიმართოს შესაბამის ორგანოს ან თანამდებობის პირს და შესთავაზოს მისი გამოსწორება. სახალხო დამცველის მიმართვამ შესაძლებელია არ გამოიწვიოს სახელმწიფო ორგანოების მიერ დარღვეული უფლების მექანიკურად აღდგენა და უკანონო გადაწყვეტილების გაუქმება, თუმცა მიმართვის საფუძველზე პარლამენტს შეუძლია რეაგირების მოხდენა.

სახალხო დამცველის საქმიანობისათვის დაბრკოლებათა შექმნა ისჯება კანონით (კონსტიტუციის 43-ე მუხლის მე-2 პუნქტი). სახალხო დამცველი დამოუკიდებელია თავის საქმიანობაში.

საქართველოს სახალხო დამცველს მოქმედი კანონმდებლობით, სკანდინავიის ქვეყნების ომბუდსმენის მსგავსად, უფლება აქვს საქმის ინიცირება ანუ საკუთარი ინიციატივით დაიწყოს ფაქტების გადამოწმება ყოველგვარი განაცხადის ან საჩივრის გარეშე.

საქართველოს ომბუდსმენი განიხილავს საქართველოს მოქალაქეთა, მოქალაქეობის არმქონე პირთა და საქართველოში მყოფ უცხოელთა, ასევე არასამთავრობო ორგანიზაციათა განცხადებებს, რომელიც ეხება სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს. ასევე, სახელმწიფო და არასახელმწიფო ორგანიზაციების, სხვადასხვა დაწესებულებების, საწარმოების თანამდებობებისა და იურიდიულ პირთა მოქმედებებს ან მათ აქტებს. აგრეთვე, საქართველოს მიერ რატიფიცირებული სხვა ხელშეკრულებებით დადგენილ უფლებათა და თავისუფლებათა დარღვევებს.

პარლამენტი. საქართველოს პარლამენტი არის ქვეყნის უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანო, რომელიც ახორციელებს საკანონმდებლო ხელისუფლებას, განსაზღვრავს ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკის ძირითად მიმართულებებს, კონსტიტუციით განსაზღვრულ ფარგლებში კონტროლს უწევს მთავრობის საქმიანობას და ახორციელებს სხვა უფლებამოსილებებს. (კონსტიტუციის მე-3 თავი 48-ე მუხლი) პარლამენტის შინაგანი სტრუქტურა განისაზღვრება პარლამენტის რეგლამენტით. მეშაობის ორგანიზაციისათვის იქმნება პარლამენტის ბიურო, რომლის შემადგენლობაშიც შედის პარლამენტის თავმჯდომარე, მოადგილეები, კომიტეტებისა და საპარლამენტო ფრაქციების თავმჯდომარეები. პარლამენტის მეშაობას უძღვება პარლამენტის თავმჯდომარე. პარლამენტის სხდომები საჯაროა.

საქართველოს პარლამენტი სრული შემადგენლობის უმრავლესობით ახდენს საერთაშორისო ხელშეკრულებათა და შეთანხმებათა რატიფიცირებას, დენონსირებასა და გაუქმებას. იმ საერთაშორისო ხელშეკრულებათა და შეთანხმებათა გარდა, რომელიც ითვალისწინებს რატიფიცირებას. სავალდებულოა

ისეთი საერთაშორისო ხელშეკრულებების და შეთანხმებების რატიფიცირება, რომელიც ითვალისწინებს: 1. საერთაშორისო ორგანიზაციაში ან სახელმწიფოთაშორის კავშირში შესვლას; 2. სამხედრო ხასიათისაა; 3. ეხება სახელმწიფოს ტერიტორიალურ მთლიანობას; 4. მოითხოვს შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობის შეცვლას ნაკისრ ვალდებულებათა შესასრულებლად აუცილებელი კანონების და კანონის ძალის მქონე აქტების მიღებას. 5. პარლამენტს უნდა ეცნობოს სხვა საერთაშორისო ხელშეკრულებების და შეთანხმებათა დადების თაობაზე.

გარდა ამისა, საქართველოს პარლამენტში მოქმედებს ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტი, რომელიც საკანონმდებლო წესით თვითონ ქმნის ადამიანის უფლებათა დაცვის მექანიზმებსა და ინსტიტუტებს. ამ სფეროში მნიშვნელოვანია პარლამენტი ითავსებს მაკონტროლირებლის ფუნქციას. პარლამენტი კომიტეტებისა და კომისიების მეშვეობით შეისწავლის, თუ როგორ იცავს აღმასრულებელი ხელისუფლება ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში კანონებს. „პირს,“ რომლის უფლებებიც დაირღვა ან არსებობს ამ უფლებების დარღვევის რეალური საფრთხე შეუძლია მიმართოს პარლამენტს ან ცალკეულ პარლამენტარს მისი უფლებების დარღვევის თავიდან აცილების მიზნით. გარდა ამისა, პარლამენტის წევრებს შეუძლიათ თავისი ინიციატივით ჩაერიონ და მოითხოვონ ადამიანის უფლებათა დარღვევის ფაქტების აღკვეთა თუ მათთვის მსგავსი ფაქტი გახდება ცნობილი. ხშირია პარლამენტის მიერ დროებითი საგამომიებო კომისიის ჩამოყალიბება და პარლამენტის პლენარულ სხდომაზე დებატების გამართვა აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით. ასევე, მიღებულია საპარლამენტო შეკითხვებით მიმართვის ფორმა სახელმწიფო ორგანოებისადმი.

აღმასრულებელი ხელისუფლება. პირი, ვისი უფლებებიც იქნა დარღვეული ადმინისტრაციული ორგანოების მიერ სარგებლობს ადმინისტრაციული სამართლით განსაზღვრული დაცვის მექანიზმებით. სხვადასხვა ქვეყანაში ეს წესი სხვადასხვაგვარად მოქმედებს, მაგრამ ზოგადად, ადმინისტრაციული ხელისუფლების ორგანოებს უფლება აქვთ კორექტირება გაუკეთოს არა მარტო თავის ქმედებას, არამედ იმ დაწესებულებების ქმედებასაც, რომლებიც მათ დაქვემდებარებაში იმყოფებიან.

*§3. საქართველოს მიერ საერთაშორისო
ვალდებულებათა შესრულების შესახებ მონხენებათა
მომზადების პროცესურა*

1994 წლის 25 იანვარს საქართველო შეუერთდა საერთაშორისო პაქტს სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა შესახებ ასევე, ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა შესახებ ორივე პაქტი ძალაში შევიდა 1994 წლის 3 აგვისტოს, სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა პაქტის მოთხოვნათა შესაბამისად. (მე-40 მუხლის 1 პუნქტი)

1995 წელს საქართველომ გაეროს კომიტეტს წარუდგინა პაქტით ნაკისრ ვალდებულებათა შესრულების შესახებ პირველადი მოხსენება, რომელიც კომიტეტმა 1997 წლის მარტში განიხილა. (CCPR/C/CK. 1564, 1565, 1566, 1583). საქართველომ 1997 წელს, ეკონომიკური, სოციალური კულტურული კომიტეტს პაქტის მე-16 და მე-17 თანახმად, პირველადი მოხსენება წარუდგინა, ხოლო (E/1990/5/add.37). მოხსენება განხილული იქნა 2000 წლის აპრილში. კომიტეტის მიერ გამოთქმული შენიშვნები საქართველოს გადაეცა 2000 წელს. (E/C/Add.12). კომიტეტის შენიშვნები გამოქვეყნებულ იქნა მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით. მეორე პერიოდული მოხსენება ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ კომიტეტს წარუდგინა 2001 წლის იანვარში. იგი ეფუძნებოდა კომიტეტის მიერ მიღებულ პრინციპებს, ხოლო მოხსენება განხილული იქნა 2000 წელს. მოხსენება მომზადებული იყო ადამიანის უფლებათა კომიტეტის მიერ შემუშავებული სახელმძღვანელო პრინციპების საფუძველზე 1999 წლის 1 ნოემბერს. (CCPR/C/66/GUI. მომდევნო პერიოდული მოხსენება უნდა მომზადდეს და წარუდგინოს კომიტეტს 2005 წელს. საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, ყველა მოხსენება დაკავშირებული ხელშეკრულებით აღებულ ვალდებულებათა შესრულებასთან. ანგარიში, სახელშეკრულებო ორგანოებში წარსადგენად მზადდება ეროვნული უშიშროების საბჭოს მიერ. ეს ფუნქცია ეროვნული უშიშროების საბჭოს 2000 წელს დაეკისრა. მოხსენების მომზადების პროცესურა ითვალისწინებს ინფორმაციის გადაგზავნას ან წარდგენას სახელმწიფო ორგანოების მხრიდან, რომლის ანალიზსაც ახდენს უშიშროების საბჭო და რომელსაც თან ერთვის საბაზისო დოკუმენტის განახლებული ვერსია. გამოყენებულია ეროვნული

სამართლებრივი ნორმების ტექსტები. მოხსენებაში განხილულია სახელმწიფოს მიერ პირველი მოხსენებიდან განვლილ პერიოდში გატარებული ღონისძიებები, სახელმწიფოში მიმდინარე რეფორმები (როგორც საკანონმდებლო დონეზე, ისე ცხოვრებაში), სტატისტიკური მონაცემები მიღწეული შეთანხმების შესახებ (ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა შესახებ საერთაშორისო პაქტში).

გამოყენებული ლიტერატურა:

- ლ. ალექსიძე. თანამედროვე საერთაშორისო სამართალი. თბილისი 2003 წ.
- კ. კორკელია. სახელშეკრულებო სამართალი. თბილისი 2000 წ.
- კ. კორკელია. ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია და საქართველო. ევროსაბჭო. 2003 წ.
- კ. კორკელია ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის გამოყენება საქართველოში. თბილისი 2004წ. 41-84;125-143გვ.
- პ. ცნობილაძე. საქართველოს კონსტიტუციური სამართალი. თბილისი 2005წ. გვ. 268-274.
- ‘ხ. რუხაძე. საქართველოს საკონსტიტუციო სამართალი. 1999წ.
- კ. კუბლაშვილი. ძირითადი უფლებები. თბილისი 2003წ.
- ნ. რომაშვილი. საჯარო სამსახურის საფუძვლები. ლექციათა კურსი. თბილისი 2004წ.
- აფ.დემეტრაშვილი, მ.კვაჭაძე, კ.კუბლაშვილი, დ.ლოსაბერიძე, ‘ს.რუხაძე, ვ.ხმალაძე, ზ.ჯიბლაშვილი. კონსტიტუციური სამართალი. თბილისი 2005წ. გვ.136-144.
- საქართველოს 1995 წლის კონსტიტუცია.
- საქართველოს კანონი საერთაშორისო ხელშეკრულებათა შესახებ (1996წ);
- საქართველოს კანონი ნორმატიული აქტების შესახებ (1997წ).

COE	ევროპის საბჭო
CAT	გაეროს წამების საწინააღმდეგო კომიტეტი
CPT	ევროსაბჭოს წამების საწინააღმდეგო კომიტეტი
EC	ევროკომისია
ECHR	ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო
ECOSOC	გაერთიანებული ერების ეკონომიკური და სოციალური საბჭო
ECRI	რასიზმისა და შეუწყნარებლობის წინააღმდეგ მიმართული ევროპული კომისია
EU	ევროკავშირი
IHL	საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი
ILO	შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია
ICC	სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლო
ICC	საერთაშორისო სავაჭრო პალატა
ICL	საერთაშორისო სისხლის სამართალი
ICJ	გაეროს საერთაშორისო სასამართლო
ICT	სისხლის სამართლის საერთაშორისო ტრიბუნალები
ICTY	ყოფილი იუგოსლავიის საერთაშორისო სისხლის სამართლის ტრიბუნალი
ICTR	რუანდის თაობაზე საერთაშორისო ტრიბუნალი
ICRC	წითელი ჯერის საერთაშორისო კომიტეტი
LAS	არაბულ სახელმწიფოთა ლიგა
NATO	ჩრდილოეთ ატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაცია
NGOs	არასამთავრობო ორგანიზაციები
OAS	ამერიკურლ სახელმწიფოთა ორგანიზაცია
OAU	აფრიკული ერების ორგანიზაცია
ONCHR	გაეროს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის ოფისი
OSCE	ევროპაში უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაცია
SIO	სპეციალიზებული საერთაშორისო ორგანიზაცია
UN	გაერთიანებული ერების ორგანიზაცია

- UNDP გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განვითარება
პროგრამა
- UNESCO გაეროს განათლების, მეცნიერების და კულტურის
პროგრამა
- UNCHR გაეროს ადამიანის უფლებათა კომისია
- UNHCR გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატი
- UNICEF გაეროს ბავშვთა ფონდი
- WHO ჯანმრთელობის დაცვის მსოფლიო ორგანიზაცია
- WTO ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაცია

**გაეროს ფარგლებში მოქმედი
საერთაშორისო ხელშეკრულების
რატიფიცირება საქართველოს მიერ**

საქართველო


პოლიტიკური და სამოქალაქო უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტი	1994 წ
.....	1994 წ
ფაკულტატიური ოქმი	1999 წ
მეორე ფაკულტატიური ოქმი	1999 წ
კონვენცია წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობის შესახებ	1999 წ <i>ინდივიდუალური განაცხადი არ შესულა</i>
კონვენცია ყველა ფორმის რასობრივი დისკრიმინაციის წინააღმდეგ	1999 წ
კონვენცია ქალთა ყველა ფორმის დისკრიმინაციის წინააღმდეგ	1994 წ
კონვენცია ყველა ფორმის ქალთა დისკრიმინაციის ლიკვიდაციის შესახებ, ფაკულტატიური ოქმი	<i>არ არის ხელმოწერილი</i>
კონვენცია ბავშვთა უფლებების შესახებ	1994 წ
.....	
საერთაშორისო პაქტი ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ	1994 წ

**საქართველოს მიერ გაეროს
სახელმწიფოებო ორგანოები
მოსხმეების წარდგინის თარიღი**

საქართველო


<p>გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტი</p>	<p>პირველადი მოხსენება 1997 წლის მარტი პერიოდული მოხსენება წარედგინა 09.08.2000 განხილული იქნა 2002წ.</p>
<p>ნამების საწინააღმდეგო კომიტეტი</p>	<p>პირველადი მოხსენება 1996 წლის ნოემბერი მეორე პერიოდული მოხსენება 2001 წლის მაისი</p>
<p>კომიტეტში რასობრივი დისკრიმინაციის შესახებ</p>	<p>პირველადი მოხსენება 2000 წლის მარტი მეორე და მესამე პერიოდული მოხსენებები 02.2004 წ.</p>
<p>კომიტეტი ქალთა დისკრიმინაციის ლიკვიდაციის შესახებ</p>	<p>პირველადი მოხსენება 1999 წ. ივნისი მეორე პერიოდული მოხსენება 1999წ. 25.11 მესამე პერიოდული მოხსენება 2003წ. 25.11</p>
<p>ბავშვთა უფლებების კომიტეტი</p>	<p>პირველადი მოხსენება 2000 წ. მაისი მეორე პერიოდული მოხსენება 2001წ. 29.06 მესამე პერიოდული მოხსენება წარედგინება 2006წ. 01.07</p>
<p>ეკონომიური სოციალური და კულტურული უფლებების საერთაშორისო პაქტი</p>	<p>პირველადი მოხსენება 2000 წ. აპრილი მეორე პერიოდული მოხსენება 2001წ. 19.06 განხილვა 2002წ. 11 მესამე პერიოდული მოხსენება წარედგინება 2006წ. 30.06</p>

**ევროპის სასამართლოს
სტრუქტურა**




მ.კობახიძის და ვ. მკერვალიშვილის რედაქტორობით.
“ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო და
თქვენი ფუნდამენტური უფლებები”:
თბილისი, 2005წ. გვ.6, 10.

საჩივრის განხილვის პროცედურა ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოში



ევროპის სოციალური ქარტია. საკონტროლო მექანიზმები



ევროპის სოციალური ქარტია.
კოლექტიური საჩივრების წარღვევის სისტემა

დასამუშაოებელი და
პროფკავშირთა
საერთაშორისო
ორგანიზაცია

დასამუშაოებელი და
პროფკავშირთა
ეროვნულ
ორგანიზაციებთან
წარმომადგენლები

საერთაშორისო
არასამთავრობო
ორგანიზაციები იმ
სიდიდან, რომელიც
შეღებნილია
სამთავრობო
კომიტეტის მიერ

ეროვნული
არასამთავრობო
ორგანიზაციების
წარმომადგენლო-
ბები, რომლებიც
კომპეტენტურნი
არიან ქარტიის
საკითხებში



ს ა ჩ ი ვ რ ე ბ ი (ბ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ე ბ ი)

სოციალურ უფლებათა ევროპული კომიტეტი


იღებს საჩივრების მიღების გადაწყვეტილებას, აფაღებს მოხსენებებს
თავისი დასკვნებით სახ. მიერ ქარტიის დარღვევის შესახებ



ქარტიის დარღვევისას იღებს
რეკომენდაციებს, რომელიც
დანიშნავს ეროვნული მოწინააღმდეგე
სახ-ოს მისამართით:
დარღვევის არ არსებობის
შემთხვევაში იღებს
რეკომენდაციის პროცედურის
დასრულებას შესახებ

სამთავრობო კომიტეტი
ზოგჯერ ბაზოლის,
როგორც მინისტრთა
კომიტეტის
კონსულტანტი

საკონომედაბლო პროცესი საქართველოში



ნ. რომაშვილი. საჯარო სამსახურის საფუძვლები. ლექციათა კურსი. თბილისი 2004წ.

დეკლარაცია	კატეგორია	ეპროკუული კონვენცია	საქართველოს კონსტიტუცია
1. თავისუფლების უფლება	1. თვითგამორკვევის უფლება (მუხ. 1)	1. მ ადამიანის უფლებათა პატივისცემის ვალდებულება	1. ადამიანის თავისუფლების და კანონის წინაშე თანასწორობის უფლება
2. დისკრიმინაციის აკრძალვა	2. სამართლიანი დაცვის უფლების ტერიტორიული მოქმედება	2. 2 მ სიცოცხლის უფლება	2. სიცოცხლის უფლება (მე-15 მ)
3. სიცოცხლის უფლება	3. თანასწორუფლებიანობა ქალს და მამაკაცს შორის	3. წამების აკრძალვა	3. საკუთარი პიროვნების თავისუფლების უფლება (მე-16 მ)
4. მონობის აკრძალვა	4. ნაკირ ვალდებულებათა და უფლებების შეზღუდვა	4. მონობა და იძულებით შრომის აკრძალვა	4. პატივისა და ღირსების ხელშეუვალობა (მე-17 მ)
5. წამების აკრძალვა	5. უფლებათა შეზღუდვა	5. თავისუფლებისა და უსაფრთხოების უფლება (მე-5 მ)	5. ად. თავისუფლების ხელშეუხებლობა (მე-18 მ)
6. სამართალსუბიექტად აღიარება	6. სიცოცხლის უფლება (მე-6 მ)	6. სამართლიანი მართლმსაჯულების უფლება (მე-6 მ)	6. სიტყვის, აზრის, სინდისის, აღმასრულებლობის და რწმენისათვის (მე-19 მ.)
7. კანონის წინაშე თანასწორუფლებიანობა (მე-7 მ)	7. წამების უფლება (მე-7 მ)	არაერთიანი სასჯელი კანონის წინაშე (მე-7 მ)	პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა (მე-20 მ)

დეკლარაცია	კატეგორია	ეკონომიკური კონსტრუქცია	საქართველოს კონსტიტუცია
8. სასამართლოში მიმართვის უფლება	8. მონობის აკრძალვა (მე-8მ)	8. პირადი და საოჯახო ცხოვრების უფლება (მე-8მ)	8. საკუთრების და მემკვიდრეობის უფლება (21-ე მ.)
9. თვითნებური დაპატიმრებისაგან დაცვა (მე-9მ.)	9. თავისუფლება და ხელშეუხებლობა	9. აზრის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლება (მე-9მ)	9. გადაადგილების და საცხოვრებელი ადგილის თავისუფ. არჩევ. უფლება (22-ე მ.)
10. დამოკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლოს უფლება	10. მსჯავრდებულის უფლება	10. აზრის გამოხატვის უფლება	10. ინტელექტუალური შემოქ. უფლება (23-ე მ.)
11. უდანაშაულობის პრეზუმპცია (მე-11მ)	11. სახელმძღვანელო ვალდებულების შეუსრულებლობის გამო	11. შუკრებისა და გაერთიანების თავისუფლება (მე-11მ)	11. ინფორმაციის მიღებისა და გავრცელების უფლება (24-ე მ.)
12. პირადი და საოჯახო ცხოვრების ხელშეუხებლობა	12. თავისუფლად გადაადგილების უფლება	12. ქორწინების უფლება	12. შუკრებისა და მანიფესტაციის უფლება (25-ე მ.)
13. თავისუფლად გადაადგილების უფლება და საცხოვრებლის თავისუფლად არჩევის უფლება	13. უცხოელთა გაძევების აკრძალვა	13. უფლება ეფექტურ ზომებზე	13. საზ. გაერთიანებისა და პროფკავშირში გაერთ. უფლება (26-ე მ.)
14. თემქსაფრის უფლება (მე-14მ)	14. სასამართლოს წინაშე თანასწორუფლებიანობა	14. დისკრიმინაციის აკრძალვა (მე-14 მ)	14. უცხოელთათვის პოლიტიკური საქმიანობის აკრძალვა (27-ე მ.)


დეკლარაცია	კატეგორია	ეკონომიკური კონსტრუქცია	საქართველოს კონსტიტუცია
15. მოქალაქეობის უფლება	15. რეტროსპექტიული კანონის ძალა	15. გადახვევა საგანგებო სიტუაციის დროს (მე-15მ)	15. არჩევნებისა და რეფერ. მონაწ. უფლება (28-ე მ)
16. ქორწინების უფლება	16. სამართალსუბიექტობა	16. უცხოელთა პოლიტიკური საქმიანობის შეზღუდვა (მე-16მ)	16. სახ. მმ. მონაქილე. უფ. (29-ე მ)
17. საკუთრების უფლება	17. პირადი ცხოვრების ხელშეშებლობა	17. უფლებათა ბოროტად გამოყენების აკრძალვა (მე-17მ)	17. შრომის უფლება
18. აზრის, სინდისისა და რელიგიის უფლება	18. აზრის, სინდისის და რელიგიის უფლება	18. უფლებათა შეზღუდვის გამოყენების ლიმიტირება (მე-18მ)	18. რეგიონების სოც-ეკონომ. თანაბრად განვით. უფლება (31-ე მ)
19. აზრისა და გამოხატვის თავისუფლება	19. აზრის გამოთქმის (სიტყვის თავისუფლება)	19. ქონების დაცვა (I დ. ოქ. 1მ)	19. სოც. უზრუნველყოფა (32-ე მ)
20. შეკრებ. და ასოციაციებში გაერთ. უფლება	20. ომის პროპაგანდის აკრძალვა	20. განათლების მიღების უფლება (I დ. ოქ. 1მ)	20. გაფიცვის უფლება (33-ე მ)
21. ქვეყნის მართვაში მონაწ. უფლება	21. კრებების ჩატარების უფლება	21. თავისუფალი არჩევნების უფლება (I დ. ოქ. 3მ)	21. კულტ. უფლება (34-ე მ)
22. სოც. უზრუნველყოფა	22. ასოციაციის შექმნის თავისუფლება	22. ვალის გადაუხდელობისათვის დაპატიმრების აკრძ. (IV დ. 1მ)	22. განათლების უფლება (35-ე მ)

დეკლარაცია	ბაბტი	ეპროკუპული კონვენცია	საპარტოელოს კონსტიტუცია
23. შრომის უფლება	23. ოჯახის შექმნის თავისუფლება	23. სახ. ტერ. კანონიერად მყოფი გადაადგ. უფლება (მე-2დ ოქ. 1მ)	23. ქორწინების უფლება (36-ე მ.)
24. დასვენების უფლება	24. ბავშვის უფლებები	24. მოქ. გაძევების უფლებათა (IV დ. ოქ. მე-3მ)	24. ჯანდაცვის უფლება (37-ე მ.)
25. ჯანდაცვისა და ცხოვრების შესაფერისი დონის უფლება	25. სახელმწიფოთა საქმეებში მონაწილეობა	25. უცხოელთა კოლექტიური გაძევების აკრძალვა (მე-4 მ. IV დ. ოქ.)	25. სოც. ეკ. და კულ. უფლება. რელიჯიოზი და თანასწორუფლებიანობა (38-ე მ.)
26. განათლების უფლება	26. კანონის წინაშე თანასწორუფლებიანობა	26. სიკვდილთ დასჯის გაუქმება (VI დ. ოქ.)	26. 39-ე მ. ად. უფლებათა დაცვის გარანტიების გაფართოება
27. კულტ. ცხოვრებ. მონ. უფლება	27. უმცირესობათა უფლება	27. გარანტიები უცხოელთა გაძევების წინააღმდეგ (VII დ. ოქ.)	27. უდამამართლობის პრეზუმპცია (40-ე მ.)
28. სოციალური და საერთაშორისო წესრიგის უფლება		28. აპელაციის უფლება სისხლ. სამ. საქმეებზე	28. საკუთარ თავზე არსებული ინფორმაციის მიღების და გაცემის უფლება (41-ე მ.)
29.		29. კომპენსაცია მცდარი განაჩენის გამოტანისათვის (მე-7 დ. ოქ. მე-3 მუხლი)	29. სასამართლოსთვის მიმართვის უფლება (42-ე მ.)
30.	30. სიკვდილ. დასჯის უფლება	30. ორჯერ გასამართლების ან დასჯის აკრძალვა	


<p>დროშეცხადები</p>	<p>კონვენცია ქალების მიმართ ყველა ფორმის დისკრიმინაციის შესახებ</p>	<p>კონვენცია ბავშვთა უფლებების შესახებ</p>
<p>კომიტეტები</p>	<p>CEDAW (1981წ.) ქალების დისკრიმინაციის ლიკვიდაციის კომიტეტი სამდივნო - ვენეციაში 22 ნევრი</p>	<p>CRC (1991 წ.) ბავშვთა უფლებების კომიტეტი სამდივნო-ვენეციაში 10 ნევრი</p>
<p>სამიჯი</p>	<p>ორჯერ ნელანდაში: იანვარი - ჯენევა ნიუ-იორკი, ივლისი - ნიუ-იორკი</p>	<p>სამჯერ ნელანდაში: (4 ქვირიანი) იანვარი - ვენეცია, აპრილი - ვენეცია, სექტემბერი - ვენეცია</p>
<p>ნერ-სახელმწიფოების მისსანებაში</p>	<p>კონვენციის მე-18 მუხ. პირველი - წლის განმავლობაში, შემდგომში - ყოველ ოთხ წელში და კომიტეტის მოთხოვნით</p>	<p>კონვენციის 44-ე მუხლი პირველი - ძალაში შესულია ორი წლის შემდეგ. შემდგომში - ყოველ 5 წელში</p>
<p>მუშა ჯგუფები</p>	<p>1. მუშა ჯგუფები კომიტეტის მომავალი სესიებისათვის მასალების მომზადება) 2. ორი მუდმივი ჯგუფი</p>	<p>მუშა ჯგუფები ნერ-სახელმწიფოების ანგარიშზე (მომავალ ჩრჩ სესიისათვის ინფორმაციის მომზადება)</p>
<p>საჩივრის შეტანის საერთაშორისო პროცედურა</p>	<p>კი. 22.12.2000 ძალაში შევიდა კონვენციის ფაქულტატიური პროტოკოლი ქალების მიმართ ყველა ფორმის დისკრიმინაციის ლიკვიდაციის შესახებ. - ინდივიდუალური საჩივრის პროცედურა. - ქვეყნითი პროცედურა</p>	<p>არა</p>
<p>საჩივრის შეტანის ინდივიდუალური პროცედურა</p>	<p>არა</p>	<p>არა 45-ე მუხლი. კონვენცია აძლევს CRC მანდატს საერთაშორისო თანამშრომლობაზე, ინფორმაციისათვის და დაცვის შესახებ</p>
<p>შენიშვნები</p>	<p>2000 წლის მაისში გაეროს გენ. ასამბლეამ მიიღო რეზოლუცია კონვენციის ფაქულტ. პროტოკოლის შესახებ. 1. ბავშვების უკარგავლელ კონფლიქტში მონაწილეობის შესახებ. 2. ბავშვებში ექსტრემის, მხავეჭა პირსიტუაციის და პორნოგრაფიის შესახებ</p>	<p>2000 წლის მაისში გაეროს გენ. ასამბლეამ მიიღო რეზოლუცია კონვენციის ფაქულტ. პროტოკოლის შესახებ. 1. ბავშვების უკარგავლელ კონფლიქტში მონაწილეობის შესახებ. 2. ბავშვებში ექსტრემის, მხავეჭა პირსიტუაციის და პორნოგრაფიის შესახებ</p>

დოკუმენტები	საერთაშორისო პაქტივიკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ
კომიტეტები	CESCR (1985) ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების კომიტეტი სამდივნო - შენეაში 18 წევრი
სასიები	ორჯერ ნელინადში: მაისი - ჯენევა, ნოემბერი-დეკემბერი - ვენეცია
წევრ-სახელმწიფოების მოხსენებები	MPECKP-ს მე-16 და მე-17 მუხლით, შემდეგ EKOCOC-ის 1988/4 რეზოლუციით პირველი პაქტის ძალაში შესვლიდან 2 წლის შემდეგ- შემდეგში - 5 წელში ერთხელ
შუშა ჯგუფები	მუშა ჯგუფები ნევრ-სახელმწიფოების ანგარიშებზე 5 მუშა ნაწილი (რომელსაც სესიისათვის მასალების მოზადება)
საჩივრის შტაბის საერთაშორისო კონსულტორა	არა
საჩივრის შტაბის ინფორმაციული კონსულტორა	
შენიშვნები	პროტოკოლი რეზოლუციის შესახებ ასეთი შესაძლებლობა

თანამედროვე საერთაშორისო
სამართლის წყაროები




საერთაშორისო ხელშეკრულების დადების წესი და სტადიები



1.

უზღებამოსილი პირის
დანიშვნა
მოლაპარაკებებისათვის
ხელშეკრულების
დადების მიზნით



2.

უზღებამოსილების ნარდგანა
და შემომწება



3.

განხილვა და ხელშეკრულების
პროექტის მიღება



4.

ხელის მოწერა



5.


ხელშეკრულების
რათიფიკაცია



6.


სარათიფიკაციო სიგელების
გაცვლა ან მათი დაკონირება
და შეთანხმების გამოქვეყნება

საერთაშორისო სამართლის მორიგების სტრუქტურა



საერთაშორისო სამართლის სუბიექტები

საერთაშორისო სამართლის სუბიექტი არის დამოუკიდებელი (ბარეშე პოლიტიკური ძალისაგან) საერთაშორისო ურთიერთობების მონაწილე, რომელსაც გააჩნია საერთაშორისო სამართლით დადგენილი უფლებები და მოვალეობები



შეიარაღებული ძალების შემაღებელთა სერთიფიკატის სამართლის საფუძველზე



კომუნიკატორები



არაკომუნიკატორები



**სახელმთო, სააპარო და
სამხედრო-საზღვაო
ძალების პირადი
შემაღებელთა**



სანიტარული პერსონალი



**პარტიზანებს, რომელსაც
უყვანს ხელმძღვანელად
პასუხისმგებელი პირი
და აქვთ განმარტებული
ნიშანი ღიად ატარებენ
იარაღს**



**სანიტატანტო სამსახურის
პერსონალი**



**ღაშაქისა და
მონაღისების პირადი
შემაღებელთა
და ჯგუფები**



სამხედრო სამდებლობა



**სამოქალაქო ფუნქციის
და პირობის პირობების
ნებართვა**



სამხედრო კონსერვანტები




**მხარეები - სამხედრო
მოსამსახურეები,
რომლებიც ღიად თავისივე
ფორმით ასრულებენ
სარდლობის დამატებას
მონაღისების
ტერიტორიაზე**



**ჯანმრთელი - შარდად
აგრძელებენ ინტერმედიას
მონაღისების მხარეთა
სამომხედრო რეგონები**

**სისხლის სამართლის
დაგმობა**



**დაჭირვებული - საუბრად
გადაღობიკებული უცხოელები,
რომლებიც არ არიან კონტროლები
მონაღისების მხარეთა
შემაღებელთა, დამატებას
პასუხისმგებელი**

დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო თანამშრომლობის ძირითადი პრინციპები



დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის დროს
სახელმწიფოთა თანამშრომლობის
ძირითადი პრინციპებია:



ადამიანის ძირითად უფლებათა და თავისუფ-
ლებათა, ასევე საყოველთაოდ აღიარებული
პროცესუალური გარანტიების დაცვა სისხლის
სამართლის პასუხისმგებლობაში მიცემის დროს



ურთიერთსამართლებრივი დახმარება
სამოქალაქო და სისხლის სამართლის საქმეებში



ბრძოლა განსაკუთრებულ საშიშ დანაშაულებების
წინააღმდეგ: ნარკოტიკების უკანონო ბრუნვა,
ტერორიზმი, მონობით ვაჭრობა, მეკობრეობა
და სხვ.



სისხლის სამართლის სტატიისტიკის დამუშავება
ჩადენილ დანაშაულებებსა და
სამართალდამრღვევებზე ინფორმაციის გაცვლა



მხედველობაში უნდა მივიღოთ, რომ დანაშაულის
წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო
თანამშრომლობის ძირითადმა პრინციპებმა
ჯერ კიდევ ვერ მიიღო უნივერსალური ხასიათი,
არ არის სრულყოფილი. ეს და სხვა პრინციპები
ასახულია სხვა ცალკეულ საერთაშორისო-
სამართლებრივ აქტებში

**“ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალი”
პროგრამა**

თემის დასახელება	ლექცია	სემინარი	რეჟირატი	საკურსო	საქმეთა ბარევა	ლექციის ჩატარების მეთოდი და აღბილი
1. თემა I. ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის არსი	საათი	X		XXX		ლექცია პროექტორის გამოყენებით
2. თემა II. „მსხვერპლის „ და „სამართალდარბევის“ ცნება ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალში.	საათი	X	XX		XXXX	ლექცია პროექტორის გამოყენებით

<p>3. თემა III. აღაშიანის უფლებათა დაცვის უნივერსალური (ბავროს) სისტემა</p>	<p>3 საათი</p>	<p>X</p>	<p>XX</p>	<p>XXX</p>	<p>XXXX</p>	<p>ლექცია კრომეტორისა და ვიდეოვიზის ბავროს ინტერნეტში ბავროს ვებ ბჟურლის ბავროს ვებგვერდით, თბილისში ბავროს (ოფისის) დეტალური</p>
<p>4. თემა 4. აღაშიანის უფლებათა დაცვის რეპროდუცირება სისტემა 1. აღაშიანის უფლებათა რეპროდუცირება სისტემის მიმოხილვა: ინტერაქტიული სისტემა; ავტომატური სისტემა; ევროპული სისტემა.</p>	<p>3 საათი</p>	<p>X</p>	<p>XX</p>	<p>XXX</p>	<p>XXXX</p>	<p>ლექცია კრომეტორისა და ვიდეო-მასალის ბავროს ვებგვერდით, ასევე ინტერნეტში სპინიკო სისტემის მითითებით, 1 ლექცია COE საინფორმაციო ცენტრში თბილისში</p>
<p>5. თემა 5. ევროპის სტრატეგიული ქარტია</p>	<p>1 საათი</p>	<p>X</p>				<p>ლექცია სემინარის ბავროს ვებგვერდით</p>
<p>6. თემა 6. აღაშიანის უფლებები - ევროკავშირი ევროკავშირი</p>	<p>1 საათი</p>	<p>X</p>	<p>XX</p>	<p>XXX</p>		<p>ლექცია კრომეტორის ბავროს ვებგვერდით ბავროს ვებგვერდით</p>
<p>7. თემა 7. აღაშიანის უფლებები და ევროკავშირი უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორბანიზაცია</p>	<p>1 საათი</p>	<p>X</p>	<p>XX</p>			<p>ლექცია კრომეტორის ბავროს ვებგვერდით ევროს (ოფისის) საპარტნიორო</p>

<p>8. თემა 8. აღამიანის უფლებების დაცვა შიიარაღებული კონფლიქტების დროს</p>	<p>1 საათი</p>	<p>X</p>	<p>XX</p>	<p>XXX</p>	<p>XXXX</p>	<p>ლექცია კრონოტორის და ვიდეომასალის ბამოყენებით, წითელი ჯვრის სამართაშორის(ო) კომიტეტის ოფისი თბილისში</p>
<p>9. თემა 9. აღამიანის უფლებები და სამოქალაქო სახობადროების როლი აღამიანის უფლებათა დაცვის საქმეში</p>	<p>1 საათი</p>	<p>X</p>	<p>XX</p>			<p>ლექცია ვიდეო მასალის ბამოყენებით, არასამთავრობო ორგანიზაციასთ ან შმხვედრა.</p>
<p>10. თემა 10. აღამიანის უფლებები და საქართველო</p>	<p>2 საათი</p>	<p>X</p>	<p>XX</p>	<p>XXX</p>	<p>XXXX</p>	<p>ლექცია კრონოტორის ბამოყენებით</p>
<p>ტესტირება</p>	<p>დეკემბრის გოლო კვირა (I სემესტრის ბოლო)</p>					<p>უნივერსიტეტი</p>
<p>წერიტი ბამოცდა</p>	<p>იანვრის II კვირა</p>					<p>უნივერსიტეტი</p>

ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალი

(სასწავლო პროგრამა)

კურსის აღწერა: ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის კურსი განსაზღვრულია იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტებისათვის, რომელთაც შესწავლილი აქვთ საერთაშორისო საჯარო სამართლის საფუძვლები, კონსტიტუციური სამართალი და ადამიანის ძირითადი უფლებები.

აღნიშნულ კურსში ადამიანის უფლებები განხილულია, როგორც საერთაშორისო სამართლის ერთ-ერთი განხრა. იგი მოიცავს ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო სამართლის, როგორც სრულ, ისე უნივერსალურ მექანიზმებს და ადამიანის უფლებათა დაცვის რეგიონალურ სისტემას. აღნიშნული კურსი შეიცავს ადამიანის უფლებათა დაცვის სამართლებრივი ასპექტების შესწავლას. კურსის შესწავლისას განხილული იქნება ადამიანის სამოქალაქო, პოლიტიკური, სოციალური, ეკონომიკური და კულტურული უფლებები. კურსი ასევე მოიცავს შემდეგ ძირითად საკითხებს: ადამიანის უფლებათა დაცვის იდეის განვითარებას, ადამიანის უფლებათა დაცვის პრობლემის დახასიათებას, სამართლებრივ კატეგორიებს, უფლებათა კლასიფიკაციას მათი შინაარსისა და თაობების მიხედვით; ადამიანის უფლებათა განვითარებას, როგორც საერთაშორისო კატეგორიას, ადამიანის უფლებათა საერთაშორისო დაცვას და მის ურთიერთობას ეროვნულ კანონმდებლობასთან. კურსი შედგება რამდენიმე კომპონენტისაგან:

1) სალექციო კურსი; 2) სასემინარო კურსი; 3) რეფერატები, საკურსო ნაშრომები და საკონფერენციო თემების მომზადება; 4) "იურიდიული კლინიკა".

კურსის მიზანი: წარმოდგენილი კურსის მიზანია, უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტებს მისცეს თეორიული და შეძლებისდაგვარად პრაქტიკული ("იურიდიული კლინიკის" მეშვეობით) ცოდნა ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის სფეროში; წარმოაჩინოს ის საერთაშორისო სამართლებრივი ინსტრუმენტები, რომლითაც ხდება ადამიანის უფლებათა დაცვა, როგორც უნივერსალური ხასიათის, ასევე

რეგიონალური მექანიზმები. კურსი სტუდენტებს აცნობს ადამიანის უფლებათა შესახებ ძირითად საერთაშორისო დოკუმენტებს. სტუდენტები გაეცნობიან ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნული ინსტრუმენტების როლსა და ფუნქციებს; აგრეთვე, ადამიანის უფლებათა დაცვის კონსტიტუციურ გარანტიებს. მიღებული ცოდნა მათ გამოადგებათ იურისპრუდენციის სხვადასხვა სფეროში მუშაობისას, როგორც სახელმწიფო სექტორში ასევე, საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციებში საქმიანობისას.

სწავლების მეთოდოლოგია:

ა) ლექციების დროს გარკვეულ თემებთან დაკავშირებით გამოყენებულ უნდა იქნას საერთაშორისო სამართლის არსებული ვიდეომასალა, სქემების წარმოსაჩენად გამოიყენება პროექტორი. *(აღნიშნული მეთოდები წლების მანძილზე აპრობირებულია კურსის ავტორის მიერ "ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პროცედურების" კურსის სწავლებისას).* სტუდენტები წლის განმავლობაში გაეცნობიან თბილისში არსებულ გაეროს წარმომადგენლობას, გაეროს ლტოლვილთა უმაღლეს კომისარიატსა და საქართველოში ევროსაბჭოს ოფისებში, საინფორმაციო სამსახურთან შეთანხმებით, მოეწყობა ექსკურსიები.

ბ) სასემინარო დისკუსიები- ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო ორგანოების და ევროპული სასამართლოს მიერ კონკრეტულ საქმეთა გადაწყვეტილებების გარჩევა (ე.წ. Moot Court Competition case study- "იურიდიული კლინიკა"); *გათვალისწინებულია სპეც. სემინარები, რომლებზეც მოხდება საერთაშორისო ინსტანციების მიერ კონკრეტული გადაწყვეტილებების განხილვა.*

გ) ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პალატის მუშაობის მოდელირება (მონაწილეობა არჩევითია). *აპრობირებულია საერთაშორისო სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის საერთაშორისო სამართლის განყოფილებაზე "ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პროცედურების" სწავლებისას.*

დ) წერიტი სამუშაოები - რეფერატები და საკურსო ნაშრომი ცალკეულ საკითხებზე; კოლოქიუმები (კონკრეტული საერთაშორისო დოკუმენტების ან სასამართლო საქმეების გარჩევა და გადაწყვეტა);

ე) წინა საგამოცდო ტესტირება (სტუდენტს ეხმარება თავი მოუყაროს ნასწავლ მასალას და შეამოწმოს საკუთარი თავი გამოცდის წინ);

ვ) წერიტი გამოცდა.

წერიტი სამუშაოები -	40 %
დისკუსიები -	20 %
ლექციებზე დასწრება -	15%
ტესტირება -	25%

დისციპლინის მიზანი: დისციპლინა მიზნად ისახავს შეასწავლოს სტუდენტებს ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის ძირითადი დებულებები, საერთაშორისო ინსტანციებში საქმის წარმოების პროცედურა. სტუდენტები დაეუფლებიან გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტში განაცხადის მომზადებას, ევროპულ სასამართლოში სარჩელების წარდგენის უნარ-ჩვევებს, გაეცნობიან სტრასბურგის სასამართლოში განხილულ ზოგიერთ საქმეებს და შეისწავლიან სასამართლო პრეცედენტებს, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის გამოყენებას საქართველოში. კერძოდ, ევროპული კონვენციის ევროპის ადამიანის უფლებათა კონვენციის შესწავლისას გაეცნობიან საქართველოს კანონმდებლობას და შეისწავლიან ევროპული კონვენციის დებულებათა იმპლემენტაციის საკითხებს საქართველოს კანონმდებლობაში, ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის როლს საქართველოს სასამართლო პრაქტიკაში.

კურსის ძირითადი მიზანია: ა) ნათლად წარმოაჩინოს ადამიანის უფლებები ეროვნულ, რეგიონალურ და საერთაშორისო დონეზე; ბ) განუმარტოს სტუდენტებს ადამიანის უფლებათა მთავარი დოკუმენტების მნიშვნელობა; გ) გააცნოს სტუდენტებს საერთაშორისო და რეგიონალურ დონეზე მოქმედი ადამიანის

უფლებათა იმპლემენტაციის მოდელები და მიუთითოს იმპლემენტაციასთან დაკავშირებულ პრობლემებზე.

სტუდენტი უნდა ერკვეოდეს ადამიანის უფლებათა დაცვის ინსტრუმენტების მნიშვნელობასა და მათ ფუნქციონირებაში; უნდა იცოდეს როგორ შეუძლია ინდივიდს მიმართოს ამა თუ იმ ადამიანის უფლებათა დამცავ საერთაშორისო ორგანიზაციებს და ერკვეოდეს უფლებათა დაცვის მექანიზმებში.

კურსის სწავლება მიზნად ისახავს აგრეთვე, სტუდენტებს მისცეს საშუალება ფლობდეს ადამიანის უფლებათა სფეროში მთავარ ტერმინოლოგიას, რისთვისაც მიზანშეწონილად ითვლება ერთი საათი დაეთმოს სპეციალურ ტერმინების შესწავლას, რაც თავისთავად ხელს შეუწყობს სტუდენტის ლექსიკონებთან, ცნობარებთან და ენციკლოპედიებთან მუშაობის ჩვევების გამომუშავებას.

სავალდებულო ლიტერატურა: იმ სავალდებულო სპეციალური ლიტერატურისა და დოკუმენტების მინიმუმი, რომელიც წაკითხული უნდა ჰქონდეს სტუდენტს.

სასწავლო დამხმარე ლიტერატურა: სპეციალური ლიტერატურა, მონოგრაფიები, ლექსიკონები; პუბლიკაციები ქართულ და უცხოურ ენებზე. ასევე, საერთაშორისო სამართლის დოკუმენტები ადამიანის უფლებათა სფეროში.

გამოცდის მეთოდი: წერიტი გამოცდა, რომელსაც წინ უძღვის ტესტირება.

პროგრამა

თემა: *ლექცია-ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის არსი - 1 საათი;*

შესავალი ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალში;

სასწავლო პროგრამის გაცნობა- 1 საათი;

1. ადამიანის უფლებათა განვითარების ისტორია

I. 1. ადამიანის უფლებათა დაცვის იდეა და მისი განვითარება;

2. ადამიანის უფლებათა განვითარება I მსოფლიო ომამდე;
 3. ადამიანის უფლებათა განვითარება II მსოფლიო ომის შემდეგ.
 4. ადამიანის უფლებათა კლასიფიკაცია თაობათა მიხედვით.
 5. ადამიანის უფლებები და საერთაშორისო სამართალი;
 6. ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის წყაროები.
- II. პროგრამის გაცნობა; კურსის სისტემა; მეთოდი.

საეაღდებულო ლიტერატურა: ლ. ალექსიძე. თანამედროვე საერთაშორისო სამართალი. თბილისი, 2002 წ. ; მაღანსუკი, აკეჰარტისის საერთაშორისო სამართალი. თბილისი 2005 წ. საეაღდებულო საკითხაუი მასალა საერთაშორისო სამართლის ფაკულტეტის სტუდენტებისათვის (შემდგენელი მ. კეაჭაძე. თბილისი 2000წ). გ .ხუბუა. სამართლის თეორია. თბილისი. 2005

Т. Бюргенталь. Международное право прав человека. А-А. 1999г. ст. 106-145.

დამატებითი ლიტერატურა: Лукашук М.М. Международное право. М., 1998г. I т. An Introduction to the International Protection of Human Right (A textbook). Editing by Raija Hanski and Markku Suksi. Turku.2000. pp.275-287. Extraits des d'une selection des arrêts de la Cour europeenne des Droit de l'Homme. 1999.pp. 10-13.

თემა II. "მსხვერპლის" და "სამართალდარღვევის" ცნება ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალში.

1. ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის უხეში დარღვევები. 2. ადამიანის უფლებათა დარღვევის მსხვერპლი. 3. საერთაშორისო სამართლის განსაკუთრებული დაცვის ქვეშ მყოფი პირები (ლტოლვილები, იძულებით გადაადგილებული პირები; ბავშვები, ქალები).
2. ძირითადი ტერმინები და ცნებები. დამიანის უფლებათა საერთაშორისო ლექსიკონი (ლ.ალექსიძე, მ.კეაჭაძე, ი.ქურდაძე, კ.კორკელია, ლ.გიორგაძე) თბილისი, 2005 წ.

საეაღდებულო ლიტერატურა. Т. Бюргенталь. Международное право

прав человека. А-А. 1999г. ст. 26-32.100-101. გაეროს კონვენცია ლტოლვილთა შესახებ; კონვენცია ბავშვთა უფლებების შესახებ; კონვენცია ქალთა დისკრიმინაციის აღმოფხვრის შესახებ. Д. Гомьен, Д. Харрис, Л. Зваак. Европейская Конвенция о правах человека и Европейская Социальная Хартия. М., 1998г. ст. 27-37

თემა III. ადამიანის უფლებათა დაცვის უნივერსალური სისტემა - 3 საათი

1. ადამიანის უფლებათა დაცვის სისტემა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ფარგლებში.

1. ადამიანის უფლებები გაეროს წესდებაში;
2. ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია;
3. ადამიანის უფლებათა 1966 წლის საერთაშორისო პაქტები:
 - ა) პოლიტიკური და სამოქალაქო უფლებების საერთაშორისო პაქტი;
 - ბ) პოლიტიკური და სამოქალაქო უფლებების საერთაშორისო პაქტის 1976 წლის ფაკულტატური ოქმები;
 - გ) ხელშეკრულების საფუძველზე შექმნილი ადამიანის უფლებათა დაცვის სისტემა
- ადამიანის უფლებათა კომიტეტი, მისი ფუნქცია, განაცხადის შეტანის პროცედურა.
- დ) საერთაშორისო პაქტი ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ. პაქტის მოქმედების მექანიზმი.
4. წესდების საფუძველზე შექმნილი ორგანოები: ადამიანის უფლებათა კომისია.

2. გაეროს სხვა ძირითადი ხელშეკრულებები ადამიანის უფლებათა შესახებ;

1. სხვა ძირითადი ხელშეკრულებები:
 - ა) გენოციდის დანაშაულებათა თავიდან აცილებისა და დასჯის შესახებ;
 - ბ) კონვენცია რასობრივი დისკრიმინაციის ყველა ფორმის ლიკვიდაციის შესახებ;

გ) საერთაშორისო კონვენცია აპარტიდის აღმოფქვრის შესახებ;

დ) სერთაშორისო კონვენცია ქალთა დისკრიმინაციის აღმოფქვრის შესახებ;

ე) კონვენცია ბავშთა უფლებების შესახებ;

დ) წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობის შესახებ;

2. გაეროს წესდების საფუძველზე შექმნილი ადამიანის უფლებათა დაცვის ინსტიტუტები
- ა. ადამიანის უფლებათა კომისია;
 - ბ. ქვეკომისიები;
 - გ. ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისარი და ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისარიატი.

3. გაეროს სპეციალიზირებული ორგანიზაციები და ადამიანის უფლებათა დაცვა (იუნესკო და სხვა);
სპეც. სემინარი: ადამიანის უფლებათა კომიტეტში განაცხადის წარდგენის წესი; კომიტეტის მიერ განხილულ საქმეთა გარჩევა.

4. ძირითადი ტერმინები და ცნებები. ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ლექსიკონი (ლ.ალექსიძე, მ.კვაჭაძე, ი.ქურდაძე, კ.კორკელია, ლ.გიორგაძე) თბილისი, 2005 წ.

საგაყდებულო ლიტერატურა: ლ. ალექსიძე. თანამედროვე საერთაშორისო სამართალი. თბილისი. 2002 წ.; თანამედროვე საერთაშორისო სამართლის ლექსიკონი. ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის ლექსიკონი. თბილისი 2005 წ. მ. კვაჭაძე. ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის სახელმძღვანელო (სახელმძღვანელო გამოვა 2005 წლის, ნოემბერში). ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალი: ხელშეკრულებები, პაქტები, კონვენციები. თბილისი 2002 წ.

II. დამატებითი ლიტერატურა: საქართველოს 2002 წლის საანგარიშო მოხსენება გაეროს ადამიანის უფლებათა

კომიტეტიში.

2. Human Rights in the World. A.H. Robertson. L.M. Merrells. 1996. Manchester University Press.pp.23-96. 2. Guide to International Human Rights Practice. Hurst Hannum.University of Pensilvania Press. Philadelphia. 1986.133-153. ევროკავშირი 1997. 5974. UN:3. International Protection of Human Rights. J.A. Andrews, W.D.Hines. Mansell Publishing limited. 1987c. Steiner, H. J., Alston P. :International Human Rights in Context (Oxford University Press, 2000). 2.Devine, c., Hansen, C. R, Wilde, R: Human Rights: The Essential Reference (Oryx Press, 1999) Freeman M., 'Human Rights' (Polity, 2002) Brownie, Ian.: Basic Documents on Human Rights (New York: Oxford University Press. 1994). SARAH JOSEPH, JENNY SCHULTZ, MELISSA CAST AN, *The International Covenant on Civil and Political Rights: Cases, Materials and Commentary*, Oxford, 2000 Rehman J. :International Human Rights Law (Longman, 2002)
3. Weiss, T.G., Forsythe D.P., Coate RA.: The United Nations and Changing World Politics (Westview Press, 2001)

თემა IV. ადამიანის უფლებათა დაცვის რეგიონალური სისტემა

1. ადამიანის უფლებათა რეგიონალური სისტემის მიმოხილვა: ინტერამერიკული სისტემა; აფრიკული სისტემა; ევროპული სისტემა 3საათი.
2. ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული სისტემა;
 1. ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპული კონვენცია;
 - ა. კონვენციით გარანტირებული უფლებები;
 - ბ. ევროპული კონვენციის დამატებითი ოქმები.
 2. კონვენციის მიერ შექმნილი ინსტიტუტები: კომისია (სასამართლოს რეფორმამდე) და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო. მისი მუშაობის წესი.
 3. ინდივიდუალური სარჩელის შეტანის წესი.
 4. სასამართლო გადაწყვეტილება და ეროვნული კანონმდებლობა.
 5. გარანტირებული უფლებების ინტერპრეტაცია სასამართლოს მიერ.
 6. სახედამხედველო ორგანოები.

ძირითადი ტერმინები და ცნებები. ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ლექსიკონი (ლ.ალექსიძე, მ.კვაჭაძე, ი.ქერდაძე, კ.კორკელია, ლ.გიორგაძე) თბილისი, 2005წ.

სპეც. სემინარი: ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ განხილული კონკრეტული საქმეების განხილვა; ევროპულ სასამართლოში სარჩელის მომზადება.

კოლოქვიუმი

საეაღდებულო ლიტერატურა: კორკელია კ. ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის გამოყენება საქართველოში. თბილისი 2004. გვ. 16-40. კორკელია კ. ადამიანის უფლებათა ევროპის კონვენციის განმარტების პრინციპები, (ქართულ და ინგლისურ ენებზე), "ქართული სამართლის მიმოხილვა", 5, №4, 2002 წელი; ლ. ფაფიაშვილი. ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლო. თბილისი 2001 წ. გვ. 8-13; Д. Гомьен, Д. Харрис, Л. Зваак. Европейская Конвенция о правах человека и Европейская Социальная Хартия. М., 1998г. ст. 27-37; საეაღდებულო საკითხავი მასალა საერთაშორისო სამართლის ფაკულტეტის სტუდენტებისთვის - ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული სისტემა (შემდგენელი მ. კვაჭაძე). გ. დომენი. ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია. თბილისი. 1996 წ. ბიურგენტალი. ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალი. აღმა-ატა. 1999 წ. გვ. 106-229. მიქაბერიძე ა. ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლო, თბილისი, 2000 წელი. გვ. 31-71. А. М. Эределевский. Обращение в Европейский Суд. М. 1999.

დამატებითი ლიტერატურა. ლ.ბოძაშვილი. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები. თბილისი 1998 წ. საქმეები: კლაასი და სხვები გფრ-ის წინააღმდეგ; კოკინაკისი საბერძნეთის წინააღმდეგ. Решение европейского суда по правам человека. Будапешт. 1998 г.

საქმეები: სიორინგი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ; მარქსი ბელგიის წინააღმდეგ; ლუიზიდუ თურქეთის წინააღმდეგ

და სხვ. В.А.Туманов. Европейский Суд по правам человека. М. 2001. ст. 246-260. Hurris D.J., O'Boyle M., Warbrick C., Law of the European Convention on Human Rights. Butterworths, London, Dublin, Edinburgh 1995).pp.443-516; 516-570. უფლებათა დაცვის რენე კასენის ინსტიტუტის მასალათა კრებული.

თემა 5. ევროპის სოციალური ქარტია

1. უფლებების ჩამონათვალი;
2. სოციალური ქარტიით გარანტირებული უფლებების დაცვის საერთაშორისო მექანიზმი;

სავალდებულო ლიტერატურა: კ. კორკელია. ი. ქურდაძე. ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია და სოციალური ქარტია. თბილისი 2004 წ. Социальная Хартия. Совет Европы. 1999 г. Д. Гомьен, Д. Харрис, Л. Зваак. Европейская Конвенция о правах человека и Европейская Социальная Хартия. М., 1998г. ст. 343 – 400.

თემა 6. ადამიანის უფლებები და ევროკავშირი

1. ევროკავშირი და ადამიანის უფლებები;
2. გაერთიანებული ევროპის კონსტიტუცია, როგორც საერთაშორისო სამართლებრივი აქტი და მის იმპლემენტაციასთან დაკავშირებული საკითხები;

3. ძირითადი ტერმინები და ცნებები.

სავალდებულო ლიტერატურა: Andrew Williams. ED and Human Rights policy. 2003. pp. 34-46.

EU Constitution.

თემა 7. ადამიანის უფლებები და ევროპაში უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაცია – I საათი;

1. ჰელსინკის აქტი;
2. ეუთოს პროცესი;
3. ეუთო და ადამიანის უფლებათა ჩამონათვალი;
4. ადამიანის უფლებათა და დემოკრატიული ინსტიტუტების ბიურო; ეროვნულ უმცირესობათა ეუთოს უმაღლესი კომისარი;

5. ძირითადი ტერმინები და ცნებები. ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ლექსიკონი (ლ.ალექსიძე, მ.კვაჭაძე, ი.ქურდაძე, კ.კორკელია, ლ.გიორგაძე) თბილისი, 2005 წ.

საქალდებულო ლიტერატურა: თანამედროვე საერთაშორისო სამართლის ლექსიკონი; ტ. ბიურგენტალი. ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალი. აღმა-ატა. 1999 წ. გვ. 151-154.

თემა 8. ადამიანის უფლებების დაცვა შეიარაღებული კონფლიქტების დროს

1. საერთაშორისო კუმანიტარული სამართალი;

1. ჟენევის კონვენციები და დამატებითი ოქმები;
2. კომბატანტები და ტყვეები;
3. სპეციალური დაცვის ქვეშ მყოფი პირები;
4. სამოქალაქო მოსახლეობა;

2. პასუხისმგებლობა საერთაშორისო დანაშაულებისათვის

1. ნიურნბერგის, ტოკიოს, საერთაშორისო სისხლის სამართლის სამხედრო ტრიბუნალი;

2. ყოფილი იუგოსლავიისა და რუანდის სამხედრო ტრიბუნალები და ადამიანის უფლებათა დაცვა (მოკლე მიმოხილვა);

3. სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლო და ადამიანის უფლებათა დაცვა.

3. ძირითადი ტერმინები და ცნებები. ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ლექსიკონი (ლ. ალექსიძე, მ. კვაჭაძე, ი. ქურდაძე, კ. კორკელია, ლ. გიორგაძე) თბილისი, 2005 წ.

სპეც. სემინარი: საერთაშორისო და არასაერთაშორისო კონფლიქტების დროს ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხებთან დაკავშირებული სავარჯშოების განხილვა (Practical Cases in International Humanitarian Law, 1999).

კოლოქიუმი:

სავალდებულო ლიტერატურა: ჰასერი. საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი. თბილისი, 1998 წ. ენევის 1948 წლის კონვენციები და დამატებითი ოქმები:

დამატებითი ლიტერატურა: ლ. თოფურია. საერთაშორისო სისხლის სამართალი. თბილისი. 2002 წ. გვ. 814. მ. ტურაყა. საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლო და საქართველოს კანონმდებლობა (შედარებითი ანალიზი). 2003 წ. An Introduction to the International Court. William A. Shabas. Cambridge Uni. Press. 2001. 26-66pp. Gillbert Guillume. Dictionnaire de droit international public. Bruxelles 2001 c. M. Cherif Baddiouni. Introduction to International Criminal Law .N- Y. 2003. 136-144.

თემა 9. ადამიანის უფლებები და სამოქალაქო საზოგადოების როლი ადამიანის უფლებათა დაცვის საქმეში – 1 საათი;

1. არასამთავრობო ორგანიზაციების როლი ადამიანის უფლებათა დაცვის საქმეში
2. ადამიანის უფლებათა დამცავი საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციები;
3. ადამიანის უფლებათა დამცავი ეროვნული არასამთავრობო ორგანიზაციები

2. ძირითადი ტერმინები და ცნებები. ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ლექსიკონი (ლ. ალექსიძე, მ. კვაჭაძე, ი. ქურდაძე, კ. კორკელია, ლ. გიორგაძე) თბილისი, 2005 წ.

სპეც. სემინარი: არასამთავრობო ორგანიზაციათა როლი ადამიანის უფლებათა დაცვაში (Reports of Human Rights Watch) განხილვა.

საველდებულო ლიტერატურა: ზ. აბაშიძე. საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციები მ., 2003 წ. Т. Бюргенталь. Международное право прав человека. А-А. 1999г. ст 298-303. გამოხატვის თავისუფლება. 2005 წ. აღმსარებლობის თავისუფლება. ევროსაბჭო. 2004 წ.

თემა 10. ადამიანის უფლებები და საქართველო

1. საქართველოს კანონმდებლობა და საერთაშორისო სამართალი.
2. საერთაშორისო აქტების იმპლემენტაციის საკითხი საქართველოს კანონმდებლობაში.
3. ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში მოქედი საერთაშორისო სამართლის აქტები და საქართველოს სასამართლოების გადაწყვეტილებები.

საველდებულო ლიტერატურა: ლ. ალექსიძე. თანამედროვე საერთაშორისო სამართალი. თბილისი 2003 წ. კ. კორკელია. სახელშეკრულებო სამართალი. თბილისი 2000 წ. მ. კვაჭაძე. ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალი. 2005 წ. კ. კორკელია. ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია და საქართველო. ევროსაბჭო. 2003 წ. კ. კორკელია ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის გამოყენება საქართველოში. თბილისი 2004წ. საქართველოს 1995 წლის კონსტიტუცია. საქართველოს კანონი საერთაშორისო ხელშეკრულებათა შესახებ; საქართველოს კანონი ნორმატიული აქტების შესახებ.

წინასაგამოცდო ტესტირება;

წერილობითი გამოცდა;

"იურიდიული კლინიკის" პროგრამა - კურსი "ადამიანის უფლებები" (16-20 სტუდენტი).

"იურიდიული კლინიკა" სწავლების ამერიკული მეთოდია, რომელიც მოქმედებს აშშ-ში, აღმოსავლეთ ევროპის უმაღლესებსა და ყოფილ საბჭოთა კავშირის ქვეყნების უმაღლესების იურიდიულ ფაკულტეტებზე. ამ პროგრამის მიზანია სტუდენტებმა შეისწავლონ და დაეუფლონ იურისტის პრაქტიკულ ჩვევებს, ადვოკატის უნარ-ჩვევებს და უფასო იურიდიული დახმარება აღმოუჩინონ სოციალურად დაუცველ ფენებს (წარმოადგინონ კლიენტი სახელმწიფო დაწესებულებებში, შეუდგინონ სარჩელი, დაეხმარონ ადვოკატს სასამართლოში და სხვა). 1998 წლიდან "იურიდიული კლინიკა", როგორც უნივერსიტეტის სწავლების მეთოდი პირველად დაინერგა ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საერთაშორისო სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტზე საერთაშორისო სამართლის სპეციალობის სტუდენტებისათვის. "იურიდიული კლინიკა" წარმატებით არის დანერგილი სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებლებში.

"იურიდიული კლინიკის" პროგრამის ხანგრძლივობა ბაკალავრიატის IV კურსის სტუდენტებისათვის და მაგისტრატურის I კურსის მაგისტრებისათვის - 1 წელია (4 საათი კვირაში).

კურსის ძირითადი ამოცანები: გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტში შესატანი განაცხადის ფორმა და მისი შედგენის წესი, წამების საწინააღმდეგო კომიტეტში განცხადების შედგენისა და წარდგენის წესი; ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში განაცხადის შევსებისა და შეტანის წესი; ლტოლვილთა თავშესაფარის მიცემისას შესავსებ დოკუმენტთა ნუსხა და შევსების წესი.

საერთაშორისო დოკუმენტები: ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალი: ხელშეკრულებები, პაქტები, კონვენციები: ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია; საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და

პოლიტიკური უფლებების შესახებ და ფაკულტატიური ოქმი; საერთაშორისო პაქტი ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ; ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპული კონვენცია; ევროსაბჭოს წესდება; სასამართლო ორგანოთა დამოუკიდებლობის ძირითადი პრინციპები; კონვენცია მსჯავრდებულ პირთა გადაცემის შესახებ; წამების, სასტიკი და არაადამიანური მოპყრობის წინააღმდეგ.

"იურიდიულ კლინიკაში" მოხვედრისათვის სტუდენტს გაეკლინა უნდა აქონდეს შემდეგი კურსები: საერთაშორისო საჯარო სამართალი; საკონსტიტუციო სამართალი; ადმინისტრაციული სამართალი; სამოქალაქო სამართალი და სამოქალაქო სამართლის პროცესი ან სისხლის სამართალი და სისხლის სამართლის პროცესი.

“იურიდიულ კლინიკაში” სწავლების სავალდებულო საგნები:

ადამიანის უფლებათა ევროპული სტანდარტები;
ადამიანის უფლებათა საერთაშორისო მექანიზმების გადაწყვეტილებები ცალკეულ საქმეებზე (Moot Court Competition Case Law);
სამართლებრივი ეთიკა;
საქმის წარმოება;
რიტორიკა;
წერის კულტურა;
საერთაშორისო ინსტანციებში განაცხადის შევსების წესი.

გამოყენებული ლიტერატურა:

- Dictionnaire de Droit Internatioanl Public. Jean Salmon, Gilbert Guillaume. Bruxelles, 2001.
- Freeman Mark. International Human Rights Law. 2005. pp.23-267; 203-233.
- Marks Susan. International Human Rights Lexikon. 2005.
- Furse M. Essential HR cases. 2004.
- Mowbray Alastair R. The Development of Positive Obligation under the European Convention on Human Rights. 2004)

- Franz-Josef Hutter. NO Rights: Menschenrecht als Fundament einer funktionierenden Weltordnung. 2004.(21-45)
- Peter J. Optiz. Menschenrechte und Internationaler Menschenrechtsschutz im 20. Jahrhundert, 2002.(12-56; 120-144)
- H. Tigroudja, I. Panoussis. La Cour interamericaine des droit de l'homme. 2003. pp.6-23
- English-French ; French-English Dictionary in International Law. Strasbourg. 2000.
- ხუთენოვანი ლექსიკონი საერთაშორისო სამართალში (იბეჭდება) ავტორები: გ. გაბრიჩიძე; ავ. დემეტრაშვილი; ლ. გიორგაძე; მ. კვაჭაძე; ნ. კაპანაძე; ნ. ქიმერიძე; ტ. ჩახანაშვილი; მ. ჩხარტიშვილი; კ. კორკელია). თბილისი 2005 წ.
- ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის ლექსიკონი. მთავარი რედაქტორი: პროფ. ლ. ალექსიძე. ავტ. ლ. გიორგაძე; მ. კვაჭაძე, კ. კორკელია, ი. ქურდაძე). თბილისი 2005 წ.
- საქართველოს კონსტიტუცია;
- ორგანული კანონი "საქართველოს მოქალაქეობის შესახებ", 1993 წელი;
- კანონი "უცხოელთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ", 1993 წელი;
- ორგანული კანონი "საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ", 1996 წელი;
- კანონი "საკონსტიტუციო სამართალწარმოების შესახებ", 1996 წელი;
- კანონი "სახალხო დამცველის შესახებ", 1996 წელი;
- კანონი "ნორმატიული აქტების შესახებ", 1996 წელი;
- კანონი "შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ", 1997 წელი;
- ორგანული კანონი "საერთო სასამართლოების შესახებ", 1997 წელი;
- საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, 1997 წელი;
- ორგანული კანონი "უზენაესი სასამართლოს შესახებ", 1999 წელი;
- კანონი "მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების

- შესახებ", 1997 წელი;
- სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, 1997 წელი;
- კანონი "საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ", 1997 წელი;
- კანონი "ლტოლველთა შესახებ", 1998 წელი;
- საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, 1998 წელი;
- ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი, 1999 წელი;
- კანონი "პატიმრობის შესახებ", 1999 წელი;
- სისხლის სამართლის კოდექსი, 1999 წელი;
- ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი, 1999 წელი;
- კანონი "ადვოკატთა შესახებ", 2001 წელი;

ინტერნეტ საიტები

www.un.org

www.unhcr.org

www.ohchr.org

www.coe.int

www.hudoc.coe.int

www.eu.org

www.conventions.coe.int

www.comissioner.coe.int

www.coe.int/T/E/Human_rights/Minorities